ISSN: 2298-0202 (Print) ISSN: 2346-8483 (Online)

გრიგოლ რობაქიძის
სახელობის უნივერსიტეტი
GRIGOL ROBAKIDZE UNIVERSITY

აკადემიური მაცნე
ACADEMIC DIGEST

2022

თბილისი Tbilisi

გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი

Grigol Robakidze University

ISSN 2298-0202
DOI: https://doi.org/10.55896/2298-0202

აკადემიური მაცნე

Academic Digest

2022

თბილისი - Tbilisi

გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის პერიოდული სამეცნიერო ჟურნალი **„აკადემიური მაცნე“** გამოდის წელიწადში ერთჯერ. ჟურნალი რეცენზირებადი და რეფერირებადია. რეფერირდება ქართულ რეფერატულ ჟურნალში (ქრჟ) www.techinformi.ge. **„აკადემიურ მაცნეს“** მინიჭებული აქვს ციფრული ობიექტის იდენტიფიკატორი - DOI: https://doi.org/10.55896/2298-0202. ჟურნალი პოლითემატურია და მოიცავს შემდეგ დისციპლინებს: ბიზნესის ადმინისტრირება, საჯარო მმართველობა, სამართალი, სოციალური მეცნიერებები, მედიცინა და სხვ.

სარედაქციო საბჭო

მამუკა თავხელიძე – მთავარი რედაქტორი (საქართველო)
გოჩა ოჩიგავა – მთავარი რედაქტორის მოადგილე (საქართველო)
ნინო შოშიტაშვილი – აღმასრულებელი რედაქტორი (საქართველო)

მალხაზ ბაძაღუა (საქართველო)
ოთარ გერზმავა (საქართველო)
მიხეილ გოგატიშვილი (საქართველო)
გია დეკანოზიშვილი (საქართველო)
თენგიზ ირემაძე (საქართველო)
ვახტანგ ჭარაია (საქართველო)
ვალერიან ხრუსტალი (საქართველო)
ზურაბ ძლიერიშვილი (საქართველო)
დავით ძამუკაშვილი (საქართველო)
ნინო წილოსანი (საქართველო)

ჰანს იორგ ალბრეხტი (გერმანია)
ანა მარგარიანი (სომხეთი)
ჯეიმს ო. ფინკენაუერი (აშშ)
ტრევორ კარტლეჯი (დიდი ბრიტანეთი)
ელიკო წიკლაური-ლამიხი (გერმანია)
კამილ სალიმოვი ნაზიმ ოღლუ (აზერბაიჯანი)
ალენა შოსტკო (უკრაინა)
ჯოვან შოპოვსკი (მაკედონია)
დეჟან მაროლოვი (მაკედონია

The scientific periodical of Grigol Robakidze University “**Academic Digest”** is a yearly publication. The journal is peer-reviewed and referable. it is referred in the Georgian Abstracts Journal (GAJ) www.techinformi.ge. “**Academic Digest”** assigned a Digital Object Identifier DOI: https://doi.org/10.55896/2298-0202. The journal is polythematic and includes the following disciplines: business administration, public administration, law, social sciences, medicine, etc.

The Editorial Board

Mamuka Tavkhelidze – Editor-in-chief (Georgia)
Gocha Ochigava – Deputy Editor-in-chief (Georgia)
Nino Shoshitashvili – Executive Editor (Georgia)

Malkhaz Badzagua (Georgia)
Otar Gerdzmava (Georgia)
Mikheil Gogatishvili (Georgia)
Gia Dekanozishvili (Georgia)
Tengiz Iremadze (Georgia)
Vakhtang Charaia (Georgia)
Valerian Khrustali (Georgia)
Zurab Dzlierishvili (Georgia)
David Dzamukashvili (Georgia)
Nino Tsilosani (Georgia)

Hans Jourg Albrecht (Germany)
Anna Margarian (Armenia)
James Finckenauer (USA)
Trevor Cartledge (Great Britain)
Eliko Tsiklauri-Lammich (Germany)
Kamil Nazim oglu Salimov (Azerbaijan)
Olena Shostko (Ukraine)
Jovan Shopovski (Macedonia)
Dejan Marolov (Macedonia)

მისამართი / Addres: საქართველო, თბილისი 0159, ი. ენუქიძის ქ. #3 / 0159 Tbilisi, Georgia, I. Enukidze str. #3
ვებ-საიტი / Web Site: http://gruni.edu.ge/
ელ. ფოსტა / E-mail: g.ochigava@gruni.edu.ge; pragueinfo@yahoo.com
ტელ.: / Tel.: (+995) 555 49 01 78

ავტორი პასუხისმგებელია სტატიის შინაარსზე და ხარისხზე.
The author is responsible for the content and quality of the paper.

ISSN 2298-0202
DOI: https://doi.org/10.55896/2298-0202

© გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი. 2022

სარჩევი

სამართალი

შოთა ტყეშელაშვილი
დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღებისა და ქმედით მონანიებასთან დაკავშირებული აქტუალური საკითხები 5

ლალი ბაგრატიონი
ბენეფიციარის იდენტიფიცირება ფულის გათეთრების აღკვეთის (AML) ღონისძიებების მიზნებისთვის 15

გიორგი მიქელაძე
არსებითი დარღვევა და მისი შედეგები მტკიცებით სამართალში 31

გიორგი ძინძიბაძე
მასრების გამოკვლევის შედეგების მნიშვნელობა და იდენტიფიკაციისას გასათვალისწინებელი ნეგატიური ფაქტორები 44

ბექა ქებულაძე
მტკიცების ფარგლები - სისხლის საპროცესო სამართლის ინსტიტუტი 60

გიორგი ხაზალია
თანაზომიერების პრინციპის თეორიული და პრაქტიკული ასპექტები (ქართული და გერმანული სამართლის მიხედვით) 74

საჯარო მმართველობა

ხათუნა ნებიერიძე
სკოლის მართვის პოლიტიკა: ლიდერის როლი სკოლის მართვაში 85

გიორგი მუმლაძე
საჯარო-კერძო პარტნიორობის შესაძლებლობები და გამოწვევები საქართველოს მაგალითზე 106

პოლიტიკური ფილოსოფია

არჩილ გამზარდია
ყალბი კოლექტიური ნების კონსტრუირების მექანიზმი და ძალაუფლების დიქტატი 2003-2021 წლების საქართველოში 122

ოთარ ანდრიაძე
რუსეთ-უკრაინის ურთიერთობა და პერსპექტივები 147

მედიცინა

ოთარ გერზმავა, ანა თეგეთაშვილი
მოსახლეობის მიერ ანტიბიოტიკების თვითნებურად მოხმარების შესწავლის შედეგები 157

ფილოლოგია

მაია ხაჩიძე
სამყარო ხუან მარსეს თვალით 165

Maia Khachidze
World through the Eyes of Juan Marsé 173

Contents

Law

Shota Tkeshelashvili
Main issues related to the voluntary abandonment and an active repentance 5

Lali Bagrationi
Beneficiary identification for the purposes of anti-money laundering (AML) measures 15

George Mikeladze
Substantial Violation and its Consequences in Evidentiary Law 31

Giorgi Dzindzibadze
The importance of the results of the examination of cartridge cases and the negative factors to be taken into account in the identification 44

Beka Kebuladze
Scope of proof - Institute of Criminal Procedure Law 60

Giorgi Khazalia
Theoretical and practical aspects of the principle of proportionality (according to Georgian and German law) 74

Public Administration

Khatuna Nebieridze
School Management Policy: The role of the leader in school management 85

Giorgi Mumladze
Opportunities and challenges of public-private partnerships on the example of Georgia 106

Political philosophy

Archil Gamzardia
Fake collective will construction mechanism and Power dictation 2003-2021 in Georgia 122

Otar Andriadze
Russian-Ukrainian Relations and Perspectives 147

Medicine

Otar Gerzmava, Ana Tegetashvili
Problems of unauthorized use of antibiotics by patients by the population in Georgia 157

Philology

Khachidze Maia
World through the Eyes of Juan Marsé (in Georgian) 165

Khachidze Maia
World through the Eyes of Juan Marsé (in English) 173

დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღებასა და ქმედით მონანიებასთან დაკავშირებული აქტუალური საკითხები

შოთა ტყეშელაშვილი
გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი, დოქტორანტი
shota.tkeshelashvili@gruni.edu.ge

რეზიუმე. სტატიაში ყურადღება გამახვილებულია იმ თავისებურებებზე და კრიტერიუმებზე, რომელიც ახასიათებს დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღებასა და ქმედით მონანიებას. მასში განხილულია ამ ორი ინსტიტუტის შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში არსებული მოსაზრებები. სტატიის მიზანია დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღებისა და ქმედითი მონანიების ურთიერთგამიჯვნის საკითხის ანალიზი და არსებული პრობლემების გამოვლენა, შესაბამისად შედარებით-სამართლებრივი, ლოგიკური და ანალიტიკური მეთოდების გამოყენებით განხილულია დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების ობიექტური და სუბიექტური მხარეები, სტატისტიკური მონაცემები და შეფასებულია ის სპეციფიკა და საკვანძო საკითხები, რომელიც განგრძობად დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღებას ახასიათებს. სტატიაში განხორციელებული კვლევის შესაბამისად გადაწყვეტილი და წარმოდგენილია ასეთ შემთხვევაში პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების სწორი სამართლებრივი გზა.

საკვანძო სიტყვები: განგრძობადი დანაშაული, ნებაყოფლობით ხელის აღება, ქმედითი მონანიება

1. შესავალი

პირის მხრიდან დანაშაულის ჩადენა შეიძლება აქტიური მოქმედებით ან უმოქმედობით განხორციელდეს. უმოქმედობით ჩადენილი დანაშაულის დროს პირის გარეგანი პასიურობა და უმოქმედობა, რეალურად მის გონებაში მიმდინარე დინამიური პროცესების გარეგანი გამოვლინებაა. ამდენად, ის რაც გარე სამყაროში პიროვნების მოქმედებით და უმოქმედობით ვლინდება მის გონებაში მიმდინარე პროცესების, გადაწყვეტილების, ნაფიქრის, განზრახულის გამოხატვაა. შესაბამისად, დანაშაულის ჩადენა პირის მხრიდან გონების დაძაბვასა და გარკვეული ფსიქოლოგიური ფაქტორების გააზრებას გულისხმობს. პირის ცნობიერში მიმდინარე პროცესების ხანგრძლივობა დამოკიდებულია დანაშაულის ჩადენის ფაქტობრივ გარემოებებზე, მაგ. თუ პირთა ჯგუფის მიერ დაიგეგმა ბანკის დაყაჩაღება, ამ მიზნით შეიქმნა ორგანიზებული ჯგუფი, განაწილდა როლები და მოძიებული იქნა იარაღი, ეს ყველაფერი თავისთავად მიუთითებს მათ გონებაში მიმდინარე დინამიური პროცესების ხანგრძლივობაზე, ხოლო ადგილზე სპონტანურად მიღებული დანაშაულის ჩადენის გადაწყვეტილება კი პირიქით მის ხანმოკლეობას ადასტურებს. შესაბამისად, დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება და მისი დაუმთავრებლობაც პირის გონებაში მიმდინარე ფსიქოლოგიური ნააზრევის შედეგია, რაც კანონმდებლის მიერ სათანადოდ ფასდება და პირი მომზადების ან

დაუმთავრებელი/დამთავრებული მცდელობის სტადიაზე დანაშაულის ჩადენისგან ნებაყოფლობით ხელის აღების გამო სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან თავისუფლდება. გარდა ამისა თუ პირმა დაასრულა და ჩაიდინა დანაშაული, რომელიც სამ წლამდეა (გამონაკლის შემთხვევებში სხვა კატეგორიის დანაშაულებზეც, ოღონდ აღნიშნული გათვალისწინებული უნდა იყოს სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამის მუხლში) ქმედითი მონანების გამოც, ასევე, შესაძლებელია გათავისუფლდეს სისხლის-სამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან. კანონმდებლობაში, არსებული ზემოაღნიშნული წამახალისებელი მუხლების მიუხედავად, სისხლის სამართლის კანონმდებლობის ლიბერალიზაციისათვის სისხლის სამართლის კოდექსის 21-ე მუხლის დღევანდელი ფორმულირება, რომელიც შეეხება დანაშაულის ჩადენისაგან ნებაყოფლობით ხელის აღებას, შესაძლებელია ჩამოყალიბდეს იმგვარად, რომ განგრძობად დანაშაულზეც თუ ის არ ლახავს სხვის უზენაეს პერსონალურ სამართლებრივ სიკეთეს (მაგ. სიცოცხლე, ჯანმრთე-ლობა და ა.შ.) პირი გათავისუფლდეს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან.

შესაბამისად განხორციელებული კვლევა აქტუალური და მნიშვნელოვანია, ვინაიდან პირის გადაწყვეტილება, რის შედეგადაც ის დანაშაულზე ნებაყოფლობით იღებს ხელს, სათანადოდ უნდა შეფასდეს და მას რეაბილიტაციის და სამართლებრივ სივრცეში დაბრუნების სრული შესაძლებლობა უნდა მიეცეს.

2. დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება და ქმედითი მონანიება

2.1 . დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების განმარტება

დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების განმარტება მითითებულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 21-ე მუხლში, რომლის მიხედვითაც, თუ პირმა დანაშაულის დამთავრებაზე ნებაყოფლობით და საბოლოოდ აიღო ხელი, მას არ დაეკისრება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა.

ზემოაღნიშნული მუხლის შემოღებით სახელმწიფო გამოხატავს ლიბერალურ მიდგომას და საშუალებას აძლევს ნებისმიერ პიროვნებას, მიუხედავად მისი კრიმინალური წარსულისა, დანაშაულის დამთავრებამდე ნებაყოფლობით და საბოლოოდ აიღოს ხელი დანაშაულზე. ამ მუხლის ამოქმედებით კანონმდებელი ყველა პოტენციურ დამნაშავეს აძლევს სამართლებრივ გზას, რომ ნეგატიური და საზოგადოებისათვის მიუღებელი ქმედების დასრულებისგან შეიკავოს თავი და დაუბრუნდეს იმ სტატუს კვოს, რომელიც ქმედების განხორციელებამდე არსებობდა.

ნებაყოფლობით ხელის აღების მნიშვნელობის განსაზღვრისას მეცნიერები (Weinhold, 1990) ტრადიციულად სამ შეხედულებაზე ამახვილებენ აქცენტს. ესენია „ოქროს ხიდის“, იგივე „კრიმინალ-პოლიტიკური“ თეორია, „შეწყალების“, იგივე „წახალისების“ და „სასჯელის მიზნის“ თეორიები.

ზემომოყვანილი თეორიებიდან ყველაზე მნიშვნელოვანი „ოქროს ხიდის“ თეორიის მიხედვით, კანონმდებელი დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის ამღებ პირს (ფოიერბახის

ხატოვანი გამოთქმით) „ოქროს ხიდს“ უგებს და მას კანონიერ სამყაროში დაბრუნების საშუალებას აძლევს. დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების დაუსჯელობით კანონმდებელი დანაშაულის ბოლომდე მიყვანას უშლის ხელს რითაც სამართლებრივ სიკეთეს იცავს. აღსანიშნავია, რომ ეს მოძღვრება ემპირიულად არაა დასაბუთებული, ვინაიდან გაურკვეველია ფიქრობს, თუ არა პირი დანაშაულის ჩადენისას იმის შესახებ, რომ მას დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების შემთხვევაში გაათავისუფლებენ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან (მჭედლიშვილი-ჰედრიხი, 2011).

საპირისპირო მოსაზრებით, როდესაც დამნაშვემ იცის სახელმწიფოს მხრიდან ამგვარი დათმობის შესახებ, საეჭვოა, რომ მან გადაწყვიტოს კანონიერად მოქმედება. ვინაიდან, ზოგადად, კანონმდებლის მხრიდან ამგვარი მარეაბილიტირებელი შეღავათის არსებობის შესახებ პირისთვის ცნობილია დანაშაულის დაწყებამდეც, თუმცა ამ საფუძვლის მიუხე-დავად, ის მაინც არ ამბობს უარს დანაშაულის განხორციელებაზე (ხარანაული, 2013).

„ოქროს ხიდის“ თეორიით სახელმწიფო, სასჯელისაგან გათავისუფლების მოტივაციას აძლევს პირს იმ მიზნით, რომ დანაშაულებრივი შედეგი აიცილოს თავიდან (სულაქველიძე, 1992).

მეცნიერ ოთარ გამყრელიძის აზრით (გამყრელიძე, 2013), კანონმდებელი დამნაშავეს, თუ ის დანაშაულის გაგრძელებაზე უარს იტყვის, „ოქროს ხიდის“ მეშვეობით უკან დახევის საშუალებას აძლევს და აღნიშნული თეორია გამოიყენება არა მარტო დამთავრებული მცდელობის, არამედ ყოველგვარი მცდელობის დროს.

აღნიშნულ მოსაზრებას არ ეთანხმება მეცნიერი მერაბ ტურავა (ტურავა, 2013), რომელიც მიიჩნევს, რომ მხოლოდ დამთავრებული მცდელობის შემთხვევაში არის შესაძლებელი „ოქროს ხიდის“ თეორიის მიხედვით დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება და სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლება.

ზოგადად პიროვნება სანამ გადაწყვეტილებას მიიღებს, ის სათანადო მოტივებს ეძებს, ამიტომაც გადაწყვეტის აქტს წინ უძღვის მოტივაციის პროცესი. მოტივაციის შედეგად კი ყალიბდება მოტივი, როგორც გადაწყვეტილების ფსიქოლოგიური საფუძველი (უზნაძე, 1998). შესაბამისად დანაშაულზე ნეაბაყოფლობით ხელის აღების დროს მნიშვნელოვანია, რომ ასეთი გადაწყვეტილება თავად ქმედების სუბიექტმა მიიღოს ნებაყოფლობით და მისი მხრიდან ქმედების შეწყვეტა არ უნდა იყოს გამოწვეული იძულებით, ფიზიკური შეუძლებლობით ან სხვა გარეშე ფაქტორებით.

ზოგიერთი გერმანელი ავტორი (Baumann et al, 2003) ნებაყოფლობით ხელის აღების ერთ-ერთ საფუძვლად მოიაზრებს ნებაყოფლობით ხელის ამღებისაგან ისეთ აუცილებელ ქცევას, რომელიც აქტიურ მოქმედებაში გამოიხატება, (ძირითადად დამთავრებული მცდელობის დროს), თუმცა შინაარსობრივად არ გამორიცხავენ უმოქმედობის შესაძლებლობასაც.

მეცნიერების აზრით (წერეთელი, 2007), მხოლოდ სუბიექტური შეხედულების საფუძველზე, შეუძლებელი იქნებოდა პასუხისმგებლობის მოხსნის დასაბუთება, რადგან პირმა ეს გადაწყვეტილება შეიძლება მიიღოს, ასევე, არაზნეობრივი მოტივით, რაც ნამდვილად არ ადასტურებს მის გამოსწორებას.

განსახილველი საკითხის ირგვლივ, ასევე, სხვადასხვა თეორიები არსებობს. მაგალითად: ე.წ. „ცალკეული აქტის“ თეორია, რომლის მიხედვით: პირი უნდა დაისაჯოს დანაშაულის მცდელობისათვის, თუ მან მისი აზრით შედეგის მისაღწევად ვარგისი ქმედება ჩაიდინა და სხვა შემდგომი შესაძლებელი მოქმედებები აღარ განახორციელა, თუმცა მიუხედავად ამისა, მის პირველ ქმედებას სასურველი შედეგი მაინც არ მოჰყვა. რაც შეეხება ე.წ. „ქმედებათა ერთობლიობაში შეფასების“ თეორიას, მისი მიხედვით, პირველი (უშედეგო) მოქმედება და მეორე (სასურველი შედეგის გამომწვევი) მოქმედებაზე უარის თქმა ფასდება ერთობლიობაში (ტურავა, 2013).

ამდენად, დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება შესაძლებელია დაუმთავრებელი დანაშაულის დროს, როგორც დანაშაულის მომზადების, ასევე დამთავრებული და დაუმთავრებელი მცდელობის სტადიებზე. დანაშულზე ნებაყოფლობით ხელის აღება, უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ პირობებს: 1) დანაშაულის შედეგი თავიდან უნდა იქნეს აცილებული; 2) პირი დანაშულზე ხელის აღებისას ნებაყოფლობით უნდა მოქმედებდეს; 3) დანაშაულზე ხელის აღება უნდა იყოს საბოლოო (მჭედლიშვილი-ჰედრიხი, 2011).

შესაბამისად, ნებაყოფლობით ხელის აღების ნორმა შეზღუდულია მომზადებისა და მცდელობის სტანდარტებით (Leipziger Kommentar StGB, 2007).

2.2. ქმედითი მონანიების განმარტება

ნებაყოფლობით ხელის აღების გარდა, სისხლის სამართლის კოდექსი, ასევე ითვალის-წინებს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების სხვა საფუძველს, როგორიცაა მაგალითად ქმედითი მონანიება.

სისხლის სამართლის დოგმატიკაში აღიარებულია, რომ დანაშაულის დამთავრების შემდეგ, დანაშაულზე ხელის აღება შეუძლებელია, რის კომპენსაციას ახდენს ე.წ. ქმედითი მონანიების ინსტიტუტი, რომელსაც დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების სუროგატად მოიხსენიებენ (Baumann et al, 2003).

სისხლის სამართლის კოდექსის 68-ე მუხლის თანახმად პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლება ქმედითი მონანიების გამო შესაძლებელია იმ შეთხვევაში, თუ პირი პირველად ჩაიდენს დანაშულს, რომლისთვის გათვალისწინებული სასჯელი არ აღემატება 3 წლით თავისუფლების აღკვეთას და იგი ამ დანაშაულის ჩადენის შემდეგ ნებაყოფლობით გამოცხადდება ბრალის აღიარებით, ხელს შეუწყობს დანაშულის გახსნას და აანაზღაურებს ზიანს. სხვა კატეგორიის დანაშულის ჩადენის შემთხვევაშიც, შესაძლებლია პირი გათავისუფლდეს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან, თუკი ეს გათვალისწინებულია სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილის შესაბამისი მუხლით.

ქმედითი მონანიების დროს პირი თავისი ნებასურვილით უნდა გამოცხადდეს სამართალ-დამცავ ორგანოში და განაცხადოს მის მიერ ჩადენილი დანაშაულის თაობაზე. ბრალის აღიარებით გამოცხადებად ჩაითვლება ასევე ისეთი შემთხვევა თუ თავად დანაშაულის

ჩამდენი პირი, რომელიც ობიექტური მიზეზების გამო ვერ ახერხებს სამართალდამცავებ-თან გამოცხადებას, ტელეფონით ან სხვა ტექნიკური საშუალებით საგამოძიებო ორგანოებს შეატყობინებს მის ადგილმდებარეობას და მოსთხოვს მათი წარმომადგენლის მოსვლას დათქმულ ადგილას (დვალიძე, 2013).

სამართალდამცავი ორგანოების ინტერესში შედის რაც შეიძლება სწრაფად მოხდეს ბრალის აღიარებით გამოცხადება და რაც მთავარია, სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის ხანდაზმულობის ვადის გასვლამდე (ავტ. კოლექტივი, 2007).

იმ შემთხვევაში თუ პირმა შეიტყო, რომ მისი მართლსაწინააღმდეგო ქმედების თაობაზე ცნობილი გახდა სამართალდამცავი ორგანოებისათვის და მხოლოდ ამის შემდეგ გამოცხადდება საგამოძიებო დანაყოფში ასეთ საქციელი მას ქმედით მონანიებად არ ჩაეთვლება (ავტ. კოლექტივი, 2016).

დანაშაულზე ნაბაყოფლობით ხელის აღებასა და ქმედით მონანიებას შორის არსებით განსხვავებას წარმოადგენს პირის მართლზომიერი ნების გამოვლენის დრო, კერძოდ: თუ დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება დანაშაულის ჩადენამდე (მომზადება, დამთავრებული/დაუმთავრებელი მცდელობა) ხორციელდება, ქმედითი მონანიება პირიქით, პირის პოსტკრიმინალურ ქმედებას წარმოადგენს.

ზემოაღნიშნული განმასხვავებელი ფაქტორის გამო რთულია სწორად განისაზღვროს თუ რომელი ინსტიტუტის საფუძველზე უნდა მოხდეს საფრთხის შემქმნელ დელიქტებში პასუხისმგებლობისგან გათავისუფლება. მიჩნეულია, რომ დანაშაულის ფორმალურად დასრულების შემდეგ თუ პირი ხელს შეუწყობს თავიდან აიცილოს უფრო მნიშვნელოვანი ზიანი, ეს გარემოება სათანადოდ უნდა შეაფასოს კანონმდებელმა და სწორედ ქმედითი მონანიების გამო უნდა გაათავისუფლოს პირი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლო-ბისაგან (Hilgendorf, 2009).

2.3. საქართველოში არსებული მდგომარეობა ნებაყოფლობით ხელის აღებასა და ქმედითი მონანიების საფუძვლებით შეწყვეტილ საქმეებთან მიმართებაში

საქართველოს პროკურატურის სტატისტიკური მონაცემების თანახმად, 2020 წელს ნებაყოფლობით ხელის აღების საფუძვლით შეწყვეტილი იქნა 1 სისხლის სამართლის (სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხ.) საქმე, 2021 წელს ასევე 1 (სისხლის სამართლის კოდექსის 238[1]-ე მუხ.) სისხლის სამართლის საქმე.

2020 წელს ქმედითი მონანიების საფუძვლით ჯამში შეწყვეტილი იქნა 34 სისხლის სამართლის საქმე (აქედან 33 საქმეზე გამოძება დაწყებული იყო სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლით, ხოლო 1 საქმეზე სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლით.) 2021 წელს ჯამში გამოძიება შეწყდა 62 სისხლის სამართლის საქმეზე. (აქედან 60 საქმეზე გამოძიება დაწყებული იყო სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლით, 1 საქმე სისხლის სამართლის კოდექსის 125 მუხლით და 1 საქმე სისხლის სამართლის კოდექსის 265-ე მუხლით). (იხ. ცხრილი 1).

ცხრილი 1

2020-2021 წლებში ნებაყოფლობით ხელის აღების საფუძვლით და ქმედითი მონანიების საფუძვლით შეწყვეტილი საქმეების სტატისტიკა

საქმის შეწყვეტის საფუძველი	2020	2021
ნებაყოფლობით ხელის აღების საფუძვლით შეწყვეტა	1 საქმე (სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხ.)	1 საქმე (სისხლის სამართლის კოდექსის 238[1]-ე მუხ.)
ქმედითი მონანიების საფუძვლით შეწყვეტა	34 სისხლის სამართლის საქმე ამათგან: – 33 საქმეზე გამოძება დაწყებული იყო სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლით. – 1 საქმეზე სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლით.	62 სისხლის სამართლის საქმე ამათგან: – 60 საქმეზე გამოძიება დაწყებული იყო სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლით – 1 საქმეზე სისხლის სამართლის კოდექსის 125 მუხლით – 1 საქმეზე სისხლის სამართლის კოდექსის 265-ე მუხლით

წყარო. ავტორი, საქართველოს პროკურატურის მონაცემების თანახმად

წარმოდგენილი სტატისტიკური მონაცემებით ქმედითი მონანიების საფუძვლით შეწყვეტილი საქმეთა რაოდენობა აშკარად აღემატება დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების მოტივით შეწყვეტილ საქმეთა რაოდენობას, რაც შესაძლებელია გამოწვეული იყოს სისხლის სამართლის კოდექსის 21-ე მუხლის ნაკლებ განჭვრეტადი დეფინიციით, რის გამოც იზღუდება მისი მოქმედების არეალი. გარდა ამისა, ამავე მიზეზით არ უყალიბდებათ ქმედების სუბიექტებს განგრძობადი დანაშაულის დასრულებაზე ნებაყოფლობით ხელის აღების სათანადო მოტივაციაც. ყოველივე აღნიშნული კი ამცირებს ამ პირთა მიმართვიანობას სამართალდამცავი ორგანოებისადმი, რაც საბოლოო ჯამში სტატისტიკურ მონაცემებზეც აისახება.

3. განგრძობადი დანაშაულის ცნება და ამგვარ დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების პრობლემატიკა

3.1 განგრძობადი დანაშაულის განმარტება

განგრძობადი დანაშაული ერთიანი დანაშაულის ერთ-ერთ სახეს წამოადგენს. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 22-ე მუხლის მიხედვით „განგრძობადია ამ კოდექსის ერთი მუხლით, ან მუხლის ნაწილით გათვალისწინებული დანაშაული, რომელიც

მოიცავს ერთიანი მიზნითა და საერთო განზრახვით ჩადენილ ორ ან მეტ ქმედებას. განგრძობადი დანაშაული დამთავრებულია უკანასკნელი ქმედების ჩადენის მომენტიდან“.

განგრძობადი დანაშაულის განხორციელების დროს პირი ჩადის ერთი დანაშაულის შემადგენლობას გარკვეული პერიოდის განმავლობაში. ამ დროს მას სუბიექტური კუთხით ერთიანი მიზანი და საერთო განზრახვა ამოძრავებს. ობიექტურის მხრივ ყველა მისი ქმედება წინა ქმედების გაგრძელებას წარმოადგენს. შესაბამისად, მიუხედავად პირის მიერ ჩადენილი ქმედების რაოდენობისა, ის არა დანაშაულის სიმრავლეს, არამედ ერთიან დანაშაულს ჩადის.

ამდენად, განგრძობადი დანაშაულის ეპიზოდები არ ხორციელდება უწყვეტად, მათ შორის არის ხანმოკლე დროის მონაკვეთები. წყვეტადობა ახასიათებს განზრახვასაც, მაგრამ წყვეტადობა ახასიათებს არა განზრახვის შინაარსს (ის ერთიანია ყველა ეპიზოდისათვის), არამედ განზრახვის ფორმას (დონჯაშვილი, 2002).

განგრძობადი დანაშაული დამთავრებულად ითვლება მას შემდეგ, რაც განხორციელდება მისი შემადგენელი უკანასკნელი ქმედება. მანამდე ადგილი აქვს დანაშაულის მცდელობას. აღნიშნულს ადასტურებს სისხლის სამართლის კოდექსის მე-14 მუხლის მეორე ნაწილი - განგრძობადი დანაშაული დამთავრებულია უკანასკნელი ქმედების ჩადენის მომენტიდან (და არა ქმედების ფაქტობრივი შეწყვეტის მომენტიდან) (ავტ. კოლ. 2016).

3.2. განგრძობად დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება

ზემოხსენებულის გათვალისწინებით, განგრძობადი დანაშაულის მთავარი მახასიათებელი გახლავთ იმ ქმედებათა სიმრავლე, რომლებიც საერთო განზრახვითაა ნაკარნახევი და ერთიანი მიზნის მისაღწევად არის ჩადენილი. ამგვარად, დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება საკმაოდ პრობლემატურია და ჩვენს კანონმდებლობაში მკაფიოდ არ არის რეგულირებული. აღნიშნულის საილუსტრაციოდ განვიხილოთ კონკრეტული მაგალითი. მაგალითად: „ა“-მ გადაწყვიტა მეზობლის სახლიდან 11000 ლარად ღირებული კომპიუტერის ქურდობა, ამ მიზნით იგი პერიოდულად იპარავს კომპიუტერში ინტეგრირებულ ნაწილებს, რამდენიმე ქმედების განხორციელების შემდგომ გადაწყვიტა კომპიუტერის ქურდობაზე ნებაყოფლობით ხელის აღება და წაღებული ნივთების უკან დაბრუნება, თუმცა აღნიშნული ვერ შეძლო, ვინაიდან კომპიუტერი ადგილზე აღარ დახვდა. აქ ჩნდება სადისკუსიო საკითხი: დაეკისრება თუ არა „ა“-ს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა? არის თუ არა აღნიშნული ნებაყოფლობით ხელის აღება თუ „ა“-ს ქმედება შეფასდება ქმედით მონანიებად?

არსებული სიტუაციის ანალიზის საფუძველზე, შეიძლება ითქვას, რომ მისი მოქმედებები მიმართული იყო მთლიანი კომპიუტერის ქურდობისაკენ რაზეც მან ნებაყოფლობით და საბოლოოდ აიღო ხელი. აქედან გამომდინარე, მან მცდელობის იმ სტადიაზე შეწყვიტა დანაშაულებრივი საქმიანობა, რომლის დროსაც მის ქმედებას უზენაესი პერსონალური სამართლებრივი სიკეთე არ დაუზიანებია, თუმცა კომპიუტერის ცალკეული ნაწილები მაინც მასთან დარჩა. სისხლის სამართლის კოდექსის 21 მუხლის მესამე ნაწილის

მიხედვით „პირს, რომელმაც ნებაყოფლობით აიღო ხელი დანაშაულის დამთავრებაზე, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისრება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მის მიერ ფაქტობრივად ჩადენილი ქმედება სხვა დანაშაულს წარმოადგენს". შესაძლებელია, რომ აღნიშნული ჩანაწერი არ გავრცელდეს „ა"-ს მიმართ, ვინაიდან კომპიუტერის ნაწილების დაუფლება „სხვა" დანაშაულს ობიექტურ შემადგენლობას არ ქმნის, რადგან ის განგრძობადი ქურდობის ცალკეული ქმედების შედეგია და მისი ობიექტი (საკუთრების უფლება), ამ შემთხვევაში იგივეა რაც აღნიშნული დანაშაულის დასრულების დროს იქნებოდა (ანალოგიად ვერ გამოდგება ისეთი შემთხვევა, როდესაც პირი მოკვლის განზრახვით ესვრის მეორე პიროვნებას, თუმცა შემდგომში ნებაყოფლობით ხელს აიღებს მკვლელობაზე, წაიყვანს საავადმყოფოში და გადაარჩენს, რის შედეგადაც ეს უკანასკნელი მიიღებს ჯანმრთელობის მძიმე დაზიანებას. ამ დროს, ქმედების ობიექტი სხვადასხვაა, თუ მკვლელობის დროს არის პირის სიცოცხლე, ნებაყოფლობით ხელის აღების შედგომ ქმედების ობიექტი გახდა პირის ჯანმრთელობა, ამასთან ორივე უზენაესი პერსონალური სამართლებრივი სიკეთეა).

აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ სიტყვები „სხვა დანაშაული" ამ შემთხვევაში განსხვავებული დანაშაულის ობიექტურ შემადგენლობას გულისხმობს, წინააღმდეგ შემთხვევაში გამოდის, რომ განგრძობად დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება შეუძლებელია, რაც ნამდვილად მიუღებელია სისხლის სამართლის ლიბერალური კანონმდებლობისათვის. გარდა ამისა „ა"-ს ქმედებაში თუმცა ფორმალურად შეინიშნება ქმედითი მონანიების ნიშნები, მაგრამ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან გასათავისუფლებლად, ვერც ქმედითი მონანიების მუხლს გამოვიყენებთ, რადგან კომპიუტერის ნაწილების ღირებულება შესაძლოა 150 ლარს ცდებოდეს და დანაშაულის სანქცია 3 წელს აღემატებოდეს. უფრო მეტიც ქმედითი მონანიება ვრცელდება მხოლოდ პოსტკრიმინალურ საქციელზე. შესაბამისად, ვინაიდან კანონმდებლის მთავარი ინტერესი დანაშაულის თავიდან აცილება და მიყენებული ზიანის დროული ანაზღაურება გახლავთ, სისხლის სამართლის კანონმდებლობის ლიბერალიზაციისთვის მიზანშეწონილი იქნება სისხლის სამართლის კოდექსის 21 მუხლში შევიდეს ცვლილება და მუხლის კონსტრუქცია ჩამოყალიბდეს იმგვარად, რომ პირს შესაძლებლობა მიეცეს განგრძობად დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების შემთხვევაში, თუ რა თქმა უნდა ის არ ლახავს უზენაეს პერსონალურ სამართლებრივ სიკეთეს, სამართალდამცავებთან ნებაყოფლობით გამოცხადების და უკვე მიყენებული ზიანის ანაზღაურების (ნივთების დაბრუნების) შემთხვევაში, გათავისუფლდეს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან.

4. დასკვნა

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ როგორც ქმედითი მონანიების, ასევე დანაშაულზე ნებაყოფლობითი ხელის აღების ინსტიტუტები კანონმდებლის მხრიდან ლიბერალური მიდგომის გამოვლინების შესაძლებლობებია, რომელთა გამოყენებაც საშუალებას იძლევა პირი დაუბრუნდეს იმ საწყისს, რომელშიც ის კანონმდებლობასთან კონფილიქტში შესვლამდე იმყოფებოდა. ქმედითი მონანიება დამთავრებულ დანაშაულზე, კონკრეტულ

შემთხვევებში სრულ შესაძლებლობას აძლევს პირს გათავისუფლდეს სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობისგან, ასევე პრაქტიკაში მისი გამოყენება მეტად ხშირია ვიდრე ნებაყოფლობით ხელის აღების ინსტიტუტის. აღნიშნულს ადასტურებს ასევე ქმედითი მონანიებისა და დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების საფუძვლით შეწყვეტილი სისხლის სამართლის საქმეების სტატისტიკური მონაცემები. შესაძლებელია, რომ დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების გამო შეწყვეტილი სისხლის სამართლის საქმეების სიმცირის მიზეზია სისხლის სამართლის კოდექსის 21-ე მუხლის დღეს მოქმედი ნაკლებად განჭვრეტადი დეფინიცია, ვინაიდან ის არ უქმნის ადრესატებს სათანადო იმპულსს და მოტივაციას, რომ მათ დანაშაულზე ნებაყოფლობით აიღონ ხელი და თავიანთი ამ პოზიტიური გადაწყვეტილების თაობაზე აცნობონ სამართალდამცავ ორგანოებს. მიგვაჩნია, რომ ნებისმიერ პირს მიუხედავად მისი კრიმინალური წარსულისა, თუ ის ნებაყოფლობით და საბოლოოდ აიღებს ხელს განგრძობადი დანაშაულის დასრულებაზე უნდა მიეცეს რეაბილიტაციის შანსი და მას პასუხისმგებლობა აღარ უნდა დაეკისროს.

დღეს მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის 21-ე მუხლის მიხედვით ამ ხერხით ჩადენილ დანაშაულებზე, ნებაყოფლობით ხელის აღება ფაქტიურად შეუძლებელია, სწორედ ამიტომ წარმოდგენილი მსჯელობის საფუძველზე, სასურველია, რომ ზემოაღნიშნულ მუხლში შევიდეს ცვლილება და მისი მოქმედების არეალი გაფართოვდეს. კერძოდ, ქმედითი მონანიების მსგავსად, თუ პირმა დანაშაულის დამთავრებამდე, განგრძობად დანაშაულზე ნებაყოფლობით აიღო ხელი, გამოძიების დაწყებამდე საკუთარი ნებასურვილით გამოცხადდა სამართალდამცავ ორგანოებში, დააბრუნა მართლსაწინააღმდეგოდ დაუფლებული ნივთები და სრულად აანაზღაურა ზიანი, მას პასუხისმგებლობა არ უნდა დაეკისროს. რა თქმა უნდა, ასეთ დროს განსაკუთრებული ყურადღებით უნდა გადამოწმდეს, მისმა ქმედებებმა ხომ არ შელახა სხვა პირის უზენაესი პერსონალურ სამართლებრივი სიკეთე, ხოლო დადასტურების შემთხვევაში, თუ პირის ქმედება უპირობოდ შეიცავს სხვა დანაშაულის ნიშნებს, ის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან აღარ უნდა გათავისუფლდეს.

ამგვარმა საკანონმდებლო ცვლილებამ შესაძლებელია გაზარდოს სამართალდამცავი ორგანოებისადმი მიმართვიანობა და უზრუნველყოს დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების ინსტიტუტის მთავარი მიზნისა და ამოცანის შესრულება, რაც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს სისხლის სამართლის კანონმდებლობის ლიბერალიზაციას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ავტორთა კოლექტივი, რედაქტორები: ნაჭყებია გ., თოდუა ნ. 2016. *სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო.* გამომცემლობა მერიდიანი. თბილისი. გვ. 573, გვ. 465-467.
2. ავტორთა კოლექტივი, 2007. რედაქტორები: ნაჭყებია გ., დვალიძე ი. *სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო.* გამომცემლობა მერიდიანი. თბილისი. გვ. 402-403.
3. გამყრელიძე, ო. 2013. *სისხლის სამართლის პრობლემები,* ტომი III. თბილისი.მერიდიანი. გვ. 253.
4. დვალიძე ი. 2013. *სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, სასჯელი და დანაშაულის სხვა სისხლისსამართლებრივი შედეგები.* გამომცემლობა მერიდიანი. თბილისი. გვ. 151.

5. დონჯაშვილი თ. 2002. *საქართველოს სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი.* თბილისი. 2002. გვ. 201.
6. მჭედლიშვილი-ჰედრიხი, ქ. 2011. *დანაშაულის გამოვლინების ცალკეული ფორმები.* თბილისი. მერიდიანი. გვ. 86-87; გვ. 94-95.
7. სულაქველიძე დ. 1992. *ნებაყოფლობით ხელის აღება დანაშაულზე.* დისერტაცია. თბილისი. გვ. 45-46.
8. ტურავა მ. 2013. *სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა.* მეცხრე გამოცემა. თბილისი. მერიდიანი. გვ. 318-320.
9. უზნაძე დ. 1998. *ზოგადი ფსიქოლოგია.* თბილისი. გვ. 203.
10. წერეთელი თ. 2007. სისხლის სამართლის პრობლემები, ტომი I. თბილისი. მერიდიანი. გვ. 532-533.
11. ხარანაული ლ. 2013. *დაუმთავრებელი დანაშაულის დასჯადობა ქართული და გერმანული სისხლის სამართლის მიხედვით,* დისერტაცია. თბილისი. უნივერსიტეტის გამომცემლობა. გვ. 361. (Boß H., Der halbherzige Rücktritt, zum Rüktritt des Alleintäters vom beendeten Versuch, Dissertation, Berlin, 2002).
12. Baumann J. Weber U., Mitsch W. 2003. Strafrecht Allgemeiner Teil, Lehrbuch, Bielfeld, p. 634; 592.
13. Hilgendorf e. 2009. Strafrecht, Besonderer Teil, Lehrbuch, 2. Auflage, Bielefeld., p. Rn. 54.
14. Weinhold I.E. 1990. Rettungsverhalten und Rettungsvorsatz beim Rücktritt vom Versuch. Dissertation, Baden-Baden. p 15-16.
15. საქართველო. პარლამენტი. 1999. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი. თბილისი. საკანონმდებლო მაცნე. https://matsne.gov.ge/ka/document/view/16426?publication=238 (11.02.2022)
16. Leipziger Kommentar StGB. 2007. მე-12 გამოცემა, ტომი I, §§1-31, Berlin. p. 1811.

Main issues related to the voluntary abandonment and an active repentance

Shota Tkeshelashvili
Grigol Robakidze University, PhD student
shota.tkeshelashvili@gmail.com

Abstract. The article highlights the criterias and features, that are specific to the voluntary abandonment and an active repentance. There are discussed the viewes from the scientific literature about these two institues. The aim of the paper was to find out the main issues that seperates the voluntary abandonment from the active repentance and identify current problems, so the research according to the comparative-legal, logical and analytical methods analyses the objective and subjective aspects of voluntary crime and statistical data. The paper discusseses the specifics and main issues that characterize the voluntary abandonment on the ongoing crime. The article based on the research decides and presents the appropriate, right and legal ways to release a human from criminal liability in such cases.

Key words: ongoing crime, voluntary abandonment, active repentance

ბენეფიციარის იდენტიფიცირება ფულის გათეთრების აღკვეთის (AML) ღონისძიებების მიზნებისთვის

ლალი ბაგრატიონი
გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი, დოქტორანტი
Bagrationi.lali@gmail.com

რეზიუმე. ფულის გათეთრება სოციალური პრობლემაა, რომელიც ეხება ნებისმიერ საზოგადოებას მთელ მსოფლიოში. ეს პრობლემა საყოველთაო და გლობალურია და მას არ გააჩნია ეკონომიკური, კულტურული ან სოციალური საზღვრები. სტატიაში გადმოცემულია ფულის გათეთრების ტერმინის შინაარსი და მისი აღკვეთის პრევენციული ღონისძიებები. განხილულია საკანონმდებლო ბაზა, რომლითაც რეგულირდება საქართველოში ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის პროცესი. აღწერილია ფიზიკური და იურიდიული პირების იდენტიფიცირების ხერხები, რაც ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხია ბენეფიციარი მესაკუთრის დასადგენად და ფულის გათეთრების რისკების შესამცირებლად. ყურადღება გამახვილებულია ფინანსური ინსტიტუტებისა და მონიტორინგის განმახორციელებელი პირების როლზე აღნიშნულ პროცესში.

საძიებო სიტყვები: ფულის გათეთრება, ფინანსური ინსტიტუტი, რისკები, ბენეფიციარი მესაკუთრე, იდენტიფიკაცია, ვერიფიკაცია

1. შესავალი

ფულის გათეთრება არის არაკანონიერი გზით მოპოვებული თანხისათვის ლეგალური სახის მიცემა. ფულის გათეთრების ფაქტების გამოვლენა და პრევენციული ღონისძიებების გატარება დღევანდელ მსოფლიოში საერთაშორისო მნიშვნელობის საკითხია და მისი ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთა. ფულის გათეთრების წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებები გულისხმობს იმ კანონებისა და რეგულაციების შემუშავებასა და განხორციელებას, რომელთა მიზანია კრიმინალური ფულის არსებობის გამოვლენა და მისი ლეგალიზაციის აღკვეთა. პრევენციული ღონისძიებების განხორციელების უზრუნველყოფის მიზნით, მთელ მსოფლიოში, მათ შორის საქართველოში, შექმნილია ინსტიტუციური სისტემა და სამართლებრივი ბაზა. მიუხედავად ამისა, ფულის გათეთრების რისკები მაინც არსებობს. სწორედ ამ რისკების შესამცირებლად, ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხია ბენეფიციარი მესაკუთრის დასადგენად, ფიზიკური და იურიდიული პირების იდენტიფიცირება, რაც ამ სტატიის კვლევის საგანია თემის აქტუალურობისა და საზოგადოების ცნობიერების დონის ამაღლების მიზნის გათვალისწინებით.

2. ფულის გათეთრების არსი, მასთან ბრძოლის ღონისძიებები და სამართლებრივი ბაზა

ფულის გათეთრების პროცესს დიდი ხნის ისტორია აქვს, მაგრამ იგი განვითარდა და მიესადაგა თანამედროვე საზოგადოებას, გლობალიზაციას და ციფრულ ტრანსფორმაციას, რამაც დიდი ზიანი მიაყენა მოქალაქეებს, კომპანიებსა და სახელმწიფოებს, გახდა კატალიზატორი უკანონო ქმედებებისთვის (ტერორიზმი, თაღლითობა და კორუფცია) (15,2). ფულის გათეთრების ოპერაცია გულისხმობს უკანონო ქმედებებით მოპოვებული თანხების დაფარვას და მის ლეგალიზებას (14,1). ML არის ტრანსფორმაციის პროცესი, რომლის მეშვეობითაც „ბინძური", უკანონო ფული თეთრი და „სუფთა" ჩანს (18,1). ფინანსური ონლაინ ჟურნალი finacnce strategists განმარტავს: „ფულის გათეთრება არის პროცესი, როცა არალეგალური ფული იღებს ლეგალური ფულის სახეს, „სუფთავდება" და ძირითადად ეს ხდება საბანკო გადარიცხვებითა და ტრანზაქციებით" (17). „ფინანსურ ქმედებათა ჯგუფის" (FATF) ოფიციალური ინფორმაციით, „ფულის გათეთრება მასშტაბური და დიდი რაოდენობის კრიმინალური აქტებით მიღებული ინდივიდუალური ან ჯგუფური შემოსავალია, რომელიც მიმართულია მისი რეალური წარმოშობის წყაროს დაფარვისაკენ და არალეგალური ფულის ლეგალიზაციისკენ" (20). საერთაშორისო კრიმინალური პოლიციის ორგანიზაციის (ინტერპოლი) განმარტების თანახმად, „ფულის გათეთრება არის უკანონოდ მოპოვებული შემოსავლის წარმოშობის დამალვა ან შენიღბვა ისე, რომ ის წარმოჩენილი იყოს, როგორც ლეგალური წყაროდან მიღებული" (21). გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განმარტების თანახმად, „ფულის გათეთრება არის დანაშაულებრივი გზით მიღებული შემოსავლის დამუშავება მათი უკანონო წარმოშობის შენიღბვის მიზნით. ის საშუალებას აძლევს კრიმინალს ისარგებლოს ამ მოგებით, მათი წყაროსადმი საფრთხის მიყენების გარეშე" (22). საქართველოს კანონმდებლობით (1, მ.2), ტერმინი განსაზღვრულია, როგორც უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია (12, მ.194).

ფინანსური მედია ვებგვერდის Ivestopedia-ს (16) თანახმად, ტექნიკური თვალსაზრისით, ფულის გათეთრების გზები არის მარტივიდან დაწყებული, რთული, ჩახლართული სქემებით დასრულებული. ყველაზე მარტივი და გავრცელებული გზა არის ნაღდ ფულზე მომუშავე ბიზნესში „ფულის გათეთრება". მაგალითად, რესტორნები და კაფეები, სადაც ნაღდი ფული, როგორც, ვითომდა გამომუშავებული თანხა შეიძლება დაიდოს რესტორნის საბანკო ანგარიშზე, შემდეგ კი მოხდეს მისი განაღდება საჭიროების მიხედვით. ამ ტიპის ბიზნესს და ამ ტიპის საქმიანობისთვის შექმნილ სპეციალურ ანგარიშს ეძახიან „front"-ს. ეს ანგარიშები შექმნილია წვრილ-წვრილი თანხების შესატანად, რაც, როგორც წესი, სხვადასხვა პირის მიერ ხდება, იგივე პროცესი გვხვდება ფულის გადასახურდავებელ ჯიხურებშიც. ნაღდი ფული ხშირად გადააქვთ კურიერების საშუალებით - „mules"- cash smugglers - საზღვარზე და ანთავსებენ სხვა ქვეყნის ანგარიშებზე დეპოზიტის სახით. იმ თანხით კი ხდება უძრავი ქონების შეძენა, შემდეგ მრავალგზის გადაყიდვა და ა.შ. იქმნება ყალბი კომპანიები (Shell companies), რომლებიც მონაწილეობას იღებენ „ფულის გათეთ-რების" პროცესებში - ყალბი ოპერაციებით, საბუთებით და გარიგებებით. შედარებით ნაკლებ გავრცელებულ, მაგრამ საყურადღებო ფორმებად, იგივე ფინანსური მედია-

ვებგვერდი მიიჩნევს ფულის გათეთრებას დეპოზიტზე განთავსებით, ისეთი ქონების შეძენით და გაყიდვით, როგორიცაა ოქრო, ძვირფასი ქვები, უძრავი ქონება, სათამაშო ბიზნესი (16). თანამედროვეობას დაემატა კიდევ ერთი ფორმა, როგორიცაა ელექტრონული ფულის გათეთრება. ინტერნეტ და მობილ-გადარიცხვებისას ფულის გათეთრება ხდება ონლაინ აუქციონებზე, სათამაშო ვებგვერდებზე ფულის სათამაშო ვალუტად გადახურდავების დროს და შემდეგ - უკანვე და სხვ. სიახლეს აღარ წარმოადგენს ბიტკოინებით ფულის გათეთრების მექანიზმი და ა.შ.

ფულის გათეთრების მექანიზმი, ლიტერატურის მიხედვით, მოიცავს სამ ეტაპს: განთავსებას, რაც გულისხმობს უკანონო შემოსავლის ნაღდი ფულადი თანხის სახით ლეგალურ ფინანსურ ინსტიტუტში განთავსებას. თანხის შეტანა შეიძლება განხორციელდეს ეტაპობრივად, სხვადასხვა პირის მიერ, რათა ფინანსური ინსტიტუტის მიერ ვერ მოხერხდეს რეალური ბენეფიციარის იდენტიფიცირება; დანაწევრებას, როცა გადარიცხვები ხდება დანაწევრებით, მცირედი შენატანებით, რათა შედარებით მცირე თანხებს არ მიექცეს სათანადო ყურადღება და მოხდეს კვალის არევა და ინტეგრაციას, რაც გულისხმობს ფულის ფინანსურ სისტემაში ინტეგრირებას, შემდგომ სხვა აქტივების შეძენის მიზნით. ამ დროს ხდება აქტივების, როგორც ლეგალური სახსრების, სამოქალაქო ბრუნვაში გამოყენება. ფულის გათეთრების პირველი ეტაპი ყველაზე რთული განსახორციელებელია, რადგან მისი კონტროლი უფრო ძლიერია და თანხის წარმოშობის პირველ წყაროსთან უფრო ახლოსაა (19, 12).

ფულის გათეთრებასთან ბრძოლამ საერთაშორისო და საყოველთაო მასშტაბები შეიძინა 1989 წლიდან G-7 ქვეყნების შეხვედრაზე, სადაც ჩამოყალიბდა საერთაშორისო კომიტეტი Financial Action Task Force (FATF) - ფინანსური ქმედების სპეციალური ჯგუფი. ჯგუფის საქმიანობა გულისხმობს საერთაშორისო თანამშრომლობას ფულის გათეთრების წინააღმდეგ მიმართულ ღონისძიებებში. კერძოდ, საკანონმდებლო, აღმასრულებელ დონეებზე წევრ ქვეყნებთან თანამშრომლობას AML (Money loundaring) - ფულის გათეთრების წინააღმდეგ. დღევანდელი მდგომარეობით FATF-თან თანამშრომლობს ჯამში 39 - ერთეული - 37 ქვეყანა და ორი ტერიტორიულ-რეგიონალური ორგანიზაცია. ამ ჯგუფს კავშირი აქვს მთელ რიგ საერთაშორისო ორგანიზაციებთან და წარმომადგენლობებთან.

ცნობილია FATF-ის 40 რეკომენდაცია ფულის გათეთრებასთან დაკავშირებით. წევრი ქვეყნები ანგარიშვალდებულნი არიან FATF-ის წინაშე. რეკომენდაციების შეუსრულებლობისათვის გათვალისწინებულია ფულადი სანქციები.

ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლისათვის FATF მონიტორინგს უწევს წევრების საქმიანობას ფულის გათეთრების წინააღმდეგ ღონისძიებების შემუშავებაში, შეისწავლის ფულის გათეთრების ახალგაჩენილ შესაძლებლობებს, ტექნიკას, განხორციელების ფორმებს და შეიმუშავებს კონტრღონისძიებებს, ხელს უწყობს ფულის გათეთრების წინააღმდეგ არსებული რეგულაციების და სტანდარტების დანერგვას და განვითარებას სხვადასხვა ქვეყანაში.

იმისათვის, რომ ქვეყანა გახდეს FAFT-ის წევრი, ის მთელ რიგ კრიტერიუმებს უნდა აკამაყოფილებდეს, კერძოდ, ერთ სულ მოსახლეზე შიდაპროდუქტის მაჩვენებლის, გეოგრაფიული მდებარეობის, საბაკო ტრანზაქციების მოცულობის, ფულის გათეთრების და ტერორიზმის რისკის საფრთხის, ფინანსების ბრუნვის და ა.შ. როგორც აღვნიშნეთ, FAFT-ს ყავს წევრები, ასოცირებული წევრები, დამკვირვებლები - ისინი არიან წარმოდგენილნი, როგორც ქვეყნების, ისე ქვეყნების გაერთიანებების, ტერიტორიული ერთეულების, ასევე სხვადასხვა ფინანსური თუ სამართლებრივი ტიპის ორგანიზაციების სახით. მაგალითად, „ევრო კომისია“ არის წევრი ერთეული. ორგანიზაცია MONEYVAL (The Committee of Experts on the Evaluation of Anti-Money Laundering Measures and the Financing of Terrorism), რომელიც თავდაპირველად დამკვირვებლის სტატუსით იყო წარმოდგენილი, 2006 წელს გახდა ასოცირებული წევრი. იგი არის „ევროპის საბჭოს“ მონიტორინგის განმახორციელებელი ორგანო, ფულის გათეთრების წინააღმდეგ მიმართულ ღონისძიებათა შემფასებელი რჩეულ ექსპერტთა ჯგუფი, რომელიც ახორციელებს მონიტორინგს FAFT-ის რეკომენდაციის გატარების თვალსაზრისით. საქართველოში გატარებულ ღონისძიებებზე სწორედ ის აწარმოებს დაკვირვებას.

საქართველოში, ევროპის საბჭოსა და საერთაშორისო სავალუტო ფონდის რეკომენდაციების გათვალისწინებით, ამ მიმართულებით გადადგმული პირველი ნაბიჯი საკანონმდებლო დონეზე არის 2003 წლის 06 ივნისს მიღებული საქართველოს კანონი „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ (2). 2003 წლის 16 ივლისს საქართველოს პრეზიდენტის ბრძანების საფუძველზე შეიქმნა სსიპ - საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახური (3).

2019 წლის 30 ოქტომბერს ძალადაკარგულად გამოცხადდა კანონი „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ და მიღებულ იქნა ახალი კანონი „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“, რომელიც აწესრიგებს საქართველოში ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის პროცესს და შესაბამისობაშია საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან FATF რეკომენდაციებთან და ევროკავშირის საკანონმდებლო მოთხოვნებთან. საქართველო FAFT-ის პოლიტიკის გამტარებლად და რეკომენდაციების შემსრულებლად გვევლინება, საქართველოსა და ევროკავშირს შორის 2014 წლის 27 ივნისს გაფორმებული ასოცირების ხელშეკრულების საფუძველზე, რომლის მიხედვითაც საქართველოს ერთ-ერთი ვალდებულებაა მიიღოს სათანადო ზომები ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების შემთხვევების გამოსავლენად.

2020 წლის 05 ივნისს გამოიცა ფინანსური მონიტორინგის სამსახურის უფროსის ორი ბრძანება: ბრძანება N1 „ანგარიშვალდებული პირის მიერ გარიგების თაობაზე ინფორმაციის აღრიცხვის, შენახვისა და საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურისთვის წარდგენის წესის დამტკიცების შესახებ“ (4), რომლითაც განისაზღვრა გარიგება/ოპერაციასთან დაკავშირებული საჭირო ინფორმაციის მიღებისა და აღრიცხვის წესი, და ბრძანება N2 „ანგარიშვალდებული პირის მიერ კლიენტის იდენტიფიკაციისა და

ვერიფიკაციის წესის დამტკიცების თაობაზე“ (5), რომლითაც ანგარიშვალდებული პირებისათვის დაწესდა კლიენტების იდენტიფიკაცია/ვერიფიკაციის საერთო წესი.

კანონმდებლობის (1) - თანახმად საქართველოს მთავრობა განსაზღვრავს ანგარიშვალ-დებულ პირებს ფინანსურ და არაფინანსურ ინსტიტუტებს: ბანკები, სადაზღვევო ორგანიზაციები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები; ლატარიის ორგანიზატორები; საადვოკატო ბიუროები, ნოტარიუსები და ა.შ.

თითოეულ ანგარიშვალდებულ პირს ჰყავს თავისი ზედამხედველი: ბანკების შემთხვევაში ეს არის „საქართველოს ეროვნული ბანკი“, სადაზღვევო კომპანიის შემთხვევაში: სსიპ „დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური“ და სხვა პირები - განსაზღვრული აღნიშნული კანონის მიხედვით.

საქართველოს მთავრობას აქვს შექმნილი „მუდმივმოქმედი უწყებათაშორისი კომისია“, რომელიც წარუდგენს მთავრობას დასამტკიცებლად ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების რისკების შეფასების ეროვნულ ანგარიშსა და სამოქმედო გეგმას. (ორ წელიწადში ერთხელ „უწყებათაშორისი კომისია“ ანგარიშვალდებულია ფინანსური ქმედების სპეციალური ჯგუფის წინაშე (FATF)).

ყველა ზემოჩამოთვლილი ზედამხედველი და ანგარიშვალდებული პირი, თავის მხრივ, ანგარიშვალდებულია „ფინანსური მონიტორინგის სამსახურთან“, რომელიც გამოსცემს მონიტორინგის განმახორციელებელი პირების საქმიანობის სფეროს მარეგულირებელ კანონებს და სხვა ნორმატიულ აქტებს.

3. ბენეფიციარის იდენტიფიცირება, როგორც ფულის გათეთრების აღკვეთის პრევენცია

კანონმდებლობის თანახმად, დაუშვებელია ანგარიშვალდებული პირის მიერ საქმიანი ურთიერთობის დამყარება ან გაგრძელება, ერთჯერადი გარიგების დადება ან შესრულება, თუ ვერ ხერხდება კლიენტის იდენტიფიკაცია და ვერიფიკაცია, საიდენტიფიკაციო მონაცემების განახლება (5, მ.15).

ვინაიდან გარიგების დადება მხარეების ნების გამოვლენასთან არის დაკავშირებული (7, მ.50) ნების გამომვლენი ბენეფიციარი უნდა იყოს ქმედუნარიანი პირი. ჰქონდეს უნარი, თავისი ნებითა და მოქმედებით სრული მოცულობით შეიძინოს და განახორციელოს სამოქალაქო უფლებები და მოვალეობები, წარმოიშობა სრულწლოვანების მიღწევისთანავე. სრულწლოვანია პირი, რომელმაც 18 წლის ასაკს მიაღწია (7, მ.12). შეზღუდულ ქმედ-უნარიანი, ქმედუუნარო პირები, მხარდამჭერის მიმღები გარიგებაში მონაწილეობს წარმომადგენლის მეშვეობით.

„იცნობდე შენს კლიენტს“ – KYC - ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მიდგომაა ფულის გათეთრების რისკების შესამცირებლად და ბენეფიციარი მესაკუთრის დასადგენად. ეს არის FATF - ფინანსურ ქმედებათა ჯგუფის მნიშვნელოვანი რეკომენდაცია, რომელსაც იყენებენ საერთაშორისო ფინანსური ორგანიზაციები. მათი წარმატებული საქმიანობისა-

თვის მნიშვნელოვანია ამ მიდგომაზე დამყარებული პრაქტიკის დანერგვა. ეს პოლიტიკა უნდა შეესაბამებოდეს საერთაშორისო სტანდარტებს და ადგილობრივ მოქმედ კანონმდებლობას. ამ პოლიტიკის გატარებისა და მონიტორინგის პროცედურები უნდა იყოს ადეკვატური კლიენტის რისკის დონესთან მიმართებაში.

„კლიენტის აღწერილობამ“ საშუალება უნდა მისცეს ფინანსურ ორგანიზაციას, გაიგოს კლიენტის მხრიდან ორგანიზაციასთან გამიზნული საქმიანობის არსი და საქმიანი ურთიერთობის ნებისმიერი დეტალი. რისკის დონის გათვალისწინება აუცილებელი პირობაა კლიენტის შესაფასებლად. გათვალისწინებული უნდა იყოს ყველა მნიშვნელოვანი ფაქტორი:

კლიენტის მოქალაქეობა - ვინ არის კლიენტი: საქართველოს მოქალაქე, რეზიდენტი, არარეზიდენტი, უცხო ქვეყნის მოქალაქე, კერძოდ, რომელი ქვეყნის და ა.შ.

გეოგრაფიული ადგილმდებარეობა - რომელი ქვეყნის მოქალაქეა კლიენტი ან რომელ ქვეყნაშია დარეგისტრირებული მისი კომპანია, სად საქმიანობს, სად აწარმოებს გადარიცხვებს და ა.შ. „ფულის გათეთრების“ რისკების თვალსაზრისით არსებობს ქვეყნები, რომლებიც მაღალი რისკის ქვეყნებს მიეკუთვნებიან, არაკოოპერირებადი და მაღალი რისკის ქვეყნები დადგენილია ფინანსური ქმედების სპეციალური ჯგუფის (FATF) - და უცხოური აქტივების კონტროლის ოფისის (OPAC) მიერ. FATF-ის რეკომენდაციით საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახური ამუშავებს ინფორმაციას და წარუდგენს მთავარობას დასამტკიცებლად, შემდეგ კი საქართველოს ეროვნული ბანკი აქვეყნებს დამტკიცებულ სიას. საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის უფროსი პერიოდულად გამოსცემს ბრძანებას (გაეროს მიერ გამოქვეყნებული სიების მიხედვით United Nations Security Council) „ტერორისტთა და ტერორიზმის ხელშემწყობ პირთა სიის შესახებ“, სადაც ჩამოთვლილია იმ პიროვნებათა სია, რომლებიც შესულია ე.წ. „შავ სიაში“.

საქმიანობის ტიპი - რა საქმიანობას ეწევა კლიენტი. მიუკუთვენება თუ არა მისი საქმიანობა მაღალი რისკის კატეგორიას. მაღალრისკიან საქმიანობად შეიძლება განიხილებოდეს იმპორტ/ექსპორტი; აზარტული თამაშები; არასამთავარობო ორგანიზაციები; საიუველირო მაღაზიები; ვალუტის გადამცვლელი პუნქტები და სხვ.

არის თუ არა კლიენტი „პოლიტიკურად აქტიური“ პირი (PEP - Politically Exposed Person). კანონმდებლობის თანახმად, „პოლიტიკურად აქტიური პირი (5, მ.19.1), იკავებს საჯარო ან პოლიტიკურ მნიშვნელოვან პოზიციებს, რის გამოც, მათთვის ხელმისაწვდომია მძლავრ ფინანსურ რესურსებთან წვდომა და წარმოადგენს რისკს ფულის გასათეთრებლად. მომსახურებისას, სხვა პრევენციულ ღონისძიებებთან ერთად, სავალდებულოა მათი ქონების და ფულადი სახსრების წარმომავლობის დადგენა“ (5, მ.19.2). მოცემული მიზნისათვის რეზიდენტ პოლიტიკურად აქტიური პირების ქონების წარმომავლობის დადგენა შესაძლებელია თანამდებობის პირთა დეკლარაციებით. რაც შეეხება არარეზიდენტ პოლიტიკურად აქტიურ პირებს, მათზე ინფორმაციის მოპოვება შესაძლებელია სხვადასხვა პროგრამული მხარდაჭერის პლატფორმით. მაგალითად, ერთ-

ერთი ასეთია Trans Guard – პროგრამული უზრუნველყოფა, რომელიც ერთმანეთთან დაკავშირებული რამდენიმე კომპონენტისაგან შედგება, ფინანსური ინსტიტუტები იყენებენ მას „პოლიტიკურად აქტიური პირებისა“ (Politically Exposed Persons - PEP) და „შავი სიის“ (Black List Screening - BLS) ავტომატურ რეჟიმში გადასამოწმებლად. ბაზა 600-ზე მეტ კრიმინალურ და პოლიტიკურად აქტიური პირის მონაცემს მოიცავს. ეს სიები ავტორიტეტული საერთაშორისო ორგანიზაციებისა და ქვეყნების მიერაა შედგენილი. ბაზების განახლება დღეში ორჯერ ხდება.

კომპანიის სტრუქტურა - გასათვალისწინებელია როგორი სტრუქტურა აქვს კომპანიას - მარტივი, რთული - ერთდონიანი, მრავალდონიანი, არაერთგვაროვანი თუ სხვ.

ნებისმიერი ფიზიკური პირის შემთხვევაში, იქნება ეს საქართველოს მოქალაქე, რეზიდენტი თუ არარეზიდენტი პირი, არსებული რეგულაციების შესაბამისად (5) საჭიროა შემდეგი საიდენტიფიკაციო მონაცემები:

სახელი/გვარი/დაბადების თარიღი/ადგილი/მოქალაქეობა/პირადი ნომერი/მისამართი/ და ა.შ. (ასახულია კლიენტის რეგისტრაციის ფორმაში).

თუ ფიზიკური პირი/საქართველოს მოქალაქე ინდივიდუალური მეწარმეა, მას დამატებითი ინფორმაციისთვის დასჭირდება: გადასახადის გადამხდელის საიდენტიფიკაციო ნომერი; იურიდიული მისამართი; რეგისტრაციის თარიღი.

საქართველოს მოქალაქის შემთხვევაში (ვერიფიკაციისთვის): საქართველოს მოქალაქის პირადობის დამადასტურებელი მოწმობა; საქართველოს პასპორტი; მართვის მოწმობა. უცხოეთში მცხოვრები თანამემამულის მოწმობა; აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის და ცხინვალის რეგიონში ლეგიტიმურად მცხოვრები პირის შემთხვევაში პირადობის ნეიტრალური მოწმობა ან ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტი.

უცხო ქვეყნის მოქალაქის შემთხვევაში: რეზიდენტისთვის: ბინადრობის მოწმობა, დროებითი საიდენტიფიკაციო მოწმობა, პასპორტი, საერთაშორისო შეთანხმების საფუძველზე საქართველოს საბაჟო საზღვრის კვეთისათვის ნებადართული სხვა დოკუმენტი; (საქართველოს რეზიდენტად, მთელი მიმდინარე საგადასახადო წლის განმავლობაში, ითვლება ფიზიკური პირი, რომელიც ფაქტობრივად იმყოფება საქართველოს ტერიტორიაზე 183 დღე ან მეტ ხანს ნებისმიერი უწყვეტი 12 კალენდარული თვის პერიოდში, რომელიც მთავრდება ამ საგადასახადო წელს, ან ფიზიკური პირი, რომელიც ამ საგადასახადო წლის განმავლობაში იმყოფებოდა უცხო ქვეყანაში საქართველოს სახელმწიფო სამსახურში (10). გასათვალისწინებელია, რომ AML – ფულის გათეთრების აღკვეთის ღონისძიებების გატარებისათვის კანონი და შესაბამისი ბრძანებები რეზიდენტ პირად მოიაზრებს საქართველოს მოქალაქეს, არარეზიდენტად კი უცხოეთის მოქალაქეს). არარეზიდენტის შემთხვევაში: პასპორტი, რომელიც წარმოდგენილი იქნება აპოსტილით დამოწმებული (ჰააგის კონვენციის მონაწილე ქვეყნებისათვის), ან თარგმნილი და ნოტარიალურად დამოწმებული. (საქართველოს არარეზიდენტად ითვლება ფიზიკური პირი, რომელიც ამ მუხლის მიხედვით არ არის რეზიდენტი (10)).

„ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად ბენეფიციარ მესაკუთრედ განისაზღვრება ფიზიკური პირი (1). ამავე კანონის მიხედვით, იურიდიული პირის ბენეფიციარი მესაკუთრეა ფიზიკური პირი, რომელიც პირდაპირ ან არაპირდაპირ ფლობს ამ იურიდიული პირის წილის ან ხმის უფლების მქონე აქციების 25 პროცენტს ან 25 პროცენტზე მეტს ან სხვაგვარად ახორციელებს იურიდიულ პირზე საბოლოო კონტროლს.

წილის ან ხმის უფლების მქონე აქციების პირდაპირ ფლობად მიიჩნევა ფიზიკური პირის მიერ სამეწარმეო იურიდიული პირის წილის ან ხმის უფლების მქონე აქციების 25 პროცენტის ან 25 პროცენტზე მეტის ფლობა, ხოლო არაპირდაპირ ფლობად – იმ იურიდიული პირის მიერ, რომელსაც ფიზიკური პირი (პირები) აკონტროლებს (აკონტროლებენ), ან რამდენიმე იურიდიული პირის მიერ, რომლებსაც ერთი და იგივე ფიზიკური პირი (პირები) აკონტროლებს (აკონტროლებენ), სამეწარმეო იურიდიული პირის წილის ან ხმის უფლების მქონე აქციების 25 პროცენტის ან 25 პროცენტზე მეტის ფლობა.

თუ ამ გზით ვერ ხერხდება ბენეფიციარი მესაკუთრის დადგენა, ბენეფიციარ მესაკუთრედ შეიძლება ჩაითვალოს:

ა) კლიენტის ხელმძღვანელობითი უფლებამოსილების მქონე პირი (პირები). ასეთებად შეიძლება განიხილებოდნენ:

სამეწარმეო საქმიანობის განმახორციელებელი იურიდიული პირების შემთხვევაში: სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოებაში ნებისმიერი პარტნიორი, რადგან ხელმძღვანელობის უფლება აქვს ყველა პარტნიორს. კომანდიტურ საზოგადოებაში ხელმ-ძღვანელობის უფლება აქვთ პერსონალურად პასუხისმგებელ პარტნიორებს (კომპლემენ-ტარებს), თუ პარტნიორთა გადაწყვეტილებით სამეწარმეო საზოგადოების ხელმძღვანე-ლად სხვა პირი არ დაინიშნება. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაში, სააქციო საზოგადოებაში, კოოპერატივში ხელმძღვანელობის უფლება აქვს/აქვთ ხელმძ-ღვანელ პირს/პირებს. წესდება შეიძლება ითვალისწინებდეს სამეწარმეო საზოგადოების ხელმძღვანელობის განხორციელებას: ა) ერთი პირის მიერ ერთპიროვნულად; ბ) რამდენი-მე ხელმძღვანელი პირის მიერ ერთობლივად ან ცალ-ცალკე; გ) ყველა ხელმძღვანელი პირის მიერ ერთობლივად. თუ წესდებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, ივარაუდება, რომ სამეწარმეო საზოგადოებაში ხელმძღვანელობით საქმიანობას ყველა ხელმძღვანელი პირი ერთობლივად ახორციელებს (9, მ.41).

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ა) (ა)იპ) ბენეფიციარ მესაკუთრედ განიხილება ფიზიკური პირი, რომელიც პირდაპირ ან არაპირდაპირ ფლობს ხმის უფლებას ორგანიზაციის საქმიანობაზე, თუ ასეთი რამდენიმე პირია, მაგ. გამგეობის წევრები - ყველანი ჩაითვლებიან ბენეფიციარ მესაკუთრედ, თუ არადა, ასეთად ჩაითვლება იერარქიით ყველაზე მაღალი პირი. დამფუძნებელი/წევრი უფლებამოსილია ერთ პირს მიანიჭოს საქმეების ერთპიროვნულად გაძღოლის უფლებამოსილება ან/და დააწესოს ორი ან ორზე მეტი პირის ერთობლივი ხელმძღვანელობა ან/და წარმომადგენლობა.

ხელმძღვანელობითი უფლებამოსილება გულისხმობს უფლებამოსილების ფარგლებში არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის სახელით გადაწყვეტილებების მიღებას, ხოლო წარმომადგენლობითი უფლებამოსილება – არასამეწარმეო (არაკომერ-ციული) იურიდიული პირის სახელით გამოსვლას მესამე პირებთან ურთიერთობაში. თუ სარეგისტრაციო დოკუმენტაციით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, ხელმძღვანე-ლობითი უფლებამოსილება გულისხმობს წარმომადგენლობით უფლებამოსილებასაც (9, მ. 35.2).

ბ) ბენეფიციარად შეიძლება ჩაითვალოს კომპანიის/ორგანიზაციის საბოლოო მაკონტრო-ლებელი პირი: ხელმძღვანელი ორგანოს/პირების საქმიანობის კონტროლის განმახორციე-ლებელი პირი, რომელიც შეიძლება იყოს სამეთვალყურეო საბჭოს წევრი ან თავმჯდომარე. (სამეწარმეო საზოგადოებას კანონით ან წესდებით გათვალისწინებულ შემთხვევებში შეიძლება ჰყავდეს სამეთვალყურეო საბჭო. სამეთვალყურეო საბჭო ახორციელებს ხელმძღვანელი ორგანოს/პირების საქმიანობის კონტროლს და ხელმძღვანელი ორგანოს ფუნქციები მას არ შეიძლება გადაეცეს, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევისა).

გ) ბენეფიციარად განიხილება ასევე, კომპანიის/ორგანიზაციის უმაღლეს მმართველობაზე და აღმასრულებელ პოზიციაზე მყოფი ფიზიკური პირი.

საყურადღებო იურიდიული ფორმაა ტრასტი, რომელიც საქართველოში ფაქტიურად არ გვხვდება, მაგრამ მსოფლიო პრაქტიკაში საკმაოდ გავრცელებულია. სატრასტო ურთი-ერთობა (11, მ.1 ო) ისეთი ურთიერთობაა, სადაც მარწმუნებელი (Settlor) ქონებას სამართავად გადასცემს რწმუნებულს (Trustee), რათა იგი ქონებას მართავდეს ბენეფიციარის სასარგებლოდ. ტრასტის ან ტრასტის მსგავსი სამართლებრივი სტრუქტურის არსებობის შემთხვევაში პრევენციული ღონისძიებები უნდა განხორციელდეს შემდეგი პირების ან მათ ეკვივალენტურ მდგომარეობაში მყოფი პირების მიმართ: ა) რწმუნებული; ბ) მარწმუნებელი; გ) მეურვე (არსებობის შემთხვევაში); დ) ბენეფიციარი; ე) სხვა ფიზიკური პირი, რომელიც ახორციელებს ეფექტიან საბოლოო კონტროლს ტრასტზე ან ტრასტის მსგავს სამართლებრივ სტრუქტურაზე (არსებობის შემთხვევაში). ამ შემთხვევაში ქონების „სამართლებრივი საკუთრება“ განსხვავდება „ბენეფიციარის საკუთრებისაგან“. ტრასტის მხარეებს წარმოადგენენ: მარწმუნებელი, რწმუნებული, ბენეფიციარი - რომელიც ერთმნი-შვნელოვნად არ უდრის „ბენეფიციარ მესაკუთრეს“ და გულისხმობს პირს, რომლის სასარგებლოდაც „ტრასტია“ დაფუძნებული. შესაძლებელია არსებობდეს „მეურვეც“. ტრასტის მხარეების უფლებამოსილებები და მათი განხორციელების თავისებურებები დამოკიდებულია კონკრეტული ქვეყნის იურისდიქციაზე.

მონიტორინგის მიზნებისათვის განსახილველია შემდეგი დოკუმენტები: trust deed, trust agreement, trust declaration, სადაც აღწერილია Trust-თან დაკავშირებული ყველა დეტალი. ასევე, შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს კონკრეტული ქვეყნის სპეციალური სახელმწიფო რეესტრი, დივიდენდების ან შემოსავლის განაწილების დოკუმენტი და ა.შ. თუ ბენეფიციარი წინასწარ განსაზღვრული არ არის, ანგარიშვალდებულმა პირმა უნდა მოიპოვოს საკმარისი ინფორმაცია იმ პირთა წრის შესახებ, რომელთა სასარგებლოდაც შეიქმნა ან მოქმედებს ტრასტი ან ტრასტის მსგავსი სამართლებრივი სტრუქტურა, რათა

დარწმუნდეს, რომ შეძლებს, ბენეფიციარის მიმართ კანონით განსაზღვრული პრევენციული ღონისძიებები ბენეფიციარზე სარგებლის გაცემამდე.

წილის, აქციის ან ხმის უფლების განსაზღვრისას გასათვალისწინებელია: პირდაპირი და არაპირდაპირი მფლობელობა; წილის ან ხმის უფლების ფლობა ორი ან რამდენიმე პირის მიერ; შეთანხმებები წილისა და ხმის უფლების მქონეთა შორის. პირდაპირი ფლობისგან განსხვავებით, რომელიც მარტივია და ნათელი, განხილვას საჭიროებს არაპირდაპირი ფლობა. დასაშვებია რამდენიმე ვარიანტი:

მაგალითი 1.



კომპანია **X**-ის ბენეფიციარ მესაკუთრეს წარმოადგენს ფ/პ **გ**, რადგან მხოლოდ მას აქვს 25%-ზე მეტი - ჯამში 40%. როგორც ვხედავთ ეს ფ/პ „ჩრდილში“ იყო და მის სტატუსს ვერ გავიგებდით კომპანია **X**-ის წილის მფლობელების გარკვევის გარეშე.

მაგალითი 2. „ზღვრული მიდგომა“



ფიზიკური პირი **გ** არის „არაპირდაპირი“ ბენეფიციარი მესაკუთრე, რადგან იგი ფლობს კომპანია **X**-ის 26%-ს. ის ფლობს 52%-ის 50%-ს. ე.ი. **X** - კომპანიის 26%, ფიზიკური პირები **დ** და **ე** არ განიხილებიან ბენეფიციარ მესაკუთრეებად, რადგან ისინი თუნდაც „არაპირდაპირ“ არ ფლობენ კომპანია **X**-ის 25%-ს ან მეტს. ისინი ფლობენ 52%-ის 25%-ს, ე.ი. **X** - კომპანიის - 13% -13%.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ შესაძლებელია ფიზიკური პირი არ ფლობდეს 25%-ზე მეტს, თუმცა ახორციელებდეს კონტროლს ხმის უფლების გამოყენებით.

მაგალითი 3. „საკონტროლო პაკეტის მიდგომა“



ფიზიკური პირი **ბ** წარმოადგენს ბენეფიციარ მესაკუთრეს - 70%, ფიზიკური პირი **გ** - წარმოადგენს „ზღვრულ მესაკუთრეს“, მისი წილი არ არის 24%, რადგან სხვებთან შედარებით მისი წილი მიახლოებულია „ბენეფიციარის ზღვარს“, **გ** ფლობს 80%-ს 30%-ის - ე.ი. **X** - კომპანიის 24%, **დ** და **ე** ფიზიკური პირები ფლობენ 10%-ს 30%-ის, ე.ი. კომპანიის 3% - 3%.

მაგალითი 4. „წილის ან ხმის უფლების ერთობლივი ფლობა“



ფიზიკური პირი **ა** – არ არის ბენეფიციარი მესაკუთრე, რადგან ის ფლობს მხოლოდ 20%-ს,

ფიზიკური პირი **ბ** - არის ბენეფიციარი მესაკუთრე, რადგან ის ფლობს 50%-ს.

როგორ განვიხილოთ **გ** და **დ**? - ერთად თუ ცალ - ცალკე?

ისინი განიხილებიან ერთად, ორივე წარმოადგენს ბენეფიციარ მესაკუთრეს.

მაგალითი 5. „შეთანხმება წილის და ხმის უფლების მფლობელებს შორის“



ა წარმოადგენს კომპანიის ბენეფიციარ მესაკუთრეს, რადგან ფლობს 70%;

ფიზიკური პირები **ბ** და **გ** არ წარმოადგენენ ბენეფიციარ მესაკუთრეებს, მაგრამ მათ აქვთ შეთანხმება, რომ გადაწყვეტილებების მიღების დროს ისინი შეთანხმებულად იმოქმედებენ, ამიტომ ასეთ შემთხვევებში ისინი შეგვიძილია, განვიხილოთ ბენეფიციარ მესაკუთრეებად.

უნდა გავითვალისწინოთ, რომ ბენეფიციარი მესაკუთრის განსაზღვრისას არსებობს სხვა მაგალითებიც. არის შემთხვევები, როცა ბენეფიციარი ვერ ვლინდება ან ვლინდება, მაგრამ იკვეთება, რომ კომპანიაზე კონტროლს რეალურად სხვა პირი ახორციელებს - ეს შეიძლება მოხდეს საწარმოს დაფინანსებაში მონაწილეობით, პირადი, ოჯახური თუ სხვა ტიპის გავლენით. აქედან გამომდინარე მაკონტროლებელი პირი ყოველთვის მზად უნდა იყოს დამატებითი, სხვადასხვა მექანიზმის გამოყენებისათვის. თუ ყველა ამ ღონისძიების შედეგად ბენეფიციარი პირი ვერ დადგინდა, მაშინ იურიდიული პირის (კომპანიის) საქმიანობაში სტრატეგიული გადაწყვეტილების მიმღები პირი შეიძლება იყოს მიჩნეული ბენეფიციარ მესაკუთრედ - დირექტორი, სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე და ა.შ. აქედან გამომდინარე, მაკონტროლებელი პირი ზედმიწევნით კარგად უნდა იცნობდეს ორგანიზაციის სტრუქტურას.

კლიენტის სახელით მოქმედი პირი არის წარმომადგებლობით უფლებამოსილების მქონე პირი, რომელიც კლიენტის სახელით დებს ერთჯერად გარიგებას ან ამყარებს გრძელ-ვადიან საქმიან ურთიერთობას. მას უნდა გააჩნდეს სათანადო წესით გაფორმებული მინდობილობა, დამოწმებული ნოტარიალურად და მისი იდენტიფიკაცია/ვერიფიკაციაც უნდა მოხდეს ისე, როგორც ეს ხდება კლიენტის შემთხვევაში.

ორგანიზაციის მართვაში ჩაბმული მინდობილი პირის მინდობილობა უნდა იყოს ატვირთული იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ელექტრონულ ბაზაში, რომლის გადამოწმებასაც არ სჭირდება ამ პირის ნებართვა. პირის საიდენტიფიკაციო დოკუმენტებს უნდა ახლდეს ფოტო.

ინფორმაციის მოპოვება უნდა მოხდეს სანდო წყაროდან. უპირველეს ყოვლისა ისეთი წყაროები, რომელთა გაყალბებაც ნაკლებად შესაძლებელია: ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეესტრიდან; ე.წ. „საჯარო რეესტრი“ https://napr.gov.ge/; შემოსავლების სამსახურის ვებგვერდი - „რეესტრთა რეესტრი“ (რომელიც შეიცავს სხვადასხვა რეესტრს და ინფორმაციას https://www.rs.ge/6371; აქციათა რეესტრი (იმ შემთხვევაში თუ რეესტრს აწარმოებს თავად შესასწავლი პირი, დამატებით საჭიროა სხვა სანდო წყაროს მოპოვება), მაგალითად, საგადახდო დეკლარაცია, დივიდენდების ჩარიცხვის დამადასტურებელი დოკუმენტაცია და ა.შ.; სასამართლო დოკუმენტები, რომლითაც დასტურდება ინფორმაცია ბენეფიციარი მესაკუთრეების შესახებ; საგადასახადო, საბაჟო დეკლარაციები; ზედამხედველობას დაქვემდებარებული ფინანსური ინსტიტუციების ინფორმაცია; აღიარებული აუდიტორული კომპანიების დასკვნები; ნოტარიუსების მიერ დამოწმებული დოკუმენტები; მონიტორინგის განმახორციელებელს უნდა ჰქონდეს შეუზღუდავი წვდომა ფიზიკური თუ იურიდული პირების იდენტიფიცირებისთვის საჭირო ბაზებთან (სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მონაცემთა ელექტრონული ბაზები და სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სამეწარმეო და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეესტრის ბაზა (იურიდიული პირების და ინდივიდუალური მეწარმეებისათვის)) და პოლიტიკურად აქტიური პირებისა და სანქცირებული პირების ბაზებთან. აღიშნული ტიპის ბაზების გამოყენება ხშირად ხორციელდება არაავტომატიზებული წესით, შესაბამისი ვებ-

გვერდების საძიებო ველის მეშვეობით (23) ან საერთოდ არ ხორციელდება. ორივე შემთხვევაში საჭიროა მარეგულირებლის ჩართულობით უზრუნველყოფილი იქნეს სერვისებზე ხელმისაწვდომობა.

შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს ვერიფიკაციის განსხვავებული წესები, თუ კლიენტი არის შემდეგი პირი: ადგილობრივი ფინანსური ინსტიტუტი (მიკროსაფინანსო ორგანიზაცია, არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულება - საკრედიტო კავშირი და სესხის გამცემი სუბიექტი) (6, მ.2), რომელიც ექვემდებარება ზედამხედველობას „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად (და მათი შვილობილი კომპანიები); საერთაშორისო ორგანიზაციები; განსაზღვრული საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტები; საქართველოს სახელმწიფო ორგანიზაცია და საჯარო სამართლის იურიდიული პირი; (სამეწარმეო იურიდიული პირი სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით ან სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული არასამეწარამეო არაკომერციული იურიდიული პირი); საელჩო/საკონსულო; პირი, რომლის აქციებიც საჯაროდ ივაჭრება საფონდო ბირჟაზე.

დაბალი რისკის შემთხვევაში, როცა არ არის საჭირო რაიმე განსაკუთრებული ღონისძიებების გატარება, წარმოდგენილი დოკუმენტები, რომელთა მოპოვებაც შეიძლება სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მონაცემთა ელექტრონული ბაზიდან, კლიენტის თანხმობის გარეშე, არ საჭიროებს დამოწმებას. მმართველობის და მფლობელობის (კონტროლის) სტრუქტურის, აგრეთვე ბენეფიციარი მესაკუთრის დადგენის, იდენტიფიკაციისა და ვერიფიკაციის მიზნებისთვის წარმოდგენილი ნებისმიერი დოკუმენტი უნდა იყოს მაქსიმალურად განახლებული და თარიღდებოდეს არაუგვიანეს 6 თვით საქმიანი ურთიერთობის დამყარების თარიღიდან, გარდა წესდებისა, აუდიტის დასკვნისა, (არუგვიანეს წინა წლის) და გარდა პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტებისა, მისი მოქმედების ფარგლებში.

4. დასკვნა

ბენეფიციარის იდენტიფიცირება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რგოლია ფულის გათეთრებასა და ტერორიზმის დაფინანსებასთან დაკავშირებული რისკების შეფასებაში და საბოლოოდ, წარმოადგენს ფულის გათეთრების აღკვეთის უმნიშვნელოვანეს პრევენციულ ღონისძიებას. საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ბენეფიციარის იდენტიფიცირების ხერხები პასუხობს დღევანდელი მსოფლიოს გამოწვევებს. სტატიაში განხილული საკანონმდებლო ბაზისა და ინსტიტუციური სისტემის კვლევის საფუძველზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ ქართული საკანონმდებლო ბაზა ფეხს უწყობს ევროკავშირის რეკომენდაციებს ამ დარგში პრევენციული ღონისძიებების გატარების საკითხში და ჰარმონიზებულია ევროკავშირის კანონმდებლობასთან. რაც შეეხება, ბენეფიციარის იდენტიფიცირებას კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად, აღსანიშნავია, რომ იგი მონიტორინგის განმახორციელებელი სუბიექტებისგან საკმაო დანახარჯებს მოითხოვს, როგორც ტექნიკურად (შესაბამის საიდენტიფიკაციო ბაზებთან

წვდომის უზრუნველყოფით), ისე მომსახურე პერსონალის გადამზადების მხრივ. მიგვაჩნია, რომ ამ პრობლემის მოგვარება შესაძლებელი იქნება როგორც მარეგულირებლის, ისე სახელმწიფოს აუცილებელი ჩართულობით, რაც შესაძლებლობას მისცემს აღნიშნულ ინსტიტუტებს სათანადო რეაგირება მოახდინონ ამ სფეროში ყოველდღიური გამოწვევების მიმართ.

გამოყენებული ლიტერატურა

1. საქართველო, საქართველოს პარლამენტი, 2019, კანონი, ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ, (N5226-Iს, 30/10/2019) საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ვებგვერდი www.matsne.gov.ge/ (26.10.2022)
2. საქართველო, საქართველოს პარლამენტი, 2003, კანონი, უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ, (2391. 16/06/2003) საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ვებგვერდი www.matsne.gov.ge/ ძალადაკარგულია 30/10/2019
3. საქართველო. საქართველოს პრეზიდენტი, 2003, ბრძანებულება, საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის შექმნის შესახებ, (354. 09/03/2021) საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ვებგვერდი www.matsne.gov.ge (26.10.2022)
4. საქართველო, საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახური, 2020, საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის უფროსის ბრძანება ანგარიშვალდებული პირის მიერ გარიგების თაობაზე ინფორმაციის აღრიცხვის, შენახვისა და საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურისთვის წარდგენის წესის დამტკიცების შესახებ, (N1 05/06/2020) საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ვებგვერდი www.matsne.gov.ge (26/10/2022)
5. საქართველო, საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახური, 2020, საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის უფროსის ბრძანება, ანგარიშვალდებული პირის მიერ კლიენტის იდენტიფიკაციისა და ვერიფიკაციის წესის დამტკიცების თაობაზე, (N2 05/06/2020), საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ვებგვერდი www.matsne.gov.ge/ (26.10.2022)
6. საქართველო, საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტი, 2021. საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება ფინანსური ორგანიზაციების მიერ მომსახურების გაწევისას მომხმარებელთა უფლებების დაცვის წესის დამტკიცების თაობაზე, (N32/04 09/03/2021 წ.), საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ვებგვერდი www.matsne.gov.ge (26.10.2022)
7. საქართველო, საქართველოს პარლამენტი, 1997, კანონი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, (786 26/06/1997) საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ვებგვერდი www.matsne.gov.ge (26.10.2022)
8. საქართველო, საქართველოს პარლამენტი, 1999, კანონი, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, (N2287, 13/08/1999), საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ვებგვერდი www.matsne.gov.ge (26.10.2022)
9. საქართველო, საქართველოს პარლამენტი, 2021, კანონი, მეწარმეთა შესახებ, (N875-Vრს-Xმპ, 02/08/2021), საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ვებგვერდი www.matsne.gov.ge (26.10.2022)
10. საქართველო, საქართველოს პარლამენტი, 2010, კანონი, საქართველოს საგადასახადო კოდექსი, (N3591, 12/10/2010), საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ვებგვერდი www.matsne.gov.ge (26.10.2022)
11. საქართველო, საქართველოს პარლამენტი, 1996, კანონი, კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ, (121 23/02/1996), საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ვებგვერდი www.matsne.gov.ge (26.10. 2022)
12. დემეტრიადეს პ., ვასილევა რ. 2020. ფულის გათეთრება და ცენტრალური ბანკის მმართველობა ევროკავშირში, Journal of International Economic Law 23: 509–33. 23: 509–33. [Google Scholar] [CrossRef] (26.06.2022)

13. ლევი მ., სოუდინი მ. 2020. ფულის გათეთრების შინაარსი ორგანიზებული დანაშაულისას, Crime and justice.49. https://www.journals.uchicago.edu/doi/10.1086/708047 (26.06.2022)
14. ლე-კაქ, ნეინ-ან, ენტონი ბრზბაზიან მაიკლ ონეილ, კეჩადი ტ. 2016. მრავალეროვნული ბანკის მონაცემთა ბაზის ეფექტური საძიებო სისტემა ფულის გათეთრების საწინააღმდეგო განაცხადისთვის, 1609.02.31. [Google Scholar] (26.06.2022)
15. ნარციზა (ბოდესკუ) ლ., ნიცუ მ., მირჩა კ., კოზმა კ. 2021. ფულის გათეთრების საწინააღმდეგო ზომების ეფექტურობა: საქმის შესწავლა ევროკავშირის წევრი ქვეყნებიდან, MDPY. Risks 9. https://www.mdpi.com/2227-9091/9/6/120/htm (25.10.2022)
16. სტეპლტონი ჩ. კვილჰაუგი. 2022. რა მეთოდები გამოიყენება ფულის გასათეთრებლად, Investopedia. https://www.investopedia.com/ask/answers/022015/what-methods-are-used-launder-money.asp. განახლებულია 2022 წლის 6 იანვარს (20.10.2022)
17. ტამპლინი თ. 2022. რა არის ფულის გათეთრება? Finance Strategists. https://learn.finance strategists.com/finance-terms/money-laundering/. განახლებულია 2022 წლის 12 სექტემბერს (10.10.2022)
18. ქურეში, ვასიმ ა. 2017. ფულის გათეთრების მიმოხილვა პაკისტანში და მთელ მსოფლიოში: მიზეზები, მეთოდები და სოციალურ-ეკონომიკური ეფექტები. ბოლონიის უნივერსიტეტის სამართლის მიმოხილვა, 2: 300–45. [Google Scholar] (26.06.2022)
19. ჯაიანტილალი, შიტალი, ფერეირა ს.ხ. და ფერეირა ა. 2017. პორტუგალიის ფულის გათეთრების საწინააღმდეგო პოლიტიკა: თამაშის თეორიის მიდგომა, European Journal on Criminal Policy and Research 24: 559–74. [Google Scholar] [CrossRef] (26.06.2022)
20. The Financial Action Task Force (FATF) https://www.fatf-gafi.org/faq/moneylaundering/ (26.10.2022)
21. https://www.interpol.int/Crimes/Financial-crime/Money-laundering (26.10.2022)
22. https://www.unodc.org/unodc/en/money-laundering/index.html (26.10.2022)
23. https://sanctionssearch.ofac.treas.gov/ (26.10.2022).

Beneficiary identification for the purposes of anti-money laundering (AML) measures

Lali Bagrationi
Grigol Robakidze University, PhD student
Bagrationi.lali@gmail.com

Abstract. Money laundering is a social problem that affects any society around the world. This problem is universal and global and has no economic, cultural or social boundaries. The article describes the meaning of the term money laundering and preventive measures to prevent it. The legislative framework, which regulates the process of prevention of money laundering and financing of terrorism in Georgia, is reviewed. The ways of identifying individuals and legal entities are described, which is one of the most important issues for determining the beneficial owner and reducing the risks of money laundering. Attention is focused on the role of financial institutions and monitoring persons in the mentioned process.

Key words: money laundering, risks, beneficial owner, identification, verification

არსებითი დარღვევა და მისი შედეგები მტკიცებით სამართალში

გიორგი მიქელაძე
გრ. რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი, დოქტორანტი
Miqeladze-miqeladzee@mail.ru

რეზიუმე. სტატია ეძღვნება მტკიცებულების დასაშვებობის საკითხს სისხლის სამართლის პროცესში. კერძოდ, კანონის არსებითი დარღვევის ცნებას და მის მნიშვნელობას სისხლის სამართლის პროცესში. განსაზღვრულია კრიტერიუმები თუ რა შემთხვევაში აქვს ადგილი კანონის არსებით დარღვევას. სტატიაში შედარებითი სამართლის მეთოდით გაანალიზებულია ამერიკის შეერთებული შტატების დოქტრინა და ფედერალური უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებები მტკიცებულებათა დასაშვებობის საკითხებზე.

საძიებო სიტყვები: მტკიცებულება, დასაშვებობა, არსებითი დარღვევა, მოწამლული ხის ნაყოფის დოქტრინა, არსებითი დარღვევის კრიტერიუმები, გამონაკლისები მოწამლული ხის დოქტრინაში

სტატიაში გამოთქმული და დასაბუთებულია მოსაზრება, რომ კანონის არსებით დარღვევას აქვს ადგილი, როდესაც საგამოძიებო მოქმედებას ატარებს არაუფლებამოსილი პირი, როდესაც საგამოძიებო მოქმედება ტარდება კანონით დადგენილი ვადის დარღვევით, როდესაც საგამოძიებო მოქმედება ტარდება კანონით განსაზღვრული საფუძვლების გარეშე, როდესაც საგამოძიებო მოქმედებაში არ მონაწილეობენ კანონით განსაზღვრული პირები. არსებით დარღვევადაა შეფასებული შემთხვევები, როდესაც დარღვევა ლახავს პირის უფლებებებს ან წარმოშობს მტკიცებულებების უტყუარობაზე დაუძლეველ ეჭვებს. საკითხი მნიშვნელოვანია, როგორც თეორიული ისე პრაქტიკული თვალსაზრისით. გამომდინარე იქიდან, რომ შეზღუდულები ვართ სტატიის ფორმატით, ის ეძღვნება მხოლოდ ქართული და ამერიკული სამართლის შედარებით ანალიზს თემის გარშემო.

შესავალი

სისხლის სამართლის პროცესში პირის კანონიერ ინტერესს აქვს პრიორიტეტი დანაშაულის გახსნისა და დამნაშავის დასჯის საჯარო ინტერესთან. დაუშვებელია პირის კონსტიტუ-ციურ უფლებათა და თავისუფლებათა თვითნებური შეზღუდვა გამოძიების პროცესში. არც ანგლოსაქსური და არც გერმანულ-რომანული სამართლის სისტემაში არავინ დაობს, რომ უკანონო გზით მიღებული მტკიცებულება არ დაიშვება სისხლის სამართლის პროცესში. სირთულე ვლინდება მაშინ, როდესაც უნდა შეფასდეს დარღვევა ატარებს უმნიშვნელო თუ არსებით ხასიათს. ნებისმიერი დარღვევა არ შეიძლება იყოს მტკიცებულების დაუშვებლად ცნობის საფუძველი. კანონმდებელი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 72-ე

მუხლის პირველ ნაწილში ადგენს, რომ კანონის არსებითი დარღვევით მოპოვებული მტკიცებულება და მის საფუძველზე კანონიერად მოპოვებული სხვა მტკიცებულება, თუ ის აუარესებს ბრალდებულის სამართლებრივ მდგომარეობას დაუშვებელია და იურიდიული ძალა არ გააჩნია. ამით კანონმდებელი ხაზს უსვამს, რომ ნებისმიერი დარღვევა არ შეიძლება იყოს მტკიცებულების დაუშვებლად ცნობის საფუძველი. ამავე ნორმაში კანონმდებელი გვთავაზობს აშშ-ის სამართლის თეორიასა და პრაქტიკაში დამკვიდრებულ ე.წ. „მოწამლული ხის ნაყოფის“ დოქტრინას. სირთულეს ვაწყდებით იმ კუთხით, რომ არც საპროცესო კანონმდებლობა და არც სამართლის თეორია არ გვთავაზობს თუ რა იგულისხმება კანონის არსებითი დარღვევის ცნებაში. დღის წესრიგში დგება საკითხი, რომ განისაზღვროს კანონის არსებითი დარღვევის კრიტერიუმები. საკითხი არანაკლებ მნიშვნელოვანია პრაქტიკული თვალსაზრისითაც. ზოგჯერ ერთი და იმავე სასამართლოშიც კი მოსამართლეები იდენტურ საკითხებს განსხვავებულად აფასებენ, თუ ერთი მოსამართლე კონკრეტულ დარღვევას არსებითად განიხილავს, მეორე საერთოდ უარყოფს, რომ ადგილი აქვს დარღვევას. სტატიაში ზოგადმეცნიერული-ფილოსოფიური ანალიზის, სინთეზის, ინდუქციის, დედუქციის და სპეციალურ-სამართლებრივი-ისტორიულ-სამართ-ლებრივი და შედარებით-სამართლებრივი მეთოდებით გამოკვლეულია საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს, საერთო სასამართლოების და აშშ-ის ფედერალური უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებები. ასევე ქართული და უცხოურენოვანი სხვა წყაროები. კვლევის ამოცანას წარმოადგენს ქართული და უცხოური წყაროების ანალიზის შედეგად კანონის არსებითი დარღვევის ცნების გარშემო მსგავსი/განსხვავებული შეხედულებების გამოკვეთა და ყველა იმ კრიტერიუმების განსაზღვრა, რომელთა უგულებელყოფა საგამოძიებო/საპროცესო მოქმედების ჩატარებისას შეფასდება არსებით დარღვევად. სამსჯელოდ/დასადასტურებლად გამოგვაქვს შემდეგი შინაარსის ჰიპოტეზები:

ა. საგამოძიებო/საპროცესო მოქმედების ჩატარება კანონით გათვალისწინებული საფუძ-ვლის გარეშე წარმოადგენს კანონის არსებით დარღვევას;

ბ. საგამოძიებო/საპროცესო მოქმედების ჩატარება ვადის დარღვევით, გარდა საპატიო მიზეზით გაცდენილი ვადის დარღვევისა წარმოადგენს კანონის არსებით დარღვევას;

გ. საპროცესო/საგამოძიებო მოქმედების ჩატარება არაუფლებამოსილი პირის მიერ წარმოადგენს კანონის არსებით დარღვევას;

დ. საგამოძიებო/საპროცესო მოქმედების ჩატარება იმ პირების გარეშე ვისი მონაწილეობაც კანონით სავალდებულოა წარმოადგენს კანონის არსებით დარღვევას;

ე. საგამოძიებო/საპროცესო მოქმედების ჩატარებისას პირის კონსტიტუციურ უფლებათა უკანონო დარღვევა წარმოადგენს კანონის არსებით დარღვევას;

ვ. საგამოძიებო/საპროცესო მოქმედების შედეგების ფიქსაციისას დარღვევები არსებითი ხასიათისაა თუ წარმოშობს მტკიცებულების უტყუარობაზე დაუძლეველ ეჭვს;

ზ. გამონაკლისი ე.წ. მოწამლული ხის დოქტრინაში სამართლებრივად დასაბუთებულია მხოლოდ „დამოუკიდებელი წყაროს“ გამონაკლისით. შესაბამისად ვსვამთ საკითხს, რომ დაუსაბუთებელია ე.წ. „მტკიცებულების გარდაუვალად აღმოჩენის“, „გამოსწო-რებული ნაკლის“ და „დამოუკიდებელი წყაროს“ გამონაკლისები.

სტატიის მიზანია განისაზღვროს არსებითი დარღვევისა და მისი შედეგების არსი სისხლის სამართლის პროცესის მტკიცებით სამართალში.

ძირითადი ნაწილი

სამართლებრივი სახელმწიფოს პრიმატს წარმოადგენს უზრუნველყოს სისხლის სამართლის პროცესში უფლებათა ურთიერთბალანსი. კანონმდებელი ადგენს დღის წესრიგს, რომელშიც პირის კანონიერ ინტერესს აქვს პრიორიტეტი დანაშაულის გახსნისა და დამნაშავის დასჯის საჯარო ინტერესთან (16, 12.4). ჯერ კიდევ გასული საუკუნის დასაწყისში გერმანელი იურისტი ლიპმანი აღნიშნავდა, რომ „სისხლის სამართლის პროცესის ფუნქციების შესრულება მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, თუ ის ერთდროულად იცავს, როგორც სახელმწიფოს დანაშაულებრივი ხელყოფისაგან ისე მოქალაქეს სახელმწიფო ძალაუფლების ბოროტად გამოყენებისაგან“ (9,43). „ჭეშმარიტების დადგენა არ არის სისხლის სამართლის პროცესის აბსოლუტური მიზანი, იგი განიცდის კანონისმიერ ბოჭვას“ (1.248).

საქართველოს კონსტიტუცია ადგენს წესს, რომ „კანონის დარღვევით მოპოვებულ მტკიცებულებას იურიდიული ძალა არა აქვს“ (14, 31.10). უზრუნველყოფს რა კანონმდებელი კონსტიტუციური უფლებების რეალიზაციას სისხლის სამართლის პროცესში, ადგენს, რომ არსებითი დარღვევით მოპოვებულ მტკიცებულებას და მის საფუძველზე კანონიერად მოპოვებულ სხვა მტკიცებულებას, თუ ის აუარესებს ბრალდებულის სამართლებრივ მდგომარეობას დაუშვებელია და იურიდიულია ძალა არ გააჩნია (16, 72.1). მიუხედავად იმისა, რომ კონსტიტუციური ნორმა უთითებს კანონის დარღვევაზე და სსსკ-ი კანონის არსებით დარღვევაზე, საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებიდან საქმეზე „საქართველოს მოქალაქე მაია რობაქიძე საქართველოს პარლამენტის წინაამდეგ“ იკითხება აზრი, რომ კანონის დარღვევის კონსტიტუციურ ცნებაში სასამართლო გულისხმობს კანონის არსებით დარღვევას (18, II.20). შესაბამისად დღის წესრიგში დგას საკითხი განიმარტოს არსებითი დარღვევის ცნება და მისი შედეგები მტკიცებულებების მოპოვებისას სისხლის სამართლის პროცესში. მოქმედი საპროცესო კოდექსი არ განმარტავს რა იგულისხმება მტკიცებულების მოპოვებისას არსებითი ხასიათის დარღვევაში.

მტკიცებულების მოპოვების დროს კანონის არსებითი დარღვევის განმარტებას არ ითვალისწინებდა 1998 წლის სსსკ-იც. კანონმდებელი მხოლოდ ჩამოთვლიდა დარღვევებს, რომელთა საფუძველზეც მტკიცებულება ითვლებოდა დაუშვებლად (15, 111.1). განსხვავებით წინამორბედისაგან მოქმედი სსსკი არ ითვალისწინებს მტკიცებულებების დაუშვებლად ცნობის საფუძვლების ამომწურავ ჩამონათვალს. მოპოვების წესებთან დაკავშირებით კანონი ადგენს მტკიცებულების დაუშვებლად ცნობის ზოგად ნორმას (5, 244). კანონმდებელი საპროცესო კოდექსის რამდენიმე ნორმაში განსაზღვრავს მტკიცებულების დაშვების საფუძველს (16, 76. 77.78. 239. 248). საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო განმარტავს, რომ „სსსკ არ ითვალისწინებს დასაშვები მტკიცებულების ცნებას და მტკიცებულების დაუშვებლობა ე.წ. ნეგატიური ენუმერაციის პრინციპით არის

გადაწყვეტილი, მტკიცებულება დასაშვებად მიიჩნევა თუ მისი დაუშვებლად ცნობის საფუძველი არ არსებობს“ (18, II.13.).

საკონსტიტუციო სასამართლო არ მსჯელობს რას გულისხმობს კანონის არსებითი დარღვევა, მეორე მხრივ, როდესაც განმარტავს, რომ „კანონმდებელი არ განსაზღვრავს დასაშვები მტკიცებულების ცნებას“ ყურადღებას არ აქცევს მტკიცებულების განმარტებას სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში. მტკიცებულება არის სასამართლოში კანონით დადგენილი წესით წარდგენილი ინფორმაცია (16, 3), რაც თავისთავად ნიშნავს მტკიცებულების დასაშვებობის განმარტებას. მართალია ამ განმარტებაში არ არის ნახსენები სიტყვა დასაშვებობა, მაგრამ მთავარი, ხომ ნორმის შინაარსია. მტკიცებულების განმარტება, როგორც ფორმა კანონმდებლის ნების ვერბალური გამოხატულებისა, თავისთავში მოიცავს მტკიცებულების დასაშვებობას. განა შეიძლება ინფორმაციამ დასაშვებობის გარეშე მტკიცებულების სტატუსი შეიძინოს? თუ ინფორმაციამ იურიდიულად მტკიცებულების სტატუსი შეიძინა ე.ი. ის დასაშვებიც ყოფილა. მხარეთა მიერ წარდგენილი ინფორმაცია სასამართლოში მტკიცებულების სტატუსს სწორად, რომ დასაშვებად ცნობის შემდგომ შეიძენს. მტკიცებულებათა მოპოვებისას კანონის დარღვევის და დასაშვებობის საკითხებს სამართლიანი სასამართლოს უფლების ფარგლებში აფასებს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო. სასამართლო ცალკე არ მსჯელობს მტკიცებულებების დასაშვებობაზე, საკითხს სასამართლო აფასებს სხვა საკითხებთან ერთად, იყო თუ არა სამართალწარმოება მთლიანობაში სამართლიანი (8.26, 106).

არსებითი დარღვევის არსი მტკიცებულებათა მოპოვების კონტექსტში იურიდიულ ლიტერატურაშიც არაერთგვაროვნად არის გაგებული. მე-20 საუკუნის ქართველი იურისტი, ბეჟან ხარაზიშვილი, კანონის დანაწესის ნებისმიერ დარღვევას მიიჩნევდა მტკიცებულების დაუშვებლად ცნობის საფუძვლად (7, 102-103). გ. თუმანიშვილი კი აფიქსირებს მოსაზრებას, რომ „არსებითი დარღვევის საკითხის გადაწყვეტისას მოსამართლემ სხვა გარემოებებთან ერთად (ჩადენილი დანაშაულის სიმძიმე, მოპოვებული მტკიცებულების მნიშვნელობა საქმისათვის მნიშვნელოვანი გარემოების დასადგენად, პირის მიერ დანაშაულის ჩადენის მაღალი ალბათობა, მტკიცებულების მოპოვების ხერხები, განხორციელებული საგამოძიებო ღონისძიების მიზანშეწონილობა და ა.შ.), უნდა გაითვალისწინოს რამდენად მნიშვნელოვან სამართლებრივ სიკეთეს იცავს დარღვეული ნორმა, ემსახურება თუ არა იგი პროცესის მონაწილის კონსტიტუციით მინიჭებული ფუნდამენტური უფლებების ან მნიშვნელოვანი პროცესუალური უფლებების დაცვას“ (5, 249).

მოცემულ მსჯელობაში არის მნიშვნელოვანი კონტურები დარღვევის არსებითი ხასიათის დადგენისათვის, თუმცა ვერ ამოწურავს საკითხს სრულად. გარდა ამისა შეიცავს ელემენტებს, რომლებსაც არავითარი კავშირი არა აქვს დარღვევის არსებითად შეფასებასთან. მოპოვებული მტკიცებულების მნიშვნელობა არ არის სამსჯელო მისი მოპოვებისას დარღვევის ხასიათის შესაფასებლად. თუ მტკიცებულებას საქმისათვის მნიშვნელობა არა აქვს, მაშინ ის რელევანტური არ ყოფილა. მისი მტკიცებულებითი წონა არ არის კავშირში იმასთან მისი მოპოვების დროს არსებითად დაირღვა თუ არა კანონი. სხვა ავტორებიც გვთავაზობენ არსებითი დარღვევის ზოგად განმარტებას, რომ „არსებითი ხასიათისაა

დარღვევები, რომლებიც ხელს უშლის სწრაფი და სამართლიანი მართლმსაჯულების განხორციელებას, არღვევს ადამიანის საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებს და საფრთხეს უქმნის დემოკრატიულ პრინციპებს“, რომ „საპროცესო ფორმის დაცვაზე უარის თქმა კანონიერების პრინციპზე უარის თქმას ნიშნავს“ (9, 40.48). კანონის დარღვევა თავისთავად არ ნიშნავს არსებით დარღვევას. მოლოდინი, რომ არსებით დარღვევად შეფასდება ყველაფერი, რაც სიტყვასიტყვით არ ემთხვევა სამართლის ნორმას მცდარია. სამართლის ნორმა იქმნება განსაზღვრული მიზნით და ფორმალიზმი იქნებოდა არსებითად განგვესაზღვრა ყველა შეუსაბამობა ნორმასთან, თუ არ დარღვეულა ნორმის მიზნები. დარღვევა არსებითი ხასიათის იქნება, როდესაც დარღვეულია საპროცესო ქმედების კანონიერების კრიტერიუმები: საპროცესო ქმედების საფუძველი, ვადები, კანონის მოთხოვნა სუბიექტზე, რომელსაც აქვს საგამოძიებო/საპროცესო მოქმედების ჩატარების უფლება და მოთხოვნა მასში კანონით განსაზღვრული პირების სავალდებულო მონაწილეობაზე. არსებით დარღვევას აქვს ადგილი, როდესაც დარღვეულია საგამოძიებო მოქმედებების განხორციელების ფორმა (ზოგადი ან სპეციალური წესი), თუ ფორმის დარღვევა აჩენს მტკიცებულების უტყუარობაზე დაუძლეველ ეჭვს ან/და უკანონოდ ირღვევა პროცესის მონაწილის ან მესამე პირის უფლებები (2, 47-87). მოცემული კრიტერიუმები კანონმდებელს არა აქვს რომელიმე ნორმაში ცალკე ჩამოთვლილი. ისინი „გაბნეულია“ სსსკ-ის სხვადასხვა მუხლში.

საგამოძიებო მოქმედების კანონიერად შეფასებისათვის ვამოწმებთ არსებობდა თუ არა მისი ჩატარების კანონით გათვალისწინებული საფუძველი. შესაბამისი საფუძვლის არარსებობისას ყველა მოქმედება ითვლება არსებით დარღვევად. თუ არ არსებობს საპროცესო მოქმედების ჩატარების საფუძველი, არ არსებობს მისი კანონიერებაც. არა აქვს მნიშვნელობა რა ღირებულების მქონეა უსაფუძვლოდ განხორციელებული საპროცესო მოქმედება. როგორი მიზნებიც არ უნდა მიიღწეოდეს კონკრეტული ქმედებით, რა მტკიცებულებაც არ უნდა იქნეს აღმოჩენილი საგამოძიებო მოქმედებით, ის ყოველთვის უკანონოა თუ არ არსებობს კანონით განსაზღვრული დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტის მტკიცებულებითი საფუძველი. საკონსტიტუციო სასამართლომ არაკონსტიტუციურად ცნო სსსკ-ის 119-ე მუხლის პირველი, მე-4 და 121-ე მუხლის პირველი ნაწილების ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც ჩხრეკის შედეგს განიხილავდა ჩხრეკისათვის აუცილებელი დასაბუთებული ვარაუდის შექმნის ერთ-ერთ საფუძვლად (19, III. პუნქტი პირველი).

დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ ჩატარებული საპროცესო ქმედება ბათილია. გარკვეული განსხვავებაა ამ კუთხით საქართველოს და გერმანიის რესპუბლიკის სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობას შორის. გერმანიის რესპუბლიკის სსსკ-ის 246-ე მუხლი ადგენს წესს, რომლის მიხედვითაც მტკიცებულების წარდგენა შეიძლება სასამართლოში დაგვიანებითაც ისე, რომ ეს არ გამოიწვევს მის დაუშვებლად ცნობას. ქართულ სინამდვილეში ვადების დაუცველობა ყოველთვის იწვევს განხორციელებული ქმედების უკანონობას, გარდა მოსამართლის მიერ საპატიო მიზეზით გაცდენილი ვადის აღდგენისა. მაგ., მოსამართლის მიერ განჩინებაში განსაზღვრული ვადის შემდგომ საგამოძიებო მოქმედების ჩატარება წარმოადგენს კანონის არსებით დარღვევას. ვადებთან დაკავშირებით კოდექსში გვხდება შეფასებითი ცნებებიც. გონივრული ვადა, პირველი

შესაძლებლობისთანავე, დაუყოვნებლივ, არაუგვიანეს, მანამდე ობიექტური შეუძლებლობა. ერთი საპროცესო ქმედებისათვის გონივრული ვადა, შესაძლოა არაგონივრული იყოს სხვა საპროცესო ქმედებისათვის. შეფასებითი ცნებები ყოველთვის იწვევს ინტერპრეტაციის აუცილებლობას. კანონიერების შემოწმებისას არ უნდა ვეცადოთ ასეთ ცნებებთან მიმართებაში ვიხელმძღვანელოთ რაიმე ზოგადი ფორმულით.

ქმედების კანონიერება განისაზღვრება ასევე მისი განმახორციელებელი სუბიექტის უფლებამოსილებით. ამ კრიტერიუმის გარშემო მოწმდება რამდენად იყო ქმედების განმახორციელებელი პირი უფლებამოსილი მოცემული ქმედებისათვის. არაუფლებამოსილი პირის მიერ ქმედების განხორციელება ყოველთვის განიხილება არსებით დარღვევად, თუ თავად კანონმდებელი არ ადგენს საგამონაკლისო წესს. მაგ., სსსკ-ის 120-ე მუხლის მე-8 და 121-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევებში არასრულწლოვნის ჩხრეკა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში არასპეციალიზებული პირის მიერ არ ჩაითვლება კანონის დარღვევად (17, 16.1). საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით: „სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი არ კრძალავს სისხლის სამართლის საქმის გარემოებათა დასადგენად მნიშვნელოვანი ინფორმაციის მოპოვებას და წარდგენას მხარის პროცესუალური სტატუსის არმქონე საკუთარი ინიციატივით მოქმედი სხვა პირის მიერ“ (18, II.25-29). ამაში ვერ მოვიაზრებთ შემთხვევებს, როდესაც მტკიცებულების მოსაპოვებლად საჭიროა კონსტიტუციური უფლებების შემზღუდველი საგამოძიებო მოქმედებების ჩატარება მოსამართლის განჩინებით თუ მის გარეშეც გადაუდებელი აუცილებლობისას. საერთოდ ეს განმარტება არ ნიშნავს, რომ საკუთარი ინიციატივით მოქმედ პირს შეუძლია ჩაატაროს საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული რომელიმე საპროცესო მოქმედება. ცხადია კერძო პირს გამოძიების მიმდინარეობის დროსაც აქვს ის უფლებები, რაც ზოგადად გააჩნია პირს გამოძიების გარეშეც. შესაბამისად საქმისათვის მნიშვნელოვანი მტკიცებულება (იარაღი, მასრა და ა.შ.) თუ იპოვა პირმა და მიიტანა გამოძიების ორგანოში, ეს არ გამოიწვევს მათ დაუშვებლად ცნობას, თუმცა არ ნიშნავს, რომ კერძო პირი რაიმე უფლებებით არის აღჭურვილი საპროცესო მოქმედებების ჩასატარებლად.

კანონის არსებით დარღვევას ექნება ადგილი თუ საგამოძიებო/საპროცესო მოქმედების ჩატარებაში არ მონაწილეობდნენ კანონით სავალდებულოდ მიჩნეული პირები. როდესაც გამოსაკითხი პირი არ ფლობს სათანადოდ სამართალწარმოების ენას, თარჯიმნის გარეშე ჩატარებული გამოკითხვა არის უკანონო. არა აქვს მნიშვნელობა რამდენად სრულყოფილად ფლობს გამომძიებელი გამოსაკითხ პირთან კომუნიკაციის ენას. ცალკეული სუბიექტების მონაწილეობა საპროცესო ქმედების განხორციელებაში შეიძლება იყოს სავალდებულო ან ნებაყოფლობითი. მაგალითად: სავალდებულოა ექსპერტის მონაწილეობა ექსჰუმაციასა და გვამის გარეგნულ დათვალიერებაში, თუმცა ნებაყოფლობითია საგამოძიებო ექსპერიმენტში. შესაბამისად მხოლოდ პირველ შემთხვევაში ექნება ადგილი არსებით დარღვევას. დარღვევა, რომ არსებითად შეფასდეს ობიექტურად შესაძლებელი უნდა იყოს კონკრეტული სუბიექტის ჩართვა საპროცესო ქმედებაში. თუ პირს აკავებენ განჩინების საფუძველზე და წინასწარ ცნობილია მისი ენობრივი ბარიერის შესახებ, მაშინ თარჯიმნის წინასწარ არმოწვევა იქნება არსებითი დარღვევა და გამოიწვევს, როგორც დაკავების უკანონობას,

ისე დაკავებული პირისაგან პირადი ჩხრეკის შედეგად ამოღებული ინფორმაციის დაუშვებლობას (4,5, 510.527). საგამოძიებო მოქმედების ჩატარებისას კანონით განსაზღვრული პირის მოწვევის ვალდებულების დარღვევას არსებით დარღვევად განიხილავს ლალი ფაფიაშვილიც თუ შესაძლებელი (შეუძლებლად განიხილავს შემთხვევას, როდესაც ჩხრეკისას ვერ დაუკავშირდნენ იურიდიული პირის წარმომადგენელს ან ვერ დაუცადეს გადაუდებელი აუცილებლობის გამო) იყო მისი მოწვევა (6, 468-469).

აქამდე განხილული კრიტერიუმები ვერ ამოწურავს ყველა რეგულაციას. საპროცესო კანონმდებლობაში რჩება ნორმები, რომლებიც განსაზღვრავენ საგამოძიებო მოქმედებების განხორციელების ფორმას. მტკიცებულებების შეკრების ორი განსხვავებული მიდგომა არსებობს. ერთის მიხედვით მტკიცებულების მოპოვების პროცესი თავისუფალი უნდა იყოს და აქცენტი გადატანილია მტკიცებულებების შინაარსზე, მეორე მიდგომა კი მხარს უჭერს მტკიცებულებების მოპოვებისას საპროცესო ფორმის მკაცრ რეგლამენტაციას (9, 23-25). ქართული საპროცესო კანონმდებლობა უფრო შერეულ მოდელს წარმოადგენს მკაცრი რეგლამენტაციის მეტი ელემენტებით, ვიდრე ცალსახად განსაზღვრულ რომელიმე მიდგომას. განსაზღვრულია საგამოძიებო მოქმედებათა ჩატარებისა და ფიქსაციის წესები. თუმცა საპროცესო ქმედებების ფორმის განმსაზღვრელი ნორმების დარღვევა თავისთავად არსებით დარღვევად არ უნდა შევაფასოთ. ი. ნადარეიშვილი ავითარებს მოსაზრებას, რომ „მტკიცებულება თავისი არსით გულისხმობს და მოიცავს მისი მოპოვებისა და საქმეზე დამაგრების, მხოლოდ კანონით დადგენილი და გაწერილი წესების განუხრელად დაცვით ჩატარებული პროცესუალური მოქმედებების შედეგად მიღებულ ინფორმაციას. კანონით დადგენილი წესების დარღვევით მოპოვებული მტკიცებულება ვერ გახდება გამამტყუნებელი განაჩენის დადგენის საფუძველი“.

აქედან გამომდინარე „ნებისმიერი სხვა გზით ან კანონის მოთხოვნათა იგნორირებით მოპოვებული მტკიცებულება სასამართლო გამოკვლევაზე არ დაიშვება“ (3, 57). ამის საპირისპიროდ ავტორი სხვა ადგილას აფიქსირებს პოზიციას, რომ მოსამართლემ უნდა შეაფასოს რამდენად არსებითი იყო დარღვევა (3, 58). აღნიშნული ავტორის მოსაზრებები წინააღმდეგობრივია. მტკიცებულებათა მოპოვებისას ფორმის მკაცრად დაცვის პოზიცია გამოსჭვივის ე. გერმანოზაშვილის პოზიციაშიც, როდესაც ის აფიქსირებს მოსაზრებას, რომ „მტკიცებულებათა ცნებიდან გამომდინარე ის მიღებული უნდა იქნეს მხოლოდ „კანონით დადგენილი წესით“, ე.ი. მკაცრად განსაზღვრული წესების დაცვით, როგორც სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ითვალისწინებს. საპროცესო სამართლის ამ ნორმას თეორიაში მტკიცებულებათა დასაშვებობას უწოდებენ, რადგან სისხლის სამართლის პროცესში მხოლოდ კანონით დადგენილი წესით მიღებული ინფორმაცია მიიჩნევა მტკიცებულებად“ (13, 1188).

მტკიცებულებათა მოპოვების პროცესში ცალკეული დარღვევები შესაძლებელია ატარებდეს უმნიშვნელო ხასიათს. მაგალითად კანონმდებლის დათქმა, რომ ექსჰუმაციის დროს დათვალიერების ან ამოცნობის ჩატარებისას ცალკე ოქმი არ დგება და ამ საგამოძიებო მოქმედების შინაარსი აღინიშნება ექსჰუმაციის ოქმში, თუ დაირღვა ეს ნორმა და ერთის ნაცვლად შედგა ორი ოქმი განა ეს არსებითი დარღვევაა და დაუშვებლად უნდა ვცნოთ

მიღებული ინფორმაცია? რა თქმა უნდა არა. ამით საეჭვო არ გამხდარა შედეგების უტყუარობა. თუ ყველა დანაწესიდან გადახვევა არსებითი დარღვევაა, მაშინ არაარსებითი დარღვევა რაღაა? ფორმის დაუცველობა არსებითი დარღვევა მხოლოდ მაშინ იქნება, თუ ის იწვევს სხვისი უფლებების დარღვევას ან/და დარღვევის გამო აჩენს დაუძლეველ ეჭვს მოპოვებული ინფორმაციის უტყუარობაზე. მაგ., დაუშვებელია საგამოძიებო მოქმედების ღამით ჩატარება, თუ არ არსებობს გადაუდებელი აუცილებლობა (16, 111). თუ გამოკითხვა 10 (ათი) საათის შემდეგ ჩატარდა გამოსაკითხი პირის ინფორმირებული თანხმობით, მიუხედავად კანონთან შეუსაბამობისა, ადგილი არ აქვს არსებით დარღვევას. ამით არც გამოსაკითხი პირის უფლებები ირღვევა და არც გამოკითხვის შედეგები ხდება საეჭვო. სისხლის სამართლის ერთ-ერთ საქმეზე, ბინიდან ამოღებული ხელყუმბარის დამაგრებისას ჩხრეკის ოქმში არ მიუთითებიათ ამოღებული ხელყუმბარის მონაცემები, ოქმი კი შედგენილი იქნა მოგვიანებით პოლიციის განყოფილებაში, მაგრამ ხელყუმბარა დაილუქა დაუყოვნებლივ, ამოღებისთანავე და ლუქზე ხელს აწერდა ბრალდებულიც (20). აღნიშნულ საქმეზე სასამართლოს განჩინებასთან დაკავშირებით სამართლიანად შენიშნავს ლალი ფაფიაშვილი, რომ დარღვევა ზოგჯერ შეიძლება არ ჩაითვალოს არსებით დარღვევად (6, 476-477). იმის გამო, რომ ამოღებული ნივთი დაილუქა სხვა დარღვევებმა ვერ წარმოშვა დაუძლეველი ეჭვი უტყუარობაზე. საგამოძიებო/საპროცესო მოქმედების ოქმი და საგამოძიებო მოქმედების ფარგლებში დამზადებული მასალა უნდა აქარწყლებდეს მოპოვებული მტკიცებულებების უტყუარობაზე იმ კითხვებს, რომლებიც გამოწვეულია ცალკეული დარღვევით. სხვაგვარად დარღვევა შეფასდება არსებითად.

აშშ-ის ფედერალური უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტლებაში საქმეზე: მირანდა არიზონას შტატის წინააღმდეგ არსებით დარღვევად მიჩნეულია მტკიცებულების მოპოვებისას დაცვის უფლების დარღვევა, როდესაც დაკავებულ პირს არ განემარტება მისი უფლებები (ე.წ. „მირანდას წესები“) და ისე ხდება მისგან მტკიცებულებითი მნიშვნელობის მქონე ინფორმაციის მიღება (21). ანალოგიურად აწესრიგებს საკითხს საქართველოს სსსკ-იც. დაკავებულისათვის უფლებების განმარტებამდე მის მიერ გაკეთებული ნებისმიერი განცხადება არის დაუშვებელი მტკიცებულება (16, 174.1).

კანონის არსებითი დარღვევის შედეგად მტკიცებულების მოპოვება იწვევს მის დაუშვებლად ცნობას მიუხედავად იმის ვინ მოიპოვა ის. დოქტრინაშიც და პრაქტიკულ საქმიანობაშიც მხედველობაში უნდა მივიღოთ მხარეთა ინტერესი. ბრალდების მხარის მიერ არსებითი დარღვევით გამამართლებელი მტკიცებულების მოპოვება დაცვის მხარისათვის არ უნდა იწვევდეს მის დაუშვებლად ცნობას. მოცემულ წესთან დაკავშირებით მიზანშეწონილია საკანონმდებლო მოწესრიგება, რომ მტკიცებულება არსებითი დარღვევით მოპოვების შემთხვევაშიც იყოს დასაშვები თუ კანონი დაარღვია ბრალდების მხარემ, მტკიცებულება კი არის დაცვის მხარისათვის სასარგებლო. იმ პირობით, რომ შეუძლებელი უნდა იყოს დაცვის მხარისათვის საგამოძიებო მოქმედების განმეორებით ჩატარება, თუ სამართლებრივად დაცვის მხარეს დამოუკიდებლად ან სასამართლოში შუამდგომლობით გააჩნდა მისი მოპოვების ფიზიკური და სამართლებრივი შესაძლებლობა. არსებითი დარღვევის შედეგია ამ გზით მოპოვებული მტკიცებულების საფუძველზე კანონიერად მოპოვებული სხვა

მტკიცებულების დაუშვებლობაც, როდესაც ის აუარესებს ბრალდებულის სამართლებრივ მდგომარეობას. (სსსკ 72-ე მუხლის პირველ ნაწილში უნდა მიეთითოს მსჯავრდებულიც და გამართლებულიც. მტკიცებულება შეიძლება მოპოვებული იქნეს მხარეების მიერ ზემდგომ ინსტანციებშიც საქმის წარმოების დროსა და ნორმის მოქმედი რედაქცია გააუარესებს გამართლებულის/მსჯავრდებულის სამართლებრივ მდგომარეობას).

ასეთი მოწესრიგება იურიდიულ ლიტერატურაში ცნობილია „მოწამლული ხის ნაყოფის" თეორიის სახელწოდებით (9, 69-70). ის უკავშირდება აშშ-ის ფედერალური უზენაესი სასამართლოს მოსამართლის ფელიქს ფრანკფურტერის სახელს (1,25, 300-301). აღნიშნულ თეორიასთან დაკავშირებით არსებობს გამონაკლისები, როდესაც შეიძლება ნაწარმოები მტკიცებულების დასაშვებად ცნობა, იმის მიუხედავად, რომ აუარესებს ბრალდებულის სამართლებრივ მდგომარეობას (1, 302-314). ერთ-ერთი მათგანია ე.წ. დამოუკიდებელი წყაროს გამონაკლისი (10,11,12, 313.888.558). ამ დროს პირველად და ნაწარმოებ მტკიცებულებას შორის არის ალტერნატიული მიზეზობრიობა, რამდენადაც ნაწარმოები მტკიცებულების მოპოვებას განაპირობებს სხვა კანონიერი მტკიცებულებაც, მეორისაგან დამოუკიდებლად. მაგ., ქურდობის ფაქტზე უკანონოდ მიღებული ჩვენებისა და სხვა წყაროს მეშვეობით კანონიერად მოპოვებული ვიდეო ჩანაწერების საფუძველზე განხორციელდა ჩხრეკა. ჩვენება არის უკანონო, მაგრამ ჩხრეკის შედეგები მაინც დასაშვებია. მხოლოდ ვიდეო მტკიცებულების საფუძველზეც შეიძლებოდა ჩხრეკის ჩატარება.

აშშ-ის იურიდიულ დოქტრინასა და პრაქტიკაში გამოიყენება ასევე მტკიცებულების გარდაუვალად აღმოჩენის (1,22, 305-307), გამოსწორებული ნაკლის (1,24, 308-309) და კეთილსინდისიერების გამონაკლისები (1,23, 309-311). მათი გამოყენება 72-ე მუხლის პირველი ნაწილის მოქმედი რედაქციის პირობებში შეუძლებელია. გამომძიებელი უკანონოდ მიღებული ჩვენების საფუძველზე გადაუდებელი აუცილებლობით ატარებს ჩხრეკას, მოპოვებული მტკიცებულება დაუშვებელია. იურიდიულ შედეგებს ვერ გამოასწორებს ის ფაქტი, რომ შემდეგ გარდაუვალად ჩატარდებოდა ჩხრეკა კანონიერ საფუძველზე. თუნდაც დადასტურდეს, რომ სხვა გამომძიებელს კანონიერად ქონდა მიღებული ოპერატიული ინფორმაცია და თვითონ ჩაატარებდა კანონიერად ჩხრეკას, უკვე ჩატარებული უკანონო მოქმედების შედეგები ვერ იქცევა კანონიერად. თუ ორივე გამომძიებელს ეცოდინებოდა ერთმანეთის ხელთ არსებული ინფორმაცია, მაშინ ამოღებული მტკიცებულების დასაშვებობა შეფასდება დამოუკიდებელი წყაროს გამონაკლისით. კრიტერიუმი, რითაც უნდა ვიხელმძღვანელოთ მტკიცებულების დასაშვებობის შეფასებისას არის დრო, როდესაც მოხდა მტკიცებულების მოპოვება. თუ საგამოძიებო/საპროცესო მოქმედება დაწყების მომენტში ემყარებოდა არსებითი დარღვევით მოპოვებულ მტკიცებულებას, მაშინ არავითარი მნიშვნელობა არ გააჩნია იმას მოგვიანებით ისედაც მოხდა თუ მოხდებოდა მისი კანონიერად მოპოვება. ქართულ რეალობაში უპერსპექტივოდ გამოიყურება ე.წ. გამოსწორებული ნაკლის გამონაკლისიც.

გ. თუმანიშვილი აშშ-ის სასამართლო პრაქტიკიდან განიხილავს შემთხვევებს, როდესაც გამოსწორებული ნაკლის ფარგლებში დაშვებულ იქნა მტკიცებულებები. ერთ-ერთ საქმეში უკანონო საგამოძიებო მოქმედებების შედეგად გამოვლინდა რამდენიმე მოწმე, რომლებმაც სასამართლოში ნებაყოფლობით მისცეს ჩვენებები. სასამართლომ მათი

ჩვენებები დასაშვებად ცნო გამოსწორებული ნაკლის გამონაკლისის ფარგლებში, იმ მოტივით, რომ ჩვენებები მიცემული იქნა ნებაყოფლობით (1, 309). არსებითია არა ჩვენების ნებაყოფლობითი ფაქტი, არამედ ის გარემოება, რომ მოწმეები გამოვლენილნი იყვნენ უკანონოდ მიღებული მტკიცებულებების საფუძველზე.

უპერსპექტივოა ქართულ სინამდვილეში ამერიკულ დოქტრინასა და პრაქტიკაში მიღებული „კეთილსინდისიერების" გამონაკლისიც, რომელსაც საფუძველი ჩაეყარა აშშ-ი 1984 წელს ე.წ. „ლეონის" საქმეზე მიღებული გადაწყვეტილებით (23). იგულისხმება მოსამართლის უკანონო განჩინებისას პოლიციელთა კეთილსინდისიერად მოქმედება ან პოლიციელთა მხრიდან საგამოძიებო მოქმედების ჩატარებისას პიროვნებაში შეცდომა. თუ მოსამართლემ გასცა თანხმობა საგამოძიებო მოქმედებაზე, რაც არ გასაჩივრებულა ზემდგომ ინსტანციაში მხარის მიერ ან გასაჩივრდა და არ დაკმაყოფილდა საჩივარი, მაშინ მოპოვებული მტკიცებულების კანონიერებაზე მსჯელობის საკითხი ისედაც ვერ დადგება დღის წესრიგში (16, 112.8). რაც შეეხება შემთხვევას, როდესაც სასამართლოს გაცემული აქვს ნებართვა ჩხრეკაზე კონკრეტულ ბინაში ან კონკრეტულ პირზე და პოლიციელი შეცდომით შედის სხვა ბინაში ან შეცდომით გაჩხრეკს სხვა პიროვნებას, მოპოვებული მტკიცებულების დაშვება მწვანე შუქის ფონს შეუქმნის სამართალდამცავებს და ქმნის საფრთხეს, რომ ბოროტად ისარგებლონ ამგვარი გამონაკლისით. შეცდომა ობიექტში რელევანტურია სისხლის სამართალში, მაგრამ არა სისხლის სამართლის პროცესში. ჩხრეკას გადაუდებელი აუცილებლობით თუ მის გარეშე განჩინებით, სჭირდება დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტი. შეცდომა მისამართში თუ პიროვნებაში ობიექტურად ვერ ქმნის დასაბუთებულ ვარაუდს იმისა, რომ არსებობს ჩხრეკის საფუძველი სხვა მისამართზე ან სხვა პიროვნების მიმართ.

„მოწამლული ხის ნაყოფის" შემთხვევასთან არ გვაქვს საქმე, როდესაც ინფორმაციის წყარო (მოწმე) არის ერთი და იგივე პირი. მოწმის მიერ გამოძიების სტადიაზე და სასამართლოში მიცემული ჩვენებები არ განიხილება პირველად და ნაწარმოებ მტკიცებულებებად. თუ არსებითი განხილვის ეტაპზე მოწმის დაკითხვისას გამოვლინდა, რომ გამოძიების სტადიაზე მისი გამოკითხვა მოხდა არსებითი დარღვევით, სასამართლოში მიცემული მისი ჩვენება განიხილება იურიდიული ძალის არმქონედ, როგორც კანონის დარღვევით მოპოვებული მტკიცებულება და არა როგორც უკანონო გზით მიღებული მტკიცებულების საფუძველზე მოპოვებული მტკიცებულება.

კვლევის შედეგები

კვლევის შედეგად დადასტურდა, რომ ქართულ და უცხოურ სამართალში არ არის ერთიანი პოზიცია მტკიცებულებათა მოპოვებისას კანონის არსებითი დარღვევის ცნების გარშემო.

ნაწილი ავტორებისა მტკიცებულებების მოპოვებისას მხარს უჭერენ საპროცესო ფორმის მკაცრად დაცვას, სხვები კი ემხრობიან მტკიცების თავისუფალ ფორმას. კვლევის საკითხზე მსჯელობისას ცალკეული ავტორები ზოგადად განმარტავენ არსებითი დარღვევის ცნებას. მტკიცებულების მოპოვებისას დარღვევის არსებითად შეფასების კრიტერიუმებში ზოგჯერ შეაქვთ მოპოვებული მტკიცებულების მნიშვნელობის საკითხი კონკრეტული საქმისათვის,

რასაც არა აქვს კავშირი მტკიცებულების მოპოვების წესთან. კვლევამ აჩვენა, რომ ქართული სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა ემთხვევა აშშ-ის დოქტრინასა და პრაქტიკაში დამკვიდრებულ ე.წ. „მოწამლული ხის ნაყოფის“ დოქტრინას. გამოვლინდა განსხვავებებიც ქართულ და ამერიკულ მართლმსაჯულებაში მოწამლული ხის ნაყოფის დოქტრინის გამონაკლის შემთხვევებთან. კვლევის შედეგად დადასტურდა, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ცალკე არ მსჯელობს მტკიცებულების დასაშვებობის საკითხზე და მას სხვა საკითხებთან ერთად განიხილავს სამართლიანი სასამართლოს უფლების ფარგლებში.

დასკვნა

- ქართული და უცხოური წყაროების (გადაწყვეტილებები, დოქტრინა, ნორმატიული მასალა) საერთო ანალიზის შედეგად შეგვიძლია გავაკეთოთ დასკვნა, რომ მტკიცებულების მოპოვებისას კანონის არსებით დარღვევას აქვს ადგილი, როდესაც საგამოძიებო/საპროცესო მოქმედებას ატარებს არაუფლებამოსილი პირი, როდესაც საგამოძიებო/საპროცესო მოქმედება ტარდება კანონიერი საფუძვლების არარსებობისას, ვადების დარღვევით ან იმ პირთა მონაწილების გარეშე, ვისი ჩართვაც საგამოძიებო/საპროცესო მოქმედებაში კანონით სავალდებულო იყო. კანონის არსებითი დარღვევაა, როდესაც საგამოძიებო/საპროცესო მოქმედების შედეგად თვითნებურად ირღვევა პროცესის მონაწილის ან/და მესამე პირის უფლებები. კანონის არსებით დარღვევას აქვს ადგილი, როდესაც საგამოძიებო/საპროცესო მოქმედების ჩატარებისას დაშვებული დარღვევები წარმოშობს დაუძლეველ ეჭვს მტკიცებულების უტყუარობაზე.
- თუ კანონი არსებითად დაარღვია ბრალდების მხარემ და მტკიცებულება ხელსაყრელია დაცვის მხარისათვის, მაშინ მიზანშეწონილია მისი დაშვება სისხლის სამართლის საქმეზე, როგორც დაცვის მხარის მტკიცებულება, თუ დაცვის მხარეს არ შეუძლია დამოუკიდებელი საგამოძიებო მოქმედებით ამ მტკიცებულების მოპოვება.
- დაუშვებელია არსებითი დარღვევით მოპოვებული მტკიცებულების საფუძველზე კანონიერად მოპოვებული სხვა მტკიცებულებაც, თუ ის აუარესებს ბრალდებულის სამართლებრივ მდგომარეობას. მტკიცებულებების მოპოვება შესაძლოა მოხდეს საქმის ზემდგომ ინსტანციებში წარმოების დროსაც, ამიტომ მიზანშეწონილია სსსკ-ის 72-ე მუხლის პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: არსებითი დარღვევით მოპოვებული მტკიცებულება და მის საფუძველზე კანონიერად მოპოვებული სხვა მტკიცებულება, თუ ის აუარესებს ბრალდებულის, მსჯავრდებულის ან გამართლებულის სამართლებრივ მდგომარეობას, დაუშვებელი მტკიცებულებაა და იურიდიული ძალა არ გააჩნია.
- გამონაკლისი მოწამლული ხის ნაყოფის დოქტრინასთან მიმართებაში სსსკ-ის 72-ე მუხლის პირველი ნაწილის პირობებში შესაძლებელია მხოლოდ ე.წ. მტკიცებულების მოპოვების ალტერნატიული წყაროს საგამონაკლისო შემთხვევაში. რაც შეეხება მტკიცებულების გარდაუვალად აღმოჩენის, გამოსწორებული ნაკლის და კეთილსინდისიერების გამონაკლისებს მათი გამოყენება წინააღმდეგობაში მოდის სსსკ-ის 72-ე მუხლის პირველი ნაწილის რეგულაციასთან და ლოგიკურადაც წინააღმდეგობრივი შინაარსის მატარებელნი არიან.

გამოყენებული ლიტერატურა

1. თუმანიშვილი გ. 2014. *სისხლის სამართლის პროცესი ზოგადი ნაწილის მიმოხილვა.* თბილისი. იურისტების სამყარო.
2. მიქელაძე გ. 2021. *კაზუსის ამოხსნის მეთოდიკა სისხლის საპროცესო სამართალში.* თბილისი. იურისტების სამყარო.
3. ნადარეიშვილი ი. 2019. *სამოხელეო დანაშაულის (სსკ-ის 332-333 მუხლები) მტკიცებულებათა სტანდარტის სამართლებრივი ანალიზი ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოსა და ქართულ მართლმსაჯულებაში.* თბილისი. კავკასიის უნივერსიტეტი.
4. ტრექსელი შ. 2010. *ადამიანის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში.* თბილისი. ილიას სახელმწიფო უნივერისტეტი.
5. ფაფიაშვილი ლ., თუმანიშვილი გ., კვაჭანტირაძე დ., ლიპარტელიანი ლ., დადეშქელიანი გ., გუნცაძე შ., მეზვრიშვილი ნ., თოლორაია ლ. 2015. *საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი.* თბილისი. მერიდიანი.
6. ფაფიაშვილი ლ., ივანიძე მ., აქუბარდია ი., თუმანიშვილი გ., მეურმიშვილი ბ., გოგნიაშვილი ნ. 2017. *საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო სამართალი კერძო ნაწილი.* თბილისი. მერიდიანი.
7. ხარაზიშვილი ბ. 1982. *მტკიცებითი სამართალი.* თბილისი. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.
8. ჩომახაშვილი ქ., თომაშვილი თ., ძებნიაური გ., ოსეფაშვილი ს., პატარიძე მ. 2016. *მტკიცებულებები სისხლის სამართლის პროცესში. თბილისი. ფონდი ღია საზოგადოება.*
9. ჩხეიძე ი. 2010. *მტკიცებულებათა დასაშვებობის პრობლემა სისხლის სამართლის პროცესში.* თბილისი. მერიდიანი.
10. Broun K. S.1992. *McCormick on Evidence. St Paul.*
11. Kamisar Y. La Fave W. Israel J. H. King N. Kerr O. S. 2008. *Basic Criminal Procedure.* West Academic Publishing.
12. Saltzburg S. A. Capra D. J. 2007. *American Criminal Procedure Cases and Commentary. St.Paul.*

პერიოდული გამოცემები

13. გერმანოზაშვილი ე. 2017. მტკიცებულების ცნება და ადგილი სისხლის სამართლის პროცესის სისტემაში და მათი შეფასება. *მართლმსაჯულება და კანონი.* 3(55)·17, 114-127.

სახელისუფლებო დოკუმენტები

14. საქართველო. საქართველოს პარლამენტი. 1995. კანონი. საქართველოს კონსტიტუცია. (786,24.08.1995). თბილისი: საქართველოს საკანონმდებლო მაცნე.
15. საქართველო. საქართველოს პარლამენტი. 1998. კანონი. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესი კოდექსი. (1251, 20.02.1998). თბილისი: საქართველოს საკანონმდებლო მაცნე.
16. საქართველო. საქართველოს პარლამენტი. 2009. კანონი. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესი კოდექსი. (1772, 09.10.2009). თბილისი: საქართველოს საკანონმდებლო მაცნე.
17. საქართველო. საქართველოს პარლამენტი. 2015. კანონი. არასრულწლოვანთა მართლ-მსაჯულების კოდექსი. (3708-IIს, 12.06.2015). თბილისი: საქართველოს საკანონმდებლო მაცნე.
18. საქართველო. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო. 2015. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება. საქართველოს მოქალაქე მაია რობაქიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ. (2/2/579, 31.07.2015). თბილისი: საქართველოს საკანონმდებლო მაცნე.
19. საქართველო. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო. 2020. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება. საქართველოს მოქალაქე გიორგი ქებურია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ. (2/2/1276, 25.12.2020). თბილისი: საქართველოს საკანონმდებლო მაცნე.

20. საქართველო. თბილისის სააპელაციო სასამართლო. 2012. განჩინება. N1/ბ-555-12 07/11/2012. თბილისი.
21. ამერიკის შეერთებული შტატები. აშშ-ს ფედერალური უზენაესი სასამართლო. 1966. გადაწყვეტილება. Ernest Arthur Miranda v. Arizona. (no.759, 13.06.1966).
22. ამერიკის შეერთებული შტატები. აშშ-ს ფედერალური უზენაესი სასამართლო. 1984. გადაწყვეტილება. Nix v. Williams. (no.82-1651, 11.06.1984).
23. ამერიკის შეერთებული შტატები. აშშ-ს ფედერალური უზენაესი სასამართლო. გადაწყვეტილება. United States v. Leon. (no.82-1771, 05.07.1984).
24. ამერიკის შეერთებული შტატები. აშშ-ს ფედერალური უზენაესი სასამართლო. გადაწყვეტილება. Wong Sun v. United States. (no.36., 14.01.1963).
25. ამერიკის შეერთებული შტატები. აშშ-ს ფედერალური უზენაესი სასამართლო. გადაწყვეტილება. Nardone v. United States. (no.240, 11.12.1939).
26. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო. გადაწყვეტილება. Bykov v. Russia. (no. 4378/02, 10.03. 2009).

Substantial Violation and its Consequences in Evidentiary Law

George Mikeladze
Grigol Robakidze University, PhD student
Miqeladze-miqeladzee@mail.ru

Abstract. The article concerns to the issue of admissibility of evidence in criminal proceedings. In particular, the concept of substantial violation of the law and its importance in the criminal justice process. The criteria are defined in which case there is a substantial violation of the law. The article analyzes the doctrine of the United States of America and the decisions of the Federal Supreme Court on the issues of admissibility of evidence using the method of comparative law. The article expresses and substantiates the opinion that a substantial violation of the law occurs when the investigative action is carried out by an unauthorized person, when the investigative action is conducted in violation of the deadline set by the law, when the investigative action is conducted without the grounds defined by the law, when the persons specified by the law do not participate in the investigative action. Cases where the law breaking violates a person's rights or creates insurmountable doubts about the veracity of evidence are considered substantial violations. The issue is important from both a theoretical and a practical point of view. Due to the fact that we are limited by the format of the article, it deals only with the comparative analysis of Georgian and American law about the mentioned issue.

Key words: evidence, admissibility of evidence, sSubstantial violation, the doctrine of the fruit of the poisonous tree, criteria for substantial violation, exceptions to the doctrine of the fruit of the poisonous tree

მასრების გამოკვლევის შედეგების მნიშვნელობა და იდენტიფიკაციისას გასათვალისწინებელი ნეგატიური ფაქტორები

გიორგი ძინძიბაძე
გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი, დოქტორანტი
giorgi.dzindzibadze20@gruni.edu.ge

რეზიუმე. სტატის მიზანია ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლილი მასრების ერთმანეთთან შედარების პროცესის წარმოჩენა, იდენტიფიკაციის შედეგების ღირებულებითი მნიშვნელობის განსაზღვრა და იმ პრობლემების განხილვა, რომლებიც წარმოიშობა იდენტიფიკაციისას. ეს ყოველივე საკმაოდ რთული პროცესია. მასრების შედარებისას, თავდაპირველად უნდა გადაწყდეს ზოგადი ნიშნების დამთხვევის ან არდამთხვევის საკითხი. ზოგადი ნიშნების დამთხვევის შემთხვევაში გაგრძელდება გამოკვლევა ინდივიდუალური ნიშნების მიხედვით, ხოლო ზოგადი ნიშნების არდამთხვევის შემთხვევაში, გამოკვლევა ამ კუთხით შეწყდება. გამოკვლევის შედეგად, ექსპერტმა უნდა გამოიტანოს დასკვნა დამთხვევის, არდამთხვევის ან იდენტიფიკაციის შეუძლებლობის შესახებ. ექსპერტის დასკვნა კატეგორიულია და მას მხედველობაში იღებს როგორც გამოძიება, ასევე სასამართლო. იდენტიფიკაციის პროცესი რთულია, ვინაიდან შედარებისას გასათვალისწინებელია იარაღის ხანგრძლივი ექსპლუატაცია, რაც აისახება კვალწარმომქმნელ დეტალებზე; მასრების დამზადებისას გამოყენებული სხვადასხვა ლითონი; მასრაზე არსებული გასროლამდე და გასროლის შემდეგ წარმოქმნილი დამატებითი კვლები, რომლებიც არ არის იარაღის, საიდანაც მოხდა ვაზნის გასროლა; გასროლისას, ვაზნაში მოთავსებული ჭურვის ფორმა და ზომა. შესაბამისად, ასეთი გამოკვლევის ჩატარება საკმაოდ რთულია, მოითხოვს დროს და შესაბამის კვალიფიკაციას.

საძიებო სიტყვები: მასრა, იდენტიფიკაცია, ზოგადი ნიშნები, ინდივიდუალური ნიშნები, საბრძოლო მასალა, ჭურვი

1. შესავალი

სხვადასხვა სახის დანაშაულთა გამოძიების პროცესში, ყოველთვის ხდება გარკვეულ კვალთა გამოკვლევა და იდენტიფიცირება, თუ ეს შესაძლებელია, ვინაიდან, ეს უკანასკნელი, გამოძიებისათვის ინფორმაციის ერთ-ერთ მთავარ წყაროს წარმოადგენს. ეს განსაკუთრებით ითქმის სასამართლო ბალისტიკის საკვლევ ობიექტებზე, როგორიცაა ცეცხლსასროლი იარაღი და მისთვის განკუთვნილი საბრძოლო მასალა, იარაღიდან გასროლილი ტყვიები და მასრები, ასევე, შემთხვევის ადგილის რეკონსტრუქცია, სადაც მოხდა გასროლა, თუ რამდენადაა შესაძლებელი მსროლელის სავარაუდო ადგილმდებარეობის განსაზღვრა და ჭურვის მოძრაობის ტრაექტორიის დადგენა.

ცეცხლსასროლი იარაღის მტკიცებულებებს განსაკუთრებული როლი ენიჭება გამოძიებისათვის, ამიტომ ასეთი ობიექტები შემთხვევის ადგილზე განსაკუთრებული

სიფრთხილით უნდა იქნეს შეგროვებული, სათანადოდ დაცული და დოკუმენტირებული (9, 184).

წინამდებარე ნაშრომის მიზანია ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლილი მასრების ერთმანეთთან შედარების პროცესის წარმოჩენა, იდენტიფიკაციის შედეგების ღირებულებითი მნიშვნელობის განსაზღვრა და იმ პრობლემების განხილვა, რომლებიც წარმოიშობა იდენტიფიკაციისას. ეს ყოველივე საკმაოდ რთული პროცესია. მასრების შედარებისას, თავდაპირველად უნდა გადაწყდეს ზოგადი ნიშნების დამთხვევის ან არდამთხვევის საკითხი. ზოგადი ნიშნების დამთხვევის შემთხვევაში გაგრძელდება გამოკვლევა ინდივიდუალური ნიშნების მიხედვით, ხოლო ზოგადი ნიშნების არდამთხვევის შემთხვევაში, გამოკვლევა ამ კუთხით შეწყდება. გამოკვლევის შედეგად, ექსპერტმა უნდა გამოიტანოს დასკვნა დამთხვევის, არდამთხვევის ან იდენტიფიკაციის შეუძლებლობის შესახებ. ექსპერტის დასკვნა კატეგორიულია და მას მხედველობაში იღებს როგორც გამოძიება, ასევე სასამართლო. იდენტიფიკაციის პროცესი რთულია, ვინაიდან შედარებისას გასათვალისწინებელია იარაღის ხანგრძლივი ექსპლუატაცია, რაც აისახება კვალწარმომქმნელ დეტალებზე; მასრების დამზადებისას გამოყენებული სხვადასხვა ლითონი; მასრაზე არსებული გასროლამდე და გასროლის შემდეგ წარმოქმნილი დამატებითი კვლები, რომლებიც არ არის იარაღის, საიდანაც მოხდა ვაზნის გასროლა; გასროლისას, ვაზნაში მოთავსებული ჭურვის ფორმა და ზომა. შესაბამისად, ასეთი გამოკვლევის ჩატარება საკმაოდ რთულია, მოითხოვს დროს და შესაბამის კვალიფიკაციას.

თემის აქტუალობას განსაზღვრავს, პირველ რიგში, იმ დანაშაულების გაზრდილი რაოდენობა, რომლებიც ჩადენილია ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებით და ბუნებრივია, ექსპერტიზის როლის გაზრდა გამოძიების პრობლემების გადასაჭრელად. ასევე, საყურადღებოა ტექნოლოგიური განვითარების როლი ამ მიმართულებით, მუდმივად განახლებადი პროდუქცია, ახალი საწარმოების შექმნა და მათ მიერ სხვადასხვა ტექნოლოგიების გამოყენება ცეცხლსასროლი იარაღისა და ვაზნების დამზადებისას, რაც კიდევ უფრო ართულებს შედარების პროცესს.

2. მასრების მეთოდოლოგიური გამოკვლევა და იდენტიფიკაციის შედეგების მნიშვნელობა

2.1. მასრა, როგორც სასამართლო ბალისტიკური კვლევის ობიექტი

სასამართლო ბალისტიკა წარმოადგენს კრიმინალისტიკური მეცნიერების შემადგენელ ნაწილს, ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებით ჩადენილი მოქმედებების, ფაქტიური მონაცემების გამოსავლენად. სასამართლო ბალისტიკა სწავლობს: ცეცხლსასროლ იარაღს, გასროლის შედეგად მომხდარ მოვლენებს, კვლებს გამოსახულს ტყვიებზე, მასრებზე, დაზიანებულ წინაღობას, საბრძოლო მასალას და მის კომპონენტებს (2, 4).

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში არაერთი მუხლი აქვს მიძღვნილი ცეცხლსასროლ იარაღსა და მისი გამოყენებით ჩადენილ დანაშაულებს.

ეს დანაშაულები განსაკუთრებით საზიანოა, როდესაც ჩადენილია დამნაშავეთა ორგანიზებული სტრუქტურების მიერ. იარაღს იყენებენ განსაკუთრებით მძიმე დანაშაულებებში, როგორებიცაა: მკვლელობა, ყაჩაღობა და სხვ. ასევე, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ „ცეცხლსასროლი იარაღის მტკიცებულებები შეიძლება არა მხოლოდ მნიშვნელოვანი აღმოჩნდეს საქმის გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნისთვის, არამედ არის ინდიკატორიც დანაშაულის სერიოზულობის შესახებ“ (12, 42).

ზემოთ ხსენებული დანაშაულის გამოძიებისათვის საჭიროა ცოდნა იმისა, თუ რას მოიცავს კრიმინალისტიკური ტექნიკა, რომელიც სათაურდება სასამართლო ბალისტიკით, ცოდნა იმისა, თუ რა შესაძლებლობები გააჩნია სასამართლო ბალისტიკურ ექსპერტიზას დანაშაულის გამოძიებისა და გახსნისათვის მნიშვნელოვანი საკითხების გადასაწყვეტად.

ამ ობიექტების და მოვლენების შესასწავლად გამოიყენება ტექნიკური ხასიათის მეცნიერების მიღწევები, პირველ რიგში, ასეთია სამხედრო-ტექნიკური მეცნიერება, როგორც ბალისტიკა, ასევე კრიმინალისტიკური კვლევისთვის სპეციალურად შემუშავებული მეთოდები. დღესდღეობით, სასამართლო ბალისტიკაში ფართოდ გამოიყენება თანამედროვე, როგორც ფიზიკური, ასევე ქიმიური და ციფრული კვლევის მეთოდები.

სასამართლო ბალისტიკის წარმოშობა დაკავშირებულია ცეცხლსასროლი იარაღის გამოგონებასა და მის გამოყენებასთან არა როგორც სამხედრო და სანადირო მიზნებისთვის, არამედ მის გამოყენებასთან, როგორც დანაშაულის ჩადენის იარაღი. როგორც ერთ-ერთ სახელმძღვანელოშია აღნიშნული, თავდაპირველად სასამართლო ბალისტიკა სასამართლო მედიცინასთან ერთად ყალიბდებოდა და იგი ადამიანის სხეულზე მიყენებულ ცეცხლსასროლ დაზიანებებს შეისწავლიდა (22, 171). დროთა განმავლობაში სასამართლო ბალისტიკის კვლევის არე გაფართოვდა, ადამიანის სხეულზე ცეცხლსასროლი იარაღით მიყენებული დაზიანებების გარდა აუცილებელი გახდა ცეცხლსასროლი იარაღის და საბრძოლო მასალის გამოკვლევა და იარაღის საიდენტიფიკაციო კვლევა. შესაბამისად, სასამართლო ბალისტიკის მიერ გადასაწყვეტი საკითხები გაფართოვდა და სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის კომპეტენციას გასცდა. აღნიშნულმა პირობებმა ბალისტიკის ცალკე სფეროდ ჩამოყალიბება გამოიწვია და იგი სასამართლო მედიცინას გამოეყო.

წინამდებარე ნაშრომში საუბარი გვექნება საიდენტიფიკაციო საკითხებზე ბალისტიკაში, კერძოდ კი, მასრაზე არსებული კვლების მიხედვით იარაღის იდენტიფიკაციაზე და მის როლზე დანაშაულის გამოძიებისათვის. ბალისტიკური კვლევის საბოლოო შედეგი საექსპერტო დასკვნაა, რომელიც საქმის გამოძიებისა და სასამართლოში განხილვის დროს გარკვეულ მტკიცებულებას წარმოადგენს.

საგანგაშოა ექსპერტიზის ჩატარებისას კვლევის მეთოდების თანმიმდევრობის დაუცველობა. ბალისტიკური ექსპერტიზის წილი საერთო ჯამში გამოძიებისათვის მნიშვნელოვანია, ექსპერტიზები სპეციფიურია, რთულია და საჭიროებს ყურადღებას (1, 5). განსაკუთრებით მაშინ, როდესაც საქმე ეხება საიდენტიფიკაციო საკითხებს, კერძოდ, მასრების ერთმანეთთან ან/და იარაღიდან მიღებულ ექსპერიმენტულ მასრებთან იდენტიფიცირებას. მძიმე

დანაშაულთა უდიდესი ნაწილი ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებითაა ჩადენილი, ხოლო უმეტეს საქმეზე ცეცხლსასროლი იარაღი, რომლითაც ჩადენილია დანაშაული, ამოღებული არაა შემთხვევის ადგილიდან, შესაბამისად, ამ საქმეებზე წარმოდგენილი მასრების ერთმანეთთან და სხვა საქმეებიდან ამოღებული იარაღებიდან მიღებულ ექსპერიმენტულ მასრებთან შედარება, ხშირ შემთხვევაში, სხვადასხვა სისხლის სამართლის საქმეების გახსნისა თუ გაერთიანების საფუძველია.

წინამდებარე ნაშრომში ყურადღება იქნება გამახვილებული ხელის ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლილ მასრებზე, როგორც სასამართლო-ბალისტიკური კვლევის ობიექტებზე, მასრა კი, თავის მხრივ, ვაზნის შემადგენელი კომპონენტია.

კრიმინალისტიკური თვალსაზრისით, თანამედროვე ხელის ცეცხლსასროლი იარაღისა-თვის განკუთვნილი ვაზნები შეიძლება დაიყოს შემდეგნაირად: გლუვლულიანი იარაღისათვის განკუთვნილი ვაზნები, ხრახნლულიანი იარაღისათვის განკუთვნილი ვაზნები და ნომინალური კალიბრის ვაზნები. დღესდღეობით, ძირითადად, გამოიყენება უნიტარული ვაზნები (1, 57), მათი მასრები და კაფსულები კი დამზადებულია სხვადასხვა საწარმოში, სხვადასხვა ლითონით, რაც, გარკვეულწილად ართულებს მასრების იდენტიფიკაციას, ვინაიდან სხვადასხვა ლითონზე იარაღის ინდივიდუალური კვლები, მეტნაკლებად, განსხვავებულად აისახება.

2.2. მასრის კვლევის მეთოდოლოგია და მისი მტკიცებულებითი ღირებულება

იდენტიფიკაციის პრობლემა, უპირველეს ყოვლისა, მოიცავს მონაცემების დაკვირვებას და აღქმას, ასევე მონაცემთა სათანადო შეფასებას. ექსპერტს უნდა შეეძლოს არა მხოლოდ შესაბამისი მონაცემების იდენტიფიცირება, არამედ ამ მონაცემების გაანალიზება და შესაბამისი შედეგების ასახვა. იდენტიფიკაციის პროცესი არის მსგავსებისა და განსხვავე-ბების განსაზღვრა. დადგინდა, რომ არსებობს განსხვავება კონკრეტული ცეცხლსასროლი იარაღის მიერ დატოვებულ კვლებში და არის მსგავსება სხვადასხვა ცეცხლსასროლი იარაღის მიერ დატოვებულ კვლებში, ამიტომ ექსპერტმა შედარებისას ორივე ასპექტი უნდა გამოავლინოს და გაითვალისწინოს (11, 102).

მასრების კვლევისას, ექსპერტმა შეძლებისდაგვარად უნდა განსაზღვროს იარაღის მოდელი და მასრაზე არსებული იარაღის ნაწილების კვლევების მიხედვით დაადგინოს ცეცხლ-სასროლი იარაღის კონკრეტულ მოდელთან მსგავსება, ვინაიდან, ხშირ შემთხვევაში, ერთი და იგივე ნიმუშის ვაზნების გამოყენება შესაძლებელია სხვადასხვა სისტემისა და მოდელის იარაღში, ასევე, თვითნაკეთი წესით დამზადებულ ცეცხლსასროლ იარაღებსა და სასროლ მოწყობილობებში.

იარაღის მოდელის განსაზღვრა, რომელშიც მასრა იყო გასროლილი, ისეთი შემთხვევაა, როდესაც დგინდება მისი ჯგუფური კუთვნილება და წარმოადგენს მნიშვნელოვან ეტაპს მისი კონკრეტული ეგზემპლიარის იარაღთან გაიგივებისათვის. იარაღის მოდელის განსაზღვრისათვის აუცილებელია დადგინდეს იარაღის ჯგუფური ნიშნების კომპლექსი, რომელშიც გასროლილი იყო მასრა და მონაცემები შედარდეს სხვადასხვა მოდელის

იარაღის შესაბამის საცნობარო მონაცემებს. იარაღის ჯგუფური ნიშნები, რომლებიც მასრის მიხედვით იარაღის მოდელის დადგენისათვის გამოიყენება, არის გამოყენებული ვაზნის ტიპი – ნიშანი დამახასიათებელი რამდენიმე მოდელის იარაღისათვის, განთავსებული და ურთიერთგანლაგებული იარაღის კვალწარმომქმნელი დეტალების კონკრეტული ფორმა, ზომა (ნემსის, ამრეკლის და ამომგდების, ასევე არსებული სასიგნალო წკირის), იარაღის მექანიზმის ფუნქციონირების თავისებურებანი, მიმართული მასრაზე არსებული დამახასიათებელი კვლების გამოხატულებაზე ან სპეციფიური მექანიზმის კვალწარმოქმნაზე. მასრაზე არსებული კვლების მიხედვით იარაღის მოდელის განსაზღვრისას გამოვლენილი იარაღის ნიშნები აუცილებლად უნდა შეფასდეს ერთობლიობაში (1, 72).

მასრების იდენტიფიკაცია უნდა წარიმართოს ზოგადი და კერძო (ინდივიდუალური) ნიშნების კომბინაციით (8, 109-116). ზოგად ნიშნებში მოიაზრება მასრის დიამეტრი, კალიბრი, ნემსის ზომა, მდებარეობა და ა.შ., ხოლო კერძო (ინდივიდუალური) ნიშნები არის მიკრორელიეფი, გამოსახული ზოგად ნიშნებში (16, 196). იდენტიფიცირების თეორიის თანახმად, სტანდარტიზაციის ფარგლებში, ექსპერტი აყალიბებს დასკვნას ობიექტური დაკვირვებებისა და გამოკვლევების საფუძველზე ზოგადი და კერძო (ინდივიდუალური) ნიშნების დამთხვევის ან აცდენის შესახებ. გამოიყოფა კვლევის შედეგის რამდენიმე ვარიანტი: ზოგადი და კერძო ნიშნების კომბინაციის იდენტურობა, როდესაც დამთხვევების რაოდენობა აღემატება ცდომილებებს; ზოგადი და კერძო ნიშნების გარკვეული, მაგრამ იდენტიფიკაციისათვის არასაკმარისი რაოდენობით დამთხვევა; ზოგადი ნიშნების იდენტურობა და კერძო ნიშნების არაიდენტურობა ან არასაკმარისობა; ზოგადი და კერძო ნიშნების არაიდენტურობა; ობიექტების გამოსაკვლევად უვარგისობა. ეს ყოველივე დაფუძნებულია სამეცნიერო პრინციპებზე და ეყრდნობა ექსპერტის ცოდნასა და გამოცდილებას (15, 11-12).

მასრების იდენტიფიცირებისას ექსპერტმა ერთმანეთისაგან უნდა გამოჰყოს ზოგადი და კერძო (ინდივიდუალური) ნიშნები. ზოგადი ნიშნებია: დამუხტვის კვლები, გასროლის კვლები, მასრის ამოგდების დროს წარმოქმნილი კვლები. აღნიშნული კვლები უნდა იყოს მდგრადი, რაც იმას გულისხმობს, რომ კვალი უცვლელია დიდ ხნის განმავლობაში და გადმოსცემს ობიექტის თვისებებს კვალწარმოქმნის მომენტში (24, 1-2). კერძო (ინდივიდუალური) ნიშნები მხოლოდ კონკრეტული იარაღისათვის დამახასიათებელი ნიშნებია და გამოისახება ზოგად ნიშნებში მიკრორელიეფის სახით.

იარაღის შედარებით მტკიცე მასალისაგან დამზადებული დეტალები გავლენას ახდენს მასრის შედარებით რბილ მეტალზე, მაგალითად, ნემსის კვალი კაფსულზე, მიბჯენის კვალი კაფსულსა და მასრის ძირზე, ამომწევის ან ამომგდების კვალი და სხვა, რაც შესაძლებელს ხდის მასრის იდენტიფიკაციას ინდივიდუალური ნიშნების საფუძველზე (17, 176). აღნიშნული მიკრორელიეფი შესაძლებელია განვითარებული იყოს ასევე ინსტრუმენტის დეფექტით, რომლითაც მზადდება იარაღის დეტალი (3, 36).

გასროლისას, ვაზნის კორპუსში წარმოქმნილი მაღალი წნევის აირი ზემოქმედებს იარაღის ნემსზე, მასრის ძირსა და კორპუსზე, რაც ხელს უწყობს ინდივიდუალური ნიშნების წარმოქმნას. ეს კვლები შეიძლება იყოს როგორც კლასობრივი, ასევე ინდიავიდუალური.

მასრის კორპუსის გამოკვლევამ შეიძლება გამოავლინოს კლასის მახასიათებლები, რაც საშუალებას იძლევა იარაღის იდენტიფიკაციას ტიპის, მარკისა და მოდელის მიხედვით, ხოლო ინდივიდუალური ნიშნების საფუძველზე შესაძლებელია მისი კონკრეტულ იარაღთან გაიგივების საკითხის გადაწყვეტა. იარაღთან გასაიგივებლად, აუცილებელია ექსპერიმენტული მასრების მიღება. ამ პროცესში მნიშვნელოვანია, გამოყენებული იქნეს იგივე მწარმოებლის საბრძოლო მასალა და ექსპერიმენტები არაერთხელ წარიმართოს (18, 35-36).

მაშასადამე, ბალისტიკური ექსპერტიზის კვლევის შედეგად უნდა დადგინდეს მასრაზე არსებული კვლების მდგრადი ინდივიდუალური ნიშნების ერთობლიობის შესაბამისობა სხვა მასრასთან, ან იარაღის კვლების მდგრადი ინდივიდუალური ნიშნების ერთობლიობასთან. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ როდესაც საკვლევად წარმოდგენილია მასრა და იარაღი, მასრის იარაღთან, როგორც ორიგინალთან შედარება არ ხდება.

როდესაც მატერიალური მტკიცებულების თვისებების პირდაპირი შესწავლა შეუძლებელია, ამ შემთხვევაში შედარება ხორციელდება ობიექტიდან მიღებულ ექსპერიმენტულ ნიმუშებთან. მაგალითად, მასრის იდენტიფიკაციისას ცეცხლსასროლ იარაღთან პირდაპირ არ ხდება მასრის კვლების შედარება იარაღის დეტალებთან, არამედ – იარაღიდან მიღებულ ექსპერიმენტულ მასრასთან (23, 93). აქვე, უნდა აღვნიშნოთ, რომ ასეთ შემთხვევებში, სასურველია, ექსპერიმენტული მასრების მიღებისას გამოყენებული იქნეს იგივე მწარმოებლის და მასალის მასრები, რაც ამოღებულია შემთხვევის ადგილიდან (19, 339), ამით ექსპერტს გაუადვილდება შემდგომი საიდენტიფიკაციო კვლევა.

ექსპერტმა, აუცილებელია, იდენტიფიკაციისას ყურადღება მიაქციოს ყველა ნიშანს გამოსახულს მასრაზე. ეს შეიძლება იყოს სავაზნის დეფექტით გამოწვეული კვლები. დენთის აფეთქებისას წარმოქმნილი წნევის შედეგად, ხდება მასრის გაფართოება, რა დროსაც შესაძლებელია ამ დეფექტის მასრაზე ასახვა, ეს შეიძლება აისახოს გაბერვის სახითაც და მასში შესაძლებელია ინდივიდუალური ნიშნების მოძიებაც (13, 20).

იდენტიფიკაცია ემყარება იმ ფაქტს, რომ თვითონ დანადგარიც, რომელზეც მზადდება იარაღის დეტალები, ცვდება და იცვლის ფორმას, შესაბამისად, იარაღის ამ დეტალების მიერ მასრაზე დატოვებული კვლებიც მიკროსკოპულად განსხვავებულია, ასე რომ, ყველა დეტალს, მიუხედავად მათი პარამეტრების მსგავსებისა, გააჩნია ინდივიდუალობა, რაც, ზოგ შემთხვევაში, შეუიარაღებელი თვალითაც ჩანს (7, 104-105).

როგორც ვხედავთ, მასრების იდენტიფიკაცია საკმაოდ რთულ პროცედურებს მოითხოვს, რაც, თავის მხრივ, დამოკიდებულია ექსპერტის ცოდნასა და გამოცდლებაზე. თანამედროვე ციფრული ტექნოლოგიების განვითარებამ ექსპერტებს გაუადვილა მასრების სავარაუდო საძიებო ჯგუფის დადგენა. ავტომატური ბალისტიკური საძიებო პროგრამები იძლევიან პასუხს საძიებო მასრის მსგავს ობიექტებთან დაკავშირებით, რასაც, საბოლოოდ, ამოწმებს ექსპერტი.

მაშასადამე, მასრების იდენტიფიცირების საფუძველია მასრების ძირსა და მთელს კორპუსზე არსებული ზოგადი და კერძო (ინდივიდუალური) ნიშნების მიხედვით მსგავსებებისა და განსხვავებების დადგენა. შედარებითი კვლევის შედეგების შეფასებისას

დგინდება დამთხვეული და არდამთხვეული ნიშნების საკმარისობა, ხდება მათი შეფასება საიდენტიფიკაციო მნიშვნელობისა და მდგრადობის გათვალისწინებით.

დასკვნა იარაღის იდენტურობის არარსებობის შესახებ კეთდება საერთო და კერძო ნიშნების განსხვავებისას ან საერთო ნიშნების დამთხვევისას, მაგრამ კვლებში გამოხატული კერძო ნიშნების ინდივიდუალური ერთობლიობის განსხვავებისას; დასკვნა გაიგივებაზე კეთდება კვლებში მდგრადად გამოხატული საერთო და კერძო ნიშნების (რომლებიც შეადგენენ ინდივიდუალურ და განუმეორებელ ერთობლიობას) დამთხვევისას. მასრებზე არსებული კვლებით იარაღის იდენტიფიკაციისას აუცილებელია გვახსოვდეს, რომ იარაღის ცალკეული ნაწილების (საცემელი, ამრეკლი, ამომგდები, მჭიდის ტუჩი და ა.შ.) კვლებით ხდება იდენტიფიცირება არა მთლიანად იარაღის, არამედ კონკრეტული დეტალის (საცემელი, ამრეკლი, ამომგდები, მჭიდის ტუჩი და ა.შ.), ამიტომ უნდა ჩამოყალიბდეს დასკვნა იდენტიფიკაციის არსებობაზე და განსაკუთრებით მის არარსებობაზე იარაღის რამდენიმე დეტალის კვლების შედარების საფუძველზე, მათი შესაძლო ცვლილებების გათვალისწინებით. დასმული საკითხის გადაჭრის შეუძლებლობაზე დასკვნა კეთდება იმ შემთხვევებში, როცა გამოსაკვლევი ობიექტის კვლებში მიკრორელიეფის დეტალები გამოხატულია სუსტად, მცირერიცხოვანია, არ ქმნიან იდივიდუალურ კომპლექსს ან გამოხატულია არამდგრადად და იგივე ხასიათი აქვს ექსპერიმენტულ ნიმუშებზე არსებულ კვლებს. ასეთივე დასკვნა კეთდება მაშინ, როცა შესადარებელ ობიექტებს შორის არის როგორც დამთხვევა, ასევე განსხვავება და კვლევის პროცესში მათი წარმოქმნის მიზეზების შეფასება ვერ ხერხდება (1, 76-77).

არ უნდა დავივიწყოთ, რომ შედარება ეს არის ძალზე რთული პროცესი. თავდაპირველად უნდა მოხდეს საერთო ნიშნების შეთავსება, რომლებიც ასახავენ იარაღის კონსტრუქციულ მოწყობას; საერთო ნიშნების შეთავსება, შესაბამისი (შესათავსებელი) კვლების დადგენა გამოსაკვლევ და ექსპერიმენტულ მასრებზე, ხოლო ამის შემდეგ იწყება კერძო (ინდივიდუალური) ნიშნების შედარების რთული პროცესი ზოგად ნიშნებში არსებული მიკრორელიეფის მიხედვით. მხოლოდ ამ რთული პროცესის გავლის შემდეგ მიდის ექსპერტი კონკრეტულ გადაწყვეტილებამდე და აყალიბებს დასკვნას დამთხვევის, არდამთხვევის ან საკითხის გადაწყვეტის შეუძლებლობის შესახებ. უნდა აღინიშნოს, რომ დასაბუთებული დასკვნა, რომელიც სასამართლოში გამოყენებული უნდა იქნეს, როგორც მტკიცებულება, უნდა ემყარებოდეს მხოლოდ მასრაზე არსებული იარაღის ნაწილების კვლების მდგრადი ინდივიდუალური ნიშნების ერთობლიობის შესაბამისობის დადგენას სხვა მასრასთან ან წარმოდგენილი იარაღის დეტალების კვლების მდგრად ინდივიდუალურ ნიშნების ერთობლიობასთან.

3. მასრების იდენტიფიკაციისას გასათვალისწინებელი ფაქტორები

მასრებზე არსებული ნიშნების მიხედვით ცეცხლსასროლი იარაღის იდენტიფიკაციისას, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ იდენტიფიცირებად ობიექტად ითვლება მთლიანი ცეცხლსასროლი იარაღი და არა მისი ცალკეული კვალწარმომქმნელი დეტალი. თუ კვალი

წარმოიქმნება მარტივად ცვლადი დეტალით (ნემსი, მჭიდი და ა.შ.), ამ შემთხვევაში, ამ ნაწილის იდენტიფიკაციაზე უნდა ვისაუბროთ. იდენტიფიკაციისას უნდა გამოიკვეთოს ზოგადი ნიშნები, როგორიცაა: ნემსის ფორმა და ზომა, ამრეკლისა და ამომგდების ჩამჭიდის ფორმა და ზომა, მათი მდებარეობა, მოძრავი ლულის შემთხვევაში, ნემსის გაცურების კვალის არსებობა, ხოლო ინდივიდუალურ მახასიათებლებს განეკუთვნება ზოგად ნიშნებში არსებული მიკრორელიეფის თავისებურება.

მიუხედავად იმისა, რომ ცეცხლსასროლი იარაღის წარმოების პროცესი მკაცრად კონტროლირებადი და ზუსტია, თითოეული ნიმუში მაინც ინდივიდუალურია და შესაბამისად, მასრაზე ტოვებს ინდივიდუალური კვლების კომპლექსს, რაც შესაძლებელს ხდის მის იდენტიფიცირებას. ინდივიდუალური ნიშნების არსებობა აიხსნება შემდეგით: წარმოების პროცესში წარმოქმნილი (ტექნოლოგიურ ციკლში დეტალების დამუშავებისას), დამამზადებელი ხელსაწყოების ცვეთა. მასრაზე ინდივიდუალური ნიშნების წარმოქმნაზე ზეგავლენას ახდენს მასრის მასალის სიმტკიცე, გასროლისას წარმოქმნილი წნევის ოდენობა, იარაღის ნაწილების დაზიანება-გაუმართაობა, ცვეთა. სასამართლო ბალისტიკაში ამ მოვლენას ცვალებადობა ჰქვია და გასათვალისწინებელია საიდენტიფიკაციო კვლევის პროცესში (21, 25). ასევე, გასათვალისწინებელია, რომ საბრძოლო მასალის დამზადებაც მრავალ ეტაპს გადის. ლითონის ლღობა-ფორმირება, ჩამოსხმა, ცივი ჭირხვნა, ფორმის მიცემა, მარკირება და სხვა, რაც მეტად რთული პროცესია (6, 1). აღნიშნულ პროცესში მასრაზე რჩება დამამზადებელი დანადგარების კვლები, რომლებიც ერთგვარ ხელისშემშლელ ფაქტორს წარმოადგენს ექსპერტისათვის, შესაბამისად, იდენტიფიკაციისას, თავიდანვე უნდა განისაზღვროს, თუ რომელი კვალია მასრაზე დატოვებული დამზადების პროცესში და რომელი კვალი წარმოადგენს საიდენტიფიკაციო – იარაღის მიერ დატოვებულ კვალს.

მასრების იდენტიფიკაცია ეყრდნობა ცეცხლსასროლი იარაღის მიერ მასრის ზედაპირზე დატოვებულ კვლების აღმოჩენასა და გამოკვლევას, შესაბამისობებისა და განსხვავებების დადგენას. ამ ნიშნების იდენტიფიცირების ტრადიციული მეთოდები ეფუძნება მიკროსკოპულ შედარებას. მასრაზე არსებული კვლების ირიბი განათების შედეგად წარმოქმნილი გამოსახულება იძლევა ნიმუშების შედარების შესაძლებლობას. დანათების შედეგად კვლების გამოვლენა კრიტიკულად არის დამოკიდებული მასრის ზედაპირის მასალაზე, რომელზეც ასახულია კვლები და განათების სისტემის სწორად წარმართვაზე. ამრიგად, ნიშნების შესატყვისობის დადგენის ტრადიციულ მეთოდს გარკვეული სირთულეები ახასიათებს და შეიძლება შეიცავდეს სუბიექტურ ელემენტებსაც (5, 9).

მასრების შედარება ინდივიდუალური ნიშნების საფუძველზე არის იდენტიფიკაციის კლასიკური მაგალითი. აღნიშნული დაფუძნებულია პრინციპზე, რომ სხვადასხვა კვალწარმომქმნელი ობიექტის მიერ დატოვებული ნიშანი არ უნდა იყოს ერთი და იგივე მიკრორელიეფის მქონე. აღნიშნული პრინციპი იძლევა შედარების შესაძლებლობას, მაგრამ არსებობს შემთხვევები, როდესაც კვლები არასრულადაა გამოსახული და რთულდება შედარების პროცესი. აღნიშნული შეიძლება გამოიწვიოს ცეცხლსასროლი იარაღის გაუმართაობამ, ან დენთის მუხტის სხვადასხვაობამ ვაზნაში, ასევე გასატყორცნი

ელემენტის ფორმამ და ზომამ, როდესაც ვაზნაში გასროლისას არ იქმნება საკმარისი წნევა, რაც უზრუნველყოფს მიბჯენის კვალის ასახვას მასრის ძირზე (4, 1).

ექსპერიმენტებით დადგინდა, რომ ნემსის, მიბჯენის, ამომგდების ჩამჭიდისა და ამრეკლის კვლები რჩება როგორც ქარხნულად, ასევე მცირე ჭურვებით დამუხტული ვაზნების გასროლისას, თუმცა მცირე ჭურვებით დამუხტულ ვაზნებზე არსებული ნემსის კვალი სუსტია, ან არ არის მათში გამოსახული იდენტიფიკაციისათვის საკმარისი ნიშნები. აღნიშნული აიხსნება იმით, რომ ლულის შეუსაბამო (მცირე) ჭურვის გასროლის დროს არ არის უზრუნველყოფილი ლულის გერმეტულობა, ჭურვსა და ლულის არხს შორის ხდება მაღალი წნევის აირების გასვლა, რის გამოც მცირდება წნევა მასრაში და სრულად აღარ აისახება მასზე საიდენტიფიკაციო ნიშნები (10, 14).

გარდა დენთის მუხტის სხვადასხვაობის, გასატყორცნი ობიექტის ფორმის, ზომის და იარაღის მდგომარეობისა, აუცილებელია მასრის დასამზადებლად გამოყენებული ლითონის თავისებურების გათვალისწინებაც. მსოფლიოში არსებობს მრავალი საწარმო, სადაც მიმდინარეობს როგორც სამხედრო, ასევე კომერციული ვაზნების დამზადება. ვაზნების დამამზადებელ საწარმოებს გააჩნიათ განსხვავებული ტექნოლოგიები და როგორც მასრებს, ასევე მასრაში არსებულ კაფსულებს ამზადებენ სხვადასხვა ტექნოლოგიებისა და ლითონების გამოყენებით. რასაკვირველია, შედარებით რბილ ლითონზე კვალი იოლად აღიბეჭდება და იდენტიფიკაციისათვის მეტი ინფორმაციის შემცველია. ხშირად, აღნიშნული სხვაობა მასრების დასამზადებლად გამოყენებული მასალებისა, შეუნიღბავი თვალითაც იოლი შესამჩნევია.

იდენტიფიკაციისას, გასათვალისწინებელია, რომ როგორც სამხედრო, ასევე კომერციული წარმოების ვაზნებზე დატანილია მარკირებები, რომელთა მიხედვით შესაძლებელია ვაზნის მწარმოებლისა და დანიშნულების განსაზღვრა. არსებობს ვაზნების მარკირებების განსხვავებული სტანდარტები ქვეყნებისა და მწარმოებლების მიხედვით. ისტორიულად, იყო მცდელობა, საერთო სტანდარტზე გადასვლისა, მაგრამ ბევრმა ქვეყანამ საკუთარი მარკირების გამოყენება აირჩია, მაგრამ, საბოლოოდ ეს ტენდენცია გაქრა და პრიორიტეტი მიენიჭა საერთაშორისოდ აღიარებულ სტანდარტებს (14, 110).

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ როდესაც საკვლევად წარმოდგენილია მასრა და იარაღი, მასრის იარაღთან, როგორც ორიგინალთან შედარება არ ხდება. როდესაც მატერიალური მტკიცებულების თვისებების პირდაპირი შესწავლა შეუძლებელია, ამ შემთხვევაში შედარება ხორციელდება ობიექტიდან მიღებულ ექსპერიმენტულ ნიმუშებთან. მაგალითად, მასრის იდენტიფიკაციისას ცეცხლსასროლ იარაღთან პირდაპირ არ ხდება მასრის კვლების შედარება იარაღის კვლებთან, არამედ – იარაღიდან მიღებულ ექსპერიმენტულ მასრებთან (23, 93). აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ასეთ შემთხვევებში, სასურველია, ექსპერიმენტული მასრების მიღებისას გამოყენებული იქნეს იგივე მწარმოებლის და მასალის მასრები, რაც ამოღებულია შემთხვევის ადგილიდან (19, 339), ამით ექსპერტს გაუადვილდება შემდგომი კვლევა.

კვლევის პროცესში დარდება მასრაზე არსებული ყველა კვალის ერთობლიობა. მასრებზე არსებული ერთგვაროვანი კვლების დამთხვევის ან არდამთხვევის დადგენის შემდეგ აუცილებელია გადასვლა იარაღის დეტალებიდან წარმოქმნილი სხვა ერთგვაროვანი კვლების შედარებაზე. კვლების შედარებისას აუცილებელია დავრწმუნდეთ იარაღის საერთო და კერძო ნიშნების მდგრადობაში და მასრებზე მათი გამოსახვის სტაბილურობაში. (ვიზუალური აღქმის ხარისხის გასაუმჯობესებლად, შედარებითი მიკროსკოპული კვლევის ჩატარების წინ, მასრების კაფსულებზე არსებული ლაქ-საღებავის ფენა უნდა მოიხსნას გამხსნელით); შედარებითი კვლევისას გათვალისწინებული უნდა იყოს, რომ იარაღის დეტალები შეიძლება შეცვლილი იყოს წინასწარი განზრახვით, ვინაიდან იარაღის დეტალების უმრავლესობა მარტივადშეცვლადია (დამცემი, ამომგდები და სხვ.) (1, 76).

როდესაც შემთხვევის ადგილიდან ექსპერტს წარმოდგენილი აქვს როგორც მასრები, ასევე ცეცხლსასროლი იარაღი, ამ შემთხვევაში შესაძლებელია ექსპერიმენტული მასრების მიღება იგივე მწარმოებლის ვაზნებისაგან, რაც გამოყენებული იყო შემთხვევის ადგილზე, თუნდაც შემთხვევის ადგილზე გამოყენებული ყოფილიყო სხვადასხვა მწარმოებლის ვაზნები. გაცილებით რთულადაა საქმე, როდესაც გამოკვლევას ექვემდებარება შემთხვევის ადგილიდან წარმოდგენილი სხვადასხვა მწარმოებლის მასრები, იარაღი არ არის წარმოდგენილი და შესაბამისად, ექსპერიმენტული მასრების მიღება შეუძლებელია. ასეთ შემთხვევებში ობიექტების ერთმანეთთან შედარება მეტად რთულია და გარკვეულწილად, დამოკიდებულია ექსპერტის გამოცდილებაზე.

მასრის ზედაპირი ან მათი ელემენტები, უფრო ხშირად, ძირი, დამზადებული შედარებით რბილი ლითონებისგან, შესაბამისად მათზე ადვილად აისახება კვალი და მცირე მიკრორელიეფი. ასევე გასათვალისწინებელია, რომ იარაღის დეტალები, რომლებიც ქმნიან კვალს მასრაზე, ისევე როგორც მატერიალური სამყაროს ყველა ობიექტი, ცვალებადია. ისინი ცვდებიან იარაღის მუშაობის დროს, ასევე, სხვადასხვა მექანიკური ფაქტორებიდან, იარაღის შენახვის პირობებიდან (ტენიანობა, ქიმიური გარემო და ა.შ.) გამომდინარე. ამასთან, იარაღის დეტალები შედარებით სტაბილურია და დიდხანს ინარჩუნებს იმ თვისებებს, რაც კვალში აისახება. ეს გამოწვეულია იმით, რომ იარაღის კვალწარმომქმნელი ნაწილები დამზადებულია მაღალი სიმტკიცის მასალებისგან (20, 114).

სამეცნიერო ლიტერატურაში გავრცელებულია მოსაზრება, რომ იარაღის კვალწარმომქმნელი დეტალები დამზადებულია შედარებით მტკიცე მასალებისაგან და დიდი ხნის განმავლობაში ინარჩუნებს ინდივიდუალობას, მაგრამ იქვე ყველა აღნიშნავს, რომ, ისევე, როგორც მატერიალური სამყაროს ყველა ობიექტი, კვალწარმომქმნელი დეტალებიც ცვალებადია. კვალწარმომქმნელი დეტალების ცვალებადობას განაპირობებს ასევე იარაღის ნაწილებისა და მექანიზმების დამზადების თავისებურება და შენახვის პირობები.

იდენტიფიკაციის პროცესის გართულება, გარდა იარაღის ხანგრძლივი ექსპლუატაციისა და ლითონის სხვადასხვაობისა, შეიძლება გამოიწვიოს მასრაზე არსებულმა გასროლამდე და გასროლის შემდეგ წარმოქმნილმა კვლებმა, რომლებიც არ არის იარაღის, საიდანაც მოხდა ვაზნის გასროლა და გასატყორცნი ჭურვის ფორმამ და ზომამ. შედარებითი კვლევები ჩატარდა ბალისტიკური სკანერი „Balscan"-ის გამოყენებით.

3.1. ხანგრძლივი ექსპლუატაცია

ვინაიდან შედარებითი კვლევისას გასათვალისწინებელია, რომ იარაღის დეტალების უმრავლესობა მარტივადშეცვლადია და ისინი შეიძლება შეცვლილი იყოს წინასწარი განზრახვით, იდენტიფიკაციისას ექსპერტი ახდენს მასრაზე არსებულ კვალთა უმრავლესობის შედარებას და ადგენს დამთხვევებსა და განსხვავებებს. მხოლოდ კვალთა უმრავლესობის დამთხვევის შემთხვევაშია შესაძლებელი დასკვნის გაკეთება, რომ მასრა გასროლილია კონკრეტულ ცეცხლსასროლ იარაღში, სხვა შემთხვევაში, ექსპერტს შეუძლია იმსჯელოს გასროლის პროცესში მხოლოდ კონკრეტული კვალწარმომქმნელი დეტალის გამოყენებაზე. როგორც ზემოთ იქნა აღნიშნული, კვალწარმომქმნელ დეტალებთან შედარებით, მასრა რბილი ლითონითაა დამზადებული, რაც განაპირობებს მასრაზე წარმოქმნილ კვალთა მდგრადობას დიდი ხნის განმავლობაში, მაგრამ, ვინაიდან მატერიალურ სამყაროში ყველა ობიექტი ცვალებადია, ხანგრძლივი ექსპლუატაციისა და არასწორი შენახვის პირობებიდან გამომდინარე, იარაღის კვალწარმომქმნელი დეტალებიც იცვლიან ფორმას, მათზე წარმოიქმნება ახალი კვლები, ან არსებული კვლები ქრება. ერთმანეთს შედარდა „Sauer 1913“ მოდელის პისტოლეტიდან 2005 და 2020 წელს მიღებული ექსპერიმენტული მასრები (სურათი №1), სადაც აშკარად ჩანს, რომ 2020 წლის ექსპერიმენტულ მასრაზე გარკვეული კვლები გამქრალია, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მათი ერთმანეთთან შედარება შესაძლებელია.



2005 წელი 2020 წელი

სურათი N1

3.2. ჭურვის ფორმა და ზომა

მასრაზე საიდენტიფიკაციო ინდივიდუალური ნიშნების ასახვა დიდადაა დამოკიდებული გასატყორცნი ჭურვის თავისებურებაზე. თანამედროვე პერიოდში, ხშირია შემთხვევები, როდესაც აირის და ხმოვანი პისტოლეტების ლულის არხიდან თვითნაკეთი წესით ხდება ტიხარის, მზღუდავის ან საცობის ამოღება, რის შემდეგად, ასეთი სახის იარაღიდან შესაძლებელია ჭურვის გასროლა, რომელიც დამუხტულია თვითნაკეთი წესით ნომინალური კალიბრის მასრაში. ასეთი ვაზნების გასროლის შემთხვევაში, მასრაზე აისახება იარაღის ნაწილების კვლები, მაგრამ რაც



ჭურვით დამუხტული ხმოვანი

სურათი N2

უფრო მიახლოებულია ჭურვის დიამეტრი ლულის არხის დიამეტრთან, საიდენტიფიკაციო კვლებიც ბევრად უკეთესად გამოისახება (სურათი №2). აღნიშნული აიხსნება იმით, რომ ლულის შეუსაბამო (მცირე) ჭურვის გასროლის დროს არ არის უზრუნველყოფილი ობტურაცია[1], ჭურვსა და ლულის არხს შორის ხდება მაღალი წნევის აირების გასვლა, რის გამოც მცირდება წნევა მასრაში და სრულად აღარ აისახება მასზე საიდენტიფიკაციო ნიშნები. თვითნაკეთი წესით დამზადებული ვაზნების მსგავსად, იგივე შეიძლება ითქვას გლუვლულიანი იარაღისათვის განკუთვნილ ვაზნებზე, ვინაიდან ისინი, როგორც წესი, დამუხტულია სხვადასხვა სახის გასატყორცნი ელემენტებით, რაც იწვევს წნევის ცვალებადობას მასრაში და მოქმედებს კვალთა ფორმირებაზე.

3.3. ლითონის სხვადასხვაობა



სურათი N3

მასრების იდენტიფიკაციისას აუცილებელია მასრის დასამზადებლად გამოყენებული ლითონის თავისებურების გათვალისწინებაც. მსოფლიოში არსებობს მრავალი საწარმო, სადაც მიმდინარეობს როგორც სამხედრო, ასევე კომერციული ვაზნების დამზადება. ვაზნების დამამზადებელ საწარმოებს გააჩნიათ განსხვავებული ტექნოლოგიები და როგორც მასრებს, ასევე მასრაში არსებულ კაფსულებს ამზადებენ სხვადასხვა ტექნოლოგიებისა და ლითონების გამოყენებით. რასაკვირველია, შედარებით რბილ ლითონზე კვალი იოლად აღიბეჭდება და იდენტიფიკაციისათვის მეტი ინფორმაციის შემცველია (სურათი №3). როდესაც შემთხვევის ადგილიდან ექსპერტს წარმოდგენილი აქვს როგორც მასრები, ასევე ცეცხლსასროლი იარაღი, ამ შემთხვევაში შესაძლებელია ექსპერიმენტული მასრების მიღება იგივე მწარმოებლის ვაზნებისაგან, რაც გამოყენებული იყო შემთხვევის ადგილზე, თუნდაც შემთხვევის ადგილზე გამოყენებული ყოფილიყო სხვადასხვა მწარმოებლის ვაზნები. გაცილებით რთულადაა საქმე, როდესაც გამოკვლევას ექვემდებარება შემთხვევის ადგილიდან წარმოდგენილი სხვადასხვა მწარმოებლის მასრები, იარაღი არ არის წარმოდგენილი და შესაბამისად, ექსპერიმენტული მასრების მიღება შეუძლებელია, ან იარაღიდან ექსპერიმენტული მასრები უფრო ადრეა მიღებული, ხოლო იდენტიფიკაციისას ექსპერტს აღარ აქვს იარაღიდან ექსპერიმენტული მასრების მიღების შესაძლებლობა.

[1] ცეცხლსასროლი იარაღის ლულის ჰერმეტიზაციის უზრუნველყოფა, რათა არ მოხდეს დენთის წვის შედეგად წარმოქმნილი აირის გარღვევა ჭურვის და ლულის კედლების შორის.

3.4. მასრაზე არსებული დამატებითი კვლები

მასრების იდენტიფიკაციისას გასათვალისწინებელია, რომ მათზე შეიძლება ასახული იყოს მრავალი კვალი, რომლებიც შეიძლება წარმოქმნილი იყოს როგორც გასროლამდე (სხვა იარაღის ნაწილების კვლები, მყარ ობიექტთან კონტაქტის შედეგად წარმოქმნილი მექანიკური დაზიანებები ნაკაწრების სახით, მათ შორის, შესაძლებელია, განზრახ წარმოქმნილი), ასევე გასროლის შემდეგაც (მყარ ობიექტთან კონტაქტის შედეგად წარმოქმნილი მექანიკური დაზიანებები ნაკაწრების სახით, მათ შორის, შესაძლებელია, განზრახ წარმოქმნილი) და მათგან არც ერთი კვალი არ ეკუთვნოდეს იარაღს, რომელშიც მოხდა კონკრეტული ვაზნის გასროლა (სურათი №4).

7,62X39
სურათი N4

ხშირია შემთხვევები, როდესაც შემთხვევის ადგილზე გამოიყენება მრავალი წლის წინ (მათ შორის, ათეულობით წლის წინ) დამზადებული ვაზნა და დამზადებიდან გამოყენებამდე ამ ვაზნამ მრავალი პატრონი შეიცვალა და ნამყოფია სხვადასხვა იარაღის სავაზნეში. ასეთ შემთხვევაში ვაზნის კაფსულზე აისახება ნემსის მცირედით დაცემის კვალი, ამოგდებისას, მასზე აისახება ამომგდების ჩამჭიდისა და ამრეკლის კვალი, ასევე, გადამუხტვისას – მჭიდის ტუჩის კვალი. შესაძლებელია, მასზე ასევე აისახოს იარაღის სხვა დეტალების კვლებიც. ასეთი ვაზნის გასროლა სხვა იარაღში გამოიწვევს კვალთა განმეორებას, რაც, თავის მხრივ, გაართულებს იდენტიფიკაციის პროცესს.

მაშასადამე, მასრის იდენტიფიკაცია ხდება მასზე გამოსახული იარაღის მიერ დატოვებული ზოგადი და ინდივიდუალური ნიშნების საშუალებით. ზოგადი ნიშნების გამოყენებით ექსპერტმა შესაძლებელია დაადგინოს კლასობრივი მახასიათებლები – მოდელი, სისტემა და სხვა, რაც ამ ტიპის იარაღებისთვისაა დამახასიათებელი, ხოლო ინდივიდუალური ნიშნების საფუძველზე – კონკრეტულ იარაღთან ან სხვა მასრასთან იდენტურობა, ვინაიდან ინდივიდუალური ნიშნები განუმეორებელია და დამახასიათებ-ელია მხოლოდ კონკრეტული იარაღისათვის. როგორც აღინიშნა, ეს მეტად რთული პროცესია, დამოკიდებულია როგორც ექსპერტის ცოდნასა და გამოცდილებაზე, ასევე გამოსაკვლევი ობიექტების თავისებურებაზე, რაზეც დიდ გავლენას ახდენს იარაღის ხანგრძლივი ექსპლუატაცია და არასწორი მოვლა, მასრების ლითონის სხვადასხვაობა, მასრაზე არსებული გასროლამდე და გასროლის შემდეგ წარმოქმნილი დამატებითი კვლები, რომლებიც არ არის იარაღის, საიდანაც მოხდა ვაზნის გასროლა, გასატყორცნი ჭურვის ფორმა და ზომა. ყოველივე აღნიშნული კი ხშირ შემთხვევაში იწვევს იდენტიფიკაციის პროცესის გართულებას.

4. დასკვნა

წინამდებარე ნაშრომში განხილულია საიდენტიფიკაციო საკითხები ბალისტიკაში, კერძოდ კი, ის სირთულეები, რაც ახასიათებს მასრაზე არსებული კვლების მიხედვით იარაღის გაიგივების პროცესს. ამ ყოველივეს გარკვეული როლი გააჩნია გამოძიებისათვის, ვინაიდან ბალისტიკური კვლევის საბოლოო შედეგი საექსპერტო დასკვნაა, რომელიც საქმის გამოძიებისა და სასამართლოში განხილვის დროს გარკვეულ მტკიცებულებას წარმოადგენს.

ექსპერტიზების წილი საერთო ჯამში გამოძიებისათვის მნიშვნელოვანია, ექსპერტიზები სპეციფიურია, რთულია, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც საქმე ეხება საიდენტიფიკაციო საკითხებს. მძიმე დანაშაულთა უდიდესი ნაწილი ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებითაა ჩადენილი, ხოლო უმეტეს საქმეზე ცეცხლსასროლი იარაღი ცნობილი არაა, შესაბამისად, ამ საქმეებზე წარმოდგენილი მასრების ერთმანეთთან და სხვა საქმეებიდან ამოღებული იარაღებიდან მიღებულ ექსპერიმენტულ მასრებთან შედარება, ხშირ შემთხვევაში, სხვადასხვა სისხლის სამართლის საქმეების გახსნისა თუ გაერთიანების საფუძველია.

ნაშრომში ყურადღებაა გამახვილებული ხელის ცეცხლსასროლი იარაღში გასროლილ მასრებზე, როგორც სასამართლო-ბალისტიკური კვლევის ობიექტებზე, მასრა კი, თავის მხრივ, ვაზნის შემადგენელი კომპონენტია. თანამედროვე ხელის ცეცხლსასროლი იარაღისათვის განკუთვნილი ვაზნები შეიძლება დაიყოს შემდეგნაირად: გლუვლულიანი იარაღისათვის განკუთვნილი ვაზნები, ხრახნლულიანი იარაღისათვის განკუთვნილი ვაზნები და ნომინალური კალიბრის ვაზნები. დღესდღეობით, ძირითადად, გამოიყენება უნიტარული ვაზნები, მათი მასრები და კაფსულები კი დამზადებულია სხვადასხვა საწარმოში, სხვადასხვა ლითონით, რაც გარკვეულწილად ართულებს მასრების იდენტიფიკაციის პროცესს, ვინაიდან სხვადასხვა ლითონზე იარაღის ნაწილებისა და მექანიზმების ინდივიდუალური კვლები, მეტნაკალებად, განსხვავებულად აისახება.

მაშასადამე, მასრის იდენტიფიკაცია ხდება მასზე გამოსახული იარაღის მიერ დატოვებული ზოგადი და ინდივიდუალური ნიშნების საშუალებით. ზოგადი ნიშნების გამოყენებით ექსპერტმა შესაძლებელია დაადგინოს კლასობრივი მახასიათებლები – მოდელი, სისტემა და სხვა, რაც ამ ტიპის იარაღებისთვისაა დამახასიათებელი, ხოლო ინდივიდუალური ნიშნების საფუძველზე – კონკრეტულ იარაღთან ან სხვა მასრასთან იდენტურობა, ვინაიდან ინდივიდუალური ნიშნები განუმეორებელი და დამახასიათებელია მხოლოდ კონკრეტული იარაღისათვის. როგორც აღინიშნა, ეს მეტად რთული პროცესია, დამოკიდებულია როგორც ექსპერტის ცოდნასა და გამოცდილებაზე, ასევე გამოსაკვლევი ობიექტების თავისებურებაზე, რაზეც დიდ გავლენას ახდენს იარაღის ხანგრძლივი ექსპლუატაცია და არასწორი მოვლა, მასრების ლითონის სხვადასხვაობა, მასრაზე არსებული გასროლამდე და გასროლის შემდეგ წარმოქმნილი დამატებითი კვლები, რომლებიც არ არის იარაღის, საიდანაც მოხდა ვაზნის გასროლა, გასატყორცნი ჭურვის ფორმა და ზომა. ყოველივე აღნიშნული კი, ხშირ შემთხვევაში, იწვევს შედარების პროცესის გართულებას, რაც მეტ დროს და დაკვირვებას მოითხოვს იდენტიფიკაციისას,

ვინაიდან დასაბუთებული დასკვნა, რომელიც სასამართლოში გამოყენებული უნდა იქნეს, როგორც მტკიცებულება, უნდა ემყარებოდეს მხოლოდ მასრაზე არსებული იარაღის ნაწილების კვლების მდგრადი ინდივიდუალური ნიშნების ერთობლიობის შესაბამისობის დადგენას სხვა მასრასთან ან წარმოდგენილი იარაღის დეტალების კვლების მდგრად ინდივიდუალურ ნიშნების ერთობლიობასთან.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ბალისტიკური ექსპერტიზის ტრენინგის სახელმძღვანელო. 2021. BAL-TM-02. თბილისი.
2. იაღანაშვილი თ., ელიავა გ., ძინძიბაძე გ. 2021. სასამართლო-ბალისტიკური ექსპერტიზის მეთოდური სახელმძღვანელო. BAL-TM-01. თბილისი.
3. Barry A. J. Fisher, William J. Tilstone. Catherine Woytowicz. 2009. Introduction to Criminalistics. Burlington, MA. Elsevier Academic Press.
4. Devinderpal Singh Sehgal. Sandeep Singh Sahota. Navneet Kaur. Arshdeep Kaur. 2017. Development of firing pin and breech face impression on lead and plasticine surfaces. Egyptian Journal of Forensic Sciences. 7(15). 1-5.
5. Dongguang Li. 2009. Ballistics Image Processing and Analysis for Firearm Identification. University Campus STeP Ri. Rijeka, Croatia.
6. George E. Frost. 1990. Ammunition Making. National Rifle Association of America. Washington.
7. Gerald Burrard. 1962. The Identification of Firearms and Forensic Ballistics. New York.
8. Giverts Pavel. Kokin Andrey. 2020. The problem of subclass features in forensic firearms identification. Theory and Practice of Forensic Science. 15 (1) 109-116.
9. Howard A. Harris. Henry C. Lee. 2019. Introduction to Forensic Science and Criminalistics. Second Edition. CRC Press.
10. Hsei-Chang Lee. Hsien-Hui Meng. 2011. Forensic examination of fired bullets and cartridge cases of 9 mm Luger imitation ammunition. Forensic Science Journal. 10 (1). 11-18.
11. Jack Disbrow Gunther and Charles O. Gunther. 2015. The Identification of Firearms. New York. NY. Skyhorse Publishing.
12. Joseph Peterson. Ira Sommers. Deborah Baskin. Donald Johnson. 2010. The Role and Impact of Forensic Evidence in the Criminal Justice Process. National Institute of Justice. 2006-DN-BX-0094. https://www.ncjrs.gov/pdffiles1/nij/grants/231977.pdf.
13. Mathews J. Howard. 1973. Firearms Identification. Springfield. Illinois. Second Printing.
14. Robert E. Walker. 2013. Cartridges and Firearm Identification. CRC Press. Boca Raton, FL.
15. Robert M. Thompson. 2010. Firearm identification in the forensic science laboratory. Alexandria. National District Attorneys Association.
16. Saferstein Richard. 2018. Criminalistics, An Introduction to Forensic Science. 12th edition. Boston. Pearson Education.
17. Saferstein Richard. 2015. Criminalistics, An Introduction to Forensic Science. Eleventh Edition. Pearson Education.
18. Vincent J.M. Dimaio. 2016. Practical Aspects of Firearms, Ballistics, and Forensic Techniques. Third Edition. Boca Raton. FL.
19. Warlow Tom. 2012. Firearms, the Law, and Forensic Ballistics. Third Edition. Boca Raton. Taylor & Francis Group.
20. Бугаевский С.В., Осяк В.В. 2017. Проблемы идентификации гильз огнестрельного оружия ограниченного поражения, изъятих в ходе осмотра места происшествия. Юристъ-Правоведъ. 3(82). 112-118.

21. Дёмин К.Е. 2009. Криминалистическое исследование боеприпасов и следов на них. МосУ МВД России. Москва.
22. Криминалистическая техника. 2017. Под редакцией Дёмина К.Е. Москва. Юридический институт МИИТ. ISBN 5-7876-0080-0.
23. Орлов Ю.К. 2016. Современные проблемы доказывания и использования специальних знаний в уголовном судопроизводстве. Москва. ООО „Проспект“.
24. Утверждена межведомственным научно-методическим советом в области судебной экспертизы при межведомственной комиссии по вопросам судебно-экспертной деятельности при совете безопасности республики Беларусь. Методика отождествления огнестрельного оружия по следам на гильзах. Беларусь. 12.03.2008. Протокол № 4.

The importance of the results of the examination of cartridge cases and the negative factors to be taken into account in the identification

Giorgi Dzindzibadze
Grigol Robakidze University, PhD student
giorgi.dzindzibadze20@gruni.edu.ge

Abstract. The paper focuses on cartridge cases, fired from handguns, as objects of forensic-ballistics research, the cartridge cases, in turn, is an integral component of the cartridges. Cartridges for modern handguns can be divided as follows: Cartridges for smoothbore weapons, cartridges for rifled guns and cartridges of nominal caliber. Nowadays, unitary cartridges are mainly used, their cases and primers are made in different enterprises, with different metals, which somewhat complicates the process of identifying cartridge cases, whereas individual marks of weapon parts and mechanisms on different metals are reflected more or less differently. The purpose of the article is to show the process of comparing cartridge cases fired from firearms with each other, determining the value of identification results and discuss the problems, that arise during identification. It's all quite a complicated process. When comparing cartridge cases, the question of whether or not the general marks coincide must first be resolved. In case of coincidence of general signs, the examination will be continued according to private marks and if the general marks do not match, the examination in this regard will be terminated. As a result of the examination, the expert must draw a conclusion about the coincidence, not-coincidence or inability to identify. The expert conclusion is categorical and it is provided for during the investigation and the court. The identification process is difficult, as the process of comparison it is necessary to takes into account the long exploitation of the weapon, reflected in the details, which generate marks; Various metals used in the manufacture of the cartridge cases; Additional studies before and after the shot on the cartridge cases, which are not of weapons, from which the cartridge cases was fired; The shape and size of the projectile placed in the cartridge. Consequently, conducting such an research is quite difficult, requires time and appropriate qualifications.

Key words: cartridge case, identification, general marks, individual marks, ammunition, projectile

მტკიცების ფარგლები - სისხლის საპროცესო სამართლის ინსტიტუტი

ბექა ქებულაძე
გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი, დოქტორანტი
Beqaqebuladze11@gmail.com

რეზიუმე. ზოგადად დანაშაული არის ის სოციალური მოვლენა, რომელიც არსებობდა, არსებობს და ყოველთვის იარსებებს. დანაშაულისადმი საზოგადოების დამოკიდებულება მკვეთრად უარყოფითია. მისი ჩადენის შემდეგ საზოგადოების ინტერესი დანაშაულის გახსნა და დამნაშავისთვის სამართლიანი სასჯელის დაკისრებაა. ზოგიერთ შემთხვევაში ფაქტები იმდენად ცხადია, რომ შესაძლებელია ისინი აშკარად მიუთითებდნენ ერთ კონკრეტულ პირზე, მაგრამ ეს საკმარისი არ არის დამნაშავის გამოვლენისა და დასჯისათვის. ამის ერთადერთი საშუალება სამართლიანი მართლმსაჯულებაა. მართლმსაჯულებისათვის კი ჭეშმარიტების დადგენაა აუცილებელი. ამიტომ დანაშაულთან დაკავშირებული ფაქტების დადასტურება და პირის დამნაშავეობის დადგენა სამართლებრივი გზით უნდა მოხდეს. დანაშაულობის გამოძიება, დამნაშავის გამოვლენა და სამართლიანი დასჯა ურთულესი პროცესია, რომელთაც მკაცრად არეგულირებს სისხლის საპროცესო სამართალი, სადაც განსაკუთრებული ადგილი მტკიცებით სამართალს უჭირავს.

საკვანძო სიტყვები: მტკიცებულება, მტკიცების ფარგლები, დამნაშავეობა, პროკურორი, ბრალდებული

შესავალი. მტკიცების საგანი სისხლის სამართლის პროცესში სპეციფიკურია. მტკიცებითი პროცესი შემეცნების საგანია, არა ბუნების ზოგადი კანონზომიერებები, არამედ წარსულში მომხდარი კონკრეტული ფაქტები (1). მტკიცებულება ერთადერთი საშუალებაა, რომლითაც წარსულში მომხდარი დანაშაულებრივი ფაქტის აღდგენა და საქმეზე ობიექტური ჭეშმარიტების დადგენაა შესაძლებელი. მტკიცებულება - ეს არის ინფორმაცია, რომელიც ადასტურებს ან უარყოფს რაიმე ფაქტს ან მოვლენას. ამიტომ სისხლის სამართლის საქმის ბედი მტკიცებულებათა ერთობლიობაზეა დამოკიდებული.

ზოგადად, მტკიცება რაიმეს დასაბუთებას ნიშნავს და მიღებული დასკვნები უტყუარი არგუმენტებით უნდა იყოს გამყარებული. ამიტომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 259-ე მუხლში პირდაპირაა მითითებული, რომ სასამართლოს განაჩენი მხოლოდ მაშინაა კანონიერი, დასაბუთებული და სამართლიანი, თუ ის ემყარება სასამართლო განხილვის დროს გამოკვლეულ, ეჭვის გამომრიცხავ მტკიცებულებათა ერთობლიობას და ყველა დასკვნა და გადაწყვეტილება დასაბუთებულია.

კვლევის მიზანი. კვლევის მიზანია, რომ სისხლის სამართლის პროცესის მონაწილეებს შეუქმნან სამართლებრივი გარანტიები, რათა მათ სრულყოფილად შეასრულონ თავიანთი ვალდებულებები და გამოიყენონ თავიანთი უფლებები სისხლის სამართლის პროცესში.

კვლევის ამოცანები

1. რა არის მტკიცებულებათა კვლევის ძირითადი კონცეფციები, ლოგიკა, მეთოდები, პრობლემების გამოვლენის ინსტრუმენტები, აქტუალურობა?
2. მტკიცებულების დასაშვებობისას, სწორედ მკაცრად განსაზღვრულმა წესებმა როგორ უნდა უზრუნველყოს ინფორმაციისათვის მტკიცებულების ძალის მინიჭება?
3. მტკიცებულების დასაშვებობა სისხლის სამართლის საქმისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაციისთვის იურიდიული ძალის მინიჭებასაც გულისხმობს თუ არა?
4. თუ ინფორმაცია საპროცესო წესით არ იქნა დამაგრებული, თუ მან მტკიცებულების სტატუსი არ შეიძინა, ასეთ ინფორმაციას როგორი ძალა აქვს?
5. დაუშვებლად ცნობილი მტკიცებულება შესაბამისი საპროცესო გადაწყვეტილების საფუძველზე გამოირიცხება სისხლის სამართლის საქმიდან, როგორც იურიდიული ძალის არმქონე?

კვლევის საგანი და ობიექტი: მტკიცებულებათა მოკვლევისა და საპროცესო დამაგრების პრობლემათა კვლევა და მისი ბრალდებულზე მოქმედების არეალი.

ინფორმაცია სისხლის სამართლის საქმისათვის მნიშვნელოვანი გარემოების შესახებ ჩვენგან დამოუკიდებლად არსებობს. თუ ეს ინფორმაცია რაიმე ობიექტური ფორმით არ აისახება (მაგალითად, მოწმის ჩვენება, საგამოძიებო მოქმედების ოქმი, ექსპერტის დასკვნა და ა.შ.), ბუნებრივია, პრაქტიკულ საქმიანობაში მისი გამოყენება შეუძლებელი იქნება. ფორმა, რომელშიც უნდა გამოიხატოს ინფორმაცია, ამ ინფორმაციის საიმედოობის გარანტიას უნდა ქმნიდეს და სამართლებრივი უნდა იყოს. ინფორმაცია მტკიცებულებით მნიშვნელობას სწორედ სამართლებრივი რეგულირების სფეროში მოქცევის შემდეგ იძენს, ე.ი. ის საპროცესო დოკუმენტში ასახვის შემდეგ ხდება იურიდიული ძალის მქონე მტკიცებულება.

კვლევის აქტუალობა. აღნიშნული სტატიის აქტუალობა განპირობებულია იმით, რომ მტკიცებულება ერთ-ერთი ძირითადი რგოლია სისხლის სამართალწარმოებაში, რისთვისაც კანონმდებელმა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 72-ე მუხლში კონკრეტულად მიუთითა, თუ რომელი მტკიცებულებებია დაუშვებელი, კერძოდ:

1. მტკიცებულება დაუშვებელია, თუ იგი მოპოვებულია ამ კოდექსით დადგენილი წესის დაცვით, მაგრამ უარყოფილი არ არის გონივრული ეჭვი მისი შესაძლო გამოცვლის, მისი ნიშან-თვისებების არსებითი შეცვლის ან მასზე დარჩენილი კვალის არსებითი გაქრობის შესახებ.
2. ბრალდების მხარის მტკიცებულების დასაშვებობისა და დაცვის მხარის მტკიცებულების დაუშვებლობის მტკიცების ტვირთი ეკისრება ბრალმდებელს.
3. მხარე ვალდებულია სასამართლოს მიაწოდოს ინფორმაცია საკუთარი მტკიცებუ-ლების წარმომავლობის შესახებ.

4. მტკიცებულების დაუშვებლად ცნობის საკითხს წყვეტს სასამართლო. სასამართლოს გადაწყვეტილება დასაბუთებული უნდა იყოს.
5. დაუშვებელი მტკიცებულება არ შეიძლება საფუძვლად დაედოს სასამართლოს გადაწყვეტილებას.

ყველა ეს იმპერატიული მოთხოვნა სამართლიანი მართლმსაჯულების განხორციელების წინაპირობაა და რომ ყოველგვარი სამართლებრივი შეზღუდვა მხოლოდ უკიდურესი აუცილებლობით უნდა იყოს განპირობებული. სისხლის სამართლის პროცესში კი, უპირველეს ყოვლისა, შეჯიბრებითობა და მხარეთა თანასწორობა უნდა იყოს უზრუნველყოფილი. მხოლოდ ამ პირობებშია შესაძლებელი საქმეზე ობიექტური ჭეშმარიტების დადგენა.

თავი 1. საპროცესო ფორმის დაცვის აუცილებლობა მტკიცების პროცესში

საპროცესო ფორმა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი წესების ერთობლიობაა და ინფორმაციის სამართლებრივ ხასიათს განსაზღვრავს. საპროცესო ფორმა, საქმისათვის შინაარსობრივად მნიშვნელოვან ინფორმაციას, სამართლებრივ სტატუსს ანიჭებს. საპროცესო ფორმის დაცვით მოპოვებული ინფორმაცია მოსამართლეს საშუალებას აძლევს საკუთარი გადაწყვეტილება არა მხოლოდ სამართლებრივი, არამედ მორალური კუთხითაც გაამყაროს.

თუ ინფორმაცია საპროცესო წესით არ იქნა დამაგრებული, თუ მან მტკიცებულების სტატუსი არ შეიძინა, ასეთ ინფორმაციას როგორი ძალა აქვს? ის დაუშვებელ მტკიცებულებად იქნება ცნობილი. დაუშვებლად ცნობილი მტკიცებულება კი შესაბამისი საპროცესო გადაწყვეტილების საფუძველზე გამოირიცხება სისხლის სამართლის საქმიდან, როგორც იურიდიული ძალის არმქონე (3).

მტკიცებულების დასაშვებობის კრიტერიუმად მტკიცებულების შინაარსობრივი მხარის აღიარება მაგალითად ინგლისში, მტკიცებითი სამართლის სპეციფიკური თვისებაა. გარდა ამისა, ინგლისი პრეცედენტული სამართლის ქვეყანაა, იქ არ არსებობს წინასწარი გამოძიების სტადია, მტკიცებულებათა განხილვა მხოლოდ სასამართლოში ხდება. ჯერ კიდევ 1955 წელს ლორდთა პალატამ, მტკიცებულებათა მოპოვებისას საპროცესო წესის დაცვასთან დაკავშირებით განსხვავებული პოზიცია დაიკავა, რომლის თანახმად, სასამართლო უფლებამოსილია უარყოს მტკიცებულება, თუ მიიჩნევს, რომ ის დაცვის მხარის მიმართ უსამართლო მეთოდების გამოყენებით იქნა მოპოვებული. ამასთანავე, მტკიცებულებათა მოპოვებისას კანონის მოთხოვნის დარღვევა, უპირველეს ყოვლისა, ინგლისის სისხლის საპროცესო სამართლის ფუნდამენტური ცნების - „სამართლიანობის“ დარღვევას ნიშნავს (6).

1.1. საზღვარგარეთის პრაქტიკა

კონტინენტური ევროპის სამართლის ქვეყნებში ამ საკითხს განსხვავებულად უდგებიან. მიუხედავად იმისა, რომ საფრანგეთის კანონმდებლობა მტკიცებულების წყაროს

ამომწურავ ჩამონათვალს არ იძლევა და მტკიცებულებად ნებისმიერი ინფორმაცია დაიშვება. ეს სულაც არ ნიშნავს, რომ ინფორმაციის მოპოვება ნებისმიერი საშუალებით შეიძლება. პირიქით, აქ მტკიცებულებითი ინფორმაციის მოპოვება მკაცრად რეგლამენტირებულია (6). მტკიცებულების თავისუფლების პრინციპის მიუხედავად, მტკიცებულებათა დასაშვებობის საკითხს საფრანგეთის სისხლის სამართლის პროცესი საკმაოდ მკაცრად უდგება. საფრანგეთის მართლმსაჯულება შეგვახსენებს, რომ თუ დანაშაულის დევნა ყველა საშუალებითაა მისაღები, სისხლის სამართლის მოსამართლის წინაშე წარდგენილი მტკიცებულებები უნდა აკმაყოფილებ-დეს პროცედურულ წესებს და არ უნდა ლახავდეს დაცვის უფლებებს (18).

მტკიცებულებათა დასაშვებობაში განსაკუთრებული საკითხი არის „მოწამლული ხის ნაყოფის“ თეორია. აშშ-ში მოწამლული ხის ნაყოფის თეორიას, უკანონო მტკიცებულების საფუძველზე მოპოვებულ ინფორმაციას ადარებენ. „FRUIT OF THE POISONOUS TREE” სიტყვა-სიტყვითი თარგმანით იქნა ქართულ ლექსიკონში გადმოტანილი (16). „მოწამლული ხის ნაყოფი“ არის სამართლებრივი თეორია, რომელიც სისხლის სამართლის საქმიდან მტკიცებულების გამორიცხვის საფუძველია. მტკიცებულების გამორიცხვის წესის თანახმად, უკანონო ჩხრეკით, დაპატიმრებით, იძულებითი დაკითხვით მოპოვებული ინფორმაცია სისხლის სამართლის საქმეზე არ უნდა იქნეს დაშვებული. რაც შეეხება „მოწამლული ხის ნაყოფის“ თეორიას, ის უფრო შორს მიდის და ადგენს, რომ სისხლის სამართლის საქმის მასალებიდან ასევე უნდა გამოირიცხოს უკანონო გზით აღმოჩენილი ინფორმაციის საფუძველზე მოგვიანებით მოპოვებული მტკიცებულება (20).

განხილული მაგალითები ცხადყოფს, რომ მთლიანად თავისუფალი მტკიცების პროცესი არც ამ ქვეყნებშია. აქცენტი ინფორმაციის უტყუარობასა და ადამიანის უფლებებზე კეთდება. მაგალითად, ინგლისსა და აშშ-ში კატეგორიულად მიუღებელია მოწმის ჩვენება, რომელიც პირველწყაროდან არ მომდინარეობს, რასაც საკმაოდ ძლიერი არგუმენტით ასაბუთებენ: ამ დროს თუ სასამართლოს წინაშე არ წარდგება პირველწყარო, დაცვას არ აქვს ინფორმაციის მართებულობის გადამოწმების შესაძლებლობა და ირღვევა ბრალდებულის უფლება - პირისპირ შეხვდეს მოწმეს, რომელიც მის წინააღმდეგ აძლევს ჩვენებას (7).

ამდენად, მკაცრი სამართლებრივი რეგულირების გარეშე მტკიცებულებათა მოპოვება გაუმართლებელი შეცდომაა, რადგან ასეთ შემთხვევაში არ არსებობს მტკიცების პროცესის კონტროლის მექანიზმი. ე.ი. მკიცებულებათა საპროცესო ფორმის დაცვის მოთხოვნა არათუ ხელის შემშლელი ფაქტორია, არამედ საქმის გარემოებების უტყუარი დადგენის, მიღებული გადაწყვეტილების დასაბუთების, დანაშაულის გახსნის, დამნაშავის გამოვლე-ნისა და სამართლიანი დასჯის, სისხლის სამართლის პროცესის მონაწილეთა უფლებების დაცვის მნიშვნელოვანი გარანტიაა (8). ჯერ კიდევ ძველ რომში აღიარებდნენ, რომ „თუ ფორმა არ არის დაცული, კეთდება დასკვნა, რომ საბუთი (აქტი) ბათილია“ (Forma non obsevata, inferto adnullatio actus).

სისხლის სამართალწარმოება რთული და მრავალმხრივი პროცესია, სადაც ორი - დაცვისა და ბრალდების მკვეთრად გამოხატული ინტერესი უპირისპირდება ერთმანეთს. საკუთა-რი პოზიციის დაცვა კი ძლიერი არგუმენტაციით არის შესაძლებელი. მტკიცების პროცესი

სწორედ მკაცრი სამართლებრივი რეგულირების ფარგლებში უნდა ხორციელდებოდეს. დანაშაულის გამოძიების, დამნაშავის გამოვლენისა და დასჯის ეფექტიანად განხორციელებისთვის სახელმწიფო უნდა ქმნიდეს საიმედო სამართლებრივ რეჟიმს (9). პროცესის მწარმოებელი ორგანო კი ამ სამართლებრივი რეჟიმის ფარგლებში უნდა მოქმედებდეს.

ცნობილია, რომ სასამართლოს გადაწყვეტილება სახელმწიფოს სახელით გამოაქვს. სწორედ აქ იკვეთება სახელმწიფოს ვალდებულება, შექმნას სათანადო ბაზა სამართლიანი მართლმსაჯულების განხორციელებისთვის, რაც თავის მხრივ, ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის რეალურ გარანტიებს იძლევა. უკანონო და დაუსაბუთებელი სასამართლო აქტი ადამიანის უფლებების სასამართლო დაცვაზე უარის თქმას ნიშნავს (10).

1.2. მტკიცების პროცესის შინაარსი

ცხადია, მტკიცების პროცესის აუცილებელი ელემენტი შემეცნებაა. მაგრამ არ შეიძლება მტკიცების პროცესი მხოლოდ ინფორმაციის მოპოვებით შემოიფარგლოს. შემეცნება და მტკიცება (სისხლის საპროცესო სამართლებრივი გაგებით) შინაარსობრივად განსხვავებული ცნებებია (11). მტკიცება უფრო ფართო ცნებაა და მოიცავს შემეცნებით საქმიანობასაც, რომელსაც მტკიცების პროცესში უმნიშვნელოვანესი ადგილი უკავია. ბუნებრივია, მტკიცებულების დასაშვებობაზე ვერც კი ვისაუბრებთ, თუ არ გვაქვს სისხლის სამართლის საქმისათვის შინაარსობრივად მნიშვნელოვანი ინფორმაცია. რა თქმა უნდა, აუცილებელია ინფორმაციის მოპოვება, შემეცნება. თუმცა რაოდენ დიდიც არ უნდა იყოს მტკიცების პროცესის შემეცნებითი მხარე, ეს არ ნიშნავს, რომ დავაკნინოთ მტკიცების პროცესის ფორმალური მხარე, რომელიც ადასტურებს ობიექტური ინფორმაციის არსებობას და ხელს უწყობს საპროცესო გადაწყვეტილებათა დასაბუთებას. ამიტომ არ შეიძლება მტკიცების პროცესი მხოლოდ ინფორმაციის მოპოვებით შემოიფარგლოს. მთავარია ეს ინფორმაცია ადრესატისთვის ხელმისაწვდომი, ობიექტური და დამაჯერებელი იყოს, რაც მხოლოდ სათანადო ფორმითაა შესაძლებელი. ინფორმაციის უტყუარობის მაღალ ხარისხს ამ ინფორმაციის კანონიერება განაპირობებს. თვით უტყუარობის ცნება კი არა მარტო ინფორმაციის ჭეშმარიტებას, არამედ ჭეშმარიტების დასაბუთებასაც მოიცავს. ფაქტების უტყუარი დადგენა სისხლის სამართლის საქმის სწორად გადაწყვეტის უპირველესი და აუცილებელი პირობაა (12). სისხლის სამართალწარმოების ამოცანათა გადასაწყვეტად სისხლის სამართლის საქმის გარემოებათა შესახებ უტყუარი ინფორმაციის მოპოვებაა აუცილებელი. ინფორმაციას უტყუარობის ხასიათს მტკიცების პროცესი ანიჭებს (8).

შემეცნებისა და მტკიცების მეცნიერული ანალიზის შედეგად, მტკიცების პროცესში შეიძლება სამი მიმართულება გამოვყოთ: (1) შემეცნება, (2) დადასტურება და (3) დასაბუთება. შემეცნების ეტაპზე საქმისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის მოპოვება ხდება. ამის შემდეგ აუცილებელია ინფორმაციის საპროცესო დამაგრება, შესაბამისი საპროცესო დოკუმენტში ასახვა და ყველა შესაძლო ადრესატის დარწმუნება მათთვის მიწოდებული ინფორმაციის ჭეშმარიტებაში (1). თანამედროვე ფილოსოფიურ მეცნიერებას ეჭვი არ შეაქვს, რომ ნებისმიერ მოვლენაში ფორმისა და შინაარსის ურთერთდამოკიდებულება მათ ერთიანობაში გამოიხატება. ფორმა არის შინაარსის გამოხატვის საშუალება, ხოლო

მტკიცებულება ლოგიკური და პრაქტიკული მეთოდების გამოყენებით მსჯელობის ჭეშმარიტების დასაბუთების საშუალებაა.

ამრიგად, უეჭველია, რომ ფორმა და შინაარსი ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული ცნებებია. არ შეიძლება ინფორმაცია (ისევე, როგორც ენერგია) რაიმე სახის მატერიალური ფორმის გარეშე არსებობდეს (1). მტკიცებულება არის სისხლის სამართლის საქმისათვის მნიშვნელოვანი გარემოების შესახებ ინფორმაცია, რომელიც ადასტურებს ან უარყოფს დანაშაულებრივ ფაქტს ან მასთან დაკავშირებულ გარემოებას (19).

მტკიცებულების შეფასებას ორი, შინაგანი (ლოგიკური) და გარეგანი (სამართლებრივი) მხარე აქვს. მოსამართლეს საქმის განხილვისას უამრავ ურთიერთგამომრიცხავ ინფორ-მაციასთან უწევს შეხება. მას სწორი გადაწყვეტილების მიღებაში სამართლიანობისა და კანონიერების პრინციპი ეხმარება. საპროცესო ფორმა სრულებითაც არ გულისხმობს შეზღუდვების დაწესებას. საპროცესო ფორმის დაცვა მტკიცებულებათა კანონიერებას ნიშნავს. კანონიერად კი ისეთი პროცედურა მიიჩნევა, რომლის დროსაც საყოველთაოდ აღიარებული სამართლებრივი პრინციპები არ იზღუდება. კერძოდ, არ ირღვევა მხარეთა თანასწორობა და მოსამართლის დამოუკიდებლობა (13).

როგორც ვიცით, სისხლის სამართლის პროცესი ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული სტადიებისაგან შედგება. გამოვყოთ ორი სტადია: სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება და საქმის სასამართლოში განხილვა. საქართველოში შერეული ტიპის სისხლის სამართლის პროცესი არსებობს. სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების სტადიაზე ინკვიზიციური ელემენტები შეინიშნება. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ამას აბსოლუტურად სამძებრო ხასიათი უნდა ჰქონდეს. პირიქით, კანონმდებლობა ინკვიზიციური ელემენტების უფრო და უფრო შემცირების გზით უნდა წავიდეს. დავის საგანი არ უნდა იყოს ის ფაქტი, რომ საპროცესო ფორმის დაცვა აუცილებელია როგორც სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების, ისე სასამართლო განხილვის სტადიაზე. საინტერესოა, რომ აღნიშნული საკითხისადმი სხვადა-სხვა მიდგომები არსებობს. მაგალითად, გერმანიის სისხლის სამართლის პროცესი მტკიცე-ბის ორ, „მკაცრ“ და „თავისუფალ“ სახეს განასხვავებს. აქ მტკიცების პროცესი მკაცრად რეგლამენტირებული მხოლოდ სასამართლო განხილვის სტადიაზეა. მტკიცება შეჯიბრები-თობის, უშუალობის და ყველა სხვა საპროცესო პრინციპის დაცვით მიმდინარეობს. სისხლ-ისსამართლებრივი დევნის დაწყების სტადიაზე კი საპროცესო ფორმის დაცვა სავალდებუ-ლო არ არის (6). ასეთ მიდგომას ვერ გავიზიარებთ, ვინაიდან სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება, სისხლის სამართლის პროცესის მნიშვნელოვანი ეტაპია. სწორედ აქ ხდება სისხლის სამართლის საქმისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის მოპოვება, შეკრება და საპროცესო დამაგრება. პროცესის ამ სტადიის მიზანი, საქმის სასამართლოში განხილვის-თვის მზადება და სწრაფი მართლმსაჯულების განხორციელებისთვის ხელის შეწყობაა.

აქვეა გასათვალისწინებელი ადამიანის უფლებების დაცვის პრობლემაც. სისხლისსამარ-თლებრივი დევნის განხორციელებისას პირი საქართველოს სისხლის სამართლის საპრო-ცესო კოდექსის მე-5 მუხლის თანახმად „პირი უდანაშაულოდ ითვლება, ვიდრე მისი დამნაშავეობა არ დამტკიცდება სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენით“.

თავი 2. მტკიცების პროცესის სუბიექტები

2.1. მხარეთა მიერ მტკიცებულებათა შეკრება და წარდგენა

სისხლის სამართლის პროცესში ძალიან აქტუალურია მტკიცების პროცესის სუბიექ-ტის საკითხი. როგორც ვიცით, სისხლის სამართლის პროცესი ეფუძნება მხარეთა თანასწორობის პრინციპს, რომელიც დაცვისა და ბრალდების თანასწორუფლებიანობას გულისხმობს. იგი რამდენიმე ელემენტს მოიცავს: ა) მტკიცებულებათა მოპოვება, ბ) მტკიცებულებათა დამაგრება, გ) მტკიცებულებათა შემოწმება, დ) მტკიცებულებათა შეფასება.

საზოგადოებრივი განვითარების დემოკრატიულმა პროცესებმა, დაცვის მხარის უფლე-ბების გაზრდა მოითხოვა, ვინაიდან დაცვის მხარე საზოგადოებრივი ურთიერთობის მონაწილეა, მტკიცების პროცესი კი სისხლის სამართლის პროცესის ბირთვია. დღეს მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, სისხლის სამართლის პროცესის სუბიექტად მიიჩნევა ნებისმიერი პირი, რომელიც რაიმე სახით მონაწილეობს მტკიცებით საქმია-ნობაში, აქვს გარკვეული უფლებები და განსაზღვრული ვალდებულებებიც აკისრია, თუმცა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში არის მუხლი, რომელიც დაცვის ფუნქციას მეტ-ნაკლებად ზღუდავს და უპირატესობას აძლევს ბრალდების მხარეს. მაგალითად ამავე კოდექსის 111-ე მუხლი საგამოძიებო მოქმედების ჩატარების უფლე-ბას აძლევს მხარეებს, თუმცა მეორე ნაწილით „დაცვის მხარის უფლება“, შუამდგომ-ლობით მიმართოს სასამართლოს საგამოძიებო მოქმედების ჩატარების თაობაზე, არ ვრცელდება ამ კოდექსის 112-ე მუხლის მე-5 ნაწილით გათვალისწინებულ გარემოე-ბებზე, რომლითაც დაცვის მხარეს არ აქვს უფლება სასამართლოს ნებართვის გარეშე ჩაატაროს ისეთი საგამოძიებო მოქმედება, რომლის ჩატარებისათვის ამ კოდექსის თანახმად საჭიროა ასეთი ნებართვა. ხოლო ასეთი მოქმედებების ჩატარების უფლებას გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში კანონმდებელი აძლევს პროკურორს, რომელმაც ამ მოქმედებების ჩატარების შემდეგ, მოსამართლეს 24 საათის განმავლო-ბაში უნდა აცნობოს და გადასცეს მას სისხლის სამართლის საქმის მასალები.

დაცვის მხარის ასეთმა შეზღუდვამ, შესაძლოა გამოიწვიოს ისეთი დოკუმენტის მოპოვების დაყოვნება, (იგულისხმება ადვოკატის მიერ პროკურორის წინაშე შესაბამისი შუამდგომ-ლობის დაყენებისა და შემდგომში ამ შუამდგომლობის გაზიარება-არგაზიარებაში გასულ დროს) ან გამოძიებისათვის მნიშვნელოვანი - ბრალდებულის გამამართლებელი ზოგიერ-თი დოკუმენტის ან ნივთის განადგურება. სასურველია ამ კუთხით კანონმდებელმა გაათანაბროს მხარეთა უფლება-მოვალეობები.

მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 72-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახ-მად, „ბრალდების მხარის მტკიცებულების დასაშვებობისა და დაცვის მხარის მტკიცებუ-ლების დაუშვებლობის მტკიცების ტვირთი ეკისრება ბრალმდებელს“. თუ მხარეებს თანაბარი უფლებები აქვთ, რატომ უნდა მივანდოთ დაცვის მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულებების სისხლის სამართლის საქმისთვის დართვის საკითხის გადაწყვეტა ბრალდების მხარეს. არაა გამორიცხული, რომ ბრალდების მხარე დაცვისათვის საჭირო

მტკიცებულებების განხილვისას ობიექტური და მიუკერძოებელი ვერ იქნეს. თუმცა ახალმა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსმა ამ მხრივ განსხვავებული პოზიცია დაიკავა და ცალსახად მიუთითა, რომ მტკიცებულების დასაშვებობის საკითხს წყვეტს სასამართლო. სასამართლოს კი საქმის გადამწყვეტის ფუნქცია აკისრია, ის არ არის მხარე. ასეთ შემთხვევაში დაცვის მხარის მტკიცებულების ბედი მთლიანად მოწინააღმდეგის ხელში არ არის, მაგრამ ჩნდება ეჭვი იმისა, რომ ბრალდების მხარე პრივილეგირებულ მდგომარეობაში შეიძლება აღმოჩნდეს.

თავი 3. მტკიცებულება საქართველოს სისხლის სამართლის პროცესში

3.1. მტკიცებულებათა მოპოვება

მხარეები სისხლის სამართლის პროცესში აგროვებენ მტკიცებულებებს, რომლებიც დაკავ-შირებულია დანაშაულთან. დანაშაული წარსულში მომხდარი ფაქტია და შეუძლებელია განმეორებით მისი ჩადენა. მათი შემეცნება ხდება ისე, რომ უნდა შეჯერდეს აწმყოსა და წარსულის მოვლენები, რომლებსაც ადგილი ჰქონდა ობიექტურ სამყაროში. წარსულ მოვლენებზე ცნობები შეიძლება მოგვაწოდოს თვითმხილველმა, გადმოცემულ იქნეს დოკუმენტში, აისახოს ადამიანის მიერ დატოვებულ კვალში და ა.შ. სისხლის სამართლის პროცესში წარსულში მომხდარი მოვლენის აღდგენა წარმოებს კანონით დადგენილი წესების მკაცრი დაცვით, რაც იძლევა უტყუარი დასკვნის მიღების გარანტიას.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 72-ე მუხლის მეორე ნაწილით: „მტკიცებულება ასევე დაუშვებელია, თუ იგი მოპოვებულია ამ კოდექსით დადგენილი წესის დაცვით, მაგრამ უარყოფილი არ არის გონივრული ეჭვი მისი შესაძლო გამოცვლის, მისი ნიშან-თვისებების არსებითი შეცვლის ან მასზე დარჩენილი კვალის არსებითი გაქრობის შესახებ“. აქ მკაფიოდაა მითითებული, რომ დაცვის მხარეს ისეთ შემთხვევაშიც კი, როდესაც ბრალდების მხარემ კანონიერი გზით მოიპოვა ბრალის დამამტკიცებელი მასალა (ნივთი ან დოკუმენტი), შეუძლია გონივრული ეჭვი შეიტანოს ამ მტკიცებულების ნიშან-თვისებებში და თუ კი ბრალდების მხარე ვერ შეძლებს დაცვის მხარის ამ გონივრუ-ლი ეჭვის უარყოფას, ასეთი მტკიცებულებაც დაუშვებლად იქნება მიჩნეული.

გარდა ზემოთ აღნიშნულისა, სსსკ-ის 73-ე მუხლის პრეიუდიციის პირველი ნაწილით „გამოკვლევის გარეშე მტკიცებულებად“ მიიღება:

ა) საყოველთაოდ ცნობილი ფაქტი.

ბ) განაჩენი ნასამართლობაზე.

გ) სხვა სისხლის სამართლის საქმეზე განაჩენით დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები, თუ პროცესის არც ერთი მონაწილე მათ საეჭვოდ არ ხდის.

დ) ნებისმიერი სხვა გარემოება თუ ფაქტი, რომელზედაც მხარეები შეთანხმდებიან,

თუმცა ასეთი მოთხოვნა დოგმას არ წარმოადგენს არც ერთი მხარისათვის.

ამავე მუხლის მეორე ნაწილით „მხარის ინიციატივით სასამართლომ შეიძლება უარყოს პრეიუდიციულად დადგენილი ფაქტი, თუ ეს ფაქტი ეწინააღმდეგება სასამართლოში

მტკიცებულებათა გამოკვლევის შედეგებს“. მტკიცებულების ერთ-ერთი ფორმაა სასამართლოში მიცემული ბრალდებულის ჩვენება, რომლითაც იგი ასახავს მომხდარის დროს, ადგილს, მიზეზს, მიზანსა თუ სხვას, რამაც განაპირობა დანაშაულის ჩადენა, თუმცა კონონმდებელი არ ავალდებულებს ბრალდებულს ჩვენების მიცემას. ეს მისი უფლებაა და არა მოვალეობა. ზოგჯერ ბრალდებული ცდილობს გადააბრალოს სხვა პირს დანაშაულის ჩადენა და ეს მისი მხრიდან თავის დაცვის ერთ-ერთი საშუალებაა, რის გამოც არ შეიძლება მას სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა დაეკისროს. მტკიცებულებაა ასევე მოწმის ჩვენება, რომელიც მიიღება სასამართლოში და შეიტანება შესაბამის ოქმში.

არსებობს ასევე მოწმის ირიბი ჩვენებაც, რომელსაც კანონმდებელი დასაშვებ მტკიცებულებად ვერ ჩათვლის მანამ, სანამ ირიბი ჩვენების მიმცემი პირი ვერ მიუთითებს ინფორმაციის წყაროს, რომლის იდენტიფიცირება და რეალურად არსებობის შემოწმებაა შესაძლებელი და სასამართლოში საქმის არსებით განხილვის დროს ირიბი ჩვენება მხოლოდ იმ შემთხვევაში დაიშვება მტკიცებულებად, თუ იგი დადასტურებული იქნება სხვა ისეთი ჩვენებებით, რომლებიც პირდაპირ და უტყუარად ადასტურებენ მომხდარ ფაქტს (სსსკ-ის 75-ე მუხლი). მტკიცებულებაა ასევე ნივთი ან საგანი, რომელსაც შეუძლია ხელი შეუწყოს მხარეს საკუთარი ინტერესების დასაცავად და საქმის არსებითი განხილვისას კანონმდებელი იმ მტკიცებულებებს თვლის დასაშვებად, რომლის ავთენტიკურობაც დადასტურებულია (სსსკ-ის 77-ე მუხლი).

მტკიცებულებითი ძალა გააჩნია ასევე დოკუმენტსაც, რომელიც დამზადებულია საპროცესო მოქმედების მსვლელობისას ან მოპოვებული მხარის მიერ და გამოიყენება სისხლის სამართლის პროცესში, როგორც მტკიცებულების წყარო. დოკუმენტი იმ შემთხვევაში ჩაითვლება მტკიცებულებად, როდესაც მასზე დაფიქსირებულია მონაცემები, რომლებსაც მნიშვნელობა აქვთ საქმისათვის. მხარის მოთხოვნის შემთხვევაში, დოკუმენტს მტკიცებულებითი ძალა აქვს, თუ ერთდროულად იგი აკმაყოფილებს ორ მოთხოვნას: 1) ცნობილია მისი წარმომავლობა. 2) ავთენტიკურია. დოკუმენტი ან ნივთიერი მტკიცებულება დასაშვებობის ძალას იძენს თუ: 1) მხარეს შეუძლია მოწმედ დაკითხოს პირი, რომელმაც მოიპოვა იგი. 2) მხარეს შეუძლია მოწმედ დაკითხოს პირი, რომელმაც შექმნა იგი. 3) მხარეს შეუძლია მოწმედ დაკითხოს პირი, რომელთანაც ინახებოდა იგი სასამართლოში წარდგენამდე. 4) მხარეს შეუძლია მოწმედ დაკითხოს პირი, რომელმაც მოიპოვა იგი და რომელთანაც ინახებოდა სასამართლოში წარდგენამდე. 5) მხარეს შეუძლია მოწმედ დაკითხოს პირი, რომელმაც შექმნა იგი და რომელთანაც ინახებოდა სასამართლოში წარდგენამდე.

3.2. მტკიცებულებათა კლასიფიკაცია

კანონმდებელი მტკიცებულებებს ჰყოფს კლასიფიკაციის მიხედვით, თუ რომელი წყაროდანაა იგი მიღებული. განასხვავებენ მტკიცებულებათა კლასიფიკაციას შემდეგნაირად: ა) პირველადი და წარმოებული მტკიცებულება; ბ) პირდაპირი და არაპირდაპირი (ირიბი); გ) გამამტყუნებელი და გამამართლებელი; დ) პიროვნული და ნივთიერი. მოკლედ განვიხილავთ თითოეულ მათგანს.

მტკიცებულებათა დაყოფა პირველად და წარმოებულად დამოკიდებულია იმაზე, თუ რომელი წყაროდანაა იგი მოპოვებული. პირველადია, მაგალითად იმ მოწმის ჩვენება, რომელიც უშუალოდ თვითმხილველია ფაქტისა და პირდაპირ აღიქვა მომხდარი. წარმოებულად კი ითვლება ისეთი მოწმის ჩვენება, რომელიც უშუალოდ არ არის თვითმხილველი მომხდარისა, მაგრამ მის შესახებ ცნობილი გახდა სხვა პირისაგან, რომელიც უშუალო მხილველი იყო მომხდარისა. ასეთი ჩვენების დროს სავალდებულოა, დადგინდეს პირველადი წყარო და დაიკითხოს იგი. თუ დასაკითხი პირი ვერ ასახელებს პირველ წყაროს, ასეთი ჩვენება კარგავს მტკიცებულებით ძალას და იგი უარყოფილი უნდა იქნეს. პირდაპირია მტკიცებულება, თუ იგი პირდაპირ კავშირშია მოვლენასთან და უშუალოდ ამტკიცებს ან უარყოფს მოვლენას, ხოლო არაპირდაპირია (ირიბია) მტკიცებუ-ლება, რომელიც უშუალო კავშირში არ არის ფაქტთან, მაგრამ სხვა მტკიცებულებათა ერთობლიობაში იძლევა იმის საშუალებას, რომ დადგინდეს ან უარყოფილი იქნეს ფაქტი. ირიბი მტკიცებულების გამოყენება შეიძლება მხოლოდ ისეთ შემთხვევაში, თუ იგი დადასტურებულია სხვა პირდაპირი მტკიცებულებებით.

გამამტყუნებელ და გამამართლებელ მტკიცებულებად მიიჩნევა ისეთი ინფორმაცია, რომელსაც საფუძვლად უდევს ინფორმაციის შინაარსი. მტკიცებულება, რომელიც ადასტურებს პირის მონაწილეობას დანაშაულის ჩადენაში ან ამძიმებს სხვაგვარად მის პასუხისმგებლობას - გამამტყუნებელ მტკიცებულებად იწოდება, ხოლო მტკიცებულება, რომელიც ამსუბუქებს ან უარყოფს პირის მონაწილეობას დანაშაულებრივ ქმედებაში - გამამართლებელ მტკიცებულებას უწოდებენ. პიროვნულ და ნივთიერ მტკიცებულებად დაყოფას საფუძვლად უდევს მტკიცებულებების გარემოებათა აღქმა და მისი გადმოცემა. პიროვნული მტკიცებულებაა - საგამოძიებო მოქმედების ჩატარების ოქმი, ხოლო ნივთიერია მტკიცებულება, რომელიც გამოსახულია მატერიალური ობიექტის სახით, მაგალითად ნივთები, საგნები, ფული და სხვ.

ახლა განვიხილოთ მტკიცებულებათა შეფასების კრიტერიუმები. სსსკ-ის 82-ე მუხლის შესაბამისად, „მტკიცებულება უნდა შეფასდეს სისხლის სამართლის საქმესთან მისი რელევანტურობის, დასაშვებობის და უტყუარობის თვალსაზრისით“. ამავე დროს მტკიცებულებას არ აქვს წინასწარ დადგენილი ძალა, რადგან ერთი მხარის მოპოვებული ესა თუ ის მტკიცებულება, შესაძლოა გააბათილოს მეორე მხარის მიერ კანონიერი გზით მოპოვებულმა საპირისპირო მტკიცებულებამ, მაგრამ იმისათვის, რომ ბრალდებულის მიმართ დადგინდეს გამამტყუნებელი განაჩენი, საჭიროა გონივრულ ეჭვს მიღმა არსებულ შეთანხმებათა ერთობლიობა. „გონივრულ ეჭვს მიღმა“ კი ნიშნავს მტკიცებულებათა ერთობლიობას, რომელიც ობიექტურ პირს დაარწმუნებდა პირის ბრალეულობაში. კანონმდებელი ასევე ითვალისწინებს თანასწორობის უფლებების დაცვას, მათ მიერ მოპოვებული მტკიცებულებების ურთიერთგაცვლის გზით. სსსკ-ის 83-ე მუხლი დაცვის მხარეს ანიჭებს უფლებას, ბრალდების მხარეს მოთხოვოს იმ ინფორმაციის გაცნობა, რომლის მტკიცებულებად წარდგენასაც აპირებს სასამართლოში, რაც ბრალდების მხარემ სავალდებულო წესით უნდა დააკმაყოფილოს, თუმცა აქ არსებობს ერთი გამონაკლისი: როდესაც ბრალდების მხარის შუამდგომლობით სასამართლომ შეიძლება შეზღუდოს ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების ან ფარული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად

მოპოვებული ინფორმაციის ნაწილი და ისიც მხოლოდ წინასასამართლო სხდომამდე, თუმცა ასეთის გამართვამდე არაუგვიანეს 5 დღისა, მხარეებმა ერთმანეთს უნდა მიაწოდონ მათ ხელთ არსებული სრული ინფორმაცია, რომლის მტკიცებულებად წარდგენას სასამართლოში აპირებენ.

მხოლოდ ასეთი სავალდებულო საპროცესო ქმედებები უნდა მოახდინონ ურთიერთშორის მხარეებმა, რომ მათ მიერ მოპოვებული უტყუარი მტკიცებულებების საფუძველზე მიიღოს სასამართლომ გამამტყუნებელი ან გამამართლებელი განაჩენი. ამასთან სსსკ-ის 269-ე მუხლის მე-2 ნაწილით „არ შეიძლება გამამტყუნებელ განაჩენს საფუძვლად დაედოს ვარაუდი“.

დასკვნა

წინამდებარე სტატიაში - „მტკიცების ფარგლები - სისხლის საპროცესო სამართლის ინსტიტუტი“, ერთ-ერთი ძირითადი რგოლია სისხლის სამართალწარმოებაში. საპროცესო სამართალი სამართლის დარგია, რომელიც აერთიანებს იმ სამართლებრივ ნორმებს, რომლითაც წესრიგდება გამოძიების ორგანოების და სამართლის საქმიანობა, სისხლის სამართლის გამოძიება-განხილვის დროს.

კვლევის მიზანიც ხომ იმაში მდგომარეობს რომ უფრო კონკრეტულად გავარკვიოთ, რას გულისხმობს მტკიცებულების დასაშვებობა და განვმარტოთ მტკიცებულების ეს თვისება, საჭიროდ მიგვაჩნია განვმარტოთ ტერმინი „დასაშვებობა“, რაც „რაიმეს შესაძლებლობას“ ნიშნავს. ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში „შესაძლებელი“ განმარტებულია, როგორც „დასაშვები“ (17). ხშირია მტკიცებულების დასაშვებობის ასეთი განმარტებაც: „სისხლის სამართლის პროცესში მტკიცებულების დასაშვებობა - ეს არის სისხლის სამართლის საქმეზე ინფორმაციის მტკიცებულებად გამოყენების შესაძლებლობა“ (2).

კანონმდებლის მიერ მტკიცებულების წყაროს განსაზღვრა საშუალებას იძლევა სისხლის სამართლის საქმისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაცია დაფიქსირდეს მოწმის ჩვენებაში, ექსპერტის დასკვნაში თუ სხვა საგამოძიებო მოქმედებებში. ყველა ზემოაღნიშნული მტკიცებულების წყარო ოფიციალური დოკუმენტია, რომლის შენახვა, გადამოწმება და დაინტერესებული მხარისთვის წარდგენა ნებისმიერ დროს შეიძლება (4).

მოწმეთა და დაზარალებულთა დაცვის ღონისძიებები ძირითადად მათი ვინაობის ანონიმურობასთანაა დაკავშირებული. ეს ეფექტიანი ღონისძიებაა, მაგრამ მნიშვნელოვან სამართლებრივ პრობლემებსაც ქმნის - ვერ ხერხდება დაცვის მხარისთვის საქმის მასალების სრულად გაცნობა და მოწმის დაკითხვაში მისი მონაწილეობა. აღსანიშნავია, რომ 1970 წელს აშშ-ის კონგრესმა მიიღო კანონი „ორგანიზებული დანაშაულის კონტროლის შესახებ“, რომლითაც გენერალურ პროკურორს ორგანიზებული დანაშაულის საქმეებზე მოწმეთა დაცვისათვის სახსრების გამოყოფის უფლება მიეცა (5). ბუნებრივია ამით არ უნდა შეილახოს დაცვის მხარის ინტერესები.

დანაშაულის წარმატებით გამოძიება სწორედ გამომძიებლის კვალიფიციურობაზე, საგამოძიებო მოქმედებების სწორად დაგეგმვაზე და ოპტიმალური გადაწყვეტილებების მიღებაზეა დამოკიდებული.

სისხლის სამართლის პროცესი დანაშაულის შესახებ ინფორმაციის მიღებით იწყება, რის შემდეგაც პროცესის მონაწილეებს წარმოეშობათ საპროცესო კანონით მინიჭებული უფლებები და ვალდებულებები, ამ დროს პროცესში მონაწილე პირები ერთმანეთთან ამყარებენ გარკვეულ ურთიერთობებს და ეს ურთიერთობები წყდება პროცესის დამთავრებისას, რომლის ორი ფორმაც არსებობს: 1) გამოძიების ან/და სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტა, 2) განაჩენის დადგენა. სისხლის სამართლის საქმე მოძრაობისას გადის განსაზღვრულ ეტაპებს, რომელსაც პროცესის სტადიები ეწოდება და ისინი მკაცრად დაცული თანმიმდევრობით ცვლიან ერთმანეთს. სისხლის სამართლის პროცესში არსებობს სამი ძირითადი ფუნქცია: ბრალდების, დაცვისა და საქმის განხილვა-გადაწყვეტის, რაც ზემოთ უკვე განხილულ იქნა. თუმცა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში სრულყოფილად არ არის დაცული მხარეთა თანასწორობა, კერძოდ: ბრალდებისა და დაცვის მხარეს შორის განსხვავებას გვაძლევს სსსკ-ის 111-ე მუხლის მე-2 ნაწილის მოთხოვნა, რომლითაც დაცვის მხარის უფლება, შუამდგომლობით მიმართოს სასამართლოს საგამოძიებო მოქმედებათა ჩატარების შესახებ, ისეთ შემთხვევაში, როდესაც დაყოვნებამ შეიძლება გამოიწვიოს გამოძიებისათვის მნიშვნელოვანი ფაქტობრივი მონაცემების განადგურება, ან როცა დაყოვნება შეუძლებელს გახდის აღნიშნული მონაცემების მოპოვებას, შეუძლია ჩაატაროს პროკურორმა და მომდევნო 24 საათში აცნობებს იგი ასეთის შესახებ მოსამართლეს. თუკი იგივე მდგომარეობაში აღმოჩნდება დაცვის მხარე, მან აუცილებლად შუამდგომლობით უნდა მიმართოს პროკურორს და დაუსაბუთოს მას ასეთი საგამოძიებო მოქმედების ჩატარების აუცილებლობა (მაგ.: ჩხრეკა, ამოღება და სხვ.), რასაც თავისთავად მოყვება გარკვეული დროის გასვლა, რა დროშიაც შესაძლოა განადგურდეს დაცვის მხარისათვის ძალზედ საჭირო მტკიცებულება.

ამ მხრივ საჭიროდ მივიჩნევთ დაცვის მხარეს მოეხსნას ასეთი შეზღუდვა და მიეცეს ისეთივე უფლება, როგორც ბრალდების მხარეს (პროკურორს), ვინაიდან დაცვის მხარის მიერ ასეთ დროს მოპოვებული მტკიცებულება უნდა გადაამოწმოს ბრალდების მხარემ - პროკურორმა და ასევე სასამართლომ. თუკი მტკიცებულება პროცესუალური ნორმის დარღვევით იქნა მოპოვებული და დარღვეული იქნა ადამიანის უფლებები, იგი დაუშვებლად იქნება მიჩნეული. ამავე დროს მიგვაჩნია, რომ დაცვის მხარის მიერ დაყენებული შუამდგომლობა გადაუდებელი საგამოძიებო მოქმედების ჩატარების შესახებ, პროკურორმა შეიძლება შეგნებულად შეზღუდოს, რაც ხელს შეუშლის საქმეზე ჭეშმარიტების დადგენას. ასეთ ეჭვს კიდევ უფრო ამტკიცებს სსსკ-ის 72-ე მუხლის მე-3 ნაწილის მოთხოვნა, რომ: „ბრალდების მხარის მტკიცებულების დასაშვებობისა და დაცვის მხარის მტკიცებულების დაუშვებლობის მტკიცების ტვირთი ეკისრება ბრალმდებელს“. მიგვაჩნია, რომ ბრალდების მხარე (პროკურორი) პრივილეგირებულ მდგომარეობაში რჩება, მით უმეტეს, თუკი მტკიცების დაუშვებლად ცნობის საკითხს საბოლოოდ სსსკ-ის 72-ე მუხლის მე-5 ნაწილით წყვეტს სასამართლო და იგი დასაბუთებული უნდა იყოს.

მართალია სისხლის სამართალწარმოება ადამიანის უფლებების გარკვეულწილად შეზღუდვას იმთავითვე გულისხმობს, მაგრამ ეს მკაცრი სამართლებრივი რეგულირების ფარგლებში უნდა ხდებოდეს. ეს კიდევ ერთი არგუმენტია საპროცესო ფორმის დაცვის აუცილებლობის სასარგებლოდ. ამ სფეროში მოუწესრიგებელი ურთიერთობები ადამიანის უფლებების თვითნებურ ხელყოფას გამოიწვევს, რისი შესაძლებლობაც კანონის მოთხოვნების დაცვისას მინიმალურია. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ადგენს მტკიცების ისეთ პროცესს, რომლის დროსაც სახელმწიფოს აქვს უფლება, შეეხოს პირის პირად ცხოვრებას. ამასთან ისე, რომ ადამიანის პირად ცხოვრებაში ჩარევა მხოლოდ აუცილებლობის შემთხვევაში, მინიმალურ დონეზე მოხდეს. ეს ის სფეროა, სადაც დანაშაულის გახსნისა და ადამიანის უფლებების დაცვის ინტერესებს შორის ბალანსის დაცვა ძალზე რთული და იმავდროულად აუცილებელია. ამ რთული ამოცანის გადაწყვეტა მხოლოდ საპროცესო ფორმის დაცვის შემთხვევაშია შესაძლებელი.

გადაწყვეტილებაში საქმეზე „ელ-მასრი იუგოსლავიის ყოფილი რესპუბლიკა მაკედონიის წინააღმდეგ“, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განავითარა შემდეგი მსჯელობა, რაც ყურადსაღებია: „სასამართლო ნებისმიერ შემთხვევაში სიფრთხილით მოეკიდება მინისტრების ან სხვა მაღალი რანგის წარმომადგენელთა მიერ გაკეთებულ განცხადებებს, ვინაიდან ეს განცხადებები, როგორც წესი, იმ სახელმწიფოს მხარდამჭერია, რომელსაც ისინი წარმოადგენენ ან წარმოადგენდნენ წარსულში. მაგრამ, სასამართლოს, ასევე, მიაჩნია, რომ მაღალი თანამდებობის პირთა განცხადებები, მათ შორის ყოფილი მინისტრების და სხვა პირების, რომლებმაც ითამაშეს ცენტრალური როლი სადავო საკითხში, სარგებლობენ განსაკუთრებული მტკიცებულებითი ღირებულებით, როდესაც ისინი აღიარებენ ფაქტებს ან ქცევას, რომელიც სახელმწიფო უწყების წარმომადგენლებს არასახარბიელო პოზიციაში აყენებს. ეს, შეიძლება, აღიარების გარკვეულ ფორმას წარმოადგენდეს (15).

გამოყენებული ლიტერატურა

1. Орлов Ю.К. Основы теори доказательств в уголовном процессе. М., 2000. С. 6, 14, 39.
2. Зинатуллин З.З. Уголовно-процессуальное доказывание. Ижевск, 1993. С. 108.
3. Некпасрв С.В. Юридическая сила доказательств в уголовном судопроизводстве. М., 2000. С. 7.
4. Петрухина И.Л. Уголовно-процессуальное право Российской Федерации//Под ред. 2-е изд. М., 2006, С. 213-220.
5. Сильнов М.А. Вопросы обеспечения допустимости доказательств в уголовном процессе. М., 2001. С. 39.
6. Гуценко К.Ф., Головко Л.В., Филимонов Б.А. Уголовный процесс западных государств. Изд. 2-ое. М., 2002. С. 87-89, 318-319, 418-419.
7. Золотых В.В. Проверка допустимости доказательств в уголовном процессе. Ростов, 1999. С. 221.
8. Жогина Н.В. Теория доказательств в советском уголовном процессе/Под ред. М., 1973. С. 212, 288.
9. Корякин Е.А. К вопросу о судебных доказательствах в состязательном уголовном судопроизводстве// Российская юстиция. 2006, №4. С. 10, 32.
10. Грулцына О.Ю. Судебная защита прав и свобод личности// Российская юстиция. 2006, №2. С. 26.
11. Джатиев В.С. Доказываие и оценка обстоятельств преступления. Ростов, 1990. С. 23.
12. Власихиа В.А. Доказывание в уголовном процессе: традиции и современность/ Под ред. М., 2000.

С. 143.
13. Смирнов А.В. Модели уголовного процесса. Санкт-Петербург, 2000, С. 61.
14. Соловьев А.Б. Доказывание по Уголовно-процессуальному кодексу Российской Федерации. М., 2003. С. 77.
15. El-Masri v. "The former Yugoslav. Republic of Macedonia" საჩივარი No.39630/09, 13.12.2012.
16. Robert M. Pitler, „The Fruit of the Poisonous Tree Revisited and Shepardized".
17. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი. ერთტომეული. ნაკვეთი მეორე. თბილისი. 1990. გვ. 1071.
18. პრადელი ჟ. შედარებითი სისხლის სამართალი. თბ. 1997. გვ. 296.
19. ხარაზიშვილი ბ. მტკიცებითი სამართალი. თბ. 1983. გვ. 30-50.
20. ჩომახიშვილი ქ. მტკიცებულებები სისხლის სამართლის პროცესში. თბ. 2016.

Scope of proof - Institute of Criminal Procedure Law

Beka Kebuladze
Grigol Robakidze University, PhD student
Beqaqebuladze11@gmail.com

Abstract. In general, crime is a social phenomenon that existed, exists and will always exist. Society's attitude towards crime is strongly negative. After it has been committed, the public interest is to solve the crime and impose a fair punishment on the offender. In some cases, the facts are so clear that it is possible that they clearly pointed to one particular person, but this is not enough to identify and punish the culprit. The only way to do this is fair justice. For justice, it is necessary to establish the truth. Therefore, the facts related to the crime and the determination of the person's guilt should be done in a legal way. Investigation of crime, detection of the culprit and fair punishment are the most difficult processes, which are strictly regulated by the criminal procedural law, where the law of evidence has a special place.

Key words: evidence, scope of proof, guilt, prosecutor, accused

თანაზომიერების პრინციპის თეორიული და პრაქტიკული ასპექტები (ქართული და გერმანული სამართლის მიხედვით)

გიორგი ხაზალია
გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი, დოქტორანტი
giorgi.khazalia20@gruni.edu.ge

რეზიუმე. თანაზომიერების პრინციპი სახელისუფლებო საქმიანობას მკაცრ კონსტიტუციურ სამართლებრივ ჩარჩოებში აქცევს და ამით ხელს უწყობს ადამიანის ძირითადი უფლებების და სახელმწიფოს მიერ დასახული საჯარო ლეგიტიმური მიზნების ადეკვატურ დაბალანსებას. საქართველოს კონსტიტუციის მოქმედ რედაქციაში, კერძოდ 34-ე მუხლის მე-3 პუნქტში ექსპლიციტურად მითითებულია, რომ ადამიანის ძირითადი უფლების შეზღუდვა უნდა შეესაბამებოდეს იმ ლეგიტიმური მიზნის მნიშვნელობას, რომლის მიღწევასაც იგი ემსახურება. თანაზომიერების პრინციპის დოგმატიკა და პრაქტიკა მე-20 საუკუნის 50-იანი წლებიდან გერმანულ სამართალში განვითარდა და გავრცელდა კონტინენტალურ ევროპულ სამართლის სისტემაში. აქტუალური მდგომარეობით, საკონსტიტუციო სასამართლოები თანაზომიერების პრინციპს, უნივერსალურ კონსტიტუციურ პრინციპად მიიჩნევენ და დადგენილი პრაქტიკით ძირითადი უფლების შეზღუდვის გამართლებულობას მის საფუძველზე აფასებენ. ამასთან, არ არსებობს ერთმნიშვნელოვანი და დოქტრინალური დისკუსიებისგან დაცლილი მიდგომა თანაზომიერების პრინციპის ცალკეულ კომპონენტებთან მიმართებით, განსაკუთრებით თუ სად გადის ზღვარი საკანონმდებლო მიხედულების ფარგლებსა და თანაზომიერების კონსტიტუციურ მოთხოვნას შორის. თანაზომიერების პრინციპის პრაქტიკაში სათანადო არტიკულაცია უმნიშვნელოვანესი მონაპოვარია, თუმცა აუცილებელია მისი დოგმატური ბუნების ადეკვატურად გააზრება, რათა თავიდან იქნეს აცილებული ცალკეული თეორიული თუ პრაქტიკული წინააღმდეგობა ამ საკითხთან დაკავშირებით.

საკვანძო სიტყვები: თანაზომიერების პრინციპი, ლეგიტიმური მიზანი, გამოსადეგობა, აუცილებლობა, პროპორციულობა ვიწრო გაგებით

შესავალი

მაშინ, როდესაც დემოკრატიულად ლეგიტიმირებული კანონმდებელი საპარლამენტო უფლებამოსილების განხორციელების ფარგლებში ზღუდავს ადამიანის კონსტიტუციურ უფლებებს და თავისუფლებებს, იგი შებოჭილია აღნიშნული განახორციელოს კონსტიტუციური წესრიგით დადგენილი სტანდარტების მხედველობაში მიღებით. ხსენებული კონსტიტუციური წესრიგის უმნიშვნელოვანეს ასპექტს წარმოადგენს თანაზომიერების პრინციპი. ამ კონტექსტში იგი მნიშვნელობას იძენს იმ თვალსაზრისით, რომ სახელმწიფომ თავისი მიზნები საკუთარ მოქალაქეებთან თანაზომიერ დამოკიდებულებაში უნდა დასახოს (16, 13). შესაბამისად, თანაზომიერების პრინციპი ადამიანის უფლებათა შეზღუდვის მართლზომიერების შეფასების კონსტიტუციური

კრიტერიუმია (1, 22-23). იგი, როგორც კონსტიტუციურ უფლებაში ჩარევის ობიექტური საზომი, გამოიყენება როგორც თავისუფლების ასევე თანასწორობის უფლებებში სახელმწიფოს მხრიდან ინტერვენციის დროს. გამომდინარე აქედან, თანაზომიერების პრინციპი არის უმნიშვნელოვანესი გარანტია ნორმის კონსტიტუციურობის სწორად შესაფასებლად და მას დოქტრინალურთან ერთად დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა გააჩნია. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ ჯერ კიდევ 2006 წელს საკუთარი პრაქტიკით დაადგინა თანაზომიერების პრინციპის კონსტიტუციური რანგი და აღნიშნა, რომ „თანაზომიერების პრინციპი სამართლებრივი სახელმწიფოს იდეიდან მომდინარეობს, მისი ძირითადი დატვირთვა არის ადამიანის უფლებების შეზღუდვისას სახელმწიფოს ფარგლების განსაზღვრა, უზრუნველყოფს თავისუფლებისა და მისი შეზღუდვის ერთგვარ გაწონასწორებულ, თანაზომიერ დამოკიდებულებას და კრძალავს ადამიანის უფლებების იმაზე მეტად შეზღუდვას, რაც აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში“ (17, 13).

წინამდებარე სტატიის მიზანია გამოკვეთოს თანაზომიერების უნივერსალური პრინციპის შემადგენელი თითოეული კომპონენტი, გაიაზროს იგი ქართული და უცხოური დოქტრინალური, თუ კონსტიტუციური მართლმსაჯულების გაანალიზების საფუძველზე. გარდა ამისა, სტატიაში ასევე განხილულია თანაზომიერების პრინციპის და მასთან დაკავშირებული პრაქტიკის კრიტიკა, ხოლო დასკვნის სახით კი შემოთავაზებულია მიმოხილული საკითხების შეჯამება და ავტორისეული ხედვა განსახილველ თემატიკასთან დაკავშირებით.

1. თანაზომიერების პრინციპის ისტორიული განვითარება გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში

აღსანიშნავია, რომ გერმანიის ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ თანაზომიერების პრინციპის ოთხეტაპიანი ტესტი პირველად ჯერ კიდევ 1968 წელს ჩამოაყალიბა (22, 133). თუმცა, როგორც შეფასების ზოგად მასშტაბს, მას კონსტიტუციურ-სამართლებრივი პრაქტიკა იქამდეც იცნობდა. უფრო ადრინდელ გადაწყვეტილებებში პროპორციულობის მოთხოვნას სასამართლო ადგენდა სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპიდან გამომდინარე, იმგვარად რომ არ შედიოდა პროპორციულობის პრინციპით მოცული კომპონენტების დეტალურ ანალიზში. გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, სახელმწიფოებრიობის განვითარების საწყის ეტაპზე კონსტიტუციურ-სამართლებრივ დოქტრინასა და პრაქტიკაში ტერმინ „თანაზომიერებას“ უფრო ვიწრო მნიშვნელობა ჰქონდა ვიდრე დღეს. პროპორციულობის ან გადაჭარბების აკრძალვის ცნებები უკვე გვხვდება ვაიმარის რესპუბლიკისა და გერმანიის იმპერიის სამართალში, მაგრამ ისინი, როგორც წესი, გულისხმობენ მხოლოდ ინტერვენციის გაგრძელების აკრძალვას, თუ ლეგიტიმური მიზანი მიღწეულია და არ არსებობს ღონისძიების გაგრძელების ობიექტური აუცილებლობა. თუმცა, სამართლის განვითარების ამ ეტაპზე ჯერ კიდევ უცნობი იყო პროპორციულობის მეოთხე და ყველაზე მნიშვნელოვანი კომპონენტი -

ვიწრო პროპორციულობის კონტექსტში ურთიერთდაპირისპირებულ ინტერესთა დაბალანსება (9, 146).

აღსანიშნავია, რომ ვაიმარის რესპუბლიკის კონსტიტუციურ-სამართლებრივ პრაქტიკაში პროპორციულობის პრინციპს კონსტიტუციური რანგი არ ენიჭებოდა. მიუხედავად ამისა, იურიდიულ დოქტრინაში ცალკეული ავტორები სახელისუფლებო მოქმედების თანაზომიერებას ზეპოზიტიურ პრინციპად მიიჩნევდნენ. ჯერ კიდევ 1895 წელს ცნობილი გერმანელი მეცნიერი *ოტო მეიერი* მიუთითებდა: „ბუნებრივი სამართლის საფუძვლები მოითხოვს, რომ აღმასრულებელი ხელისუფლების, განსაკუთრებით საპოლიციო მოქმედებები თანაზომიერების მოთხოვნებს ეფუძნებოდეს“. ჯერ კიდევ მე-19 საუკუნეში გერმანელი მეცნიერები „აიძულებდნენ“ პოლიციას „მათი ზომების ადეკვატურობისა და მიზანშეწონილობისკენ“.

იურიდიული დოქტრინა საპოლიციო სამართალში ავითარებდა შეხედულებას, რომ პოლიციელებს, თანაზომიერების პრინციპიდან გამომდინარე, არ ჰქონდათ ირაციონალური მოქმედების უფლება, რაც, სხვა საკითხებთან ერთად, მაშინ იჩენს თავს, როდესაც მიღწეული შედეგის მნიშვნელობა და სარგებელი არაპროპორციულია გამოყენებული ღონისძიების მიმართ (12, 89). ამ პერიოდისთვის თანაზომიერების მოთხოვნა, როგორც დამოუკიდებელი სამართლებრივი პოსტულატი არ არსებობდა და იგი სამართლებრივი სახელმწიფოს ფესვებიდან წარმოშობილ პრინციპად მიიჩნეოდა. ასევე ადრეულ გერმანულ კონსტიტუციონალიზმს თუ მივიღებთ მხედველობაში, ლანდების ძირითად კანონში არსად არ იყო ძირითადი უფლებები თანაზომიერების პრინციპთან ორგანულად დაკავშირებული. ეს უფლებები დიფუზური მნიშვნელობით დარჩნენ და ამ პერიოდისთვის თანაზომიერების კონცეფციაზე სამეცნიერო თუ პრაქტიკული დისკუსიები არ მიმდინარეობდა.

თანაზომიერების პრინციპის დოქტრინალური და პრაქტიკული ჩარჩოების დახვეწა და განვითარება გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში 1950-იანი წლებიდან იწყება, მას შემდეგ რაც მიღებული იქნა ახალი კონსტიტუცია და შეიქმნა ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო. სწორედ ამ პერიოდიდან ხდება ამ პრინციპის რეცეფცია კონტინენტალური ევროპის სამართლის ქვეყნებში, მათ შორის საქართველოში.

2. თანაზომიერების პრინციპის შემადგენელი კომპონენტები

2.1. ლეგიტიმური მიზანი

თანამედროვე კონსტიტუციურ-სამართლებრივ დოქტრინასა და პრაქტიკაში შეთანხმებულ მოცემულობას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ უფლების შემზღუდველი ნორმის კონსტიტუციურობის შეფასებისას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს უფლების შეზღუდვის ლეგიტიმური მიზნის არსებობას. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის თანახმად „სადავო აქტების შეფასებისას, პირველ რიგში, უნდა გაირკვეს ის მიზანი, რომელიც ამოძრავებდა კანონმდებელს მათი მიღებისას. თანაზომიერების პრინციპის გამოყენებით შეიძლება შეფასდეს კანონმდებლის მხოლოდ

ლეგიტიმური მიზნის მიღწევის საშუალებათა კონსტიტუციურობა“ (18, 17). ამასთან, „კონკრეტული ლეგიტიმური საჯარო მიზნის არარსებობის პირობებში უფლებაში ჩარევა მისი შემდგომი შეფასების გარეშე, თავისთავად არაპროპორციულია“ (19, 17). ის, თუ რა მიზანს მისდევს კანონმდებელი გამოყენებული საშუალებით უნდა განისაზღვროს ყოველი, კონკრეტული საკანონმდებლო მოწესრიგების გრამატიკული, ისტორიული თუ ტელეოლოგიური ინტერპრეტაციის საფუძველზე (8, 617).

მას შემდეგ, რაც ზემოხსენებული განმარტების დასაშვები მეთოდების გამოყენებით დადგინდება კანონმდებლის მიზანი, მეორე ეტაპად უნდა შემოწმდეს, რამდენად არის ხსენებული მიზანი, თავის მხრივ ლეგიტიმური (11, 289). ამ თვალსაზრისით უნდა აღინიშნოს, რომ კანონმდებელს მიზნის ლეგიტიმურობასთან დაკავშირებით მიხედულების ფართო ასპარეზი გააჩნია (23, 106). თუმცა, ეს არ ნიშნავს კანონმდებლის მოქმედების ამოვარდნას კონსტიტუციური ჩარჩოებიდან, ვინაიდან ლეგიტიმური მიზნის განსაზღვრის ნაწილში საკანონმდებლო ორგანო შებოჭილია კონსტიტუციით დადგენილი წესრიგით. ამასთან, ლეგიტიმური საჯარო მიზნები შესაძლებელია და არა სავალდებულო, რომ გამომდინარეობდნენ თავად კონსტიტუციიდან (3, 19).

ზოგადად, როგორც ქართული ასევე განვითარებული ქვეყნების კონსტიტუციური მართლმსაჯულების ანალიზიდან დგინდება, რომ ლეგიტიმური მიზნის დადგენისას კანონმდებელი ფართო დისკრეციით სარგებლობს. შესაბამისად, თითქმის არ ხდება ამ ეტაპზე ნორმის არაკონსტიტუციურად ცნობა თანაზომიერების შემდგომი ელემენტების შემოწმების გარეშე. ეს ძირითადად განპირობებულია იმ ფაქტორით, რომ ზოგადად სახელმწიფოს პოლიტიკის სფეროს განეკუთვნება საზოგადოებრივი ურთიერთობის კონკრეტულ სფეროში მოსაწესრიგებელი ურთიერთობის იდენტიფიცირება და შესაბამისი სამოქმედო მიზნის დასახვა. აღნიშნული სტანდარტი მოქმედებს, მათ შორის ისეთ სფეროებშიც, სადაც ხელისუფლება ყველაზე უფრო მძიმედ ერევა ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებებში. ერთ-ერთ საქმეზე საკონსტიტუციო სასამართლომ მიუთითა, რომ ზოგადად, „სახელმწიფოს პოლიტიკის სფეროა, რომელი ქმედების კრიმინალიზაციას მოახდენს და როგორ სასჯელს დააწესებს კონკრეტული ქმედების ჩადენისთვის, რადგან სწორედ ხელისუფლებას უნდა ჰქონდეს ეფექტური შესაძლებლობა, ებრძოლოს კონკრეტული ქმედებებიდან მომდინარე საფრთხეებს და მათი სიმძიმის, სერიოზულობის გათვალისწინებით მოახდინოს მათი კრიმინალიზება, ამასთან, შეარჩიოს პასუხისმგებ-ლობის ის ზომა, რომელიც საკმარისი და ეფექტური იქნება ქმედებიდან მომდინარე საფრთხეებთან საბრძოლველად“ (20, 37).

პრაქტიკაში არცთუ მცირეა შემთხვევები, როდესაც კანონმდებელი არეგულირებს ისეთ სფეროებს, რომელთან დაკავშირებითაც საკმარისი გამოცდილება ჯერ კიდევ არ არის დაგროვილი. ეს განსაკუთრებით გამოჩნდა კოვიდ პანდემიის პირობებში. ასეთ დროს, კანონმდებელს გააჩნია შეფასების და პროგნოზირების ფართო არეალი ლეგიტიმური მიზნის დასახვის თვალსაზრისით. თუმცა, აქაც მოქმედებს აშკარად არაგონივრულობის სტანდარტი. კერძოდ, თუ თვალშისაცემია, რომ დასახული ლეგიტიმური მიზანი

იმთავითვე არაგონივრულია, მაშინ შეუძლებელია იგი ქმნიდეს საკანონმდებლო ზომისთვის შესაბამის საფუძველს (24, 1216).

2.2. გამოსადეგობა

ბუნებრივია, ლეგიტიმური მიზნის იდენტიფიცირება თავისთავად თვითკმარი საფუძველი ვერ იქნება ადამიანის უფლებებში ჩარევის გასამართლებლად. ამ თვალსაზრისით, აუცილებელია, რომ შერჩეული რეგულაცია იყოს გამოსადეგი დასახული ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად. უფლების შემზღუდავი ღონისძიება მიზნის მიღწევის გამოსადეგი საშუალება უნდა იყოს. გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკით, გამოყენებული ღონისძიება მაშინ აკმაყოფილებს გამოსადეგობის კონსტიტუციურ კრიტერიუმს თუ მისი პრაქტიკაში ოპერირებით ზოგადად შესაძლებელია დასახული მიზნის მიღწევა (25, 308). ამასთან, უნდა არსებობდეს უშუალო და რეალური კავშირი მიზანსა და მისი მიღწევის საშუალებას შორის. აღსანიშნავია, რომ გამოსადეგობის ნაწილში კანონმდებელს ზოგადად არ მოეთხოვება ყველაზე ოპტიმალური ღონისძიება აარჩიოს ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად (7, 183). ასევე აუცილებელი არ არის, რომ დასახული მიზანი ცალკეულ შემთხვევაში ფაქტობრივად რეალიზდება თუ არა. საკმარისია, რომ შერჩეული საკანონმდებლო ღონისძიება სულ მცირე აბსტრაქტულ შესაძლებლობას მაინც ქმნიდეს დასახული მიზნის მისაღწევად (26, 373).

შესაბამისად, თუ გამოყენებული საკანონმდებლო საშულებით ვერ იქნა დასახული მიზანი პრაქტიკულად მიღწეული, ეს იმთავითვე არ ნიშნავს გამოყენებული საშუალების არაკონსტიტუციურობას. გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკიდან იკვეთება, რომ გამოსადეგობის ნაწილში კანონმდებელს გააჩნია მიხედულობის ფართო ასპარეზი. გამოსაყენებელი ღონისძიების ვარგისიანობა ფასდება ex ante კონსტიტუციური უფლების შემზღუდავი ნორმის მიღების პროცესში, ამიტომ ხშირად შეუძლებელია ზუსტი მიზეზობრივი ჯაჭვის განჭვრეტა კანონმდებლის მიერ. თუმცა აღნიშნული საკუთრივ ნორმის კონსტიტუციურობას ეჭქვეშ ვერ დააყენებს. გამოყენებული ღონისძიება, მხოლოდ მაშინ ვერ დააკმაყოფილებს გამოსადეგობის კონსტიტუციურ სტანდარტს თუ იგი საფუძველშივე, ობიექტურად იქნება უვარგის საშუალებად მიჩნეული (27, 181).

გამომდინარე აქედან, თუ საშუალება მიზნის მიღწევას ართულებს ან შეუძლებელს ხდის იგი გამოუსადეგარი, შესაბამისად არაკონსტიტუციურია. გერმანული კონსტიტუციური მართლმსაჯულების პრაქტიკის თანახმად, გამოყენებული ღონისძიება მაშინაც არის გამოსადეგი და ვარგისი თუ მისით დასახული მიზნის მიღწევა არა სრულად, თუმცა ნაწილობრივ არის შესაძლებელი (26, 373). სამართლიანად უთითებენ ლიტერატურაში, რომ ასეთ დროს დამატებით უნდა გამოირიცხოს ისეთი ღონისძიების ფაქტობრივად არსებობა, რომელიც სრულად შეუწყობდა ხელს დასახული მიზნის მიღწევას.

2.3. აუცილებლობა

თანაზომიერების პრინციპის შემდეგ კომპონენტს წარმოადგენს აუცილებლობა. კანონმდებლის მიერ შერჩეული ღონისძიება მიზნის მიღწევის აუცილებელ საშუალებას უნდა წარმოადგენდეს. ამ თვალსაზრისით უნდა აღინიშნოს, რომ გამოყენებული ღონისძიება მხოლოდ მაშინ არის აუცილებელი თუ კანონმდებელს არ შეუძლია სხვა უფრო ნაკლებად მზღუდავი რეგულირება გამოიყენოს, რომელიც იმავე ეფექტურობით მიაღწევდა ლეგიტიმურ მიზანს. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკით „საშუალების აუცილებლობას ობიექტური გარემოებები იწვევს და მას სხვა ალტერნატივა არ გააჩნია. საშუალებისადმი ასეთი მიდგომა გამორიცხავს შეზღუდვის ხელოვნურობას. აუცილებლობით გამოწვეული შეზღუდვა აუცილებელი საშუალების გამოყენებით გამართლდება. მხოლოდ ასეთი შეზღუდვა შეიძლება პასუხობდეს პრაქტიკული გონიერების მოთხოვნებს და სუბიექტის მზაობას, უფლების შეზღუდვა მიიჩნიოს როგორც გარდაუვალი აუცილებლობა“ (18, 30).

შესაბამისდ, კონსტიტუციურ უფლებაში ჩარევის გზა უნდა იყოს შეძლებისდაგვარად ნაკლებად მზღუდავი (28, 316). იმის შემოწმებისას არის თუ არა არჩეული ღონისძიება რეალურად ყველაზე მსუბუქი, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ლეგიტიმური მიზნის განსაზღვრას, ვინაიდან შესაძლო ნაკლებად მკაცრი ალტერნატი-ული საშუალებების ძიება ყოველთვის უნდა განხორციელდეს დასახული ლეგიტიმური მიზნის მხედველობაში მიღებით (6, 196). თუ მიზანი ვიწროდ არის ფორმულირებული, ეს იწვევს მიზნისა და გამოსაყენებელი საშუალების მკვეთრ დაახლოებას, რაც ყოველთვის იწვევს აუცილებლობის პოზიტიურად შემოწმებას და ამით პროპორციულობის გამოკვლევას უაზროს ხდის (14, 186). ამასთან, პირიქით, თუ მიზანი ძალიან ფართოდ არის ჩამოყალიბებული, გამოსაყენებელი ღონისძიების აუცილებლობა ძნელად შეიძლება დადასტურდეს, რადგან ალტერნატიული საშუალებების რაოდენობა უმართავად დიდი ხდება და უფრო მსუბუქი ალტერნატიული საშუალების ვერგანსაზღვრის ალბათობა ფაქტობრივად ნულს უტოლდება.

იმ პირობით, რომ ყველაზე მსუბუქი საშუალებების მოთხოვნა მკაცრად არის გაგებული, აუცილებლობის გამოკვლევა წარმოადგენს თითქმის გადაულახავ ბარიერს კონსტიტუციურ უფლებებში ჩარევის დროს, მაშინაც კი, თუ მიზანი არ არის ძალიან ფართოდ ჩამოყალიბებული. ეს შეიძლება მისასალმებელი იყოს ფუნდამენტური უფლებების მატარებელი ინდივიდის გადმოსახედიდან, რადგან მას შეუძლია თავიდან აიცილოს კონსტიტუციურ უფლებეში ჩარევა აუცილებლობის კრიტერიუმზე მითითებით, მაგრამ ძალზე საეჭვოა ხელისუფლების დანაწილების თვალსაზრისით. აღსანიშნავია, რომ თუ რამდენიმე ლეგიტიმური მიზნის მიღწევა უნდა მოხდეს ერთი საშუალებით, მისი აუცილებლობის უარყოფა შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევებში, როდესაც არსებობს უფრო მსუბუქი ალტერნატიული საშუალება, რომელსაც შეუძლია მიაღწიოს ყველა მიზანს თანაბარი ეფექტურობით.

ყველაზე მსუბუქი საშუალების შერჩევა ხორციელდება ძირითადი უფლების მატარებელი ინდივიდის პერსპექტივიდან. ამასთან აუცილებლობის შემოწმება სულ უფრო რთული

ხდება თუ არ არის განსაზღვრული დაინტერესებული პირი ან პირთა ჯგუფი და რჩება რამდენიმე თანაბრად შესაფერისი საშუალება, რომელიც სხვადასხვა ადამიანს ან ადამიანთა ჯგუფს განსხვავებულად ამძიმებს (8, 620). უნდა აღინიშნოს, რომ აუცილებლობის ნაწილში კანონმდებელი მაინც სარგებლობს შეფასებისა და მიხედულების გარკვეული ასპარეზით. ამასთან ბუნებრივია იგი ვერ იქნება ისეთივე ფართო, როგორც ეს ლეგიტიმური მიზნის თუ გამოსადეგობის ნაწილშია დადგენილი. გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკით შემოთავაზებული ალტერნატიული საშუალება <u>აშკარად</u> და <u>ერთმნიშვნელოვნად</u> უნდა იყოს უფრო ნაკლებად მზღუდავი და ამასთან ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად იმავე ეფექტის მქონე შედეგობრივი თვალსაზრისით. ამ თვალსაზრისით უნდა ითქვას, რომ ღონისძიება ვერ დააკმაყოფილებს კონსტიტუციურ მოთხოვნებს თუ ის საფუძველშივე არ არის აუცილებელი.

2.4. თანაზომიერება ვიწრო გაგებით

თანაზომიერების პრინციპის ბოლო და ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან კრიტერიუმს წარმოადგენს პროპორციულობა ვიწრო გაგებით. ყველაზე მეტად აქ იკვეთება პრინციპი რომ „ბეღურებს ზარბაზნიდან არ ესვრიან“. პროპორციულობა განისაზღვრება დამოკიდებულებით მიზანსა და საშუალებას შორის. კონკრეტულად მისაღწევი ლეგიტიმური მიზანი და ამ მიზნის მისაღწევად ადამიანის კონსტიტუციურ უფლებებსა და თავისუფლებებში ჩარევის სიმძიმე სათანადო კორელაციაში უნდა იმყოფებოდნენ (10, 716). შემოწმების ამ ეტაპზე ხდება კოლიდირებულ ინტერესთა ჰარმონიზაცია, მათი ადეკვატური დაბალანსება. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ ერთ-ერთ საქმეზე დაადგინა, რომ „თანაზომიერების შეფასებისას გადამწყვეტია მიზანსა და საშუალებას შორის პროპორციულობის საკითხის გარკვევა... ეს უზრუნველყოფს გონივრულ ბალანსს კერძო და საჯარო ინტერესებს შორის, როდესაც არც ერთი მათგანის დაცვა არ ხდება მეორის არაპროპორციულად შეზღუდვის ხარჯზე“ (21, 21). ცხადია, ვიწრო გაგებით პროპორციულობა ამ ნაწილში მოითხოვს სიკეთეთა შეფასებას და ურთიერთშეპირისპირებას.

გერმანულ იურიდიულ დოქტრინაში აღიარებულია, რომ ვიწრო გაგებით პროპორციულობის გამოკვლევა საშუალებებისა და მიზნების აბსტრაქტული შეფასებით, რომლებიც უნდა ეფუძნებოდეს „ნორმატიულ კატეგორიებს“ (8, 624). დაცული შესაბამისი სფეროდან გამომდინარე, რომელშიც ერევა არჩეული საშუალება, არსებობს ძირითადი უფლებების განსხვავებული დაცვა, ანუ არსებობს უფლებების სხვადასხვა ჯგუფი, რომლებიც დაცულია სხვადასხვა ხარისხით. მაშინ, როდესაც საშუალების აბსტრაქტული შეფასება ფოკუსირებულია იმაზე, თუ რომელ ძირითად უფლებაში ხდება ჩარევა, მიზნის შეფასება დამოკიდებულია იმაზე, თუ რისი დაცვა არის მიზნად დასახული, ვინაიდან კონსტიტუციური სიკეთის დაცვის მიზნით ჩარევას უფრო დიდი ღირებულება გააჩნია და, შესაბამისად, უფრო ადვილია ჩარევის გამართლება. მეორე ეტაპზე, არჩეული საშუალება კონკრეტულად უნდა შეფასდეს, კონსტიტუციურ უფლებაში ჩარევის

სიხშირის, ხანგრძლივობისა და ინტენსივობის გათვალისწინებით, ასევე ძირითადი უფლებების მფლობელთა ტიპისა და რაოდენობის გათვალისწინებით (26, 375). ბოლოს კი ხდება ფაქტობრივი განხილვა, რომელშიც შედარებულია საშუალებებისა და მიზნების აბსტრაქტული და კონკრეტული შეფასებები. გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკით, ვიწრო გაგებით პროპორციულობის შეფასება გულისხმობს კოლიდირებულ ინტერესთა ურთიერთდაბალანსების პროცესს. ამასთან, რაც უფრო ინტენსიური ხასიათისაა კონსტიტუციურ უფლებებში ჩარევა მით უფრო მომეტებული საჯარო ინტერესი უნდა იკვეთებოდეს, რომ დაკმაყოფილდეს ვიწრო გაგებით პროპორციულობის ტესტი (29, 173). ვიწრო გაგებით პროპორციულობა განსაკუთრებით რელევანტურ როლს თამაშობს თავისუფლების უფლებებში ჩარევის დროს, თუმცა იგი ასევე აქტუალურია თანასწორობის უფლების შეზღუდვის შემოწმებისას.

3. თანაზომიერების პრინციპის კრიტიკა იურიდიულ დოქტრინაში

თანამედროვე მოდერნისტულ კონსტიტუციურ სამართლაში შეთანხმებულ მოცემულობას წარმოადგენს, რომ თანაზომიერების პრინციპი ემსახურება შესაბამისი კოლიზიის დაძლევას სხვადასხვა კონსტიტუციურ უფლებებს თუ კონსტიტუციურ უფლებასა და ლეგიტიმურ საჯარო ინტერესს შორის. ლიტერატურაში გავრცელებული ცალკეული მოსაზრებით, ის თავად არ აკონკრეტებს რაიმე შინაარსობრივ სტანდარტებს ძირითად უფლებებში ჩარევის შესახებ გადაწყვეტილების მისაღებად (2, 77). ამ არგუმენტაციაზე დაყრდნობით კონსტიტუციურ-სამართლებრივ დოქტრინაში უთითებენ თანაზომიერების, როგორც ფორმალურ პრინციპზე (2, 77). მისი შემადგენელი ყველა კომპონენტი წარმოადგენს ფორმალური არგუმენტაციის ნიმუშს, რომლებიც ემსახურებიან სამართლებრივად დაცული ინტერესების რელატიურ შეფასებას. ამდენად, მიუხედავად მისი უდავოდ დიდი მნიშვნელობისა, თანაზომიერების პრინციპი ნაწილობრივ გაკრიტიკებულია იურიდიულ ლიტერატურაში.

ჯერ კიდევ მე-20 საუკუნის 60-იანი წლებიდან უთითებდნენ თანაზომიერების პრინციპის უკონტროლო საზღვრებზე, რომელიც დატვირთულია მისი შემფასებლის სუბიექტური შეხედულებებით. კრიტიკის უმნიშვნელოვანესი ასპექტი მიემართება იმ გარემოებას, რომ რომ სასამართლო განხილვისას პროპორციულობის პრინციპის გამოყენებით, რაციონალურობა შეიძლება ეჭქვეშ დადგეს და ფართოდ გაიხსნას კარიბჭე სუბიექტური თვითნებობისთვის (4, 278). უპირველეს ყოვლისა, აღნიშნულია, რომ არ არის დადგენილი თანაზომიერების პრინციპის თითოეული კომპონენტის შეფასების მკაფიო კრიტერიუმები. გარდა ამისა, არსებობს რისკი, რომ კონსტიტუციური უფლებები, როგორც ოპტიმიზაციის მოთხოვნა, საერთოდ გაქრეს აწონ-დაწოვნის პროცესში. ეს პრობლემა მწვავდება, როდესაც სასამართლოები განიხილავენ საკანონმდებლო ორგანოს აქტებს იმის დასადგენად, დაცულია თუ არა თანაზომიერების პრინციპი, ვინაიდან კანონმდებლისგან განსხვავებით, ისინი არ არიან დემოკრატიულად ლეგიტიმირებული ასეთი შეფასებების გასაკეთებლად (15, 461). მეორე მხრივ, ამ მოსაზრებიდან გამომდინარე, უპრობლემოა, თუ კანონმდებელი

ადმინისტრაციულ ორგანოებს ავალდებულებს დაიცვან თანაზომიერება და შემდგომში ადმინისტრაციული აქტები სასამართლოს მიერ ამ მხრივ შემოწმდეს (15, 461).

თანაზომიერების პრინციპის გამოყენების მომხრეები უთითებენ, რომ იგი სასამართლო გადაწყვეტილებების მიღების პროცესს უფრო რაციონალურს და ობიექტურს ხდის, რის გამოც ასევე იზრდება გადაწყვეტილებების აღქმადობა და ლეგიტიმაცია. გარდა ამისა, იმატებს სასამართლოს ეფექტურობა, რადგან პროპორციულობის პრინციპი შემოსაზღვრავს არგუმენტებს, რომლებიც სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს გადაწყვეტილების მიღებისას. ამ კონტექსტში თანაზომიერების პრინციპის მოწინააღმდეგეთა მხრიდან გაზიარებულია ის მოსაზრება, რომ ძირითადი უფლებების პრიმატი, რომელიც ამავე უფლებათა სხვადასხვა კატალოგში არის სტანდარტიზებული არ არის თავსებადი თანაზომიერების პრინციპის საფუძველზე დაბალანსების კონცეფციასთან. ამ მხრივ ასევე საინტერესოა ამერიკის შეერთებული შტატების პრაქტიკული გამოცდილებაც. კერძოდ, ამერიკის უზენაესი სასამართლო თანაზომიერების პრინციპის გამოყენებას კრიტიკულად უყურებს ძირითადი უფლებების ეფექტური დაცვის გადმოსახედიდან გამომდინარე (13, 21).

ამერიკის შეერთებულ შტატებში კონსტიტუციური უფლებები აბსოლუტურად არის განსაზღვრული. ისინი შემოიფარგლება იმით, რომ გარკვეული ქმედებები არც კი შედის შესაბამისი კონსტიტუციური უფლებით დაცული სფეროს ფარგლებში. კრიტიკულად არის დანახული კონსტიტუციური უფლებების მოქმედების შემოსაზღვრა თანაზომიერი ჩარევის საფუძველზე, ვინაიდან აღნიშნულით ხდება ზემოხსენებულ უფლებათა რელატივიზაცია. კრიტიკის სხვა პუნქტი მიემართება იმ გარემოებას, რომ თანაზომიერების პრინციპი დანახულია არა როგორც სამართლებრივი, არამედ მორალური კატეგორია, თუმცა, ამის მიუხედავად, იქმნება შთაბეჭდილება, რომ თანაზომიერების პრინციპიდან გამომდინარე შეფასებები თავისუფალია მორალური მოსაზრებებისგან. დასკვნა, რომლის მიხედვითაც პროპორციულობის პრინციპის გამოყენებისას გათვალისწინებულია მორალური მოსაზრებები, გასაზიარებელია. თუმცა, ეს გარემოება არავითარ შემთხვევაში არ არის მხოლოდ მორალური კატეგორიით დატვირთული, რადგან პროპორციულობის ტესტი ნათლად აჩვენებს, რა შემთხვევებშია ეს მოსაზრებები არსებითი სამართლებრივი შეფასებისთვის. შესაბამისად, მორალური კატეგორია, როგორც ნებისმიერი სამართლებ-რივი მოწესრიგების ეთიკური მინიმუმი ნაწილობრივ გასათვალისწინებელია (5, 170-172).

დასკვნა

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ თანაზომიერების პრინციპი და მის კონსტიტუციურ რანგში აყვანა უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს სახელისუფლებო საქმიანობის პროცესში, რომ არ მოხდეს ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებებში გაუმართლებელი ჩარევა. ამ თვალსაზრისით, თანაზომიერების ტესტი განიხილება, როგორც ყოველგვარი სახელმწიფოებრივი მოქმედების რაციონალურობის კონტროლი და არა ამ საქმიანობაში პოლიტიკური ჩარევის საშუალება. იგი წარმოადგენს ეფექტურ საშუალებას კონსტიტუციური უფლებების დაცვის უზრუნველსაყოფად. ამასთან ისიც

ცხადია, რომ თანაზომიერების პრინციპის სტრუქტურა, მისი ცალკეული კომპონენტები, უფრო მეტად საჭიროებს შინაარსობრივი თვალსაზრისით დახვეწას და ამ მხრივ არსებული დოქტრინალური წინააღმდეგობის დაძლევას. თუმცა, ცალკე აღებული ეს პრობლემა ვერ იქნება იმის საფუძველი, რომ სამართლებრივი სახელმწიფოს ამ უმნიშვნელოვანეს მონაპოვარზე უარი ითქვას. ამ თვალსაზრისით, სასურველია, რომ მომავალში კიდევ უფრო მეტად გაგრძელდეს დოქტრინალური და პრაქტიკული დისკუსიები თანაზომიერების პრინციპის პრობლემურ საკითხებთან დაკავშირებით. თავის მხრივ, სტატიას მისი ფორმატიდან გამომდინარე, არ აქვს და ვერც ექნება პრეტენზია ყველა პრობლემური ასპექტი სრულყოფილად მოიცვას, თუმცა იგი ერთგვარ ბიძგს მისცემს იურიდიულ საზოგადოებას, მომავალში საკითხით კიდევ უფრო მეტად დაინტერესებისთვის.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ერემაძე ქ. 2023. ინტერესთა დაბალანსება დემოკრატიულ საზოგადოებაში. თბილისი: (GIZ) გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის ორგანიზაცია.
2. Hirschberg L. 1981. Grundsatz der Verhältnismäßigkeit. Göttingen: Schwartz.
3. Hufen F. 2011. Staatsrecht II, 3. Auflage. München: C.H.Beck.
4. Jestaedt M., Lepsius O. 2015. Verhältnismäßigkeit: zur Tragfähigkeiteines verfassungsrechtlichen Schlüsselkonzepts. Tübingen: Mohr Siebeck.
5. Klatt M., Meister M. Verhältnismäßigkeit als universalles Verfassungsprinziep. 2012 Globalisierung des Verhältnismäßigkeitgrundsatzes, Zeitschrift: *Der Staat* Vol. 51. No.2.
6. Logemann A. 2004. Grenzen der Menschenrechte in demokratischen Geselschaft. Baden-Baden: Nomos.
7. Manssen G. 2012. Staatsrecht II. 9. Auflage. München, Beck.
8. Michael L., Morlok M. 2012. Grundrechte, 3. Auflage. Berlin: Nomos.
9. Naas S. 2003. Die Entstehung des Preußischen Polizeiverwaltungsgesetzes von 1931. Tübingen: Mohr Siebek.
10. Öhlinger T., Eberhard H. 2019. Verfassungsrecht. Berlin: Facultas.
11. Pieroth B., Schlink B. 2011. Grundrechte. 27 Auflage. München: C.F Müler.
12. Remmert B. 1995. Verfassungsund verwaltungsrechtsgeschichtliche Grundlagen des Übermaßverbotes. Heidelberg: Müler. Jur.Verl.
13. Saurer. J. 2012 Globalisierung des Verhältnismäßigkeitgrundsatzes, Zeitschrift: *Der Staat* Vol. 51. No.1.
14. Schmalz D. 2001. Grundrechte. Baden-Baden: Nomos.
15. Schlink B. 1976. Abwägung im Verfassungsrecht. Berlin: Duncker und Humblot.

სასამართლოს გადაწყვეტილებები

16. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2022 წლის 21 აპრილის N3/1/1239,1642,1674 გადაწყვეტილება საქმეზე - ბოლნისის რაიონული სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინებები საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 262-ე მუხლის პირველი ნაწილის იმ ნორმატიული შინაარსის კონსტიტუციურობის თაობაზე, რომელიც ითვალისწინებს სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთის გამოყენების შესაძლებლობას, ნარკოტიკული საშუალება - გამომშრალი მარიხუანის (6,4 გრამის, 6,7 გრამის და 9,68 გრამის ოდენობით), პირადი მოხმარების მიზნით, საქართველოში უკანონოდ შემოტანის გამო.
17. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 15 დეკემბრის N1/3/393,397 გადაწყვეტილება საქმეზე - „ვახტანგ მასურაშვილი და ონისე მებონია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

18. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 19 დეკემბრის N1/2/411 გადაწყვეტილება საქმეზე - „შპს „რუსენერგოსერვისი“, შპს „პატარა კახი“, სს „გორგოტა“, გივი აბალაკის ინდივიდუალური საწარმო „ფერმერი“ და შპს „ენერგია“ საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს წინააღმდეგ“.
19. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 27 აგვისტოს N1/2/434 გადაწყვეტილება საქმეზე - „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.
20. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 24 ოქტომბრის N1/4/592 გადაწყვეტილება საქმეზე - „საქართველოს მოქალაქე ბექა წიქარიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.
21. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 2 ივლისის №1/2/384 გადაწყვეტილება საქმეზე - „საქართველოს მოქალაქეები - დავით ჯიმშელეიშვილი, ტარიელ გვეტაძე და ნელი დალალიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.
22. BVerfGE 23, 127.
23. BVerfGE 77, 84.
24. BVerfG NVwZ 2010, 1212.
25. BVerfGE 115, 276.
26. BVerfGE 100, 313.
27. BVerfGE 16, 147.
28. BVerfGE 30, 292.
29. BVerfGE 67, 157.

Theoretical and practical aspects of the principle of proportionality (according to Georgian and German law)

Giorgi Khazalia
University of Grigol Robakidze, PhD Student
giorgi.khazalia20@gruni.edu.ge

Abstract. The principle of proportionality brings governmental activities into a strict constitutional and legal framework and thereby contributes to the adequate balancing of basic human rights and public legitimate goals set by the state. In the current edition of the Constitution of Georgia, specifically, in paragraph 3 of Article 34, it is explicitly stated that the limitation of the basic human rights must correspond to the importance of the legitimate goal that it serves to achieve. The dogmatics and practice of the principle of proportionality have been developed in German law since the 50s of the 20th century and spread throughout the continental European legal system. In the present situation, the constitutional courts consider the principle of proportionality as a universal constitutional principle and evaluate the justification for limiting the basic rights based on the established practice. However, there is no unambiguous and doctrinal discussion-free approach to the individual components of the principle of proportionality, especially where the line is drawn between the scope of the legislative view and the constitutional requirement of proportionality. The principle of proportionality and its proper articulation in practice represents a crucial achievement, although it is necessary to adequately understand its dogmatic nature in order to avoid separate theoretical or practical objections regarding this issue.

Key words: the principle of proportionality, legitimate purpose, utility, necessity, proportionality in the narrow senses

სკოლის მართვის პოლიტიკა: ლიდერის როლი სკოლის მართვაში

ხათუნა ნებიერიძე
გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი, დოქტორანტი
khatuna.nebieridze19@gruni.edu.ge

რეზიუმე. სტატია მიზნად ისახავს დაადგინოს ის ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენს სკოლის მართვის რეფორმის მიმდინარეობაზე და გამოკვეთოს ზოგიერთი საერთო ტენდენცია, რომელიც იწვევს პოლიტიკის ცვლილებას ამ სფეროში. ანალიზი აჩვენებს, რომ არსებობს მრავალფეროვანი კვლევების ნაკრები, რომელიც მოიცავს სკოლის მართვის სხვადასხვა ასპექტს. თითოეული მათგანი ეხმაურება სკოლის მართვის რეფორმის მიღების საკითხს სხვადასხვა კუთხით. პოლიტიკის პერსპექტივა უკავშირდება სკოლის მართვის რეფორმების დეცენტრალიზაციას, ავტონომიას, ანგარიშვალდებულებას ან კონტექსტურ ცვლილებებს. გაზრდილი აქცენტი (განათლების შედეგებზე და სკოლის გაუმჯობესების პერსპექტივებზე) აღიარებს ლიდერის მთავარ როლს განათლების რეფორმაში. დირექტორების კვლევამ ხელი შეუწყო სკოლის მართვის რეფორმების მიღებას. სკოლის ლიდერობის პოლიტიკის პერსპექტივა აჩვენებს, რომ ქვეყნებმა გაატარეს რეფორმები, რომელთა პრაქტიკა განსხვავდება ქვეყნებისა და კონტექსტის მიხედვით. ზოგიერთი რეფორმა მოიცავს საჯარო მართვის ახალ დღის წესრიგს ან განათლების პოლიტიკის გლობალიზაციას. მიმოხილვაში ჩანს, რომ სკოლის ხელმძღვანელობასთან დაკავშირებით არის საკმაო რაოდენობის კვლევა ჩატარებული, მაგრამ სკოლის ეფექტური მართვის პოლიტიკის კვლევას შედარებით ნაკლები ყურადღება ექცევა. ნაშრომში თავდაპირველად მოცემულია მიმოხილვა, თუ როგორ განვითარდა სკოლის ლიდერების როლი ბოლო ათწლეულის განმავლობაში, რაც ემსახურება რეფორმების ძირითადი მიზეზების გარკვევას. განხილულია ის ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენენ სკოლის ხელმძღვანელობის რეფორმების მიღებაზე. კონკრეტულად, თუ რა გავლენას ახდენს განათლების კვლევის სხვადასხვა სფეროები სკოლის ლიდერის როლის განვითარებაზე. სტატიის დასკვნით ნაწილში განხილულია ის ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენენ სკოლის მართვის რეფორმების განხორციელებაზე. ნაშრომში მოცემულია დირექტორების როლის განვითარების მნიშვნელოვანი პერსპექტივები: (1) სკოლის მართვის რეფორმები ეხმაურება განათლებისა და საჯარო სკოლის მმართველობის ცვლილების კონტექსტს უფრო მეტი დეცენტრალიზაციის, ანგარიშვალდებულების და სკოლის შედეგების კუთხით; (2) სკოლის ხელმძღვანელობას აქვს არაპირდაპირი გავლენა განათლებასა და სკოლაზე, რომელიც განიხილება სხვადასხვა რეფორმების განსახორციელებლად და მიზნად ისახავს სწავლების გაუმჯობესებას, მაგრამ როგორც ჩანს თავად არ განიხილება პოლიტიკის პრიორიტეტად. ზოგადად, სკოლის მართვის რეფორმების კვლევა ჩატარდა შერჩეულ ქვეყნებში მათი საგანმანათლებლო შესაძლებლობების კუთხით.

საძიებო სიტყვები: სკოლის მართვა, სკოლის ხელმძღვანელობა, განათლების პოლიტიკა, განათლების ცვლილება, განათლების რეფორმა

შესავალი

რატომ უნდა გავამახვილოთ ყურადღება სკოლის მართვის რეფორმებზე? მტკიცებულებების მნიშვნელოვანმა რაოდენობამ აჩვენა, თუ რა გავლენას ახდენს სკოლის ხელმძღვანელობა განათლების გაუმჯობესებაზე. ლიდერობის გავლენა სკოლაზე ხშირად

არაპირდაპირია; ეს ხელს უწყობს ნაყოფიერი გარემოს შექმნას, რომელშიც მასწავლებლებსა და სკოლებს აქვთ ხარისხიანი სწავლების მოტივაცია. თუმცა, მხოლოდ ბოლო პერიოდში გაზარდა მთავრობამ ინვესტიციის მოცულობა სკოლის მართვის საკითხებში და ასევე დაიწყო სკოლის ლიდერობის პოლიტიკის დანერგვა. წინა ათწლეულებში, როდესაც სკოლის ლიდერებსა და მათ გუნდებს უფრო ადმინისტრაციული როლი ენიჭებოდათ, სკოლის ხელმძღვანელობის პოლიტიკის დანერგვა ნაკლებად პრიორიტეტული ჩანდა. დღესდღეობით კი ლიდერობის პოლიტიკა აღქმულია, როგორც მთავარი კომპონენტი განათლების გაუმჯობესების საკითხში.

ეს ნაშრომი წარმოადგენს სკოლის მართვის სფეროში განხორციელებული რეფორმების ანალიზს, რომელიც მიღებულია ბოლო ათწლეულების განმავლობაში OECD-ის მთელ რიგ ქვეყნებში. მიმოხილვა, რომელსაც ანალიზი ეყრდნობა, ორი **მიზნით** იყო აგებული: (1) სკოლის მართვის რეფორმების მიღების მიზეზების დადგენა და გარკვევა იმისა, თუ რა არის საჭირო ეფექტური მართვისათვის; (2) სკოლის ლიდერების საერთო ტენდენციების იდენტიფიცირება.

კვლევის ობიექტი: სკოლის ლიდერობის პოლიტიკა.

კვლევის საგანი: ლიდერის როლი სკოლის მართვაში.

ჰიპოთეზა: დეცენტრალიზაციის პროცესი სკოლის მართვის რეფორმის ცენტრში აყენებს სკოლის დირექტორს და მისი მართვის სტილი იცვლება მის გარშემო არსებული სოციალური და პოლიტიკური კონტექსტის მიხედვით.

მეთოდოლოგია

სკოლის ხელმძღვანელობის რეფორმების და პოლიტიკის გასაანალიზებლად შეიძლება გამოყენებულ იქნეს სხვადასხვა მიდგომები: შემთხვევის შესწავლა; შერეული მეთოდები; ეთნოგრაფიული ან უფრო განათლების პოლიტიკაზე ორიენტირებული კვლევები. ამ ნაშრომში კვლევის მეთოდად გამოყენებულია ლიტერატურული მიმოხილვა, რომელიც განიხილავს იმ სამეცნიერო ნაშრომებს და კვლევებს, რომლებიც აანალიზებს სკოლის ლიდერობის პოლიტიკის და რეფორმების მიღებას იმ მიზნით, რომ გაარკვიოს ცვლილებები და ის ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენს სკოლის მართვის პოლიტიკასა და რეფორმებზე და ორიენტირებულია სკოლის ლიდერის ამჟამინდელი პრაქტიკის კორექტირებაზე ან ტრანსფორმირებაზე, მიუხედავად იმისა, ისინი თავად განხორციელდა თუ განათლების გაუმჯობესების სტრატეგიის ნაწილია.

განხილული და გაანალიზირებულია აკადემიური და პოლიტიკური ლიტერატურა, რომელიც დაკავშირებულია განათლების რეფორმებთან და სკოლის ხელმძღვანელობასთან. კონკრეტულად, მიმოხილვა მიზნად ისახავდა უფრო ღრმად გააზრებულიყო ცვლილებების ან რეფორმების მიზეზების ჩამოყალიბება სკოლის ხელმძღვანელობის სფეროში, განსაკუთრებით, ბოლო ათწლეულებში მიღებულ რეფორმებს OECD-ის მთელ რიგ ქვეყნებში. განხილული მასალები მოიცავდა ჟურნალებს, წიგნებს, საერთაშორისო

ენციკლოპედიებს და მოხსენებებს ეროვნული და საერთაშორისო ორგანიზაციებიდან. მიზანს წარმოადგენდა თანამოაზრეების მიერ მიმოხილული ბიბლიოგრაფიული წყაროების იდენტიფიცირება, რომლებიც აკმაყოფილებენ სამეცნიერო მოთხოვნების მაღალ დონეს; წყაროები, რომლებმაც გააანალიზეს სკოლის ხელმძღვანელობის პოლიტიკა ან რეფორმები. მიმოხილვა შემოიფარგლებოდა მასალებით 1990 წლიდან 2015 წლამდე. სკოლის მართვის თემა ამ პერიოდისთვის სამეცნიერო კვლევისთვის მნიშვნელოვანი თემა გახდა.

თავდაპირველად განისაზღვრა ეტიმოლოგიური, მეთოდოლოგიური და დროითი ცნებები. მეორე, ჩატარდა ძიება სოციალური მეცნიერებების მონაცემთა ბაზის (Scopus) გამოყენებით. მას დაემატა google scholar-ზე წიგნების ძიება და შესაბამისი საერთაშორისო ორგანიზაციების მოხსენებები. ლიტერატურის შერჩევა მიზანმიმართული იყო შედარებითი სქემის შემუშავებაზე.

შეირჩა 80 სტატია, რომელიც მოიცავდა კვლევებს სკოლის მართვისა და განათლების რეფორმის შესახებ. სტატიები დაჯგუფებულია კვლევის სფეროების მიხედვით და განხილულია შემდეგ ნაწილში.

სკოლის ლიდერის როლის ცვლილება

არსებობს სკოლის ხელმძღვანელობის სხვადასხვა ტერმინები, ცნებები და წარმოდგენები, რომლებიც განსხვავდება ენის, ქვეყნის, კულტურისა და განათლების მარეგულირებელი სტრუქტურების მიხედვით. ამ სტატიაში სკოლის ხელმძღვანელობა გულისხმობს იმ პირებს, რომლებიც მართავენ, ან ხელმძღვანელობენ საგანმანათლებლო დაწესებულებებს დაწყებით და საშუალო საფეხურებზე. ტერმინი, სკოლის ლიდერობა, ხშირად გამოიყენება სხვადასხვა მკვლევარების მიერ (6, 15-60); (25, 539-576); (33); (57); (59, 635-674), თუმცა ამასთან ერთად სხვა ტერმინებიც გამოიყენება. ინგლისურენოვან ქვეყნებში ტერმინი დირექტორი ან უფროსი მასწავლებელი ასახავს სკოლის მთავარ მასწავლებელს. ლათინო ამერიკულ ქვეყნებში უფრო ხშირად გამოიყენება ტერმინი სკოლის დირექტორი, სკანდინავიურ ქვეყნებში უფროსი მასწავლებლის ცნება. ზოგიერთ ქვეყანაში ტერმინი სკოლის ადმინისტრატორი ასახავს სკოლებში ადმინისტრაციული ზედამხედველობის მოვალეობებს და არ ერევა სასწავლო პროცესში.

ევროკავშირმა 2013 წელს განსაზღვრა სკოლის ლიდერი, როგორც ადამიანი, რომელიც მარტო ან გუნდთან ერთად, როგორიცაა სკოლის საბჭო, ხელმძღვანელობს სკოლას და პასუხისმგებელია სკოლის მართვაზე. ლიდერის როლი შეიძლება მოიცავდეს ორგანიზა-ციულ, პედაგოგიურ და საგანმანათლებლო პასუხისმგებლობებს. სკოლის ხელმძღვანელი ვალდებულია განახორციელოს სასწავლო გეგმა და დაგეგმოს კლასგარეშე აქტივობები. ლიდერს გააჩნია როგორც ფინანსური პასუხისმგებლობა, ისე ჩართულია სასწავლო პროცესში (16, 134). ევრიდიკე 2015 წლიდან აქვეყნებს პერიოდულ ინფორმაციას სკოლების ხელმძღვანელობის შესახებ ევროკავშირის წევრ ქვეყნებში. ის იყენებს ტერმინებს „სკოლის ხელმძღვანელი“ ან „სკოლის ხელმძღვანელობა“ და აღნიშნავს, რომ

სკოლის ხელმძღვანელობა შეიძლება შედგებოდეს გუნდისგან, სადაც მას შეიძლება ჰყავდეს ერთი ან მეტი მოადგილე, ადმინისტრაციული ასისტენტი (17).

ტერმინმა „სკოლის ხელმძღვანელობა“ განიცადა შინაარსობრივი ცვლილებები ბოლო ოცი-ოცდაათი წლის განმავლობაში და ის ადმინისტრაციული ფუნქციის გარდა ჩართულია სასწავლო პროცესში სკოლის შედეგების გასაუმჯობესებლად (1, 354-377); (20, 351-366); (51); (64, 541-561). სკოლის ხელმძღვანელობის როლის ცვლილებები განსხვავდება სხვადასხვა ქვეყნის კონტექსტში. ამის მიუხედავად, შესაძლებელია შემდეგი ტენდენციების გამოკვეთა. 1990-იან წლებში ისინი უფრო მეტად ჩაერთვნენ სასწავლო პროცესში და სკოლის მართვა წარიმართა უფრო ავტონომიური თანამშრომლობითი კულტურით. ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, ეს ძვრები აღინიშნა და კვლავაც მიმდინარეობს - მნიშვნელოვანი თვალსაზრისით კონკრეტული კონტექსტით, პოლიტიკით, ასევე სამართლებრივი და ინსტიტუციური ჩარჩოებით, რომლებშიც ფუნქციონირებენ სკოლები (56, 85).

მიუხედავად ამისა, გასული 20-30 წლის განმავლობაში შეიმჩნევა განათლების პოლიტიკაში გარკვეული თანხვედრა OECD-ის ქვეყნებში; ამან გავლენა მოახდინა სკოლის ხელმძღვანელობის როლზე. ისტორიულად, განათლებას სთავაზობდნენ ეროვნული საჯარო პოლიტიკიდან გამომდინარე; მისი მართვა ხდებოდა ნაციონალურ დონეზე. მიუხედავად იმისა, რომ სკოლის მართვა უნდა განხორციელებულიყო დემოკრატიული პრინციპით, მაინც ჰქონდა ადგილი ბიუროკრატიულ მიდგომებს. მასწავლებლები მუშაობდნენ ერთმანეთისგან იზოლირებულად და დირექტორის ან სკოლის ლიდერის როლი აღიქმებოდა, როგორც ბიუროკრატიული ადმინისტრატორი ან უფროსი მასწავლებელი, ან ამ ორის კომბინაცია. პონტმა თანაავტორებთან ერთად (57), ისევე როგორც გლატერმა (20, 351-366), ასახა, თუ როგორ განვითარდა დირექტორის როლი: ადმინისტრაციული როლი (1960-80-იან წლებში); მენეჯმენტის როლი (80-90-იან წლებში) და სასწავლო ლიდერის როლი 2000 წლის დასაწყისიდან.

გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან განათლების სისტემამ სკოლის გაუმჯობესების ძიებაში გაიარა მთელი რიგი ფაზები დეცენტრალიზაციიდან ავტონომიისაკენ. დეცენტრა-ლიზაციას თან ახლდა გაზრდილი ფოკუსირება ანგარიშვალდებულებისა და განათლების შედეგებზე (18, 101-113), (36), (50), (55), (60, 45-61). ამან გამოიწვია მენეჯერული როლის დაკისრება სკოლის ლიდერებისთვის, განსაკუთრებით ინგლისურენოვან ქვეყნებში.

21-ე საუკუნის დასაწყისში შემოღებულ იქნა მოსწავლეთა ეროვნული და საერთაშორისო შეფასებების სისტემა, რამაც განაპირობა სასწავლო შედეგების ამაღლება. ამ დროს სკოლის ხელმძღვანელის როლმა გადაინაცვლა ინსტრუქციული ლიდერობისაკენ, რომლის მთავარი ფუნქცია წარმატებული სასწავლო პროცესი იყო.

2010–2015 წლიდან განათლების მართვა უფრო რთული გახდა OECD-ის ქვეყნებში. შემუშავებულ იქნა მრავალდონიანი მმართველობის მოდელები, რომლებიც ეფუძნება სკოლის გაზრდილ ავტონომიას და პასუხისმგებლობის სხვადასხვა დონეს თვითმმართვე-

ლობით ორგანოებში. ამავდროულად, ხდება უფრო მეტი დაინტერესებული მხარეების ჩართვა სკოლის მართვაში (71).

უფრო კონკრეტულად, სკოლის დირექტორი გახდა სასწავლო პროცესის ლიდერი და პედაგოგიური კოლექტივის ფასილიტატორი. ამ ახალი როლის ფუნქცია არის თანამშრომლობითი კულტურის განვითარება. ჰარგრივსმა და კონორმა ამას უწოდეს კოლაბორაციული პროფესიონალიზმი (28), ხოლო ქულსი და სტოლსი (41) მოიაზრებენ სკოლის კონცეფციას, როგორც სასწავლო ორგანიზაციას. სკოლებისთვის, როგორც სასწავლო ორგანიზაციებისთვის წარმატების მისაღწევად, მთავარი მოთხოვნაა ნდობა და საერთო ვალდებულებები, რაც ხელს უწყობს თანამშრომლობის განვითარებას (42, 24-42). ფულანი მიუთითებს თანამშრომლობითი კულტურის საჭიროებაზე, რომელიც ზრდის მიღწეულ შედეგს (19). სხვებმა განიხილეს ლიდერების როლი მასწავლებლებთან თანამშრომლობაში, რაც ორიენტირებულია მოსწავლეთა სწავლის შედეგებზე (35, 351-354). ამ ინტერპრეტაციებში ანგარიშვალდებულების კონცეფცია ხაზს უსვამს ჩართული პირების პროფესიულ პასუხისმგებლობას, რაც ხელს უწყობს სასწავლო პროცესს და სასკოლო წარმატებას.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ზემოაღნიშნული ეხება საერთო ტენდენციებს OECD-ის ქვეყნებში, რომლებიც განსხვავდება კონტექსტის მიხედვით. შირენსმა (61) აჩვენა, რომ არსებობს სხვადასხვა ტიპის ლიდერობა. მაგალითად, ქვეყნებში, სადაც დემოკრატიული ტრადიციაა - სკოლის კულტურა ხშირად ხასიათდება მასწავლებლებს შორის პედაგოგიური თანამშრომლობით; შირენსი ასახელებს ამ განაწილებულ ლიდერობას (61, 132). ეს კონცეფცია ფართოდ იქნა გამოყენებული ლიტერატურაში (32, 172-188). გრონმა (21, 274-283) აღნიშნა, რომ ეს ტერმინები თეორიულად მართებულია, მაგრამ შეიძლება დაიხვეწოს პრაქტიკის უკეთ ასახვის მიზნით. უფრო ბიუროკრატიული და ცენტრალიზებული ტრადიციის მქონე ქვეყნებში დირექტორებს შეუძლიათ შედარებით მეტი ადმინისტრაციული და წარმომადგენლობითი ფუნქციების შესრულება. უფრო დეცენტრალიზებულ ქვეყნებში სკოლების ავტონომია მეტად გამოხატულია. ლიდერობის ტიპები დამოკიდებულია იმ პოლიტიკაზე, რომელსაც ესა თუ ის ქვეყანა ატარებს საკუთარი კულტურული კონტექსტიდან გამომდინარე.

ამ თემის განხილვისთვს მთავარი კითხვებია: აღიარა თუ არა განათლების პოლიტიკამ ლიდერობის როლი? მორგებულია თუ არა პოლიტიკა ცვალებად კონტექსტთან? კვლევის სხვადასხვა მიმართულებამ განიხილა სკოლის ხელმძღვანელობის რეფორმები სხვადასხვა კუთხით. ამ კითხვებზე პასუხის გასაცემად, მეთოდოლოგიის მიმოხილვის შემდეგ, მოცემულია სხვადასხვა ავტორის ანალიზი სკოლის ხელმძღვანელობის რეფორმებზე.

სკოლაში ლიდერობის რეფორმები

რას გვთავაზობს კვლევა სკოლის ლიდერობის პოლიტიკის რეფორმების შესახებ? ეს ნაწილი იკვლევს ნაშრომებს, რომლებიც დაკავშირებულია სკოლის ლიდერობის პოლიტიკასთან და რეფორმებთან, რათა გამოავლინოს მათი განხორციელების ფაქტორები. მოხდა ნაშრომების დაყოფა კვლევის სფეროების მიხედვით: განათლების პოლიტიკა, სკოლის

გაუმჯობესება, სკოლის ლიდერობა და შედარებითი პოლიტიკის კვლევები. განხილული წყაროების საშუალებით მოხდა სკოლის მართვის რეფორმების სხვადასხვა პერსპექტივიდან შესწავლა - პირდაპირ ან ირიბად. მასალების თემების მიხედვით დაჯგუფება ამდიდრებს ცალკეული წყაროების ანალიზს და ხელს უწყობს დამატებითი პერსპექტივების სინთეზს კონტექსტზე, ასევე იმ ფაქტორებსა და მიზეზებზე, რომლებიც დგას სკოლის ხელმძღვანელობის რეფორმების მიღების უკან.

განათლების პოლიტიკა

მეოცე საუკუნის ბოლომდე განათლების პოლიტიკის ანალიზი ძირითადად ორიენტირებული იყო პოლიტიკის შინაარსზე, შეზღუდული კვლევებით განათლების რეფორმებსა და მმართველობის პროცესებზე (10, 357-374); (18, 01-113); (65). მას შემდეგ, მეცნიერთა მთელი რიგი, ასახავდა განათლების პოლიტიკის რეფორმას და კერძოდ, სკოლის მართვას. ჰეკმა (37), ბელმა და სტივენსონმა (4) გააანალიზეს განათლების პოლიტიკა შინაარსისა და პროცესის პერსპექტივიდან. სამივე ავტორმა შეკრიბა მიმოფანტული მტკიცებულებები და წვლილი შეიტანა განათლების პოლიტიკის ფორმირების რაციონალურ და თანმიმდევრულ პროცესში. ჰეკის, ბელისა და სტივენსონის მუშაობა განათლების პოლიტიკის ფორმირების პროცესებზე მნიშვნელოვანია მისი ფუნქციის, სარგებლობისა და ეფექტურობის გააზრების განვითარებისთვის (4), (37).

სიმოლამ, რინმა და კივირაუმამ 2002 წელს გააანალიზეს ცვლილებები განათლების მმართველობის კუთხით ფინეთში. დაკვირვების შედეგად, ბიუროკრატიული მიდგომები შეიცვალა დემოკრატიული მმართველობით. ეს წარმოადგენდა გადასვლას უფრო დიდ ანგარიშვალდებულებაზე (63, 247-264). მოხდა ანალიზი იმისა, თუ როგორ მოირგეს დირექტორებმა უფრო მეტი ავტონომიით განპირობებული როლი და როგორ აიღეს პასუხისმგებლობა იმ შედეგებზე, რომელსაც დეცენტრალიზირებული მმართველობა მოითხოვს.

ანალოგიურ პერსპექტივას გვთავაზობენ კრიტიკულად განწყობილი განათლების პოლიტიკის მკვლევარები, რომლებიც თვლიან, რომ განათლების სისტემები და მათი რეფორმები ასახავს გარემომცველ სოციალურ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ კონტექსტს. ამ ანალიზის ჩარჩო ეხება განათლების პოლიტიკის მონაწილეებს და პროცესებს არსებულ კონტექსტში. სკოლის ლიდერები აღიქმებიან, როგორც განათლების პოლიტიკის მთავარი ფიგურები. ბოლმა (3, 119-130) აღნიშნა, რომ განათლება ასახავს საჯარო პოლიტიკის ცვალებად ტენდენციებს დეცენტრალიზაციისკენ, სტანდარტიზაციისკენ და მოთხოვნად გადაწყვეტილებაზე გადასვლას OECD-ის მთელ რიგ ქვეყნებში. მან მიუთითა, რომ ახალმა საჯარო მენეჯმენტმა (NPM) დანერგა ბიზნესის მართვის ტექნიკა, სადაც განათლება აღიქმება როგორც სამომხმარებლო პროდუქტი. ამ პერსპექტივაში, სკოლის ლიდერების როლი არის სკოლების გარდაქმნა NPM კონცეფციების შესაბამისად. ბოლი ვარაუდობს, რომ სკოლის მართვა ურთიერთკავშირშია მოცემულ დროსა და შესაბამისი ქვეყნის კონტექსტთან. ვან ზანტენი (68, 289-304) მიიჩნევს, რომ სკოლის თავისუფალი არჩევანისა

და დეცენტრალიზაციის ნეოლიბერალურმა კონცეფციამ გამოიწვია მისი დირექტორების როლის შეცვლა ადმინისტრაციული ფუნქციიდან მენეჯერამდე. ეს ხაზს უსვამს სკოლის ლიდერების მთავარ როლს სკოლის ავტონომიისა და ანგარიშვალდებულების განხორციელებაში.

გიუნტერი აღიარებს ბოლის მოსაზრებას, როგორც წვლილს, რომელიც ხაზს უსვამს პოლიტიკურ, სოციალურ, ეკონომიკურ და კულტურულ კონტექსტს, რაც ახლავს სკოლის ხელმძღვანელობის პრაქტიკას რეკომენდაციების შეთავაზების გარეშე. გიუნტერი განსაზღვრავს სკოლის ლიდერობის კონცეფციას, როგორც ამოცანას, რომელიც წარმოადგენს მთავარ იდეოლოგიას და პრაქტიკის კონტექსტიდან გამიჯვნის სირთულეს (23, 218-228). ბელმა და სტივენსონმა (5, 146-150) შემოგვთავაზეს მათი ზოგადი საგანმანათლებლო პოლიტიკის პროცესის მოდელის გამოყენება სკოლის მართვის კონკრეტულ შემთხვევაში. მოდელი გვთავაზობს ანალიზის ჩარჩოს, რომელიც მოიცავს: (ა) რეფორმის სოციალურ-პოლიტიკურ გარემოს; (ბ) გავრცელებულ იდეოლოგიას, მმართველობის მოდელს და სტრატეგიულ მიმართულებას; (გ) ორგანიზაციული პრინციპები თუ როგორ ყალიბდება პოლიტიკა განათლების მიმართულებით; (დ) რეფორმის განხორციელება და პროცედურები. ეს ანალიტიკური ჩარჩო ასახავს განათლების პოლიტიკის საკითხებს, რომელიც მხარს უჭერს და იკვლევს მას პოლიტიკის კონტექსტში და ეხმარება იმ ცვლილებებისა და ფაქტორების გაგებას, რომლებიც გავლენას ახდენენ სკოლის ლიდერობის პოლიტიკის პროცესზე.

განათლების კრიტიკული თეორიის მიხედვით, სკოლის ლიდერის როლი განვითარდა ახალი საჯარო მენეჯმენტის გლობალური ფორმირებით (70). ვერგერმა და კურანმა (69, 253-271) ჩაატარეს კვლევა იმის შესახებ, თუ როგორ გამოიყურებოდა ახალი საჯარო მენეჯმენტის დანერგვა კულტურისა და კონტექსტის მიხედვით. მათ დაასკვნეს, რომ პოლიტიკურმა, ინსტიტუციურმა და ეკონომიკურმა ფაქტორებმა განაპირობა ახალი საჯარო მენეჯმენტის რეფორმების მიღება (69, 253-271).

2015 წელს საგანმანათლებლო მენეჯმენტის საერთაშორისო ჟურნალმა გამოსცა ტომი სკოლის ლიდერობის თემაზე. დიემ და იანგმა (13, 838-850) შემოგვთავაზეს კრიტიკული პოლიტიკის ანალიზის (CPA) ჩარჩოს მიღება განათლების პოლიტიკის კონტექსტთან და სირთულესთან დაკავშირებული ფაქტორების გასაანალიზებლად. ისინი ვარაუდობენ, რომ მეტი სამუშაოა საჭირო იმისათვის, რომ განათლების პოლიტიკის პროცესები, კონტექსტი და სხვა ფაქტორები გათვალისწინებული იყოს სკოლის ლიდერობის კვლევაში.

მართლაც, განათლების პოლიტიკის სფერო რთულია, განსხვავებული თეორიული ჩარჩოებით და მრავალი კვლევის შედეგებით. მის შემუშავებაზე ძლიერ გავლენას ახდენს კონტექსტი და მასში ჩართული ფაქტორები. მიუხედავად იმისა, რომ განათლების სფეროს კვლევა ფართოა, სკოლის მართვის რეფორმის პროცესების ანალიზისა და ინტერპრეტაციის კვლევა უფრო შეზღუდულია და მის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ:

- სკოლის მართვის რეფორმები ასახავს სკოლის ლიდერების როლს განათლების პოლიტიკის ცვლილებებში და ახალი საჯარო მენეჯმენტის ჩამოყალიბებაში;

- შემოთავაზებული ანალიტიკური ჩარჩოების მიხედვით სკოლის მართვის რეფორმის ცენტრში დგას სკოლის დირექტორი და მის გარშემო არსებული სოციალური და პოლიტიკური კონტექსტი.

განათლების გაუმჯობესება

სკოლის მართვასთან დაკავშირებული კვლევის მნიშვნელოვანი სფერო ფოკუსირებულია იმ ფაქტორების ანალიზზე, რომლებიც ხელს უწყობენ განათლების გაუმჯობესებას. ის ირიბად უკავშირდება სკოლის მართვის რეფორმებს. ელმორი (14, 1-27), (15[5]), ფულანი (18, 101-113), ჰარგრივსი (29), ჰარისი (34, 63-67) და ლუი (48, 1-24) კვლევებში მიუთითებენ იმაზე, თუ როგორ შეუძლია სკოლის ხელმძღვანელობას წვლილი შეიტანოს განათლების გაუმჯობესებაში, როგორც მისი შედეგების, ასევე პოლიტიკისა და გაუმჯობესების პროგრამების განხორციელების თვალსაზრისით. თუმცა, ეს ლიტერატურული მიმოხილვა ყურადღებას მეტად ამახვილებს პოლიტიკაზე და მის შინაარსზე, რეფორმის პროცესების ან მათ გარშემო არსებული კონტექსტური ფაქტორების გაანალიზების გარეშე. ზოგიერთი ავტორი ამას მიიჩნევს, როგორც კვლევაში არსებულ ხარვეზს. ჰარგრივსმა და გუდსონმა (31, 3-41) აღნიშნეს, რომ განათლების ლიდერობის თეორია ჩვეულებრივ არ ითვალისწინებდა ცვლილების პოლიტიკურ, ისტორიულ და გრძელვადიან პერსპექტივებს და რომ განათლებაში რეფორმები განპირობებულია ფართომასშტაბიანი ეკონომიკური და დემოგრაფიული ცვლილებების შერწყმით, როგორიცაა რეფორმათა ტალღები; ამისი კონკრეტული მაგალითია თაობათა ცვლა მასწავლებლებსა და სკოლის ხელმძღვანელობაში.

ერთ-ერთი საერთაშორისო კვლევა აანალიზებს პოლიტიკასა და სტრატეგიებს, რომლებიც გვეხმარება ავხსნათ განსხვავება ქვეყნებს შორის რეფორმის პროცესში (53). კვლევამ წარადგინა შემდეგი პოლიტიკა: (ა) პროფესიონალების მოზიდვა მასწავლებლის პროფესიაში; ბ) სკოლაში უწყვეტი ხარისხიანი პედაგოგიური პრაქტიკის განვითარების მიდგომისა და სტრატეგიების შემუშავება; (გ) წახალისება, შერჩევა და ხელის შეწყობა პედაგოგთა პროფესიული ზრდისთვის. კვლევის ძირითადი დასკვნები მიუთითებდა დირექტორის მნიშვნელოვან როლზე სკოლის გაუმჯობესების საკითხში და მათი პროფესიული ზრდის საჭიროებაზე.

ჰარგრივსის მიერ ჩატარებულ იქნა შედარებითი კვლევა იმ ფაქტორების შესახებ, რომლებმაც ხელი შეუწყო სკოლის გაუმჯობესებას ბოლო 30 წლის განმავლობაში. ის ვარაუდობდა, რომ განათლების ცვლილებამ და რეფორმებმა განვითარების ოთხი ეტაპი გაიარა. მისი რეფორმების ანალიზისას აღინიშნა, რომ მართვაზე ორიენტირებული საგანმანათლებლო პოლიტიკა და ცვლილებები დაგვიანებული იყო. ზოგადად, რეფორმაში სკოლის დირექტორები და მართვის პროცესი არ იყო გათვალისწინებული. რეფორმის ანალიზის მიხედვით, დირექტორებისთვის არ იყო დაგეგმილი არანაირი ტრენინგი და ვებინარი ცვლილებებთან დაკავშირებით და მხოლოდ მოლოდინი იყო მათი ამ პროცესში დამოუკიდებელი ჩართვისა.

კვლევის ერთ-ერთი დასკვნა არის ის, რომ რეფორმას აზრი არ აქვს მართვის პროცესში დადგეგმილი სტრატეგიების გარეშე. რეფორმის გარემომ უნდა შექმნას პირობები, რომ სკოლის დირექტორებს არა მხოლოდ გარე სტანდარტების დანერგვა, არამედ უნარი და მოქნილობაც ჰქონდეთ, თავად განახორციელონ ცვლილებები. ჰარგრივსი მოიაზრებდა ლიდერობის განვითარების აუცილებლობას, რაც ერთ-ერთი წინაპირობაა სასკოლო დაწესებულებების ეფექტური მართვისა.

ჰარგრივსისა და ფულანის კონცეფციის საფუძველზე (30) სკოლის ლიდერები არა მარტო უნდა ახორციელებდნენ რეფორმით დადგენილ სტრატეგიას, არამედ თავად უნდა შეჰქონდეთ ცვლილებები მის განხორციელებაში. ზოგიერთი მკვლევარი სკოლის კულტურისა და კლიმატის ანალიზისას აფიქსირებდა აზრს, რომ რეფორმა და მისი დანერგვა რთული პროცესია. გრონმა (21, 274-283) კი მოიხსენია „ლიდერობის რომანტიკა“ (გვ. 277) და მიუთითა იმაზე, რომ არ უნდა იყოს დიდი მოლოდინი სკოლის ლიდერებთან და მათ მიღწევებთან დაკავშირებით (გვ. 281).

განათლების ეკონომისტებმა შეისწავლეს განათლების გაუმჯობესების ელემენტები. ჰანუშეკ ლინკმა და ვოესმანმა (27, 212-232) განიხილეს კვლევა განათლების გაუმჯობესების ფაქტორების შესახებ ნაკლებად განვითარებად და უფრო განვითარებულ ქვეყნებში. მათ გაანალიზეს დეცენტრალიზაციისა და სკოლის ავტონომიის პოლიტიკის გავლენა და დაასკვნეს, რომ როდესაც სკოლები და განათლების სისტემა სწორად იმართება, ისინი ახორციელებენ სამუშაო პროცესს დეცენტრალიზებულ კონტექსტში.

ზოგადად, მკვლევარებმა წარმოაჩინეს დირექტორის მთავარი როლი სკოლის მართვაში, მაგრამ მათ არ ასახეს ფაქტორები, რომლებიც ეფუძნება სკოლის მართვის პოლიტიკის რეფორმების სტრატეგიებს. მიუხედავად ამისა, ისინი გვთავაზობენ ორ მნიშვნელოვან დასკვნას სკოლის მართვის რეფორმისთვის:

- სკოლის ხელმძღვანელობის როლი სათანადოდ არ არის აღიარებული განათლების გაუმჯობესების სტრატეგიებში;
- მიუხედავად იმისა, რომ სკოლის ლიდერების როლი უგულებელყოფილია რეფორმის პროცესში, შეიძლება ასევე იყო გადაჭარბებული მოლოდინები მათ მიმართ.

სკოლის ხელმძღვანელობის გავლენა

კვლევის სფერო ფოკუსირებულია იმის ახსნაზე, თუ როგორ მოქმედებს სკოლის ხელმძღვანელობა განათლების გაუმჯობესების პროცესზე. მართვის პროცესის რეფორმების შესწავლისთვის კვლევის ეს მიმართულება მნიშვნელოვანია, რადგანაც იკვეთება მართვის სტილის დამოკიდებულება სკოლის მიღწევებზე.

კვლევის დიდმა ნაწილმა, რომელიც ბოლო სამი ათწლეულის განმავლობაში ჩატარდა, აჩვენა, რომ სკოლის ლიდერობა გადამწყვეტ როლს ასრულებს მოსწავლეთა შედეგების გაუმჯობესებაზე. ბოლო 30 წლის განმავლობაში სკოლის მართვაზე და მის ლიდერებზე გამოქვეყნებული სტატიები მიმოხილული აქვს ჰალინგერს (25, 539-576). მის მიერ

ჩატარებული კვლევები გამოხატავს დირექტორის მთავარ როლს განათლების შედეგების მიღწევაში. ასევე, ჰალინგერმა და ჰეკმა (26, 157-191), ლეითვუდმა, ლუისმა, ანდერსონმა და უოლსტრომმა (46), ლეითვუდმა და ჯანციმ (45, 177-199), რობინსონმა (59, 635-674) და კრუგერმა (72, 398-425) დიდი გავლენა იქონიეს სკოლის ლიდერობის პოლიტიკის კვლევასა და მის გაფართოებაზე ისეთ ქვეყნებში, როგორიცაა გაერთიანებული სამეფო, ავსტრალია და შეერთებული შტატები.

ამ კვლევებმა აჩვენა რამდენიმე მნიშვნელოვანი პუნქტი: (1) სტატისტიკის მიხედვით სკოლის ხელმძღვანელობა გავლენას ახდენს განათლების შედეგებზე; (2) მათი გავლენა არაპირდაპირია; (3) აყალიბებენ სასწავლო გარემოს; და (4) ლიდერობის პრაქტიკა ხელს უწყობს კლიმატის გაუმჯობესებას.

ლეითვუდის, დეის, სამმონსის, ჰარისისა და ჰოპკინსის (43) მიერ ჩატარებულ კვლევაში გამოვლენილმა დასკვნებმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ლიდერობის პრაქტიკაში დანერგვის საკითხში. კვლევაში ასევე აღნიშნულია, რომ მასწავლებლებთან ერთად, სკოლის ხელმძღვანელებმაც შეიტანეს წვლილი სასწავლო შედეგების ამაღლებაში. ლიდერობის სტილის მიხედვით გამოიყო მართვის სხვადასხვა სტრატეგიები: მიზნების და ამოცანების განსაზღვრა, საგანმანათლებლო პროგრამის მართვა, ადამიანური რესურსების განვითარება და ორგანიზაციის ხელახალი დიზაინი. იმისთვის, რომ სკოლის წარმატებული ხელმძღვანელობის რეალურ ბუნებას, პრაქტიკასა და შედეგებს ჩავწვდეთ, ამისთვის სისტემა მზად არის (44, 1-18).

რობინსონმა და სხვებმა 2009 წელს (59, 635-674) ჩაატარეს კვლევების ანალიზი, რომლებმაც შეისწავლეს სხვადასხვა ტიპის ლიდერობის პრაქტიკის გავლენა სკოლის გაუმჯობესებაზე და დაადგინეს სასწავლო პროცესის შემდეგი სტრატეგიები, რომლებიც ყველაზე მეტად უწყობს ხელს სკოლის შედეგების გაუმჯობესებას. ესენია: მასწავლებლების ტრენინგსა და პროფესიულ განვითარებაში ხელშეწყობა და მონაწილეობა, სასწავლო გეგმის დაგეგმვა, კოორდინაციასა და შეფასებაზე მუშაობა; მიზნებისა და სტრატეგიების დასახვა; რესურსების მოძიება და სწავლისთვის შესაფერისი გარემოს უზრუნველყოფა.

ბრანჩმა, ჰანუშეკმა და რივკინმა (7) დაადგინეს, რომ სკოლის ეფექტურ ლიდერს შეუძლია გაზარდოს მოსწავლეთა შედეგები სკოლაში 2-დან 7 თვემდე ვადაში. ცნობილია რომ მასწავლებლები პირდაპირ გავლენას ახდენენ თავიანთ მოსწავლეებზე, მაშინ, როცა დირექტორები გავლენას ახდენენ მთელ სკოლაზე და აქედან გამომდინარე, სკოლის ლიდერებში ინვესტირებას შეიძლება ჰქონდეს მრავალმხრივი ეფექტი სასკოლო საზოგადოებისთვის. უფრო კონკრეტულად რომ ვთქვათ, სკოლის ეფექტურ ლიდერებს შეუძლიათ გაამყარონ პედაგოგთა პოზიციები და გაზარდონ მათი მოტივაცია (ბრანჩი, ჰანუშეკი და რივკინი). სკოლის ლიდერების გაძლიერების პოლიტიკის შემუშავება არის განათლების გაუმჯობესების მთავარი ვექტორი.

დი ლიბერტომ, შივარდიმ და სულისმა (12, 683-728) გაანალიზეს სკოლის ლიდერების გავლენა სკოლის შედეგებზე. განიხილეს კავშირი ავტონომიას, ანგარიშვალდებულებასა და ლიდერობას შორის.

ლეითვუდმა და ლუისმა (47) აჩვენეს, რომ განაწილებული და ინსტრუქციული ლიდერობის პრაქტიკა ზრდის სკოლის ლიდერებისადმი მასწავლებელთა ნდობას და აუმჯობესებს სკოლის შედეგებს. ჰარისმა (32, 172-188) შეისწავლა განაწილებული ლიდერობა და აღმოაჩინა პოზიტიური კავშირი მასსა და ორგანიზაციულ ცვლილებებს შორის.

ზემოხსენებულმა კვლევებმა აჩვენა მართვის სტილის გავლენა მოსწავლეთა სწავლის ხარისხზე, მასწავლებელთა პროფესიულ ზრდაზე, ან საერთო სასკოლო შედეგებზე. შედარებით ადრეულ კვლევებში შირენსი (2012) აღნიშნავდა, რომ მართალია კვლევების უმეტესობა აჩვენებდა სკოლის ლიდერების უფრო მეტ გავლენას შედეგებზე, თუმცა, არასწორად შერჩეული კვლევის მეთოდის გამო ეს მაჩვენებელი შესაძლებელი იყო უფრო უმნიშვნელო ყოფილიყო.

ლეითვუდის და სხვათა აზრით, სკოლის ლიდერი არის ხიდი სკოლებში რეფორმებსა და მათი ეფექტურად განხორციელებას შორის. ფიქრობენ, რომ სწავლა - სწავლების რეფორმის წარმატება დამოკიდებულია სკოლის ლიდერების მოტივაციაზე და უნარებზე (46). სწავლაზე ორიენტირებული ნებისმიერი რეფორმის წარმატების ალბათობა ძალიან დაბალია, თუ სკოლის ხელმძღვანელები არ დაუჭერენ მხარს რეფორმის მიზნებს და პრიორიტეტს არ მიანიჭებენ მას. ამ ავტორების აზრით, ეფექტური ლიდერობა გადამწყვეტია ზოგადად განათლების რეფორმების წარმატებისთვის.

მთავარი საკითხია, რამდენად არის დამოკიდებული სკოლის ლიდერობის პრაქტიკა კონტექსტზე. ბოლივარმა და სხვ. შეისწავლეს ლიდერობა ამ კონტექსტში. ისინი ვარაუდობენ, რომ სკოლებში, სადაც მასწავლებლები დამოუკიდებლად მუშაობენ თავიანთ კლასში, მაშინ სკოლა, როგორც ორგანიზაცია, სუსტია (6, 15-60). სკოლის გაუმჯობესება ხდება მაშინ, როდესაც არსებობს სკოლის ერთიანობისა და თანამშრომლობის კულტურა და როდესაც დანერგილია განაწილებული ხელმძღვანელობა და პროფესიულ განვითარებაზე ორიენტირებული კოლექტივი. სკოლის ხელმძღვანელობა არის გასაღები „ინსტიტუციური პირობების შესაქმნელად, რომელიც ხელს უწყობს სკოლების, როგორც ორგანიზაციების ეფექტურობას“ (6, 20). ისინი აღნიშნავენ, რომ მართვის ეფექტურობა დამოკიდებულია რამდენიმე ფაქტორზე. ესენია: სკოლის მართვის პრაქტიკა და სამოქმედო სტრატეგიული გეგმები. ამასთანავე, სკოლებს აქვთ ავტონომიური გადაწყვეტილებების მიღების უნარი, რაც თავის მხრივ დამოკიდებულია მმართველობასა და კონტექსტზე.

აქედან გამომდინარეობს რამდენიმე დასკვნა. პირველი, სკოლის ხელმძღვანელობის როლი მნიშვნელოვანია სკოლის შედეგების გაუმჯობესებაში, თუმცა გავლენის მასშტაბი ჯერ კიდევ არ არის თვალსაჩინო, რადგან ის არაპირდაპირია. გარდა ამისა, დიდი მნიშვნელობა აქვს დირექტორის მართვის სტილს. ლიდერობის პრაქტიკა, რომელიც ორიენტირებულია განაწილებულ მართვაზე, პედაგოგთა მხარდაჭერასა და სწავლის ხარისხის განვითარებაზე, დიდ გავლენას ახდენს სკოლის შედეგებზე. თუმცა, სხვადასხვა სკოლის მართვა განსხვავდება იმ კონტექსტის მიხედვით, რომელშიც ის ხორციელდება. კვლევა გვიჩვენებს, რომ კვლევათა დიდი ნაწილი არ განიხილავს სკოლის ლიდერობის პრაქტიკის გავლენას კონტექსტთან ან გარე ფაქტორებთან მიმართებაში, რომელთა მიხედვითაც იკვეთება სკოლის ლიდერის მართვის სტილი. თუმცა, კვლევების უმეტესობა

ღირებულია იმით, რომ მათი დასკვნით საჭიროა სკოლის დირექტორების პროფესიულ განვითარებაში უფრო მეტი ინვესტიციის ჩადება.

სკოლის ლიდერობის პოლიტიკა

მთელი რიგი კვლევები ფოკუსირებულია სკოლის ლიდერობის პოლიტიკაზე. მათი უმეტესობა არის კონკრეტული ქვეყნისთვის, ან შედარებით ზოგადი. ისინი განხორციელებულია აკადემიური ან საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ და განსაზღვრავენ, როგორი შეიძლება იყოს სკოლის მართვის პოლიტიკა, ან როგორ განხორციელდა კონკრეტული პოლიტიკა სხვადასხვა ქვეყანაში.

სკოლის ლიდერობის პოლიტიკის შესახებ ერთ-ერთი პირველი შედარებითი კვლევა ჩატარდა 2008 წელს. OECD-ის მოცემულმა კვლევამ ოცდაორი ქვეყნის განათლების სისტემაში შედეგების ანალიზის საფუძველზე შეიმუშავა რეკომენდაციების სერია სკოლის მართვის დასახვეწად (57). კვლევამ აჩვენა, რომ განათლების სისტემებში კონტექსტურმა ცვლილებებმა, როგორიცაა დეცენტრალიზაცია, სკოლებში განათლების შედეგებზე გაზრდილი ფოკუსირება და ანგარიშვალდებულება, სკოლის ხელმძღვანელობის გავლენის მტკიცებულებებთან ერთად, შექმნა განათლების მართვის ახალი პოლიტიკა. აღსანიშნავია, რომ პოლიტიკა მიმართულია სკოლის დირექტორების პასუხისმგებლობის ხელახლა განსაზღვრაზე, რათა ფოკუსირება მოახდინონ შედეგების გაუმჯობესებაზე, განაწილებულ ხელმძღვანელობაზე და სხვ. საჭიროა, დირექტორების პროფესიული განვითარების კუთხით ჩატარდეს ტრენინგები, განისაზღვროს შესაფერისი ანაზღაურება და მათი პოზიციების მხარდაჭერის გზით სკოლის დირექტორობა იქცეს მიმზიდველ პროფესიად.

საერთაშორისო დონეზე განხორციელდა სკოლის ლიდერობის არსის შესწავლა. იუნესკოს პროექტში „განათლება ყველასათვის“ მოხსენებაზე სკოლის ხელმძღვანელობის შესახებ ხაზი გაესვა მის გადამწყვეტ როლს, რომელიც მას შეიძლება ჰქონდეს გლობალური განათლების განვითარებაში. ანგარიშში ხაზგასმულია სკოლის ხელმძღვანელობის პოლიტიკის მნიშვნელობა განათლების შედეგების გასაუმჯობესებლად (67). სხვა კვლევები ფოკუსირებული იყო სკოლის დირექტორების პროფესიულ განვითარებასა და მომზადებაზე (54).

კვლევების სერიამ შეადარა სკოლის ხელმძღვანელობის რეფორმები ეროვნულ თუ საერთაშორისო დონეზე. მაგნომ გააანალიზა სხვადასხვა განათლების სისტემაში მიღებული რეფორმები და ივარაუდა, რომ სკოლის ლიდერობის პოლიტიკა გლობალური გახდა (49). მაგნო თავის ანალიზში ვარაუდობს, რომ განათლების ლიდერობის პრაქტიკის გლობალური და სწრაფი გავრცელება მოხდა ერთიანი პოლიტიკის დანერგვის და მისი გატარების შედეგად. ეს დაკავშირებულია განათლების სისტემებში ანგარიშვალდებულებისა და პროფესიონალიზმის ზრდასთან, რაც გამოკვეთავს სკოლის ხელმძღვანელობის აქტიურ როლს.

საერთაშორისო წარმატებული სკოლის დირექტორების პროექტი (ISSPP), საერთაშორისო კვლევითი თანამშრომლობა, ორიენტირებული იყო სკოლის ლიდერობის პრაქტიკის

ანალიზზე 25-ზე მეტ მონაწილე ქვეყანაში. ამ პროექტის შედეგები, განთავსებულია სხვადასხვა ჟურნალებსა და წიგნებში (11); (66), (73,6-23). პროექტში განხილული საკითხები მოიცავდა წარმატებული სკოლების დირექტორების როლის ანალიზს და მათ მართვის სტილს. ISSPP-ის ანგარიშში აღნიშნულია, რომ მიუხედავად ქვეყნისა და სოციალურ-ეკონომიკური კონტექსტისა, „წარმატებული დირექტორები მასწავლებლებთან ერთად ჩართულნი არიან ზოგად მორალურ, სოციალურ და ეთიკური საკითხების განხილვაში მოსწავლეების აღზრდის პროცესში, ისევე როგორც მოსწავლეთა მაღალი აკადემიური შედეგების მიღწევაში“ (66, 3).

მთელი რიგი კვლევები, სკოლის ლიდერობის რეფორმებზე, არის მოცემული კონკრეტული ქვეყნისთვის, მაგალითად, ინგლისზე (24, 495-511), საფრანგეთზე (68, 289-304), ნორვეგიაზე (51, 336-353), ესპანეთზე (69, 253-271) და შვედეთზე (40, 429-444).

გიუნტერმა და ფორესტერმა (24, 495-511) განიხილეს, კრიტიკული პოლიტიკის პერსპექტივა ინგლისში სკოლის ლიდერობის პოლიტიკის განხორციელების პროცესში. მათ ივარაუდეს, რომ ახალი პოლიტიკა გამოიყენებოდა, როგორც მთავარი საშუალება, სკოლებში მართვის კულტურის დანერგვისთვის. როუჩმა და სხვებმა გააანალიზეს სკოლის ლიდერობის პოლიტიკა, რომელიც მიღებულია შეერთებულ შტატებში. მათ დაასკვნეს, რომ ქვეყნის მასშტაბით დანერგილი იყო მოდელი, რომელიც მეტ-ნაკლებად მოწესრიგებული იყო. ეს მოდელი მცირე თავისუფლებას უტოვებდა მართვის პროცესში სხვა ლიდერობის პარადიგმებს. ავტორთა აზრით, არსებული მართვის ძირითად მოდელს, იყენებდნენ ამერიკის შეერთებულ შტატებში ლეგიტიმურობის, აუცილებლობის და პროფესიონალიზაციისთვის. რაც მთავარია, ეს გაკეთდა იმის ნაცვლად, რომ პოლიტიკის შემუშავება დაფუძნებულ ყოფილიყო სკოლის მართვის ეფექტურობაზე. კერძოდ, შეიქმნა საგნობრივი სტანდარტები, სასწავლო პროგრამები; შეფასების ტიპები; სწავლა-სწავლების პრინციპები და უწყვეტი სწავლების კონცეფცია (58, 1-20).

ნორვეგიაში, მოლერმა და სკედსმომ გააანალიზეს სკოლის ლიდერების სასწავლო პროგრამის დანერგვა და დაასკვნეს, რომ ამ პროგრამამ მოახდინა ლიდერობისა და პედაგოგიური პრაქტიკის შერწყმა და ჩამოაყალიბა საჯარო მართვის ახალი სტილი. მოლერმა და სკედსმომ აღნიშნეს, რომ პროგრამას მხარს არ უჭერდა საგანმანათლებლო საზოგადოება, განსაკუთრებით მასწავლებლები (52, 336-353).

ვერგერმა და კურანმა გაანალიზეს სკოლის ლიდერობის პოლიტიკის განხორციელება კატალონიაში, ესპანეთში. ვერგერმა დაასკვნა, რომ სკოლის მართვის ახალი პოლიტიკა მიჰყვება ახალი საჯარო მენეჯმენტის მიდგომებს (69, 253-271). ლიდერთა ტრენინგი წარიმართა იმ მიზნით, რომ მომხდარიყო ახალი საჯარო მენეჯმენტის მიდგომების მხარდაჭერა, რომლებიც თავის მხრივ მიმართული იყო განათლების პოლიტიკის, ავტონომიისა და ანგარიშვალდებულებისაკენ.

სკოლის ლიდერების შედარებითმა კვლევამ ოცდაოთხ ქვეყანაში ხაზი გაუსვა სკოლის ლიდერობის მნიშვნელობას, განსხვავებებს და მსგავსებებს პრაქტიკაში და მრავალფეროვ-ნებას სხვადასხვა ქვეყნებში (2). ანგარიში მიუთითებს ლიდერობის სირთულეზე და

რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის მეთოდების გამოყენების აუცილებლობაზე. ავტორები ასკვნიან რამდენიმე პუნქტს, რომელიც ეხება სკოლის ხელმძღვანელობის რეფორმის კონტექსტს:

1. არსებობს სკოლის ლიდერობის პრაქტიკის მრავალფეროვნება, რომელიც დამოკიდებულია კონტექსტზე და განვითარების ხარისხზე. უპირობოდ, ლიდერობა მნიშვნელოვანია ყველა ქვეყანაში;
2. სკოლის ხელმძღვანელობის შესახებ დამატებითი კვლევა სხვა აკადემიური დისციპლინებიდან, როგორიცაა პოლიტიკური მეცნიერებები, ისტორია ან სოციოლოგია, საშუალებას მისცემს უკეთ გავიგოთ სკოლის ხელმძღვანელობა არსებულ კონტექსტში.

საერთო ჯამში, ეს კვლევები ცხადყოფს, რომ სხვადასხვა ქვეყანაში იყო სკოლის ხელმძღვანელობის რეფორმების დანერგვის ტენდენცია. ლიტერატურულმა მიმოხილვამ წარმოგვიდგინა, სკოლის მართვის რეფორმის მსგავსი ტიპები, მიუხედავად ქვეყნებისა და კონტექსტის განსხვავებულობისა. ეს გამოწვეულია იმით, რომ სკოლის მართვის რეფორმები ხორციელდება ახალი საჯარო მენეჯმენტის დღის წესრიგის საპასუხოდ, რომელიც შეესაბამება განათლების პოლიტიკის გლობალიზაციის ტენდენციას. უფრო მეტი კვლევაა საჭირო სკოლის მართვისა და რეფორმის ტიპების შესასწავლად, რომლებიც შეიძლება მიღებული იქნეს კონტექსტიდან გამომდინარე.

როგორ ეხმაურება კვლევა სკოლის ხელმძღვანელობის რეფორმებს? ლიტერატურული მიმოხილვა, რომელზეც ამ სტატიაშია საუბარი, იკვლევს იმ საკითხს, თუ როგორ განიხილავენ სხვადასხვა ავტორები და დისციპლინები სკოლის ხელმძღვანელობის პოლიტიკისა და რეფორმების უკან არსებულ ფაქტორებს. ანალიზის შედეგად გამოვლინდა განსხვავებული პერსპექტივები სკოლის ლიდერობის პოლიტიკასთან დაკავშირებით, ასევე როგორ არის სკოლის ლიდერობის რეფორმა დაკავშირებული პრაქტიკის კონტექსტთან. სკოლის მართვაში განხორციელებული ცვლილებები განხილული იყო პოლიტიკის უფრო ფართო კონტექსტებთან მიმართებაში. მიმოხილვამ აჩვენა, რომ სკოლის ხელმძღვანელობა და მისი რეფორმა უახლესი თემაა. მისი კვლევისა და ანალიზის უმეტესობა განხორციელდა 21-ე საუკუნის დასაწყისიდან.

სკოლის მართვის პოლიტიკა სხვადასხვა მეცნიერის მიერ აღიარებულ იქნა, როგორც მთავარი ფაქტორი განათლების რეფორმისა, რომელიც უზრუნველყოფს სკოლისა და განათლების გაუმჯობესებას და ასევე წარმოდგენილია როგორც ვექტორი სხვა პოლიტიკების გატარებისთვის. განათლების ხარისხის გაუმჯობესების კვლევა და მისი ანალიზი მეტყველებს იმაზე, რომ სკოლის მართვის როლი მნიშვნელოვანია ამ საკითხში. ასევე, კვლევა ხაზს უსვამს სკოლის მართვის შესახებ ანალიზის ნაკლებობას, რადგანაც შესწავლილი არ არის უფრო ფართომასშტაბიანი რეფორმები.

კონკრეტული პოლიტიკისა და რეფორმების პირობებში ყალიბდება მართვის პრაქტიკა, რაც ასევე დამოკიდებულია კონტექსტზე. თუმცა, ბევრმა ავტორმა მიუთითა ინვესტიციაზე სკოლის ლიდერის კუთხით, მის უწყვეტ პროფესიულ განვითარებაზე, სტანდარტებზე და რომ სკოლის ხელმძღვანელობა შედეგზე გავა მართვის იმ პოლიტიკით, რომელიც

დაეხმარება მათ სკოლის ეფექტურ მართვაში და უზრუნველყოფს სწავლის მაღალ შედეგებს. ეფექტურ მართვაში იგულისხმება ტრენინგები, რესურსები, განაწილებული ფუნქციები, კოლექტივის პროფესიული დონის ამაღლებაზე ზრუნვა და თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა.

თუმცა, მართვის კუთხით განსხვავდება სკოლის ხელმძღვანელობის პოლიტიკა, რადგანაც ის ჩამოყალიბებულია სხვადასხვა მმართველობისა და პოლიტიკურ კონტექსტში ქვეყნების მიხედვით. გარდა ამისა, ერთ-ერთი დასკვნა, რომელიც გამომდინარეობს მიმოხილვიდან, არის ის, რომ რეფორმების შინაარსი არ შეიძლება გამოცალკევდეს რეფორმების დანერგვის პროცესებისაგან.

თუმცა, არ ჩატარებულა შედარებითი ანალიზი ყველა იმ ძირითადი ფაქტორისა, რომელიც გავლენას მოახდენდა სკოლის ხელმძღვანელობის რეფორმაზე, მაინც არსებობს თანხვედრა კვლევის სხვადასხვა სფეროში, რომელსაც შეუძლია უპასუხოს ამ მიმოხილვაში მოცემულ კითხვებს. კვლევის შედეგად შეიძლება ვივარაუდოთ, რომ სკოლის ხელმძღვანელობის რეფორმები პასუხობს და დიდწილად შეესაბამება ზოგადი განათლების პოლიტიკის ტენდენციებს. ეს განსაკუთრებით ეხება ბოლო ოცი-ოცდაათი წლის განმავლობაში განხორ-ციელებულ ცვლილებებს, როგორიცაა დეცენტრალიზაცია და ავტონომია, ფოკუსირება სკოლის შედეგებსა და ანგარიშვალდებულებაზე, სკოლის გაუმჯობესება მოსწავლეთა აკადემიური მიღწევებით. რთული მმართველობითი სისტემები ქმნიან ანგარიშვალდებუ-ლებას პროფესიული პასუხისმგებლობით. ამ ცვლილებებმა გავლენა მოახდინა სკოლის მართვის სტილზე, ამიტომ დირექტორი არა მარტო მენეჯერია, არამედ შეითავსა სასწავლო ლიდერის როლი და ახდენს ფოკუსირებას მოსწავლეთა სწავლის შედეგებზე. სხვადასხვა მეცნიერების ინტერპრეტაცია ამ ცვლილებებზე განსხვავებულია. ზოგიერთმა წარმოადგინა საჯარო მართვის ახალ სტილზე გადასვლის მოდელი. სხვებმა ხაზგასმით აღნიშნეს საკვანძო როლი, რომელსაც ასრულებენ სკოლის ლიდერები მართვისას. კვლევის მნიშვნელოვანი ნაწილი ფოკუსირებულია იმაზე, თუ დირექტორები როგორ დგებიან სიახლეების პირისპირ და როგორ ნერგავენ ამ ცვლილებებს მართვის პროცესში. მაგალითად, ისინი ხელს უწყობენ სკოლებში არსებულ მონაცემებზე დაყრდნობით მოსწავლეთა წინსვლას, სკოლის ავტონომიურობას, მასწავლებელთა პროფესიულ ზრდას და ანგარიშვალდებულებას.

სკოლის ლიდერობის კვლევის სფერო ეკლექტიკურია. ეს მიმოხილვა გვთავაზობს, რომ არსებობს კვლევის სხვადასხვა სფერო, რომელიც მოიცავს სკოლის მართვას სხვადასხვა პერსპექტივიდან: 1) განათლების პოლიტიკის, 2) სკოლის გაუმჯობესების, 3) სკოლის მართვის პოლიტიკის და 4) მართვის სტილის.

ბოლო პერიოდში, შემოთავაზებულ იქნა სკოლის ხელმძღვანელობის რეფორმების კვლევის ჩარჩოები. ბელმა და სტივენსონმა შემოგვთავაზეს სკოლის ხელმძღვანელობის რეფორმების განხორციელების ანალიზის ჩარჩო (5, 146-150). დიემმა და იანგმა წარმო-გვიდგინეს კრიტიკული პოლიტიკის ანალიზი, როგორც მეთოდოლოგიური ჩარჩო სკოლის ლიდერების განვითარების შესასწავლად (13, 838-850). სკოლის ლიდერობის კვლევის სფერო იზრდება საერთაშორისო მასშტაბის მეტი კვლევებით და კვლევის

მონაცემები უფრო ხელმისაწვდომი ხდება. ეს გვაძლევს საშუალებას კვლევის შედეგად დადგენილი რეკომენდაციები დავნერგოთ პრაქტიკაში. მნიშვნელოვანია, რომ სკოლის მართვის რეფორმების ანალიზი აღიარებს სირთულეებს განათლების პოლიტიკაში, რომელიც დიდწილად ასახავს კონტექსტს. როგორც განათლების პოლიტიკა და ასევე პრაქტიკა მუდმივად ვითარდება, შესაბამისად იცვლება სკოლის ლიდერების როლი.

დასკვნა

მოცემული ლიტერატურის მიმოხილვა შეისწავლის სკოლის ხელმძღვანელობის რეფორმების აუცილებლობის მიზეზების შესწავლას ბოლო სამი ათწლეულის განმავლობაში; კონკრეტულად, გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან 2015 წლამდე. გამოიკვეთა სკოლის მართვის პერსპექტივის მრავალფეროვანი სპექტრი. მთლიანობაში, მიმოხილვის შედეგები ადასტურებენ სკოლის ხელმძღვანელობის მნიშვნელოვან როლს განათლების გაუმჯობესებაში, თუ რამდენად არის დაკავშირებული სკოლის მართვის რეფორმები გარემოს ცვალებად კონტექსტთან და მართვის პერსპექტივებზე, იქნება ეს სკოლის მართვის ახალი პოლიტიკით გამოწვეული, თუ განათლების პოლიტიკის ცვლილებით.

კრიტიკული განათლების პოლიტიკის თვალსაზრისით, სკოლის ხელმძღვანელობა მონაწილეობს ახალი საჯარო მენეჯმენტის დღის წესრიგის დანერგვაში. განათლების მკვლევარებისთვის ხელმძღვანელობის ფუნქცია ასრულებს ორმაგ როლს: ის ხელმძღვანელობს სკოლას და ამავდროულად თავად არის სხვადასხვა რეფორმის განხორციელების ცენტრში. მკვლევარები ხაზს უსვამენ, თუ როგორ შეიცვალა სკოლის ლიდერის როლი მმართველობის ტენდენციების შეცვლასთან ერთად, მენეჯმენტიდან ანგარიშვალდებულებამდე და ახლა უკვე პროფესიონალიზმამდე. აგრეთვე, კვლევები შეზღუდულად ტარდება სკოლის ხელმძღვანელობის პოლიტიკასა და რეფორმების შემუშავების პროცესზე. რეფორმებზე ჩატარებული უფრო ფართომასშტაბიანი კვლევები, კი უფრო მეტად დაუჭერდა მხარს სკოლის ლიდერებს მათ წინაშე დასმული მაღალი მოლოდინების შესაბამისი ამოცანების გადაჭრაში და განათლების ხარისხის გაუმჯობესებაში.

თვალსაჩინოა, სკოლის ხელმძღვანელობის როლისა და კონკრეტული პრაქტიკის გავლენა სკოლის შედეგების გაუმჯობესებაზე. ეს კვლევა მნიშვნელოვანია ქვეყნების და მათში გატარებული განათლების პოლიტიკის მხარდასაჭერად სკოლის ხელმძღვანელობის რეფორმების მიღების პროცესში. თუმცა, ის ფაქტი, რომ მართვის გავლენა არაპირდაპირი შეიძლება იყოს და მისი ზემოქმედების ხარისხი აკადემიური მოსწრების შედეგებზე განსხვავებული, ეს შესაძლოა გამოწვეული იყო განათლების პოლიტიკის ნაკლები ძალისხმევით სკოლის მართვის საკითხებზე. ლიტერატურული კვლევის მიმოხილვის შედეგები მიუთითებს, რომ ლიდერობის პრაქტიკა და მისი პოტენციური გავლენა რეგულირდება ცვალებადი კონტექსტით, რამაც შეიძლება შეუწყოს ან არ შეუწყოს ხელი რეფორმის ცვლილებას.

ამ მიმოხილვის ანალიზი განიხილავს 2015 წლამდე განხორციელებულ განათლების სხვადასხვა პოლიტიკას, რომელთა დანერგვის შედეგად ხდებოდა სკოლის მართვა

სხვადასხვა კონტექსტში და რეფორმისადმი მისი ადაპტირება. ცვალებადი განათლების პოლიტიკა, რომელსაც შეუძლია ხელი შეუწყოს ადაპტაციას, გულისხმობს გატარებული რეფორმის მიხედვით ცვლილების დასაწყისსა და მუდმივ განვითარებას განაწილებული მმართველობის პირობებში, ასევე, ლიდერობის, როგორც მიმზიდველი პროფესიის პოპულარიზაციას შერჩევის, დასაქმების, ხელფასების და კარიერული წინსვლის მიდგომების მეშვეობით. თუმცა, ასეთი პოლიტიკის განხორციელება დამოკიდებულია იმაზე, თუ რა კონტექსტში ხდება სკოლის მართვა. ამ კონტექსტის სპეციფიკური ფაქტორები მოიცავს, დეცენტრალიზაციის დონეს, სკოლის ავტონომიის მასშტაბს, სწავლების ხარისხს, პედაგოგთა დანიშვნის საკითხს და თანამშრომლობით კულტურას. სკოლის ხელმძღვანელის როლი მნიშვნელოვანია, მაგრამ სკოლის მართვა დამოკიდებულია განათლების სისტემასა და პოლიტიკის კონტექსტზე.

როგორც 21-ე საუკუნე მიიწევს წინ, ასევე იცვლება გარე კონტექსტი. მმართველობა სულ უფრო რთული ხდება და ანგარიშვალდებულება პროფესიული პასუხისმგებლობისკენ გადადის. სკოლები ნერგავენ უახლეს ტექნოლოგიებს, ახალ სასწავლო გეგმებს და თანამშრომლობის ახალ ფორმებს. ეს, უდავოდ, ცვლის სკოლის ლიდერების როლსაც, რომლებსაც უწევთ მათი სკოლისთვის შესაბამისი ეფექტური სტრატეგიული გეგმის გაწერა, უფრო მეტი ინტერპრეტაცია და ახალი თანამშრომლობითი კულტურის დანერგვა. ამ მიმოხილვაში გამოვლენილი ტენდენციები შეიძლება გახდეს მნიშვნელოვანი ორიენტირი სკოლის მართვის პოლიტიკის რეფორმისთვის, რომელიც მიმართული იქნება სწავლის ხარისხის გაუმჯობესებისაკენ.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Adams, C., & Gaetane, J. (2011). A diffusion approach to study leadership reform. *Journal of Educational Administration*, *49*(4), 354–377. https://www.emerald.com/insight/content/doi/10.1108/09578231111146452/full/html
2. Arlestig, H., Day, D., & Johansson, O. (Eds.). (2016). *A decade of research on school principals*. Switzerland: Springer International publishing. https://doi.org/10.1007/978-3-319-23027-6
3. Ball, S. (1998). Big policies/small world: An introduction to international perspectives in education policy. *Comparative Education*, *34*(2), 119–130. https://doi.org/10.1080/03050 06982 8225
4. Bell, L., & Stevenson, H. (2006). *Educational policy: Process, themes and impact*. London: Routledge. http://eprints.lincoln.ac.uk/id/eprint/1851/
5. Bell, L., & Stevenson, H. (2015). Towards an analysis of the policies that shape public education: Setting the context for school leadership. *Management in Education*, *29*(4), 146–150. https://doi.org/10.1177/08920 20614 555593
6. Bolívar, A., López, J., & Murillo, F. (2013). Liderazgo en las instituciones educativas. Una revisión de líneas de investigación. *Revista Fuentes*, *14*, 15–60. https://revistascientificas.us.es/index.php/fuentes/article/view/2352
7. Branch, G., Hanushek, E., & Rivkin, B. (2013). *School leaders matter*. Education Next. http://hanushek.stanford.edu/sites/default/files/publications/Branch%2BHanushek%2BRivkin%202013%20EdNext%2013%281%29.pdf
8. Branch, G., Hanushek, E., & Rivkin, S. (2012). *Estimating the effect of leaders on public sector productivity: The case of school principals*. Cambridge: NBER. Retrieved from http://www.nber.org/paper s/w17803

9. Cohen, J. (1988). *Statistical power analysis for the behavioral sciences* (2nd ed.). http://library.lol/main/AAA90371CD9C588DC5530CFEB909F3F2
10. Datnow, A. (2000). Power and politics in the adoption of school reform models. *Educational Evaluation and Policy Analysis*, *22*(4), 357–374. https://doi.org/10.3102/01623 73702 2004357
11. Day, C., & Gurr, D. (Eds.). (2014). *Leading schools successfully: Stories from the field*. London: Routledge. https://doi.org/10.4324/9780203740309
12. Di Liberto, A., Schivardi, F., & Sulis, G. (2015). Managerial practices and student performance. *Economic Policy*, *30*(84), 683–728. https://doi.org/10.1093/epoli c/eiv015
13. Diem, S., & Young, M. (2015). Considering critical turns in research on educational leadership and policy. *International Journal of Educational Management*, *29*(7), 838–850. https://doi.org/10.1108/IJEM-05-2015-0060
14. Elmore, R. (1996). Getting to scale with good educational practice. *Harvard Educational Review*, *66*(1), 1–27. https://doi.org/10.17763/haer.66.1.g73266758j348t33
15. Elmore, R. (2004). *School reform from the inside out*. Cambridge, https://www.amazon.com/School-Reform-Inside-Out-Performance/dp/1891792245
16. Eurydice. (2013). *Key data on teachers and school leaders in Europe 2013 Edition*. Luxembourg: Publications Office of the European Union. https://op.europa.eu/en/publication-detail/-/publication/51feca7d-57f6-48c3-99aa-322328e6fff9/language-en
17. Eurydice. (2015). *Key data on teachers and school leaders in Europe*. Brussels: European Union. Retrieved from http://eacea.ec.europa.eu/educa tion/euryd ice/key_data_en.php
18. Fullan, M. (2009). Large scale reforms comes of age. *Journal of Educational Change*, *10*(2), 101–113. https://doi.org/10.1007/s10833-009-9108-z
19. Fullan, M. (2016). *Coherence*. Thousand Oaks, CA: Crowin. https://www.arschile.cl/uort/recursos/3/Deep%20Learning_%20Engage%20the%20World%20-%20Michael%20Fullan.pdf
20. Glatter, R. (2014). Educational administration 1969–2014: Reflections on pragmatism, agency and reform. *Journal of Educational Administration and History*, *46*(3), 351–366. https://doi.org/10.1080/00220 620.2014.919904
21. Gronn, P. (1997). Leading for learning: organizational transformation and the formation of leaders. *Journal of Management Development*, *16*(4), 274–283. https://doi.org/10.1108/02621 71971 0164553
22. Groon, P. (2008). The future of distributed leadership. *Journal of Educational Administration*, *46*(2), 141–158. https://doi.org/10.1108/09578 23081 0863235
23. Gunter, H. (2013). On not researching school leadership: The contribution of S. J. Ball. *London Review of Education*, *11*(3), 218–228. https://doi.org/10.1080/14748 460.2013.840982
24. Gunter, H., & Forrester, G. (2009). School leadership and education policy-making in England. *Policy Studies*, *30*(5), 495–511. https://doi.org/10.1080/01442 87090 2899947
25. Hallinger, P. (2014). Reviewing reviews of research in educational leadership: An empirical assessment. *Educational Administration Quarterly*, *50*(4), 539–576. https://doi.org/10.1177/0013161X13506594
26. Hallinger, P., & Heck, R. (1998). Exploring the principal's contribution to school effectiveness: 1980–1995. *School Effectiveness and School Improvement*, *9*(2), 157–191. https://doi.org/10.1080/09243 45980 090203
27. Hanushek, E., Link, S., & Woessmann, L. (2013). Does school autonomy make sense everywhere? Panel estimates from PISA. *Journal of Development Economics*, *104*(C), 212–232. https://doi.org/10.3386/w17591
28. Hargreaves, A., & Connor, M. (2018). *Collaborative professionalism: When teaching together means learning for all*. http://www.andyhargreaves.com/uploads/5/2/9/2/5292616/seminar_series_274-april2018.pdf
29. Hargreaves, A., & Fullan, M. (2009). *Change wars*. Bloomington, IN: Solution Tree. https://www.solutiontree.com/change-wars.html
30. Hargreaves, A., & Fullan, M. (2012). *Professional capital: Transofrming Teaching in Every School*. New York, NY: Teachers College Press. http://readingbooks.host/download/professional-capital-transforming-teaching-in-every-school-0807753327-andy-hargreaves-michael-fullan-paperback.pdf
31. Hargreaves, A., & Goodson, I. (2006). Educational change over time? The sustainability and nonsustainability of three decades of secondary school change and continuity. *Educational Administration Quarterly*, *42*(1), 3–41. https://doi.org/10.1177/0013161X05277975

32. Harris, A. (2008). Distributed leadership: according to the evidence. *Journal of Educational Administration*, *46*, 172–188. https://doi.org/10.1108/09578230810863253
33. Harris, A. (2009a). *Distributed school leadership: Developing tomorrow's leaders*. London: Routledge. https://doi.org/10.4324/9780203607909
34. Harris, A. (2009b). Does politics help or hinder educational change?*Journal of Educational Change*, *10*(1), 63–67. https://doi.org/10.1007/s1083 3-008-9093-7
35. Harris, A., & Jones, M. (2018). Leading schools as learning organisations. *School Leadership & Management*, *38*(4), 351–354. https://doi.org/10.1080/13632 434.2018.1483553
36. Hattie, J. (2015). *The politics of distraction: What doesn't work in education*. London: Pearson. https://visible-learning.org/wp-content/uploads/2015/06/John-Hattie-Visible-Learning-creative-commons-book-free-PDF-download-What-doesn-t-work-in-education_the-politics-of-distraction-pearson-2015.pdf
37. Heck, R. (2004). *Studying educational and social policy: Theoretical concepts and research methods*. Mahwah, NJ: L. Erlbaum Associates. https://doi.org/10.4324/9781410610430
38. Hendriks, M., & Scheerens, J. (2016). School leadership effects revisited: A review of empirical studies guided by indirect effect models. *School Leadership and Management*, *33*(4), 373–394. https://doi.org/10.1080/13632 434.2013.813458
39. Huber, S. (Ed.). (2010). *School leadership: International perspectives*. Springer Publishing. https://link.springer.com/book/10.1007/978-90-481-3501-1
40. Jarl, M., Frederiksson, A., & Persson, S. (2012). New public management in public education: A catalyst for the professionalisation of school principals in Sweden. *Public Administration*, *9*(2), 429–444. https://doi.org/10.1111/j.1467-9299.2011.01995.x
41. Kools, M., & Stoll, L. (2016). What makes a school a learning organisation?*OECD Education Working Papers, No. 137*. https://www.oecd-ilibrary.org/docserver/5jlwm62b3bvh-en.pdf?expires=1644606689&id=id&accname=guest&checksum=88DFE1D1B0CEAB504EC87ED23ADDE61E
42. Kools, M., Stoll, L., George, B., Steijn, B., Bekkers, V., & Gouedard, P. (2020). The school as a learning organisation: Concept and measurement. *European Journal of Education*, *55*, 24–42. https://doi.org/10.1111/ejed.12383
43. Leithwood, K., Day, C., Sammons, P., Harris, A., & Hopkins, D. (2006). *Seven strong claims about successful school leadership*. Nottingham, England: National College of School Leadership. https://dera.ioe.ac.uk/6967/1/download%3Fid=17387&filename=seven-claims-about-successful-school-leadership.pdf
44. Leithwood, K., Harris, A., & Hopkins, D. (2019). Seven strong claims about successful school leadership revisited. *School Leadership & Management.*, *1–18*, https://doi.org/10.1080/13632 434.2019.1596077
45. Leithwood, K., & Jantzi, D. (2005). A review of transformational school leadership research 1996–2005. *Leadership and Policy in Schools*, *4*(3), 177–199. https://doi.org/10.1080/15700 76050 0244769
46. Leithwood, K., Seashore Louis, K., Anderson, S., & Wahlstrom, K. (2004). *How leadership influences student learning*. New York, NY: The Wallace Foundation. https://www.wallacefoundation.org/knowledge-center/documents/how-leadership-influences-student-learning.pdf
47. Leithwood, K., & Seashore Louis, K. (2011). *Linking leadership to student learning*. San Francisco, CA: Jossey Bass. https://www.perlego.com/book/1010595/linking-leadership-to-student-learning-pdf
48. Louis, K. (2007). Trust and improvement in schools. *Journal of Educational Change*, *8*(1), 1–24. https://doi.org/10.1007/s1083 3-006-9015-5
49. Magno, C. (2014). *Comparative perspectives on international school leadership*. London: Routledge Farmer.
50. Malone, H. (Ed.). (2013). *Leading educational change: Global issues challenges and lessons on whole system reform*. New York, NY: Teachers College Press. https://doi.org/10.4324/9780203810514
51. Moller, J. (2007). School leadership and accountability: Moving beyond standardization of practice. *Annual ICSEI Conference*.ICSEI. Retrieved from http://www.fm-kp.si/zaloz ba/ISBN/978-961-6573-65-8/001-008.pdf
52. Moller, J., & Skedsmo, G. (2013). Modernising education: New public management reform in the Norwegian education system. *Journal of Educational Administration and History*, *45*(4), 336–353. https://doi.org/10.1080/00220 620.2013.822353

53. Mourshed, M., Chijioke, C., & Barber, M. (2007). *How the world's education systems keep getting better. McKinsey*. Retrieved from https://www.mckinsey.com/industries/education/our-insights/how-the-worlds-most-improved-school-systems-keep-getting-better

54. Normore, A. (Ed.). (2010). *Global perspectives on educational leadership reform: The development and preparation of leaders of learning and learners of leadership*. Bingley: Emerald Group Publishing. https://www.worldcat.org/title/global-perspectives-on-educational-leadership-reform-the-development-and-preparation-of-leaders-of-learning-and-learners-of-leadership/oclc/682906590

55. OECD. (2019). *Trends shaping education*. Paris: OECD Publishing. http://library.lol/main/ACBE462C8A95D1D71C569ED518AA34AC

56. OECD. (2016). *School leadership for learning: Insights from TALIS 2013*. Paris: OECD Publishing. https://www.oecd.org/education/school-leadership-for-learning-9789264258341-en.htm

57. Pont, B., Nusche, D., & Moorman, H. (2008). *Improving school leadership Vol 1: Policies and practices*.Paris: OECD Publishing. https://www.oecd.org/education/school/improvingschoolleadership-volume1policyandpracticevolume2casestudiesonsystemleadership.htm

58. Roach, V., Smith, W., & Boutin, W. (2010). School leadership policy developments and trends: Between policy expedience or policy excellence?*Educational Administration Quarterly*, 1–20. https://doi.org/10.1177/00110 00010 378611

59. Robinson, V., Rowe, K., & Lloyd, C. (2009). The impact of leadership on student outcomes: An analysis of the differential effects of leadership types. *Educational Administration Quarterly. Educational Administration Quarterly*, *44*, 635–674. https://www.researchgate.net/publication/44839501_The_Impact_of_Leadership_on_Student_Outcomes_An_Analysis_of_the_Differential_Effects_of_Leadership_Types

60. Salhberg, P. (2010). Rethinking accountability for a knowledge society. *Journal of Educational Change*, *11*(1), 45–61. https://pasisahlberg.com/wp-content/uploads/2013/01/Rethinking-accountability-JEC-20101.pdf

61. Scheerens, J. (Ed.). (2012). *School leadership effects revisited: Review and meta-analysis of empirical studies*. Springer. https://link.springer.com/book/10.1007/978-94-007-2768-7

62. Schleicher, A. (2018). *World class: How to build a 21st century school system*. Paris: OECD Publishing. https://www.oecd.org/education/world-class-9789264300002-en.htm

63. Simola, H., Rinne, R., & Kivirauma, J. (2002). Abdication of the education state or just shifting responsibilities? The appearance of a new system of reason in constructing educational governance and social exclusion/inclusion in Finland. *Scandinavian Journal of Educational Research*, *46*(3), 247–264. https://doi.org/10.1080/00313 83022 00000 5661

64. Spillane, J., & Kenney, A. (2012). School administration in a changing education sector: The US experience. *Journal of Educational Administration*, *50*(5), 541–561. https://doi.org/10.1108/09578 23121 1249817

65. Tyack, D., & Cuban, L. (1995). *Tinkering towards utopia: Reflections on a century of public school reform*. Cambridge, MA: Harvard University Press. http://www.daneshnamehicsa.ir/userfiles/files/1/10-%20Tinkering%20toward%20Utopia_%20A%20Century%20of%20Public%20School%20Reform.pdf

66. University of Nottingham. (2015). *International Successful School Principals Project (ISSPP) Multi-perspective research on school principals*. Nottingham: University of Nottingham. Retrieved from https://www.uv.uio.no/ils/english/research/projects/isspp/isspp-brochure-27_jul_final_amended.pdf.

67. Vaillant, D. (2015). *Liderazgo escolar, evolución de políticas y prácticas y mejora de la calidad educativa*. Paris: UNESCO. https://www.researchgate.net/publication/275517675_Liderazgo_escolar_evolucion_de_ politicas_y_practicas_y_mejora_de_la_calidad_educativa_Denise_Vaillant_2015.

68. VanZanten, A. (2002). Educational change and new cleavages between head teachers, teachers and parents: Global and local perspectives on the French case. *Journal of Education Policy*, *17*(3), 289–304. https://doi.org/10.1080/02680 9302101.

69. Verger, A., & Curran, M. (2014). New public management as a global education policy: Its adoption and re-contextualization in a Southern European setting. *Critical Studies in Education*, *55*(3), 253–271. https://doi.org/10.1080/17508487.2014.913531.

70. Verger, A., Novelli, M., & Altinyelken, H. (2012). *Global education policy and international development: New agendas, issues and policies*. London: Continuum. https://educationanddevelopment.files.wordpress.com/2013/11/verger-et-al-gep_ introduction.pdf

71. Viennet, R., & Pont, B. (2017). Education policy implementation: A literature review and proposed framework. *OECD Working Paper*, *No. 162*. https://doi.org/10.1787/fc467a64-en.
72. Witziers, B., Bosker, R., & Kruger, M. (2003). Educational leadership and student achievement: The elusive search for an association. *Educational Administration Quarterly. Educational Administration Quarterly*, *34*, 398–425. https://doi.org/10.1177/0013161X03253411.
73. Ylimaki, R., & Jacobson, S. (2013). School leadership practice and preparation: Comparative perspectives on organizational learning, instructional leadership, and culturally responsive practices. *Journal of Educational Administration*, *51*(1), 6–23. https://doi.org/10.1108/09578231311291404.

School Management Policy: The role of the leader in school management

Khatuna Nebieridze
Grigol Robakidze University, Phd student
khatuna.nebieridze19@gruni.edu.ge

Abstract. The article aims to establish the factors that have an influence on the transition of school management reform and to outline some of the common trends causing the policy change in this area. The analysis shows that there is a various set of studies covering different aspects of school management. Each of them responds to the issue of adopting school management reform from different angles. The policy perspective relates to school management reforms such as decentralization, autonomy, accountability or contextual changes. An increased focus (on learning outcomes and school improvement perspectives) recognizes the key role of leadership in education reform. The research among principals contributed the adoption of school management reforms. The school management policy perspective shows that countries have implemented reforms, with practices that vary across countries and contexts. Some reforms include a new public management agenda or the globalization of education policy. This review shows that there is a considerable amount of research on school leadership, but relatively less attention has been paid to policy research on effective school management. The paper first provides an overview of the role of school leaders and how has it evolved over the last decade, which serves to clarify the main reasons for the reforms. After the methodology are discussed the factors influencing the adoption of school leadership reforms. Specifically, how different fields of education research influence the development of the school leadership role. The article ends with a conclusion that discusses the factors that influence the implementation of school management reforms. It also provides important perspectives on the development of the role of principals: (1) school management reforms respond to the changing context of education and public school governance in terms of greater decentralization, accountability, and school outcomes; (2) School leadership has an indirect influence on education and schooling, which is considered for the implementation of various reforms and aimed at improving teaching, but does not seem to be itself considered a policy priority. In general, research of school management reforms was conducted in selected countries according to their educational opportunities.

Key words: school management, school leadership, education policy, education change, education reform

საჯარო-კერძო პარტნიორობის შესაძლებლობები და გამოწვევები საქართველოს მაგალითზე

გიორგი მუმლაძე
გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი, დოქტორანტი
giorgi.mumladze20@gruni.edu.ge

რეზიუმე. თანამედროვე სამყაროში, საჯარო და კერძო პარტნიორობა (PPPs) უფრო და უფრო პოპულარული ინსტრუმენტი ხდება ინფრასტრუქტურისა და საჯარო სერვისების მიწოდებისთვის მთელ მსოფლიოში. როგორც სახელმწიფო შესყიდვების ინოვაციურმა მიდგომამ, PPP-ებმა, საჯარო კერძო პარტნიორობის შესაძლებლობებმა საჯარო მმართველობაში მიიპყრეს ასევე აკადემიური წრეების მნიშვნელოვანი ყურადღება, რაც კიდევ უფრო საინტერესოსა და აქტუალურს ხდის საკითხის შესწავლას. ზოგადად, მმართველობის შესახებ ლიტერატურა ხაზს უსვამს ბაზრების, ქსელების და არასახელმწიფო აქტორების როლს. ამით ის ასუსტებს განსხვავებას სახელმწიფოებსა და სოციალური წესრიგის სხვა სფეროებს შორის. როგორც ჩანს, ყველა სოციალური და პოლიტიკური რეჟიმი დამოკიდებულია მმართველობის მოდელზე ან მმართველობის ფორმაზე, რაც არ უნდა არაფორმალური იყოს ეს. გლობალური მხარდაჭერა საჯარო-კერძო პარტნიორობის (PPPs) ინფრასტრუქტურისთვის უფრო ძლიერი ჩანს, ვიდრე ოდესმე. ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში არაერთ სამიტზე დისკუსიები სულ უფრო მეტად ფოკუსირებულია განვითარებად ქვეყნებში, განსაკუთრებით დაბალი შემოსავლის მქონე ქვეყნებში, ინფრასტრუქტურული ინვესტიციების უზარმაზარი მასშტაბის საჭიროებაზე. განვითარებადი ქვეყნების მთავრობები უზარმაზარ გამოწვევებს აწყდებიან ინფრასტრუქტურის დაფინანსების, დანერგვისა და შენარჩუნების მიზნით, რათა მიაწოდონ და შეინარჩუნონ ძირითადი სერვისები თავიანთი მოქალაქეებისთვის და ხელი შეუწყონ ეკონომიკურ ზრდას. განვითარებად ბაზრებზე ბოლო წლების მნიშვნელოვანი ნაბიჯების მიუხედავად, ბევრ ადამიანს ჯერ კიდევ არ აქვს წვდომა სანდო და უსაფრთხო ძირითად სერვისებზე. PPP-მა აჩვენეს, რომ მათ შეუძლიათ, სწორ გარემოებებში, ხელი შეუწყონ ზრდას და გააუმჯობესონ მომსახურების მიწოდება, რაც ნათლად მიანიშნებს საჯარო-კერძო პარტნიორობის (PPPs) მნიშვნელობას საქართველოსთვის.

საკვანძო სიტყვები: საჯარო მმართველობა, საჯარო-კერძო პარტნიორობა, ინვესტიციების ზრდა; ახალი საჯარო მენეჯმენტი

შესავალი

საჯარო მმართველობის საკითხების შესწავლისა და გაანალიზებისათვის, მეტად მნიშვნელოვანია გავაანალიზოთ ახალი საჯარო მენეჯმენტის (ასმ) მცნება, რაც თავის მხრივ ნათლად გადმოგვცემს საჯარო-კერძო პარტნიორობის (PPPs) მნიშვნელობასა და შესაძლებლობებს კარგი მმართველობის განვითარების ფარგლებში (4.12).

სახელმწიფო-კერძო პარტნიორობა იძლევა საშუალებას, რომ კერძო დაფინანსებით დასრულდეს ფართომასშტაბიანი სამთავრობო პროექტები, როგორიცაა გზები, ხიდები ან საავადმყოფოები. ეს პარტნიორობა კარგად მუშაობს, როდესაც კერძო სექტორის ტექნოლოგია და ინოვაცია შერწყმულია საჯარო სექტორის მოტივაციასთან, რათა

დაასრულონ სამუშაო დროულად და ბიუჯეტის ფარგლებში. იმ ფაქტის გათვალის-წინებით, რომ საჯარო და კერძო პარტნიორობა (PPPs) არის სახელმწიფოს მიერ კერძო სექტორთან დადებული სახელშეკრულებო შეთანხმებები, ამის ფონზე PPP სქემის მიხედვით, კერძო სექტორს შეუძლია ააშენოს, აწარმოოს და შეინარჩუნოს საჯარო ინფრასტრუქტურის ობიექტები და უზრუნველყოს ტრადიციულად მთავრობის მიერ მიწოდებული სერვისები (9.23-26). შესაბამისად, მიზანშეწონილია პოლიტიკურმა ხელმძღვანელობამ უზრუნველყოს საჯარო ინფორმირებულობა საჯარო-კერძო პარტნიო-რობის, მისი სარგებელისა და რისკების შესახებ. საჯარო და კერძო პარტნიორობის პოპულარული გაგება მოითხოვს აქტიურ კონსულტაციას და ჩართულობას დაინტერე-სებულ მხარეებთან, ასევე საბოლოო მომხმარებლების ჩართვას პროექტის განსაზღვრაში და შემდგომში მომსახურების ხარისხის მონიტორინგში (17.69).

საჯარო-კერძო პარტნიორობა (PPPs) განისაზღვრება, როგორც კონტრაქტის გაფორმების საშუალება ინფრასტრუქტურული სერვისების განვითარებისა და შენარჩუნებისთვის, კერძო სექტორის ინოვაციებისა და უნარების გამოყენებით ოპერაციების მართვისთვის, რომლებიც ხშირად აფინანსებენ კერძო ფინანსებს. ამასთან, არ არსებობს საჯარო-კერძო პარტნიორობის საყოველთაოდ მიღებული განმარტება და შეამჩნევთ, რომ სხვადასხვა ტერმინები გამოიყენება მსგავსი ტიპის (PPP) პროექტების აღსაწერად (31.123).

იმავდროულად, PPP-ის წარმატებულ განხორციელებას აქვს საკუთარი სირთულეები, ინფრასტრუქტურული სერვისების მიწოდებისთვის საჯარო-კერძო პარტნიორობის შემუშავება და განხორციელება შეიძლება იყოს გამოწვევებით აღსავსე პროცესი. გამოცდილებამ აჩვენა, რომ ბევრმა ქვეყანამ, რომელსაც აქვს წარმატებული PPP-ების გამოცდილება, შექმნა ჯანსაღი საჯარო-კერძო პარტნიორობის ჩარჩო. შესაბამისად, საქართველოსთვის მნიშვნელოვანია ამ მხრივ არსებული წარმატებული მსოფლიო გამოცდილების გაზიარება, რომ შექმნას მყარი ჩარჩო, რათა ხელი შეუწყოს საჯარო-კერძო პარტნიორობის პროექტების განხორციელებას (14.59).

პრობლემის აქტუალურობა:

საჯარო-კერძო პარტნიორობის PPP-ის გამოყენებასთან დაკავშირებული შემდგომი ანალიზი უნდა ეფუძნებოდეს გონივრული საჯარო სექტორის შედარების მონაცემებს, ან ექვივალენტს, რომ გამოიკვეთოს ის რისკები და მახასიათებლები, რაც დაკავშირებულია მსგავსი ტიპის თანამშრომლობის მოდელთან, რაც მკაფიოდ გამოხატავს საჯარო მმართველობის საკითხების კვლევის მნიშვნელობას და საჭიროებას ამ მიმართულებით. ამ მხრივ არსებული კვლევების სიმწირე, კიდევ უფრო აქტუალურს ხდის საკითხის შესწავლის მცდელობას და საფუძველს აძლევს სხვა მასშტაბურ კვლევებს.

ამოცანები:

როგორ ხდება საჯარო-კერძო პარტნიორობის (PPP) ადმინისტრირება?

რა წარმოადგენს საჯარო-კერძო პარტნიორის (PPP) მაგალითებს?

რა არის საჯარო-კერძო პარტნიორობის (PPP) მახასიათებლები?

რა არის საჯარო-კერძო პარტნიორობის (PPP) ტიპები?

რა სარგებელი მოაქვს საჯარო-კერძო პარტნიორობას?

რა შესაძლებლობები აქვს საჯარო-კერძო პარტნიორობას (PPP)?

შესაძლებელია თუ არა საჯარო-კერძო თანამშრომლობის პროექტის რისკების მკაფიოდ განსაზღვრა, იდენტიფიცირება და გაზომვა?

აქვთ თუ არა კერძო სექტორის პოტენციურ პარტნიორებს კარგი სერვისების მიწოდების გამოცდილება, პასუხისმგებელი ბიზნეს ქცევა და PPP გამოცდილება?

არის თუ არა საკმარისად ძლიერი პოტენციური კერძო სექტორი?

შესაძლებელია თუ არა პროექტის რისკების მკაფიოდ განსაზღვრა, იდენტიფიცირება და გაზომვა?

შესაძლებელია თუ არა რისკების, ღირებულებისა და ხარისხის კომპრომისების რაოდენობრივი შეფასება და მართვა საზოგადოების მიერ?

კვლევის მიზანი: კვლევის მიზანია შეისწავლოს საჯარო-კერძო პარტნიორობის შესაძლებლობები საერთაშორისო გამოცდილების კვალდაკვალ და გაანალიზოს ამ მხრივ არსებული გამოწვევები საქართველოს მაგალითზე.

ჰიპოთეზა: საჯარო მმართველობის საკითხების გაანალიზებისთვის, საჯარო-კერძო პარტნიორობის შესაძლებლობებისა და გამოწვევების შეფასება მნიშვნელოვანია.

თეორიული ჩარჩო

საჯარო-კერძო პარტნიორობის საკითხების შესწავლისათვის, რელევანტურია ახალი საჯარო მენეჯმენტის თეორიული მოდელის მისადაგება, იმ მახასიათებლის მიხედვით, რომ საჯარო-კერძო პარტნიორობის ფარგლებში თანამშრომლობის ძირითადი ასპექტები ფოკუსირებულია გამჭვირვალობასა და პროცესების ოპტიმიზაციაზე, ისევე როგორც ახალი საჯარო მენეჯმენტის არსი გულისხმობს, ბიუროკრატიული პროცესების შემცირებას და მინიმალური დანახარჯებით შედეგების ეფექტურობის გაზრდას (11.74-77).

ახალი საჯარო მენეჯმენტი ან NPM არის მიდგომა, რომელიც მიზნად ისახავს ადმინისტრაციის შექმნას მოქნილობის, გამჭვირვალობის, მინიმალური მმართველობის, დებიუროკრატიზაციის, დეცენტრალიზაციის, საჯარო სერვისების ბაზარზე ორიენტაციისა და პრივატიზაციით. ეს არის პარადიგმის ცვლა ტრადიციული საჯარო მმართველობიდან ახალ საჯარო მენეჯმენტზე (18.94-101).

NPM ქმნის მოქალაქეებისადმი მეგობრულ ადმინისტრაციას ხისტი, იერარქიული, დისციპლინირებული ბიუროკრატიული ადმინისტრაციისგან, რომელსაც სჭირდება სუსტი საჯარო ადმინისტრაცია ძლიერი და ეფექტური გახადოს ახალი საჯარო მენეჯმენტის წარმოშობა. NPM-ის უკეთ გასაგებად, განვიხილოთ, NPM-ის მთავარი პრინციპები:

ეკონომიკისა და ეფექტურობის ხაზგასმა რეგულირების მნიშვნელობის შემცირებით.

ბიუროკრატიის რეორგანიზაცია სხვადასხვა უწყებად.

კონკურენციის გაზრდა საკონტრაქტო სისტემების დანერგვით.

ხარჯების შემცირება და შემოსავლის ზრდის ხელშეწყობა.

NPM ხაზს უსვამს კერძო სექტორის მართვის სტილებს.

ორგანიზაციული სტრუქტურის, პერსონალის და სამუშაო პირობების მოქნილობისა და მობილურობის გაზრდა.

მეტი აქცენტი კონსუმერიზმზე. NPM-ისთვის მოქალაქეები ითვლებიან მომხმარებლებად.

ხალხის უსაფრთხო მონაწილეობა დეცენტრალიზაციის პროცესში (6).

მიუხედავად იმისა, რომ ახალი საჯარო მენეჯმენტი შეიქმნა ბიუროკრატიის გადაჭარ-ბებული ძალაუფლების პროტესტის ნიშნად, ის ასევე გულისხმობდა სახელმწიფო ძალაუფლების შეზღუდვას და საბაზრო სისტემის გაფართოებას. ლიბერალიზაციის, საბაზრო ეკონომიკისა და გლობალიზაციის შედეგებში იგრძნობოდა განვითარებადი ქვეყნების გარკვეული ცვლილებები სახელმწიფოს კეთილდღეობის გზაზე (26.41).

საკანონმდებლო ბაზა

საჯარო-კერძო თანამშრომლობის შესახებ კანონი ითვალისწინებს, რომ საჯარო და კერძო თანამშრომლობის ხელშეკრულებით შესაძლოა განისაზღვროს კერძო პარტნიორის გარკვეული გარანტიები, როგორებიცაა:

PPP ხელშეკრულების ობიექტის მოვლა-პატრონობის ან/და ოპერირების ან/და საჯარო მომსახურების;

ინტელექტუალურ საკუთრებაზე ექსკლუზიური უფლების გადაცემა;

გაწევის ექსკლუზიური უფლების გადაცემა;

გარანტიები მოხმარებაზე, მომხმარებლებზე ან შემოსავლებზე;

მიწის გადაცემა ან/და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ნებართვე-ბისა და ლიცენზიების გაცემა;

გარანტიები განსაზღვრული გარკვეული სახის საქონლისა და მომსახურების გრძელვა-დიან შესყიდვაზე;

ხელმისაწვდომობის ანაზღაურება ან/და შედეგზე დაფუძნებული ანაზღაურება;

გარანტიები ტარიფზე ან/და საჯარო მომსახურების ღირებულებაზე (38).

საჯარო და კერძო თანამშრომლობის მიზნებია:

პროექტების ეფექტიანობის ზრდა;

საჯარო ინტერესის დაკმაყოფილება ახალი საჯარო ინფრასტრუქტურის შექმნით ან/და საჯარო მომსახურების მიწოდებით ან/და არსებულის გაუმჯობესებით;

კერძო დაფინანსების მოზიდვა;

საჯარო ფინანსების ხარჯვის ეფექტიანობის ზრდა;

საჯარო და კერძო სექტორებს შორის რისკების განაწილება;

კერძო პარტნიორის ნოუ-ჰაუს გამოყენება.

საჯარო-კერძო პარტნიორობის გაანალიზებისთვის

საჯარო სექტორი

საჯარო სექტორი, რომელიც შედგება მთავრობის ყველა დონისა და მთავრობის მიერ კონტროლირებადი სტრუქტურებისგან, მისი ზოგადი განმარტება მოიცავს საჯარო უფლებამოსილების განხორციელებას ან საჯარო პოლიტიკის განხორციელებას. კონცენტ-რული წრეების სახით გამოსახული, ცენტრალური და ადგილობრივი სამთავრობო უწყებების ძირითადი საჯარო სამსახური განსაზღვრავს საჯარო სექტორის შიდა წრეს. ამ შემთხვევაში, საჯარო სექტორისა და კერძო სექტორის განსხვავება შედარებით მარტივია - ეს აშკარაა შრომითი ურთიერთობებისა და საჯარო ხელისუფლების განხორციელების უფლების თვალსაზრისით (19. 214). შემდეგი წრე მოიცავს უამრავ სხვადასხვა სახელმწი-ფო უწყებას, რომლებიც, ხელისუფლების შიგნით ანგარიშვალდებულების პირდაპირი ხაზის მიღმაა. მაგალითები მერყეობს სოციალური დაცვის ფონდებიდან რეგიონული განვითარების სააგენტოებამდე. გარე წრე დასახლებულია სახელმწიფო საკუთრებაში არსებული საწარმოებით, რომლებიც ჩვეულებრივ განისაზღვრება მთავრობის საკუთრებით ან მისი წილების უმრავლესობის მფლობელით (22.18).

საჯარო სექტორი, რომელსაც ასევე უწოდებენ სახელმწიფო სექტორს, არის ეკონომიკის ნაწილი, რომელიც შედგება როგორც საჯარო სერვისებისგან, ასევე საჯარო საწარმოების-გან. საჯარო სექტორი მოიცავს საჯარო საქონელს და სამთავრობო მომსახურებას, როგორიცაა სამხედრო, სამართალდამცავი ორგანოები, ინფრასტრუქტურა, საზოგადოებ-რივი ტრანზიტი, საჯარო განათლება, ჯანდაცვასთან ერთად და თავად მთავრობისთვის მომუშავე პირები, როგორიცაა არჩეული თანამდებობის პირები. საჯარო სექტორმა შეიძლება უზრუნველყოს ისეთი სერვისები, რომელთაგანაც არ შეიძლება გამოირიცხოს გადამხდელი პირი (როგორიცაა ქუჩების განათება), სერვისები, რომლებიც სარგებელს მოუტანს მთელ საზოგადოებას და არა მხოლოდ ინდივიდს, რომელიც იყენებს სერვისს. საჯარო საწარმოები, ან სახელმწიფო საკუთრებაში არსებული საწარმოები, არის თვით-დაფინანსებული კომერციული საწარმოები, რომლებიც იმყოფებიან საჯარო საკუთრებაში, რომლებიც აწვდიან სხვადასხვა კერძო საქონელსა და მომსახურებას გასაყიდად და ჩვეულებრივ მოქმედებენ კომერციულ საფუძველზე. შესაბამისად, მიიჩნევა, რომ მთავრობის კონტროლის ქვეშ მყოფი ეკონომიკის ნაწილი ცნობილია როგორც საჯარო სექტორი (29.56-61).

კერძო სექტორი

კერძო სექტორი არის ქვეყნის ეკონომიკური სისტემის ნაწილი, რომელსაც მართავენ კერძო პირები და კომპანიები და არა სამთავრობო ერთეული. კერძო სექტორის ორგანიზაციების უმეტესობა იმართება მოგების მიღების მიზნით (32.89).

კერძო სექტორი მნიშვნელოვან როლს ასრულებს ეკონომიკაში სამუშაო ადგილების შექმნით, საქონლისა და სერვისების მიწოდებით და ეკონომიკური ზრდის სტიმულირებით. ის მთავრობებისთვის საგადასახადო შემოსავლის მნიშვნელოვანი წყაროა. ბიზნესი იხდის გადასახადებს, რათა დაეხმაროს საჯარო სერვისების დაფინანსებას და მთავრობებს საშუალება მისცენ ინვესტიციები განახორციელონ ინფრასტრუქტურულ და სხვა მნიშვნელოვან პროექტებში (33.98).

კერძო სექტორი არის ინოვაციების მთავარი მამოძრავებელი ძალა. კერძო კომპანიები ინვესტირებას ახდენენ კვლევასა და განვითარებაში, რაც ქმნის ახალ პროდუქტებსა და სერვისებს, რომლებიც ხელს უწყობს ეკონომიკას და აუმჯობესებს ადამიანების ცხოვრებას (25.62-75).

თანამშრომლობის შესაძლებლობები

საჯარო და კერძო პარტნიორობა (PPP) შეიძლება ფართოდ განისაზღვროს, როგორც სახელშეკრულებო შეთანხმება მთავრობასა და კერძო სექტორს შორის, რომელიც მიზნად ისახავს დაფინანსებას, დიზაინს, განხორციელებას და ექსპლუატაციას ინფრასტრუქტურული ობიექტებისა და სერვისების მიმართ, რომლებიც ტრადიციულად უზრუნველყოფილია საჯარო სექტორის მიერ. ის განასახიერებს რისკების ოპტიმალურ განაწილებას მხარეებს შორის - ხარჯების მინიმიზაციას პროექტის განვითარების მიზნების რეალიზაციისას. ამდენად, პროექტი ისე უნდა იყოს სტრუქტურირებული, რომ კერძო სექტორმა მიიღოს ინვესტიციების გონივრული ანაზღაურება (4.10).

PPP სთავაზობს ფულად და არაფულად უპირატესობებს მმართველობით სისტემებს. იგი ითვალისწინებს შეზღუდული დაფინანსების რესურსებს ადგილობრივი ინფრასტრუქტურის ან საჯარო სექტორის განვითარების პროექტებისთვის, რაც საშუალებას იძლევა მოხდეს საჯარო სახსრების გამოყოფა სხვა ადგილობრივი პრიორიტეტებისთვის. ეს არის პროექტის რისკების განაწილების მექანიზმი როგორც საჯარო, ისე კერძო სექტორზე (2. 9-18). მნიშვნელოვანია ის, ფაქტი, რომ PPP ორიენტირებულია ორივე სექტორზე, რათა მოიპოვოს გაუმჯობესებული ეფექტურობა და გაამარტივოს პროექტის განხორციელების პროცესები საზოგადოებისთვის მომსახურების მიწოდებისას (12). რაც მთავარია, საჯარო-კერძო პარტნიორობა, PPP ხაზს უსვამს Value for Money (VFM) - ფოკუსირებას შემცირებულ ხარჯებზე, უკეთესი რისკის განაწილებაზე, უფრო სწრაფ განხორციელებაზე, გაუმჯობესებულ სერვისებზე და დამატებითი შემოსავლის შესაძლო გამომუშავებაზე (7).

როგორც აღინიშნა, საჯარო-კერძო პარტნიორობა PPP არის პარტნიორობა საჯარო სექტორსა და კერძო სექტორს შორის პროექტის ან მომსახურების მიწოდების მიზნით,

რომელიც ტრადიციულად უზრუნველყოფილია საჯარო სექტორის მიერ (1.8).

თანამშრომლობის მთავარი მახასიათებელია ის გარემოება, რომ საჯარო-კერძო პარტნიორობა აღიარებს, რომ ორივე მხარეს აქვს გარკვეული უპირატესობები და თუ თითოეულ მათგანს საშუალებას აძლევს გააკეთოს ის, რაც მას საუკეთესოდ გამოსდის, ამ თანამშრომლობის ფარგლებში კი საჯარო სერვისები და ინფრასტრუქტურა შეიძლება უზრუნველყოფილი იყოს ყველაზე ეფექტური გზით (10.14-16).

არსებობს მრავალი ინფრასტრუქტურული და განვითარების პროექტი, რომლებიც დასაშვებია როგორც საჯარო-კერძო პარტნიორობა. ეს მოიცავს მაგისტრალებს/გზებს, რკინიგზას, პორტებს, აეროპორტებს, სატრანსპორტო სისტემებს, ნაგებობებს, სოფლის მეურნეობას, არხებს/კაშხლებს/სარწყავ სისტემებს, წყალმომარაგებას, მიწის მელიორაციას, მყარი ნარჩენების მართვას, ტურისტულ ობიექტებს, განათლებას, ჯანდაცვას, საზოგადოებრივ ბაზრებს, საცხოვრებელ სახლებს, სამთავრობო შენობებს და კლიმატის ცვლილების შემსწავლელ პროექტებს (8.23).

დაფინანსების წყაროები

არსებობს სამი ძირითადი წყარო, რომლითაც შესაძლებელია PPP პროექტის დაფინანსება:

ვალი;

კაპიტალი;

სახელმწიფო მხარდაჭერა.

PPP-ის უპირატესობები:

კერძო სექტორის დაფინანსებაზე ხელმისაწვდომობა;

უფრო მაღალი ეფექტურობა კერძო სექტორში;

გაზრდილი გამჭვირვალობა სახსრების გამოყენებისას;

შესყიდვის კომპლექსური პროცესი ასოცირებული მაღალი ტრანზაქციის ხარჯებით;

აღსრულება და მონიტორინგი.

საჯარო-კერძო პარტნიორობის სტრუქტურირება

PPP სტრუქტურირების ამოსავალი წერტილი არის პროექტის კონცეფცია: ეს არის პროექტის ფიზიკური მონახაზი, ტექნოლოგია, რომლის გამოყენებაც მოსალოდნელია, შედეგები, რომელსაც ის უზრუნველყოფს და ხალხი, რომელსაც მოემსახურება (31.204).

ზოგადად, საჯარო-კერძო პარტნიორობის სტრუქტურის ორი გავრცელებული ფორმაა: ხელმისაწვდომობა და დათმობაზე დაფუძნებული საჯარო-კერძო პარტნიორობა. ეს ორი

ფორმა შეიძლება განვასხვავოთ ერთმანეთისგან იმის მიხედვით, თუ რას ფიქრობენ საჯარო ან კერძო მხარეები პარტნიორობის ფარგლებში, მაგალითად, უფლებები, ვალდებულებები და რისკები (22.15).

ხელმისაწვდომობაზე დაფუძნებული საჯარო-კერძო პარტნიორობა

PPP-ის ფორმა, რომლის დროსაც საჯარო ხელისუფლება აფორმებს კონტრაქტს კერძო სექტორის ერთეულთან, რათა მიაწოდოს საჯარო საქონელი, სერვისი ან პროდუქტი განმახორციელებელი სააგენტოსთვის (IA) მოცემული საფასურისთვის (სიმძლავრის საფასური) და ცალკე გადასახადისთვის. საზოგადოებრივი სიკეთე, პროდუქტი ან მომსახურება (გამოყენების საფასური). საკომისიოები ან ტარიფები რეგულირდება ხელშეკრულებით, რათა უზრუნველყოფილი იყოს დავალიანების მომსახურების აღდგენა, ექსპლუატაციის ფიქსირებული ხარჯები და კაპიტალის დაბრუნება (16).

დათმობაზე დაფუძნებული საჯარო-კერძო პარტნიორობა

საჯარო-კერძო პარტნიორობის ფორმა, რომლის დროსაც მთავრობა კერძო სექტორს ანიჭებს უფლებას ააშენოს, აწარმოოს და დააკისროს საზოგადოებრივი საქონლის, ინფრასტრუქტურის ან სერვისის საჯარო მომხმარებლებს საფასური ან ტარიფი, რომელიც რეგულირდება საჯარო მარეგულირებლების მიერ და კონცესიის ხელშეკრულებით. ტარიფები სტრუქტურირებულია ისე, რომ უზრუნველყოს ვალის მომსახურების აღდგენა, ოპერაციის ფიქსირებული ხარჯები და კაპიტალის დაბრუნება (18.54).

დათმობის საჯარო-კერძო პარტნიორობის მაგალითია აკვინოს საერთაშორისო აეროპორ-ტის ჩქაროსნული გზა (ფაზა II), სადაც საზოგადოებრივი სამუშაოების და საავტომობილო გზების დეპარტამენტმა მიანიჭა კერძო სექტორს ჩქაროსნული გზის აშენებისა და ექსპლუატაციის უფლება. ხელშეკრულებით კერძო სექტორს მიეცა უფლება ჩქაროსნული გზის მომხმარებლებისგან აეღო ბაჟი (მომხმარებლის გადასახადი) (19.32-34).

ერთი ფანჯრის პრინციპი

ტერმინის „ერთი ფანჯრის“ საერთო განმარტება არის: „შესაძლებლობა, რომელიც ვაჭრობასა და ტრანსპორტში ჩართულ მხარეებს საშუალებას აძლევს შეიტანონ სტანდარტიზებული ინფორმაცია და დოკუმენტები ერთი შესვლის წერტილით, რათა შეასრულონ იმპორტთან, ექსპორტთან და ტრანზიტთან დაკავშირებული ყველა მარეგულირებელი მოთხოვნა (3.6).

რისკების მართვა

არსებობს მრავალი PPP მოდელი და ეტიკეტი, რაც შეიძლება დამაბნეველი იყოს იმ ქვეყნებისთვის, რომლებიც ეძებენ საუკეთესო გადაწყვეტას მათი პროექტებისთვის. შერჩეული მოდელის სახელზე უფრო მნიშვნელოვანია როლებისა და რისკების განაწილება მხარეებს შორის საკუთრების, დაფინანსებისა და შემოსავლის მიხედვით

(8.17-25). ჩვეულებრივ, მთავრობები ცდილობენ რისკების უმეტესი ნაწილი გადაიტანონ საჯარო სექტორიდან კერძო სექტორზე, მაშინაც კი, როდესაც კერძო სექტორს არ აქვს კონტროლი ამ რისკზე. კარგი ფილოსოფია არის რისკების გატარება იმ მხარის მიერ, რომელსაც ყველაზე მეტად აქვს უფლება მართოს ეს რისკები და მინიმალური დანახარჯებით, პროექტის მთლიანი ხარჯების ოპტიმიზაცია უფრო მაღალი შემოსავლის მისაღებად და დაფინანსების გასაადვილებლად (26).

თითოეულ ქვეყანას/პროექტს აქვს თავისებურებები, რომლებიც წარმართავს და აყალიბებს ოპტიმალურ სტრუქტურას. როგორც ასეთი, ანალიზი, რომელიც ანაწილებს ვარიანტებს წინასწარ შეთანხმებული მიზნების მიხედვით (ფარდობითი და აბსოლუტუ-რი), საშუალებას მისცემს აირჩიოს ყველაზე შესაფერისი მოდელი, რათა თავიდან იქნეს აცილებული არაოპტიმალური გადაწყვეტისთვის დახარჯული ფული და დრო. ასეთ დროს მიზნები მოიცავს რისკის გადაცემის ხარისხს, პროექტის ღირებულებას ან შესრულების დროს (35.64).

კერძო კონტრაქტორთან მონიტორინგისა და ურთიერთობის გზით, საჯარო სექტორმა უნდა შეინარჩუნოს პროექტის ღირებულება მისი ფუნქციონირების განმავლობაში. თავდაპირველი რისკის გადაცემის და ხელშეკრულების პირობები უნდა შენარჩუნდეს და ზრუნვა უნდა იქნეს მიღებული იმის უზრუნველსაყოფად, რომ სტანდარტები, რომლითაც მუშაობს კერძო სექტორის კონტრაქტორი, არ დაირღვეს საჯარო სექტორის ორგანოს კომპენსაციის გარეშე. უნდა არსებობდეს დავის გადაწყვეტის მკაფიო, პროგნოზირებადი და გამჭვირვალე წესები საჯარო და კერძო მხარეებს შორის ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით უთანხმოების მოსაგვარებლად. გარდა ამისა, ნებისმიერი ხელახალი მოლაპარაკება, რომელიც არსებითად ცვლის თავდაპირველ შეთანხმებას, უნდა იყოს საჯარო და დაექვემდებაროს დამტკიცებას საჯარო კერძო პარტნიორობის, PPP-ების დამტკიცებაზე პასუხისმგებელი ორგანოს მიერ (29).

დაფინანსება

საჯარო და კერძო პარტნიორობას, როგორც წესი, აქვს კონტრაქტის ვადა 20-დან 30 წლამდე ან მეტი. დაფინანსება ნაწილობრივ მოდის კერძო სექტორიდან, მაგრამ მოითხოვს გადახდებს საჯარო სექტორისგან და/ან მომხმარებლებისგან პროექტის სიცოცხლის მანძილზე. კერძო პარტნიორი მონაწილეობს პროექტის შემუშავებაში, დასრულებაში, განხორციელებასა და დაფინანსებაში, ხოლო საჯარო პარტნიორი ორიენტირებულია მიზნებთან შესაბამისობის განსაზღვრასა და მონიტორინგზე. რისკები ნაწილდება საჯარო და კერძო პარტნიორებს შორის მოლაპარაკების პროცესის მეშვეობით, იდეალურ შემთხვევაში, თუმცა არა ყოველთვის მათი შეფასების, კონტროლის და მათთან გამკლავების უნარის მიხედვით (36.47).

მიუხედავად იმისა, რომ საზოგადოებრივი სამუშაოები და მომსახურება შეიძლება გადაიხადოს სახელმწიფო ხელისუფლების შემოსავლების ბიუჯეტიდან გადასახადით, მაგალითად, ჰოსპიტალური პროექტებით, დათმობა შეიძლება მოიცავდეს მომხმარებლის

პირდაპირი გადახდების უფლებას, მაგალითად, ფასიანი მაგისტრალებით. ისეთ შემთხვევებში, როგორიცაა მაგისტრალებისთვის ჩრდილოვანი გადასახადი, გადახდები ეფუძნება სერვისის რეალურ გამოყენებას. როდესაც ჩამდინარე წყლების გაწმენდა ხდება, გადახდა ხორციელდება მომხმარებლებისგან შეგროვებული საფასურით (31.55-59).

სახელმწიფოს ინტერესები

ბიზნესთან პარტნიორობაში აშკარაა სახელმწიფოს ინტერესი ისეთ საკითხებში, როგორიცაა საჯარო და კერძო თანამშრომლობის პროექტის განხორციელება და კომერციული ეფექტის მიღება, სახელმწიფო შეკვეთების ხარისხის გაუმჯობესება და ღირებულების შემცირება, დამატებითი ფინანსური რესურსების მოზიდვა მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და ტექნოლოგიების პრიორიტეტული სფეროების განვითარებისთვის, რაც იძლევა ეკონომიკის ინოვაციურ მოდელზე გადასვლისა და მცირე და საშუალო ბიზნესის ინოვაციური განვითარების სტიმულირების საშუალებას (14).

ბიზნესის დაინტერესება

ბიზნესის მოტივაცია არის ის, რაც საშუალებას აძლევს ახალს მოგების მიღების შესაძლებლობას, ხშირად მისთვის ახალ სფეროებში და რისკების განაწილება კომერციული საქმიანობის პირობებში. პროექტში მონაწილეობისას ბიზნესი სახელმწიფოსგან იღებს გარკვეულ სარგებელს, რომელიც აუცილებელია პრეფერენციებისა და შემოსავლების ზრდისთვის და იძენს უფლებას ინოვაციური დამუშავების შედეგებზე მომავალში მათი კომერციალიზაციის მიზნით (13.27).

წარმატებული გამოცდილება

ევროკავშირის ინსტიტუტების თანახმად, PPP არის გრძელვადიანი სახელშეკრულებო ურთიერთობა საჯარო და კერძო სექტორებს შორის. ეს მოიცავს როგორც ინფრასტრუქტურული პროექტების დაფინანსებას, მშენებლობას, მოვლა-პატრონობას, რეაბილიტაციას და ექსპლუატაციას, ასევე მომსახურების მიწოდებას, რაც ტრადიციულად საჯარო სექტორის პასუხისმგებლობაა. ევროკავშირის დონეზე, ევროპულმა საბჭომ დაამტკიცა შესაბამისი ღონისძიებების ნაკრები ინფრასტრუქტურაში ინვესტიციების გაზრდის მიზნით, განსაკუთრებით ტრანსევროპული სატრანსპორტო ქსელის განვითარებისთვის, ასევე კვლევის, ინოვაციებისა და განვითარების სფეროში (22.129).

გაეროს თანახმად, PPP-ის კონცეფცია ასეთია: ინოვაციური მეთოდი, რომელსაც იყენებს საჯარო სექტორი კერძო სექტორთან ხელშეკრულების დასადებად, რაც მოაქვს თანასწორობას და პროექტის დროულად და განსაზღვრულ ვადებში მიწოდების უნარს. იმავდროულად, საჯარო სექტორი აგრძელებს პასუხისმგებლობას კერძო სექტორის მიერ შექმნილი საჯარო სერვისების მიწოდებაზე ისე, რომ მოაქვს სოციალური სარგებელი,

ეკონომიკური პროგრესი და გაუმჯობესებული ცხოვრების დონე (28.11).

სინგაპურის მაგალითი: სინგაპური არის მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესი სავაჭრო ცენტრი. ბევრი ადამიანი მას მიაწერს წარმატებას სავაჭრო პროცესების გამარტივებაში. სინგაპური არის „ერთი ფანჯრის პრინციპის“ ერთ-ერთი ყველაზე ადრეული და საუკეთესო მაგალითი. თითქმის სამი ათეული წლის წინ მან დანერგა ავტომატური სისტემები და პროცედურები. იგი დაუღალავად მუშაობდა, რათა შეემცირებინა სავაჭრო ხარჯები და პროცესის დრო (30.49-53).

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ დიდწილად, სინგაპურის სისტემაში სისწრაფე და დინამიზმი მიღწეული იქნა მისი საჯარო და კერძო პარტნიორობის (PPP) მოდელის მეშვეობით. კერძო სექტორის პარტნიორი შეირჩა გამჭვირვალე, ღია სატენდერო პროცესით და დაევალა ერთიანი ფანჯრის დიზაინი, განვითარება, ექსპლუატაცია და მოვლა. მთავრობის შიგნით ძლიერი შიდა IT შესაძლებლობების მიუხედავად, სინგაპურის საბაჟომ აირჩია PPP მოდელი, რადგან ეს მათ საშუალებას მისცემდა გამოეყენებინათ კერძო სექტორის პარტნიორის მოქნილობა და დინამიზმი. პარტნიორული მუშაობის მიზნით, სინგაპურმა ჩართო კერძო სექტორი ერთი ფანჯრის განხორციელებაში. კერძო სექტორი მონაწილეობდა პროექტის აქტივობებში, დაწყებული ფუნქციონალური მოთხოვნების შემუშავებით, პროცესის გაუმჯობესებამდე და მონაცემთა სტანდარტიზაციამდე. შედეგად, საერთაშორისო ვაჭრობისთვის ადრე საჭირო 20 ფორმა შემცირდა ერთ ონლაინ ფორმამდე. საჯარო-კერძო პარტნიორობის ეს მოდელი მას შემდეგ ძლიერდება და წარმატებულ ისტორიას სთავაზობს დანარჩენ მსოფლიოს (20).

იაპონია: 1978 წლიდან, დანერგვის პერიოდიდან დღემდე NACCS (იაპონიის ავტომატური ტვირთის და პორტის კონსოლიდირებული სისტემა) ფუნქციონირებს როგორც საჯარო-კერძო სისტემა, რომელიც ამუშავებს როგორც საბაჟო პროცედურებს, ასევე კერძო სექტორის მიერ მოწოდებულ მომსახურებას. 2008 წლის ოქტომბერში, პორტის და ეკიპაჟის სადესანტო ნებართვის მხარდაჭერის სისტემა იმიგრაციისთვის ინტეგრირებულ იქნა NACCS-ში, რაც აძლიერებს მას სრულფასოვან პორტის კონსოლიდირებულ სისტემაში, რომელიც მოიცავს ყველა პორტსა და იმპორტ/ექსპორტის პროცედურებს. გარდა ამისა, იაპონიის ღია ქსელის ვაჭრობის კონტროლის სისტემა, რომელიც ამუშავებს განაცხადებს იმპორტისა და ექსპორტის ლიცენზიებისთვის, ინტეგრირებული იყო NACCS-ში 2010 წლის თებერვალში. NACCS ან „Nippon Automated Cargo Clearance System“ არის საჯარო და კერძო პარტნიორობის მნიშვნელოვანი მაგალითი (5.14-22). ის ახლა ინტეგრირებული ეროვნული ერთი ფანჯრის სისტემაა, მაგრამ ორი ათწლეულის წინ ის დაიწყო, როგორც მოკრძალებული საჰაერო ტვირთების განბაჟების სისტემა. ის თანდათან გაიზარდა და მოიცავს ტრანსპორტის ყველა რეჟიმს (საჰაერო და საზღვაო NACCS). მრავალწლიანი წარმატებული თანამშრომლობის ფონზე, დღესდღეობით იაპონიის ეს პორტი წარმოადგენს ყოვლისმომცველ სავაჭრო ინფორმაციის პლატფორმას, რომელიც შემუშავდა ერთობლივად მთავრობისა და კერძო სექტორის მიერ (15.21).

განა: ასევე არის საჯარო და კერძო სექტორის თანამშრომლობის წარმატებული მაგალითები ელექტრონული მმართველობის სფეროში. მაგალითად, განას მთავრობამ განახორ-

ციელა 60 მილიონი დოლარის პროექტი, რომლის 1/3 დაფარა მსოფლიო ბანკმა (e-Ghana პროექტისგან) და 2/3 დაფინანსდა კერძო სექტორის მიერ (24). კონტრაქტის ფარგლებში კერძო სექტორმა შექმნა ბიზნესის რეგისტრაციის ელექტრონული პლატფორმა და ელექტრონული გადასახადების გადახდის სისტემა. კერძო სექტორს ამ რესურსების მართვის უფლება მიეცა 5-7 წლის განმავლობაში (საინვესტიციო ხარჯების ანაზღაურე-ბამდე), რის შემდეგაც პლატფორმები დაუბრუნდა სახელმწიფო მართვას. მიუხედავად სირთულეებისა (მაგ. საგადასახადო ორგანოების რესტრუქტურიზაცია, პროექტის ბიუჯეტის გაზრდა, საჯარო სექტორის მიერ ასეთი კომპლექსური პროექტის მართვის გამოცდილების ნაკლებობა), პროექტი სახელმწიფო-კერძო თანამშრომლობის ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული მაგალითია ქვეყანაში. გამარტივდა გადასახადის გადამხდელთა რეგისტრაცია და მონაცემთა ბაზას დაემატა 400 000-ზე მეტი ახალი გადასახადის გადამხდელი, რაც დადებითად აისახა სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლებზე და მთლიანად ეკონომიკაზე. საჯარო და კერძო სექტორის თანამშრომლობის მრავალი წარმატებული მაგალითია ელექტრონული მმართველობის სფეროში (27.41-43).

დიდი ბრიტანეთი: გაერთიანებულმა სამეფომ პრივატიზაციის პროცესი 1980-იანი წლების დასაწყისში დაიწყო. ამ პროცესს წლები დასჭირდა და შედეგად, სახელმწიფო საწარმოები კერძო სექტორში გადავიდა. საბაზრო და ეკონომიკურმა ფაქტორებმა ახლად პრივატიზე-ბული კომპანიები უფრო ეფექტური გახადა, ხოლო კერძო სექტორი ორიენტირებული გახადა პროდუქტიულობისა და მომგებიანობის მაქსიმალურ გაზრდაზე. მიუხედავად იმისა, რომ ამ პროცესს ხშირად თან ახლდა სამუშაო ადგილების დაკარგვა, ახალმა კომპანიებმა შეძლეს საკუთარი თავის დამკვიდრება სახელმწიფოსგან დაფინანსების მუდმივი წყაროს გარეშე. წარმოდგენილი იყო სხვადასხვა სფეროში მოღვაწე კომპანიები, როგორიცაა: ტელეკომუნიკაცია, საბანკო საქმე, სპილენძის წარმოება, ელექტროენერგიის წარმოება, ტრანსპორტი, ნავთობი, გაზი და სხვა (28.74-78).

საჯარო-კერძო პარტნიორობა საქართველოში

- ექსპრეს საზოგადოებრივი ცენტრები - 2015-2017 წლებში იუსტიციის სამინისტროს საჯარო სერვისების განვითარების სააგენტოსა და ლიბერთი ბანკს შორის გაფორ-მებული თანამშრომლობის მემორანდუმის ფარგლებში ფუნქციონირებდა პროექტი Express Community Centers. პროექტის მიზანი იყო საჯარო სერვისების ხელმისაწვდო-მობის გაზრდა სოფლებში, სადაც მოსახლეობის რაოდენობის, მდებარეობისა და სხვა პარამეტრების გათვალისწინებით, ძვირადღირებული ინფრასტრუქტურის (მაგალი-თად, იუსტიციის სახლი ან კულტურის სახლი) მშენებლობა არ ხდებოდა. თუმცა, ადგილობრივი მაცხოვრებლებისთვის მაქსიმალური კომფორტის შესაქმნელად, შემუშავდა ინოვაციური პროექტი, რომლის ფარგლებშიც სააგენტო Liberty Express Bank-ის მობილური მანქანებით იყენებდა სახელმწიფო სერვისების მიწოდებას. ამ მიზნით მანქანებზე დამონტაჟდა შესაბამისი აღჭურვილობა და გადამზადდა სააგენტოს ოპერატორები (2.16).

- სოციალური მომსახურების სააგენტოსა და სს ლიბერთი ბანკს შორის გაფორმდა ხელშეკრულება. ამ ხელშეკრულების შესაბამისად, სს „ლიბერთი ბანკი“ იღებს ვალდებულებას უზრუნველყოს უფასო სოციალური გადასახადები, მათ შორის: ბენეფიციარებისთვის ფულის უსასყიდლოდ მიცემა, ანგარიშის გახსნა და პლასტიკური ბარათის უფასოდ გაცემა და პენსიის მიწოდება პენსიონერისთვის. საცხოვრებელ ადგილზე (ზოგიერთ შემთხვევაში), პენსიონერის უსასყიდლოდ მომსახურება სხვა საბანკო მომსახურებით, დაწესებულების კუთვნილი პენსიის გადაცემა/გადარიცხვის ოპერაციები (1.5).

დასკვნა

საჯარო-კერძო პარტნიორობა (PPPs) არის მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი ინფრასტრუქტურის საჭიროებების დასაკმაყოფილებლად და წინსვლისთვის მთელ მსოფლიოში. თუ დაგეგმილია, შემუშავებული და სწორად განხორციელდება, PPP-ებს შეუძლიათ წვლილი შეიტანონ ეროვნულ განვითარებასა და ზრდაში ყველა სოციალურ-ეკონომიკურ სექტორში, რაც სარგებელს მოუტანს კერძო და საჯარო სექტორის მოთამაშეებს. მაღალეფექტური და ეფექტური PPP-ების შექმნა გულისხმობს კონკრეტული მოთხოვნების გათვალისწინებას ასეთი პროექტების დაგეგმვის, სტრუქტურისა და განხორციელების სხვადასხვა ეტაპზე, სექტორისა და ქვეყნის დონეზე და ეკოსისტემის ოთხ მთავარ ბერკეტზე: მმართველობა, სტრატეგია, გარიგების პროცესი და განხორციელება/ მონიტორინგი.

საქართველოში საჯარო და კერძო თანამშრომლობა შედარებით ახალი ფენომენია. ამ მიმართულებით საკანონმდებლო და ინსტიტუციური ჩარჩო სულ რაღაც ორი წლის წინ იქნა მიღებული და ჯერ-ჯერობით, განახლებადი ენერგიის სფეროში პროექტები ძირითადად ამ მოდელის მიხედვით ხორციელდება. თუმცა, როგორც აღინიშნა ამ კვლევაში, არ არსებობს საჯარო და კერძო პარტნიორობის ერთი მკაცრი განმარტება და სხვადასხვა მკვლევარი და მთავრობა იყენებს ამ ტერმინს სხვადასხვა ტიპის ურთიერთობების აღსაწერად. შესაბამისად, შეზღუდული საბიუჯეტო რესურსების პირობებში, საქართველოს საჯარო სამსახურებს შეუძლიათ სცადონ თანამშრომლობა კერძო სექტორთან სხვადასხვა ფორმატში არსებული სერვისების გაუმჯობესების ან ახალი სერვისების შესაქმნელად.

საჯარო სექტორის რისკები და ვალდებულებები

ინფლაცია, გადასახადები, ფორსმაჟორები, კანონმდებლობის ცვლილებები, ლიცენზიები და ნებართვები, პოლიტიკური რისკი, გარემოსდაცვითი საკითხები (გადაცემამდე), ამ საკითხებში სახელმწიფო იღებს რისკს კერძო სექტორზე საკუთრების გადაცემამდე. გადაცემის შემდეგ, ასეთი რისკები გადადის კერძო სექტორზე.

კერძო სექტორის რისკები და ვალდებულებები

დიზაინი, მშენებლობა, მშენებლობის ხარისხი და ვადების დაცვა, ექსპლუატაციის ხარისხი, ახალი ტექნოლოგიების გადაცემა, დაფინანსება, კომერციული რისკები, გარემოსდაცვითი რისკები. ეს არის კერძო სექტორისთვის დაკისრებული რისკების არასრული ჩამონათვალი, რომელიც იმის მიხედვით, თუ რომელი მოდელია გამოყენებული სახელმწიფო-კერძო პარტნიორობის ხელშეკრულებაში, ან შემცირდება ან გაიზრდება.

შეჯამების მიზნით, უნდა ითქვას, რომ საქართველოს მაგალითზე, საჯარო-კერძო პარტნიორობის შესაძლებლობებისა და გამოწვევების გაანალიზებისას, გამოიკვეთა, რომ როგორც საჯარო, ისე კერძო სექტორმა მიიღო გამოცდილება ამ პროცესში. რასაკვირველია, საჯარო სექტორს მეტი გამოცდილება სჭირდებოდა, რადგან სახელმწიფო-კერძო პარტნიორობა ძირითადად კერძო სექტორის უნარებზეა აგებული, რასაც ახლა საჯარო სექტორი იყენებს. თუმცა, ვინაიდან სახელმწიფო-კერძო პარტნიორობის მთავარი მიზანი არის უკეთესი და ეფექტური საჯარო სერვისების უზრუნველყოფა, აუცილებელია კერძო სექტორმა გაიგოს საჯარო სერვისების მიწოდების სპეციფიკა. სასწავლო პროცესი ხანგრძლივია და, როგორც სხვა სფეროებში, არასოდეს მთავრდება. საჯარო სექტორის მოხელეებმა უნდა ისწავლონ კომპლექსური ახალი უნარები კონტრაქტების მოლაპარაკებისა და აღსრულების მიზნით. საჯარო და კერძო თანამშრომლობის პოლიტიკის დოკუმენტის განხილვის შედეგად აღმოჩნდა, რომ საქართველოს მთავრობა აქტიურად მუშაობს PPP-ის კარგი წესების დანერგვაზე, რაც ხელს შეუწყობს საჯარო-კერძო თანამშრომლობის პროცესების ეფექტურობის ზრდას.

გამოყენებული ლიტერტურა

1. აბაშიძე ა. „საჯარო სამსახურის რეფორმა საქართველოში: ძირითადი მიმართულებები და გამოწვევები“. 2016.
2. დოლიძე ნ. „პროფესიული განვითარებისა და ტრენინგის სისტემის მოდელები საქართველოს საჯარო სექტორში. საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი. 2015.
3. დოლიძე ნ. „ახალი საჯარო მენეჯმენტის რეფორმის თავისებურებები განვითარებად ქვეყნებში“. 2016.
4. სამადბეგიშვილი ს. „PPP-ის სამართლებრივი ჩარჩო საქართველოში და განვითარების პერსპექტივები“, 2016.
5. Organisation for Economic Cooperation and Developm ent., Public Private Partnership - A Survey of Institutional and Governance Structure. Paris: OECD Publishing. 2012.
6. Commission of the European Communities, Green Paper on Public-Private Partnerships and Community Contracts and Concessions Act. 2014.
7. EBRD, Georgia, Assessing the Quality of PPP Legislation and the Effectiveness of Its Implementation, EBRD, 2011.
8. Kobzev. Maxim, Logvinova. Ekaterina, Degtyar. Irina, New mechanisms. 2016.
9. Mathieu. Nicolas, EBRD Past PPP Experience, Lessons Learned and Recommendations, EBRD, Workshop on Valuation and Public-Private Partnerships, 2018.
10. OECD, Anti-Corruption Network for Eastern Europe and Central Asia, Istanbul Anti-Corruption Action Plan, Third Round of Monitoring, Georgia, Monitoring Report, OECD Headquarters in Paris, 2018.

11. PPPIRC-Public-Private-Partnership in Infrastructure Resource Center, What is Public-Private Partnership. World Bank Group, 2012.
12. Gruening, G. “Origin and Theoretical basis of New Public Management”. Arbeitsbereich Pubic Management, Hamburg, Germany. 2015.
13. Wilson, Woodrow. The Study of Administration. 1886.
14. Peters and Wright. Public Policy and Administration. Classical Public management VS New Public Management. 2013.
15. Cambridge Economic Policy Associates. Infrastructure Consortium for Africa (ICA) Assessment of Project Preparation Facilities for Africa. 2012.
16. Engel E., Fischer R., Galetovic A. The Economics of Public-Private Partnerships: A Basic Guide. Cambridge: Cambridge University Press. 2016.
17. Farajian M. 2010. “Transaction Cost Model for Infrastructure Public Private Partnerships in the U.S.” Master's Thesis, University of Maryland, Graduate School of Engineering, College Park.
18. Farquharson E., Encinas J. 2010. The UK Treasury Infrastructure Finance Unit: Supporting PPP Financing During the Global Liquidity Crisis. Washington DC: World Bank (March).
19. Flyvbjerg B. 2005. “Policy and Planning for Large Infrastructure Projects: Problems, Causes, Cures.” Policy Research Working Paper No. 3781, World Bank, Washington DC.
20. Flyvbjerg B. 2014. “What You Should Know about Megaprojects and Why: An Overview.” Project Management Journal 39.
21. Foster V., Briceño-Garmendia C.M. 2010. Africa's Infrastructure: A Time for Transformation. Washington DC: World Bank.
22. Gassner K., Popov A., Pushak N. 2009. Does Private Participation Improve Performance in Electricity and Water Distribution? Trends and Policy Options No.6. Washington DC: World Bank. Available at: www.ppiaf.org.
23. Government Technical Advisory Centre. 2015. Government Technical Advisory Centre and National Treasury Programme 8: Technical Support and Development Finance, Annual Report 2014/15. Pretoria: South African National Treasury. Available at: http://www.gtac.gov.za.
24. Guasch J.L. 2004. Granting and Renegotiating Infrastructure Concessions: Doing It Right. Washington DC: World Bank.
25. Hall D. 2015. Why Public-Private Partnerships Don't Work: The Many Advantages of the Public Alternative. Greenwich, UK: Public Services International Research Unit. Available at: http://www.world-psi.org/sites/default/files/rapport_eng_56pages_a4_lr.pdf.
26. Independent Evaluation Group. 2010. Cost-Benefit Analysis in World Bank Projects. Washington, DC: World Bank (June).
27. Independent Evaluation Group. 2014. World Bank Group Support to Public-Private Partnerships: Lessons from Experience in Client Countries, FY02–12. Washington, DC: World Bank.
28. International Energy Agency. 2011. Energy for All, Special Early Excerpt of the World Energy 2012. https://www.iea.org/publications/freepublications/publication/weo2011_energy_for_all.pdf.
29. International Energy Agency. 2017. Renewable Energy Auctions: Analysing 2016. Paris: IEA. Available at: http://www.irena.org/publications/2017/Jun/Renewable-Energy-Auctions-Analysing-2016.
30. International Finance Corporation. 2012. “Blended Finance at IFC: IFC's Approach to Blending Concessional Funds.” Report prepared for the IFC Board of Directors, IFC, Washington, DC, March 15.
31. International Monetary Fund. 2006. Determinants of Public-Private Partnerships in Infrastructure. IMF Working Paper, IMF Institute. Washington, DC: IMF Institute.
32. International Monetary Fund. 2015. “Democratic Republic of the Congo: Staff Report for the 2015 Article IV Consultation – Debt Sustainability Analysis.” Washington, DC: IMF. Available at: https://www.imf.org/external/pubs/ft/dsa/pdf/2015/dsacr15280.pdf.
33. Izaguirre A.K. 2009. “Impact of the Financial Crisis on the Closure of Wew Infrastructure Projects with Private Participation: A Preliminary Assessment as of January 2009.” Presentation to the Finance, Economics, and Urban (FEU) Department of the World Bank, Washington, DC, March 30.
34. Jomo K.S., Chowdhury A., Sharma K., Platz D. 2016. “Public-Private Partnerships and the 2030 Agenda for Sustainable Development: Fit for Purpose?” UN Department of Economic & Social Affairs, New York.

35. Jones L., Jammal U., Gokgur N. 2002. "Impact of Privatization in Cote D'Ivoire." Report Prepared by the Boston Institute for Developing Economies (BIDE) for Privatization Committee, Boston, July 15.
36. Kerf M., Gray R.D., Irwin T., Levesque C., Taylor R.R. 1998. "Concessions for Infrastructure — A Guide to Their Design and Award." Technical Paper No. 399, World Bank, Washington, DC.
37. Klein M. 1998. "One Hundred Years after Bretton Woods: A Future History of the World Bank Group." In EIB Papers: International Financial Institutions in the 21st Century 3(2): 41-43.

ინტერნეტ-რესურსები

38. საქართველოს კანონი საჯარო და კერძო თანამშრომლობის შესახებ. 2018. https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/4193442?publication=2
39. Sda.gov.ge სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო.
40. https://psh.gov.ge/ იუსტიციის სახლი.
41. https://libertybank.ge/ka/ ლიბერთი ბანკი.
42. https://www.gov.ge/home საქართველოს მთავრობა.

Opportunities and challenges of public private partnerships on the example of Georgia

Giorgi Mumladze
Grigol Robakidze University, PhD student
giorgi.mumladze20@gruni.edu.ge

Abstract. In the modern world, public-private partnerships (PPPs) are becoming an increasingly popular tool for infrastructure and public service delivery worldwide. As an innovative approach to public procurement, PPPs, the possibilities of public-private partnerships in public administration have also attracted significant attention from academic circles, which makes the study of the issue even more interesting and relevant. In general, the governance literature emphasizes the role of markets, networks, and non-state actors. In doing so, it weakens the distinction between states and other spheres of social order. All social and political regimes seem to depend on a model or form of government, however informal it may be. Global support for public-private partnerships (PPPs) in infrastructure appears stronger than ever. Discussions at a number of summits over the past few years have increasingly focused on the need for massive infrastructure investment in developing countries, particularly low-income countries. Governments in developing countries face enormous challenges in financing, implementing and maintaining the infrastructure to provide and maintain basic services for their citizens and promote economic growth. Despite significant strides in recent years in emerging markets, many people still lack access to reliable and secure basic services. PPPs have shown that they can, under the right circumstances, promote growth and improve service delivery, clearly indicating the importance of Public-Private Partnerships (PPPs) for Georgia.

Key words: public administration, public-private partnership, investment growth, new public management

ყალბი კოლექტიური ნების კონსტრუირების მექანიზმი და ძალაუფლების დიქტატი 2003-2021 წლების საქართველოში

არჩილ გამზარდია
გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი, დოქტორანტი
gamzardiaarchil@gmail.com

რეზიუმე. 1990-იანი წლებიდან საქართველოში ხელისუფლებების ცვლილებების დეკლარირებულ მიზეზად დიქტატურის წინააღმდეგ ბრძოლა სახელდებოდა. სხვადასხვა დროს, დიქტატურის გამოვლინებად სხვადასხვა საბაბი გამოიყენებოდა, მათ შორის 2000-იან წლებშიც, როდესაც 21-ე საუკუნის საქართველო და სამყარო ამ ტერმინში კლასიკურ განმარტებებს და შინაარსს სძენდა. მოვლენების დინამიკაში შესწავლის კუთხით, მნიშვნელოვანი გახდა არა იმდენად „დემოკრატიის“ ცნების ცვლილების დინამიკის შესწავლა, არამედ, ტერმინ „დიქტატურის“ შინაარსი და გამოვლინება, რაც სტატიის ერთ-ერთი საკვანძო ინტერესია. სტატიას ჰქვია „ყალბი კოლექტიური ნების კონსტრუირების მექანიზმი და ძალაუფლების დიქტატი 2003-2021 წლების საქართველოში“. სტატიაში განხილული და წარმოდგენილია კვლევა-ანალიზი ამ წლების პერიოდისათვის მმართველობის გააზრების კუთხით, ხელისუფლებების ცვლილებების, ცვლილების ფორმის, გამომწვევი მიზეზების, შეცვლილი ხელისუფლებების მმართველობისა და საზოგადოებრივი დამოკიდებულებების კუთხით. კვლევის პერიოდი 2021 წლის არჩევნების პერიოდით სრულდება, რის შემდეგაც ერთგვარად მორიგი პოლიტიკური ეპოქა იწყება. სტატიაში ავტორი ცდილობს პასუხი გასცეს შემდეგ საკითხებს: „დიქტატურა“, „დემოკრატია“ და საქართველო - საზოგადოებრივი აზრის ფორმირების საშუალებები 2003-2020 წლებში ხელისუფლებების ცვლის პროცესში; ცვლილებებში მმართველობის შეფასების ეტიმოლოგია (დიქტატურა, დემოკრატია); დემოკრატიული ცვლილებების ილუზია თუ პროგრესი - დიქტატურის ცვლილება დემოკრატიით თუ დიქტატურის ცვლილება ახალი დიქტატურით? როგორ იზომება დემოკრატია საქართველოში? - დიქტატურის და დემოკრატიის გაზომვის ნაციონალური თავისებურებები, დინამიკა და საზოგადოებრივი ცნობიერება; როგორ ვმართოთ დემოკრატია (შესაბამისად, საზოგადოებრივი ცნობიერება, პოზიცია და ჩართულობა) საქართველოში მნიშვნელოვანი პროგრესით? ამ კითხვების საპასუხოდ, განხილულია ჰანს კიუნგის, მაქს ვებერის, რიკლინის, კეოჰიანის, გიპლინის, ერიკ ჰოფერის, შანტალ მუფის, იურგენ ჰამერბასის თემატური შეხედულებები. საზოგადოებრივი აზრის ფორმირების ახსნისათვის ასევე განხილულია ანტონიო გრამშის „კულტურული ჰეგემონია“, ჯინ შარპის „დიქტატურიდან დემოკრატიისაკენ - განთავისუფლების საფუძვლები“. სტატია ეფუძნება ჰიპოთეზას, რომ 21-ე საუკუნეში დიქტატურის ფორმები შეცვლილია, ის ბევრად უფრო პრომოუტირებულია (შეფუთულია), ვიდრე კლასიკურ განმარტებებშია მოცემული, ნაკლებად მოითხოვს პირდაპირ ტირანიას და სრულ ავტოკრატიზმს, არამედ, საკითხი განხილულია მულტიდისციპლინარულ ფორმატში, სამომხმარებლო და პოლიტიკური მარკეტინგის, პოლიტიკის ფილოსოფიის, პოლიტიკური მეცნიერებების თეორიების, სამომსახურებო მენეჯმენტის და სხვა თანამედროვე საკომუნიკაციო დარგების საერთო კონტექსტში. სტატია ადგენს კრიტერიუმებს, რითიც თანამედროვე დიქტატურის შეფასებაა შესაძლებელი და პასუხს გასცემს კითხვას, დიქტატის დემოკრატიით ცვლილება რა მხრივ არის ილუზია და რა ფორმით არის დიქტატი შეფუთული დემოკრატიის სამოსელით, როგორ ხორციელდება ყალბი კოლექტიური ნების კონსტრუირების მექანიზმი.

საძიებო სიტყვები: ძალაუფლება, დიქტატი, დემოკრატია, ამომრჩეველი, ხელისუფლება, ოპოზიცია, პოლიტიკური ბრძოლა, კოლექტიური ნება

შესავალი

საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის აღდგენის დღიდან, ძალაუფლების ცვლილება, ძირითადად, დრამატული ფორმით მიმდინარეობდა. საქართველოს პირველი პრეზიდენტი მეამბოხეების ძალისხმევის შედეგად იძულებული გახდა დაეტოვებინა საქართველო, მოგვიანებით კი უცნაურ ვითარებაში გარდაიცვალა (ამ პერიოდის მოვლენებს და პრეზიდენტის სიკვდილს დღემდე არ აქვს მკაფიო კვალიფიკაცია მინიჭებული), მისი მოწინააღმდეგეები ამბოხის საბაბად პრეზიდენტ გამსახურდიას დიქტატორულ მმართველობას ასახელებდა. საქართველოს მეორე პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე მმართველობის ცვლილებისას დემოკრატიული ძალაუფლების სახელით მოქმედებდა, თუმცა, 2003 წელს ე.წ. „ხავერდოვანი რევოლუციის“ შედეგად ის გადადგა. მაშინდელი ოპოზიცია მეორე პრეზიდენტს დიქტატორულ მმართველობაში ადანაშაულებდა, „რევოლუციის“ მზადებას კი დიქტატურის წინააღმდეგ დემოკრატიული მისწრაფებებით ხსნიდნენ. საქართველოს მესამე პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის შემთხვევაშიც, მისი 9 წლიანი მმართველობის შედეგად, 2012 წელს, ოპოზიცია ძალისხმევის მთავარ დეკლარირებულ მოტივად ასევე ასახელებდა დიქტატის წინააღმდეგ ბრძოლას, რაც 2012 წელს არჩევნების შედეგად ხელისუფლების შეცვლით დასრულდა. 2012 წლიდან სახელმწიფოს მმართველობაში მოვიდა პარტია „ქართული ოცნება“ ბიძინა ივანიშვილის მმართველობით, კონსტიტუციური ცვლილებების შედეგად. შეიცვალა სახელმწიფოს მართვის მოდელი (საპრეზიდენტო მმართველობა ჯერ ნახევრად საპარლამენტო, შემდეგ კი საპარლამენტო მართვის მოდელით), მართვის მთავარ ვერტიკალში მოექცა ბიძინა ივანიშვილი, თუმცა ძირითადად არაოფიციალური სტატუსით. მისი მმართველობიდან 8 წლის შემდეგ კი ოპოზიციამ ხელისუფლება კვლავ დიქტატურაში დაადანაშაულა, რაც ოპოზიციის დეკლარირებული წინააღმდეგობის ერთ-ერთ მთავარ მოტივად იქცა. 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების შედეგად პარტია „ქართული ოცნება“ კვლავ უმრავლესობით მოვიდა ხელისუფლებაში, ხოლო ოპოზიციურ პარტიებში პირველობა კვლავ „ნაციონალურმა მოძრაობამ“ შეინარჩუნა. ამ პროპორციის მიუხედავად, პოლიტიკურ სცენაზე უფრო მეტად გააქტიურდა სხვა პოლიტიკური პარტიები, რომელთა საარჩევნო შედეგების ჯამური მაჩვენებელი მცირედ ჩამოუვარდებოდა „ნაციონალური მოძრაობის“ საარჩევნო შედეგს. 2021 წლის თვითმმართველობის არჩევნების შემდეგ კი თითქმის სრული პოლიტიკური წარმატება იმჟამინდელ მმართველ ძალას („ქართულ ოცნებას“) და მის წინამორბედს („ნაციონალური მოძრაობა“) შორის გადანაწილდა, სხვა პარტიებმა 2020 წელს მიღებული შედეგები მკვეთრად გააუარესეს. პოლიტიკური მოცემულობა კვლავ პოლარიზებულ ნიშნულს მიუახლოვდა.

ამ წლების განმავლობაში ნაკლებად მოხერხდა პროცესების სამეცნიერო დონეზე შესწავლა, ძირითადად ზოგადი ანალიტიკის ფორმატში. არ გაზომილა და არ მისცემია კვალიფიკაცია მმართველობას, ცვლილებების პროცესში დემოკრატიის თუ დიქტატურის ხარისხს, საზოგადოებრივი პროცესებისათვის არ შექმნილა კვალიფიციური, სამეცნიერო, სიღრმისეული თეორიული პოსტულატები და შესაბამისი პრაქტიკული ინსტრუმენტები ადეკვატური საზოგადოებრივი აზრის ფორმირების ხელშესაწყობად, რაც უნდა

გამხდარიყო საფუძველი სახელმწიფოს მართვაში სამოქალაქო თავისუფლებისა, ჩართულობისა და ზეგავლენისა, საარჩევნო თუ ზოგადად, პოლიტიკური შედეგების გამომწვევი მიზეზებისა.

წარმოიქმნა თემატიკა, რომელიც საჭიროებს სიღრმისეულ შესწავლას:

- როგორ ხორციელდება ყალბი კოლექტიური ნების კონსტრუირება საქართველოში;
- ცნება „დიქტატურა“ და საქართველო - საზოგადოებრივი აზრის ფორმირების საშუალებები 2003-2020 წლებში ხელისუფლებების ცვლის პროცესში;
- ცნება „დემოკრატია“ და საქართველო - ელემენტები, ძალაუფლების მართვის ტენდენცია და დინამიკა, დემოკრატიის ხარისხი და ცვლილებები 2003-2020 წლებში;
- ცვლილებებში მმართველობის შეფასების ეტიმოლოგია (დიქტატურა, დემოკრატია);
- დემოკრატიული ცვლილებების ილუზია თუ პროგრესი - დიქტატურის ცვლილება დემოკრატიით თუ დიქტატურის ცვლილება ახალი დიქტატურით?
- როგორ იზომება დემოკრატია საქართველოში? - დიქტატურის და დემოკრატიის გაზომვის ნაციონალური თავისებურებები, დინამიკა და საზოგადოებრივი ცნობიერება;
- როგორ ვმართოთ დემოკრატია (შესაბამისად, საზოგადოებრივი ცნობიერება, პოზიცია და ჩართულობა) საქართველოში მნიშვნელოვანი პროგრესით?

ძირითადი ნაწილი

ცნებები - „ძალაუფლება“, „დიქტატურა“, დემოკრატია“ - ზოგადი განმარტება:

თითოეული ტერმინი მრავალ ცნებას მოიცავს და მრავალასპექტიანია, თუმცა, სტატიის ამ ნაწილში არ შევეხებით მათი დეფინიციის ყველა შესაძლო ვარიანტს, არამედ ზოგადი ილუსტრაციისთვის წარმოვადგენთ არსებით შინაარსს, სტატიაში კი მათ უფრო სიღრმისეულად შევეხებით.

„ძალაუფლება“ - ერთ-ერთი განმარტების თანახმად, ეს არის უფლება, ახორციელებდე ზემოქმედებას სხვებზე მორჩილების აღიარებული ვალდებულების ძალით (10, 432).

მიშელ ფუკოს (ფრანგი ფილოსოფოსი 1926-1984) მიხედვით, ძალაუფლების პროცესში, „ჩვენ ყველანი ვართ მონაწილეები – ერთდროულად წარმოვადგენთ როგორც მჩაგვრელებს, ასევე ჩაგრულებს“. „ძალაუფლებას არა მხოლოდ ნეგატიური, მჩაგვრელობითი ხასიათი აქვს, რომელიც ეძებს კონტროლის განხორციელების შესაძლებლობას, არამედ ის ასევე პროდუქტიულია“ (1).

„დიქტატურა“ – „მმართველობის ფორმა, რომელიც დამყარებულია რომელიმე ქარიზმა-ტულ ლიდერზე, „ღვთის ნებაზე”, ან სხვა არადემოკრატიულ საფუძველზე და არა ხალხის უმრავლესობის თანხმობაზე. დიქტატორი, როგორც წესი, ძლიერი პიროვნებაა“. „დიქტატურის დროს არ არის დაცული ადამიანის უფლებები, ხოლო ეკონომიკური განვითარება (რომელსაც ხშირად იყენებენ დიქტატურის გასამართლებლად), რეპრესიისა და კორუფციის არსებობის გამო, მაღალი არ არის. დიქტატურის პირობებში ეკონომიკამ შესაძლოა ზოგჯერ გარკვეული აღმავლობაც განიცადოს, მაგრამ ეკონომიკური

თავისუფლება პოლიტიკური თავისუფლების არარსებობის პირობებში, საბოლოო ჯამში, როგორც წესი, აჩქარებს პოლიტიკურ (და, ხშირად, ეკონომიკურ) კრიზისს“ (8, 128).

ერთი პირის შეუზღუდველი მმართველობა. მმართველობის ისეთი წესი, რომელიც არ იზღუდება არც კონსტიტუციით ან სხვა კანონებით და არც რაიმე პოლიტიკური თუ სოციალური ფაქტორებით (6, 351).

„დემოკრატია“ - თანამედროვე გაგებით, დემოკრატია უმრავლესობის შეზღუდული ძალაუფლებაა, შეზღუდული ყველა იმ უფლებითა და თავისუფლებით, რომლებიც ცალკეულ ადამიანებს ეკუთვნით. უმრავლესობას არა აქვს ამ უფლებათა და თავისუფლებათა დარღვევის უფლება. შეზღუდული ძალაუფლების პრინციპი ხშირად წარმოგვიდგება, როგორც კონსტიტუციურობის პრინციპი. ის, პირველ რიგში კანონმდებლების ძალაუფლებას ზღუდავს, რამდენადაც არ აძლევს მათ საშუალებას გააუქმონ აზრის გამოხატვის თავისუფლება, ან საკანონმდებლო წესით დაუშვან ადამიანის პატივისა და ღირსების შელახვა. დემოკრატიის დონე მით უფრო მაღალია, რაც უფრო შეზღუდულია ელიტის პოლიტიკური ძალაუფლება და რაც უფრო მაღალია ფართო სოციალური ფენების გავლენა (8, 128).

„მმართველობის ფორმა, რომლის დროსაც უზრუნველყოფილია ხალხის მიერ სახელმწიფო ხელისუფლების განხორციელება“ (მოხელის სამაგიდო ლექსიკონი / გაეროს განვითარების პროგრამა) (9, 483).

ახლა, როდესაც სტატიის ინტერესის სფეროები და მიზნები გაცხადებულია, ასევე ძირითადი ცნებების ზოგადი განმარტებებია მოცემული, თანმიმდევრულად მივყვეთ, თუ რა მოტივები ჰქონდა საფუძვლად და რა შინაარსს ატარებდა საქართველოში ბოლო წლების ცვლილებები, რა ზემოქმედი ფაქტორები განავითარებდა და წარმოადგენდა საზოგადოებრივ პოზიციებსა და ამ პოზიციების ფორმირებას, ბოლოს კი შევეცადოთ, ამ ნამუშევარს მივცეთ საზოგადოებრივი სარგებლის ფუნქცია და შევქმნათ ერთგვარი თეორიული პლასტი, როგორ უნდა მოხერხდეს შესაძლო ილუზორულობისგან საზოგადოებრივი თავდაცვა და რეალურად თვითმყოფადი, თავისუფალი, ცნობიერი ნების გამოვლენა და მართვა.

ძალაუფლებისკენ სწრაფვის სურვილი ადამიანების მხრიდან ახალი არაა. როგორც მკვლევარები აცხადებენ, ადამიანის ძალაუფლებისკენ სწრაფვის მიდრეკილებას განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდნენ ნიცშე, მაქს ვებერი, ჰანს მორგანთაუ და სხვები.

საინტერესო მოსაზრებას გვთავაზობს ჰანს კიუნგი თავის წერილში „კონფლიქტი ძალაუფლებას და მორალს შორის“ (17, 78-88), „ზოგადად რომ ვთქვათ, ძალაუფლება არის უფლებამოსილება, შესაძლებლობა ან თავისუფლება, რომელიც სხვა ადამიანებისა თუ მათი ქცევების გაკონტროლებას ისახავს მიზნად“, - ამბობს კიუნგი. მას მოჰყავს მაქს ვებერის განმარტება, რომლის მიხედვითაც, ძალაუფლება არის სოციალურ ურთიერთობებში საკუთარი ნების მოწინააღმდეგეზე თავის მოხვევის თითოეული შანსი და არ აქვს მნიშვნელობა იმას, თუ რას ეფუძნება ეს შანსები. შესაძლებელია „ვინმემ ადამიანის პოზიტიური თვისებები და მისი აზროვნების სტრუქტურა ისეთ პირობებში ჩააყენოს, რომ მოცემულ სიტუაციაში საკუთარი ნება განახორციელოს“ (20). კიუნგი წინააღმდეგობ-

რიობაზე აკეთებს აქცენტს და აცხადებს, რომ ძალაუფლება და ძალაუფლების პოლიტიკა ადამიანის ამბივალენტურ ხასიათს უკავშირდება. ფილოსოფოსი განმარტავს, რომ ძალაუფლება შეიძლება იყოს კარგი, ჭეშმარიტად ადამიანური და ჰუმანური, თუმცა, შეიძლება ადამიანის ძალაუფლება იყოს ცუდი, არაადამიანური და არაჰუმანურიც. კიუნგი ინტერესდება, თუ რამდენად ნაყოფიერია ძალაუფლებისა და ძალაუფლების ბოროტად გამოყენების შეძლებისდაგვარად ფართო პოლიტოლოგიური კვლევა თანამედროვეობისა და მომავლისათვის, სამაგალითოდ მოჰყავს შვეიცარიელი პოლიტოლოგის, ალოის რიკლინის ისტორიულ – ფილოსოფიური ანალიზი და ექვსი აღმოჩენა, რომელიც კიუნგის აზრით, „დღეს სამართლებრივი და სოციალური, დემოკრატიული სახელმწიფოს არსებით შინაარს წარმოადგენს“ – „ადამიანის მიერ მოფიქრებული, ექსპერიმენტებით შემოწმებული და მუდმივად განვითარებადი პოლიტიკური ინოვაციები“ „ცივილიზაციის ისტორიაში სულ მცირე, ისეთივე მნიშვნელობისაა, როგორც მაგალითად, სტამბის, ორთქმავლის ან კომპიუტერის გამოგონება“ (19, 87). აღმოჩენების ნუსხაშია: ძალაუფლების შეზღუდვა კონსტიტუციითა და კანონებით, ძალაუფლების დანაწილება შერეული კონსტიტუციისა თუ ძალაუფლების გადანაწილების საშუალებით, ძალაუფლების შეზღუდვა ხელშეუხებელი ფუნდამენტური უფლებებით, ძალაუფლების შეზღუდვა შესაბამისობის პრინციპით, ძალაუფლებაში ქვეშევრდომთა მონაწილეობა და ძალაუფლების დაბალანსება ძალაუფლების მფლობელთა მხრიდან ზეწოლის შემცირებით.

ამავე წერილში ავტორი ყურადღებას ამახვილებს ნეორეალისტების შემოსვლაზე. კიუნგის თქმით, მსოფლიო პოლიტიკაში მზარდი უთანხმოებისა და თანამშრომლობის ასახსნელად ისინი (ნეორეალისტები) არა ადამიანის ბუნებას, არამედ მსოფლიო პოლიტიკის, როგორც ასეთის, კონკურენციაზე ორიენტირებულ ანარქიულ ხასიათს მიმართავენ. ფილოსოფოსი ახსენებს ჰარვარდის უნივერსიტეტის პოლიტოლოგს რობერტ ო. კიოჰენს, რომელიც მსჯელობს ტერმინების - ძალაუფლებისა და ძალთა წონასწორობის - მნიშვნელობის ჯერ კიდევ გადაულახავი მრავალფეროვნება; საგარეო პოლიტიკის მიმართ საშინაო პოლიტიკის მნიშვნელობის უგულვებელყოფა (14). ჰანს კიუნგი ამბობს, რომ კიოჰენი თავად მიგვითითებს ყოველგვარი ნეორეალისტური პოზიციის სისტემურ სისუსტეებზე, თუმცა თავადაც გამოუვალ მდგომარეობაში ვარდება, „ვინ და როგორ შეძლებს ისტორიის ინტეგრირებას იმ ტიპის თეორიაში, რომელიც მე შევქმენი?“ (15, 340). მისი თქმით, სინამდვილეში საერთაშორისო ურთიერთობათა ყველა ეს ნეორეალისტი თეორეტიკოსი დღესდღეობით უფრო ეკონომიკურ ინფრასტრუქტურებზე, ფორმალური თუ არაფორმალური საერთაშორისო ორგანიზაციების როლსა და ურთიერთდამოკიდებულების პრობლემატიკაზე იღებს ორიენტაციას (16).

ამავე წერილში კიდევ ერთი საინტერესო ავტორი, პრინსტონის უნივერსიტეტის პოლიტოლოგი რობერტ გილპინი მოჰყავს ფილოსოფოსს. გილპინი, ნეორეალისტების შეხედულებებში, მორალის საკითხის თაობაზე უკმაყოფილებას ამჟღავნებს. „რეალიზმის ეს ამორალური ვერსია, რომელიც სახელმწიფოს უმაღლეს ავტორიტეტს აღიარებს და არანაირ ეთიკურ პრინციპებს არ უკავშირდება, რეალიზმის ჩემეულ გაგებას არ წარმოადგენს“ (11, 320). ფილოსოფოსი აცხადებს, რომ გილპინს „ინდივიდუალიზმისა და

ადამიანის თავისუფლების სწამს“ (11, 321), ხსნის - თითქოს ლიბერალებს არ სურთ გაიაზრონ, რომ პოლიტიკური მორალი განსაზღვრულ თავისუფლებებთან და უფლებებთან ერთად მოვალეობებსა და გარკვეულ მასშტაბებსაც მოიცავს. ასევე აღნიშნავს, რომ ვინაიდან პოლიტიკაში საქმე მხოლოდ ძალაუფლებასა და სისტემას არასოდეს ეხება და ვინაიდან იქ ყურადღების ცენტრში ადამიანი დგას, პოლიტიკის მხოლოდ პოლიტიკოსებისა და პოლიტოლოგებისადმი მინდობა შეუძლებელია.

როგორი უნდა იყოს პოლიტიკა და როგორია პოლიტიკა ახალი დროის საქართველოში? როგორია ძალაუფლების ფორმა და ცვლილებები, რომლებიც ბოლო წლებია ქვეყანაში მიმდინარეობს? ცვლილებაა თუ ცვლილების „ყალბი კოლექტიური ნების კონსტრუირების მექანიზმი? იცვლება თუ არა კლასიკური ცნებები ძალაუფლების შეფასებისა, დიქტატისა თუ დემოკრატიისა?

ცხადია, ამა თუ იმ კვალიფიკაციას, რომელსაც ვანიჭებთ ხელისუფლებების მმართველობას, სინამდვილეში, ბევრად უფრო რთული და წახნაგოვანი შინაარსი გააჩნია. თუ არ ჩავთვლით 1991 წლების მოვლენებს, რომლის დროსაც მაშინდელი ხელისუფლება და პრეზიდენტი ძალისმიერი ხერხებით იქნა გაძევებული მმართველობიდან (რაც ცალკე კვლევის საგანია), ხელისუფლებები, მთლიანობაში არჩევნების შედეგად იქნა შეცვლილი, მათ შორის 2003 წელსაც, მიუხედავად იმისა, რომ ე.წ. „ხავერდოვან რევოლუციას“ ჯერ მოქალაქეთა ნაწილის ერთგვარი აჯანყება ჰქონდა საფუძვლად. პირველი რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნები საქართველოში ჩატარდა 2004 წლის 4 იანვარს. არჩევნებს წინ უსწრებდა „ვარდების რევოლუცია“ და ედუარდ შევარდნაძის თანამდებობიდან გადადგომა. არჩევნები ვარდების რევოლუციის ლიდერის, მიხეილ სააკაშვილის გამარჯვებით დამთავრდა, მან ხმათა თითქმის 97% მიიღო.

ეუთოს დასკვნით, 2004 წლის 4 იანვარს გამართული რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნები აღინიშნა შესამჩნევი პროგრესით წინა არჩევნებთან შედარებით და მიაახლოვა ქვეყანა ეუთო-ს წინაშე აღებული ვალდებულებებისა და დემოკრატიულ არჩევნებთან დაკავშირებული სხვა საერთაშორისო სტანდარტების შესრულებასთან. განსხვავებით 2003 წლის 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნებისაგან, ხელისუფლებამ გამოავლინა კოლექტიური პოლიტიკური ნება, ჩაეტარებინა დემოკრატიული საარჩევნო პროცესი. ეუთომ ხაზი გაუსვა ზოგიერთ პრობლემატურ ტენდენციასაც: კერძოდ, საარჩევნო ადმინისტრაციაში არსებულ პოლიტიკურ დისბალანსს, ასევე ადმინისტრაციული რესურსების გამოყენებას მხოლოდ ერთი კანდიდატის სასარგებლოდ. დასკვნაში ასევე აღინიშნა, რომ ქვემო ქართლში კვლავაც მოხდა სერიოზული დარღვევები, მათ შორის ზედმეტი ბიულეტენების ჩაყრა და ოქმების ჩასწორება (3).

შემდგომი სახელისუფლებო ცვლილება კი მოხდა 2012 წელს. ეს იყო პირველი არჩევნები დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში, რომელშიც მმართველი პარტია დამარცხდა. პარლამენტში მანდატების მოპოვებისათვის აუცილებელი 5% ბარიერი მხოლოდ ორმა ძალამ - „ქართულმა ოცნებამ“ და „ნაციონალურმა მოძრაობამ“ გადალახა. არჩევნების შედეგები აღიარა ყველა მონაწილე მხარემ. საპარლამენტო არჩევნებს პირველი შეფასება მისცა საქართველოს პრეზიდენტმა, რომელმაც განაცხადა, რომ მისი პოლიტიკური გუნდი

დამარცხდა არჩევნებში და გადადის ოპოზიციაში. მოგვიანებით ასეთივე განცხადება პარლამენტის თავმჯდომარემ, დავით ბაქრაძემაც გააკეთა. არჩევნები აღიარეს და დადებითი შეფასებები მისცეს ეუთოს სადამკვირვებლო მისიამ, აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა, ნატოს გენერალურმა მდივანმა, ევროკავშირის წარმომადგენლებმა, რუსეთის მთავრობის წარმომადგენლებმა (4).

ერთი შეხედვით, პროგრესული დინამიკისა, სადაც მმართველთა და მართვის სისტემების ცვლილებები, ძირითადად, მოქალაქეთა დემოკრატიულ არჩევანსა და საზოგადოებრივი თუ პოლიტიკური ცვლილებების თავისუფლებათა განხორციელებად ითვლებოდა, თავისთავად ჩნდება კითხვა, რამდენად რეალურად თვითმყოფადი, ნებელობითი, ცნობიერი და თავისუფლების შედეგია მოქალაქეთა არჩევანი და საზოგადოებრივი ცხოვრების წარმართვაში თანამონაწილეობა?

როდესაც მოქალაქის ცნობიერების თავისუფლებაზე, თვითმყოფადობაზე და ნებელობის გამოვლინებაზე ვსაუბრობთ, ცხადია, უნდა დავსვათ კითხვა - როგორია მოქალაქის, როგორც ამომრჩევლის ცნობიერება? ის თვითმყოფადია თუ მართვადი? რა არის მოქალაქის თავისუფალი არჩევანი - ცნობიერების თავისუფლება თუ თავისუფლების იმიტაცია, როდესაც მოქალაქე საკუთარ არჩევანს, როგორც პოზიციას ან ქცევას თავის ნებად განიხილავს, მაგრამ ეს უკანასკნელი სინამდვილეში ერთგვარად მოდიფიცირებულია - ეკუთვნის არა მოქალაქეს თვითმყოფადურად თუ მასზე ზემოქმედი ფაქტორებითაა მიღებული?

მსგავს შეკითხვებზე, ჩვენი კვლევისათვის საინტერესო შეხედულებებს ავლენს ანტონიო ფრანჩესკო გრამში (1891-1937), ის იყო იტალიელი მარქსისტული თეორიის ავტორი და პოლიტიკოსი. მან დაწერა პოლიტიკური თეორიები, სოციოლოგიასა და ასევე ლინგვისტიკაზე. ის იყო იტალიის კომუნისტური პარტიის დამაარსებელ წევრთა შორის და ასევე პარტიის ყოფილი ლიდერი. შემდგომში ანტონიო გრამში დაპატიმრებული იქნა ბენიტო მუსოლინის ფაშისტური რეჟიმის მიერ. ინტელექტუალების იდეოლოგიურ ძალაუფლებას გრამში „კულტურულ ჰეგემონიას“ უწოდებს. მიუხედავად იმისა, რომ საზოგადოება ძალიან იერარქიულია, გაბატონებულ კლასს არ შეუძლია საკუთარი თავის შენარჩუნება მხოლოდ ძალის საშუალებით. საზოგადოება არ არის მხოლოდ ეკონომიკური ან პოლიტიკური წესრიგი, არამედ „მორალურ – პოლიტიკური ბლოკი“, რომელიც შეკრულია გაბატონებული იდეებისადმი ნებაყოფლობითი მორჩილების შედეგად (1).

ანტონიო გრამშის ე.წ. „მოლეკულურ თეორია“ აქცენტს უმთავრესად არაძალადობრივ ინტელექტუალურ მოქმედებაზე აკეთებს. ის გვევლინება არა როგორც კლასობრივი ძალების შეჯახება, არამედ როგორც უხილავი, ყოველ ადამიანში განწყობილებებისა და თვალსაზრისების, მცირე დოზებით, მიმდინარე ცვალებადობა. „მოლეკულარული“ დარტყმები გადატრიალებას ახდენს მასობრივ ცნობიერებაში - ინდივიდები თავად იწყებენ გარკვეული მიმართულებებით აქტივობას. ეს ხდება მასობრივი კომუნიკაციების საშუალებების გამოყენებით. ყალიბდება კოლექტიური ნება.

მიდგომების კუთხით მნიშვნელოვანია მოქალაქის მიერ ცალკეული პოლიტიკური ჯგუფების ძალაუფლების სივრცეში მოყვანის მოტივების გარკვევა - მოქალაქის ქცევა, აყოლა ამა თუ იმ პოლიტიკურ ჯგუფზე თუ თუნდაც მისი ამომრჩევლური ქცევა და გადაწყვეტილება რეალურად შეესაბამება თუ არა თანამედროვე დემოკრატიული საზოგადოების განცხადებულ წესს განვითარებულ ქვეყნებში - ე.წ. თავისუფალი ნებისა და თავისუფალი, ცნობიერი არჩევანის შესახებ. თუ ის (არჩევანი) არის რეალურად მოდიფიცირებული ნაცვლად თავისუფალისა ანუ ამომრჩევლის ქცევა, რამდენადაა მასის ქცევის პროტოტიპი და რა შემთხვევებში და რაც მას საკუთარი ნების, თვითმართვადი არჩევანის და თავისუფლების პროდუქტად მიაჩნია, არის თუ არა სინამდვილეში ცალკეული მეთოდების შედეგად მოდიფიცირებული.

პრობლემურ საკითხად რჩება მოქალაქეთა არა ინფორმირებული და გაცნობიერებული, არამედ შესაძლო მოდიფიცირებული არჩევანი, ამომრჩევლის დეზორიენტირება პროპაგანდისტული საკომუნიკაციო ხერხებით, ეფექტებითა და ინსტრუმენტებით. კოლექტიური ნების ჩამოყალიბება და ზეგავლენა ინდივიდუალურ გადაწყვეტილებებზე. „მოდიფიცირებული ნებისგან“ (ერთგვარი კულტურული ჰეგემონიისგან - მოლეკულარუ-ლი თეორია), დამოუკიდებელი, პირობითად „თავისუფალი ნების“ შექმნის შესწავლა ასევე შედის პრობლემების თემატიკაში. პროპაგანდის გაცნობიერება პიროვნებათშორის დონეებზე, ხოლო კომუნიკაციის მართვის ნაწილში გვაქვს მხოლოდ მასებზე ზემოქმედების ხერხები და თეორიები, მიგნებები და არა ზემოქმედებისგან დაღწევის, მინიმიზაციის მართვის შესახებ.

არის თუ არა ძალაუფლების გავრცელების პროცესში მოქალაქის არჩევანი პოლიტიკური ჯგუფების მიმართ თავისუფალი ნებელობით - ობიექტურად თვითმართვადი ნებელობით გამოხატული. მიუხედავად, განვითარებული თანამედროვე სამყაროს ფუნდამენტური ღირებულებების არსებობისა - ხომ არ არის „დამოუკიდებელი არჩევანი“ გავლენითი და ძალაუფლებითი ჯგუფების მიერ მოდიფიცირებული? ხომ არ ახდენს მოქალაქე ისეთი გადაწყვეტილებების მიღებას ძალაუფლების ჯგუფების შერჩევისას, რომელიც თავის გადაწყვეტილებად მიაჩნია, თუმცა, ის „ამრჩევის“ ობიექტურ თვითმართვად ნებაზე კი არ არის აგებული, არამედ მასზე ზეგავლენით შექმნილ ნებაზე?

როგორია გავლენისა და ძალაუფლების ჯგუფების სარეალიზაციო სივრცე ამომრჩე-ველთან მიმართებაში. როგორ ირეკლება ამომრჩეველზე გავლენის კონკრეტული მეთოდები, რომლებიც ძალაუფლების ჯგუფებს აძლევს საშუალებას არაცნობიერ მოქალაქეებზე ზემოქმედების გზით თავისთვის სასურველი სიტუაციის მოდიფიცირება შეძლონ და/მათ შორის ამომრჩევლის ქცევა თავიანთი ინტერესების შესაბამისად წარმართონ ზოგიერთ შემთხვევაში მოქალაქეთა დეზორიენტირების გზით.

როგორ შეიძლება ამომრჩეველზე, მის ცნობიერებაზე და გადაწყვეტილებაზე დადებითი ზემოქმედება ნაცვლად უარყოფითი მამოდიფიცირებელი ზემოქმედებისაგან თავის ასარიდებლად?

შევეხოთ სახელმწიფოს ორი ძირითადი პრინციპის - ძალაუფლებისა და თანხმობის გამოვლენას. ჰეგემონიის კონცეპტების დადგენა, როგორც მოქნილი და დინამიური, უწყვეტი პროცესი თანხმობის მისაღებად. ასევე ე.წ. „ფარულად მართვა“ - კლასების ნების საწინააღმდეგოდ დაქვემდებარებული ჯგუფების მანიპულირება მათივე თანხმობით. კულტურებში და რელიგიებში ჩაკეტილობის ზეგავლენა.

ეს პრობლემა აქტუალურია, თუ გავითვალისწინებთ იმ რეალობას, რაც საქართველოს ამომრჩეველს ურთიერთ კონფლიქტურს ხდის ჯერ ამა თუ იმ პოლიტიკური არჩევანის გაკეთების დროს, ხოლო შემდეგ ამ არჩევანის მიმართ წინააღმდეგობრიობაში. ამ ფაქტორების გამო ამომრჩევლის ჩართულობა იკლებს პოლიტიკურ პროცესებში, დაბალია აქტივობა არჩევნებზე, ხოლო არჩევნების შედეგები ნაკლებად ლეგიტიმურად ითვლება, რაც თავის მხრივ ზედმეტად ქმნის კონფლიქტურ ნიადაგს, ზოგიერთ შემთხვევაში პროცესებსაც, რაც თავის მხრივ, ჯამში ქვეყნის დემოკრატიულ განვითრებას უშლის ხელს.

ამ პროცესში მნიშვნელოვანია გავიაზროთ ჰაროლდ ლასსველის მოდელები კომუნიკაციის პროცესში ინფორმაციის მიმღების და მწარმოებლის ურთიერთმიმართების შესახებ, ედვარდ ბერნეისის საზოგადოებრივი ურთიერთობების ხელოვნების წარმოების ფორმებსა და საარჩევნო მარკეტინგზე, დევიდ ლოიდ ჯორჯის პოლიტიკური ტექნოლოგიების საზოგადოებრივი მხარდაჭერის პრინციპები, ერიკ ჰოფერის ნაშრომები მასობრივი ცნობიერების მართვის პროცესში ინდივიდთა გამაერთიანებელი პრინციპების შესახებ. გუსტავ ლებონის კვლევები ხალხთა და მასების ფსიქოლოგიის შესახებ. ფსიქოლოგ გორდონ ოლპორტის კვლევები და ნაშრომები მედიისა და ინდივიდების (მასების) კომუნიკაციის პროცესის თავისებურებების შესახებ, საინფორმაციო ენის რესურსებისა და ზეგავლენის საკომუნიკაციო ფორმების შესახებ (კლასიფიკატორები, ფასცინაციის ეფექტი, გამეორებადობა და სხვ.). ნაშრომები კულტურული კერების ფაქტორების ზეგავლენის შესახებ საზოგადოებრივ არჩევანზე და ძალაუფლების ამა თუ იმ ჯგუფებისათვის უპირატესობების მინიჭების თაობაზე - მითების ქმნადობა (ფრანსუა რაბლე, ეთნოგრაფი-ული-ეთნიკური თამაშების ფსიქოლოგია), ჰაიდეგერი და ა.შ. ნიკლას ლუმანის მედია კომუნიკაციური და ტექნოლოგიური კვლევები და ა.შ.

დასახელებული ავტორები, მთლიანობაში, კონცენტრირდებიან საზოგადოებაზე ზემოქმედი ხერხების ზოგად და კონკრეტულ შრეებზე, მედიაზე, მასობრივ ცნობიერე-ბაზე, ძალაუფლების ჯგუფებსა და საზოგადოების, პიროვნებათშორის კომუნიკაციებზე და ა.შ. საერთო სურათში ინტერესის საკითხი ჩნდება - ამომრჩევლის მიერ ცალკეული პოლიტიკური ჯგუფების ძალაუფლების სივრცეში მოყვანის მოტივების გარკვევა. ამომრჩევლის ქცევა რეალურად შეესაბამება თუ არა თანამედროვე დემოკრატიული საზოგადოების გაცხადებულ წესს განვითარებულ ქვეყნებში - ე.წ. თავისუფალი ნებისა და თავისუფალი არჩევანის შესახებ. თუ ის (არჩევანი) არის რეალურად მოდიფიცირებული ნაცვლად თავისუფალისა ანუ ამომრჩევლის ქცევა, რამდენადაა მასის ქცევის პროტოტიპი და რა შემთხვევებში და რაც მას საკუთარი ნების, თვითმართვადი არჩევანის და თავისუფლების პროდუქტად მიაჩნია, არის თუ არა სინამდვილეში ცალკეული მეთოდების შედეგად მოდიფიცირებული. ეს, შეგვიძლია ავაწყოთ ანტონიო გრამშის

კულტურული ჰეგემონიის მიხედვით, რომელიც ყურადღებას ამახვილებს სწორედ იძულების ნაცვლად დარწმუნების ხელოვნებაზე. საკვანძო საკითხებად შეგვიძლია ჩავთვალოთ ე.წ. „ფარულად მართვა“ - კლასების ნების საწინააღმდეგოდ დაქვემდებარებული ჯგუფების მანიპულირება მათივე თანხმობით, კულტურებში და რელიგიებში ჩაკეტილობის ზეგავლენა (2).

გრამშის თვალსაზრისით, საჭიროა ზემოქმედება მოვახდინოთ ყოველდღიურ ცნობიერებაზე (საღი აზრის პოზიციაზე), საშუალო ადამიანის „პატარა“ აზრებზე. ყველაზე აქტიური ხერხი ზემოქმედებისა არის ერთი და იგივეს ხშირი გამეორება, რომ მას მიეჩვიონ და მისი აღქმა დაიწყონ, არა გონივრულად, არამედ რწმენით. ჰეგემონიის დამყარების მთავარი გმირები კი ინტელექტუალები არიან. ინტელექტუალების მთავარი საზოგადოებრივი ფუნქცია არა პროფესიული სერვისია, არამედ გარკვეული იდეების ჰეგემონიის დამყარება. ინტელექტუალები ერთგვარ „მოურავად“ ემსახურებიან გაბატონებულ კლასს, რომლებსაც პოლიტიკური მართვისა და სოციალური ჰეგემონიის ამოცანების განხორციელების ფუნქცია ეკისრებათ.

მნიშვნელოვანი ხდება პასუხები კითხვებზე - როგორ შეიძლება დაზღვევა ჰეგემონიისგან, იგივე მოდიფიცირებული ნებისგან. რატომ მსჯელობს მეცნიერება ზოგადად ძალაუფლების კონსტრუირების პროცესში ეპიზოდურად და მთლიანობაში რატომ არ არღვევს „თავისუფალი ნების“ თუ დემოკრატიული მართვის მითს მეცნიერული სიმყარით? რა ალტერნატივას გვთავაზობს ძალაუფლების კონსტრუირების პროცესში ინდივიდების ისეთი თანამონაწილეობის შესაძლებლობაზე, რაც ინდივიდის „მოდიფიცირებული ნების“ მინიმიზაციასა და სახელმწიფოში ძალაუფლების პრინციპების მეტი თანასწორობის ფუნდამენტზე იქნება აგებული? და ა.შ.

ანტონიო გრამშის ნაშრომზე დაყრდნობით ჩვენ შეგვიძლია ჩამოვყალიბდეთ, რომ:

- მიუხედავად, განვითარებული თანამედროვე სამყაროს საზოგადოებების (მეცნიერების, ინტელექტუალების, ძალაუფლების ჯგუფების, მასობრივი პირების) შეთანხმებისა - „თავისუფალი სამყაროს“ „დემოკრატიული ქვეყნების“ „დამოუკიდებელი არჩევანით“ მიღებული დემოკრატიული ძალაუფლების ჯგუფების ცნებების არსებობისა, რეალურად, არჩევანი არის არა „თავისუფალი ნებელობით - ობიექტურად თვითმართვადი ნებელობით“, არამედ „მოდიფიცირებული ნებელობით“ მიღებული.

შენიშვნა 1: „ამრჩევი“ თავისდაუნებურად აკეთებს ცნობიერში ისეთი გადაწყვეტილებების მიღებას ძალაუფლების ჯგუფების შერჩევისას, რომელიც თავის გადაწყვეტილებად მიაჩნია, თუმცა, ის „ამრჩევის“ ობიექტურ თვითმართვად ნებაზე კი არ არის აგებული, არამედ მასზე ზეგავლენით შექმნილ მოდიფიცირებულ ნებაზე; დროთა განმავლობაში, „ამრჩევი“ გამოდის თვითილუზიისგან და შემდგომ უკვე უპირისპირდება თავის „არჩევანს“, რაც ძალაუფლების ჯგუფებისადმი აგრესიულ დამოკიდებულებაში გადადის. ეს ხსნის თუნდაც საქართველოში სხვადასხვა დროს ხელისუფლებაში ძალაუფლების ჯგუფების მოსვლის და შემდეგ მათი განდევნის, რევოლუციების, ამბოხების, რევოლუციური ტიპის არჩევნების და ა.შ. ცვლილებებს.

- „მოდიფიცირების“ კვლევისა და გამოვლენის შედეგად, შემუშავებულ საწინააღმდეგო თეორიებს, შესაძლოა ჰქონდეს „მოდიფიცირების“ აცილების პერსპექტივა და ეფექტი.

შენიშვნა 2: ეს გამოიხატება თვითმართვადი, რეალურად თავისუფალი ნების დიდი წილის შექმნით, ამ მხრივ ძალაუფლების ჯგუფების მოყვანის, სწორი შერჩევის გზით. ეს ერთგვარად მოგვცემს განვითარებისა და სტაბილურობის, პროგრესზე ორიენტირების მეტ პერსპექტივებსა და შესაძლებლობებს.

რაკიღა გამოდის, რომ მეტისმეტი სიფრთხილეა საჭირო მოქალაქეთა ქცევის თავისუფ-ლების მისაღებად, რადგან ჩვენი ცნობიერი ზედმეტადაც კი მოწყვლადია ზემოქმედ ფაქტორებთან (მათ შორის, როგორც ბუნებრივ, ასევე ხელოვნურ ფაქტორებთან) მიმართებაში, ვლინდება, რომ ადვილად მართვად ცნობიერებას თავისუფალი საზოგადო-ება ნაკლებად შეუძლია შექმნას და თავისთავად, დემოკრატიული სახელმწიფოც.

შესაბამისად, მოქალაქეთა ქცევის ეს ასპექტი საფუძველია საზოგადოებრივი განწყობებისა და ხელისუფლებათა ცვლის მხარდაჭერისა თუ კვალიფიკაციის მინიჭებისა. როგორი მმართველობითი სისტემა იქმნებოდა 2003-2022 წლების საქართველოში და როგორი იყო საზოგადოების პოზიცია შექმნისას? ცვლილებისას? რაკიღა სტატიის შესავალ ნაწილში მცირე მიმოხილვისას გამოჩნდა, რომ ხელისუფლებათა ცვლილებების ოფიციალური მიზეზები იყო მმართველობითი რეჟიმები - შესაძლო დიქტატურა და მათი ცვლა დემოკრატიულით, რომელსაც მალევე კვლავ ბრალდებოდა დიქტატურა და ა.შ. ცხადია, საზოგადოებრივი, შეგვიძლია ვთქვათ, სახელმწიფოებრივი ამოცანაც მათ შორის, იყო და დღემდე რჩება დიქტატურის ბუნება და მისი რეალური ცვლა დემოკრატიით და არა განახლებული დიქტატურით.

ამ შეკითხვებზე მნიშვნელოვან პასუხებს გვთავაზობს ამერიკელი პროფესორი, ჯინ შარპი (1928-2018) ნაშრომის „დიქტატურიდან დემოკრატიისაკენ“ (18).

როგორ დავამარცხოთ დიქტატურა ისე, რომ არ შევქმნათ ახალი? - ეს არის ის ძირითადი შეკითხვა, რომელიც ამერიკელ პოლიტოლოგს, ჯინ შარპს აქვს დასმული თავის ნაშრომში „დიქტატურიდან დემოკრატიისაკენ - განთავისუფლების სტრატეგია და ტაქტიკა“. ავტორი აქცენტს აკეთებს პოსტკომუნისტურ ქვეყნებსა და კომუნისტური რეჟიმის დიქტატორულ ხასიათზე. მისი თქმით, კომუნისტური მმართველობები დიქტატურას ამყარებდნენ თავისუფლების, განთავისუფლების სახელით. მიუხედავად იმისა, რომ ბოლო წლებში „თავისუფალი ქვეყნების“ რიცხვი გაიზარდა, რჩება დიდი რისკი, ასეთმა სწრაფმა და ღრმა ცვლილებებმა მიგვიყვანოს არა თავისუფლებამდე, არამედ დიქტატუ-რის ახალ ფორმებამდე.

შარპი ასეთ ვარიაციებად ასახელებს სამხედრო დაჯგუფებებს, პატივმოყვარე ლიდერებს, რომლებიც პარტიის დოგმებს ეტმასნებიან, ცდილობენ რა მუდმივად საკუთარი ნების სხვებისთვის მოხვევას. თეორეტიკოსი დიქტატურას სახელმწიფოში ძალაუფლების გადანაწილების ისეთი სისტემით ხსნის, როდესაც სიმდიდრე და ძალაუფლება მხოლოდ ადამიანთა მცირე რაოდენობის ხელშია. ის ასახელებს დიქტატორული ზეწოლის ორ სახეს - შინაგან და გარეგან ზეწოლას, რომლის დროსაც ხალხისგან მოითხოვდნენ უპირობო

მორჩილებას სახელისუფლებო მოხელეებისა და მმართველობების მიმართ. უკიდურეს შემთხვევებში, ხელისუფალი ან მმართველი პარტია მიზანმიმართულად ასუსტებდა, იქვემდებარებდა და ცვლიდა სოციალურ, პოლიტიკურ, ეკონომიკურ და რელიგიურ ინსტიტუტებსაც კი, რომლებიც სახელმწიფოსგან იყვნენ დამოუკიდებლები, ქმნიდნენ რა მათ ნაცვლად ისეთ ინსტიტუტებს, რომლებსაც საკუთარი ინტერესებისათვის მარტივად იყენებდნენ. შარპი აცხადებს, რომ ამგვარი დაყოფის პირობებში შეუძლებელია თავისუფლების მიღწევა, ურთიერთნდობა და საკუთარი ნების ქვეშ მოქმედება. შედეგების წინასწარმეტყველება რთული არ არის: ხალხი სუსტდება, კარგავს შინაგან თავდაჯერებულობას წინააღმდეგობის გასაწევად. ადამიანები ზედმეტად შინდებიან მასობრივი წინააღმდეგობისათვის, ვეღარ ხედავენ რა ამ წინააღმდეგობაში სარგებლიანობას. ადამიანები მხოლოდ დარდობენ, განიცდიან და მომავალს უიმედოდ უყურებენ.

ჯინ შარპი თვლის, რომ თანამედროვე დიქტატურა ბევრად უარესია უწინდელზე და საკმარისი პოლიტიკური ცვლილებებისათვის შეიძლება არჩევნებიც კი გამოუსადეგარი იყოს. მისი შეფასებით, ასეთ შემთხვევებში არჩევნები ფორმალურად ტარდება, რომ შექმნას ცრუ შთაბეჭდილება, სინამდვილეში კი ეს არის „მკაცრად კონტროლირებული პლებისციტი, რომელიც ძალაუფლების ჯგუფების მხრიდან შერჩეული კანდიდატების „გათეთრებას“ უზრუნველჰყოფს“. მისივე თქმით, ახალი არჩევნების შემთხვევაშიც კი ძალაუფლების ჯგუფები მანიპულირებენ საიმისოდ, რომ სახელისუფლებო კაბინეტებში სამოქალაქო მარიონეტები მოხვდნენ, ხოლო თუ ოპოზიციური კანდიდატები შეძლებენ არჩევნებში მონაწილეობას და გამარჯვებას, ამას შეგვიძლია ყურადღებაც არ მივაქციოთ რაოდენობის გამო. მეტიც, სასტიკი რეჟიმების შეცვლა ხშირად იწვევს არანაკლებ სასტიკი ახალი რეჟიმის მოსვლას.

შეგვიძლია გარკვეული პარალელის გავლება შარპისა და გრამშის თეორიებს შორის. როდესაც შარპი საუბრობს „არჩევნების გამოუსადეგარობაზე“, „ძალაუფლების ჯგუფების მხრიდან შერჩეული კანდიდატების „გათეთრების“ უზრუნველყოფაზე“, თუ „ძალაუფლების ჯგუფების მანიპულირებაზე“, მით უფრო „სასტიკი რეჟიმების ცვლილებაზე არანაკლებ სასტიკი რეჟიმებით“. ამის საფუძველი კი ის ფუნდამენტია, რომელიც მოქალაქეთა ე.წ. დემოკრატიულ არჩევნებზე გადის. გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც აშკარა და ღია დიქტატურასთან გვაქვს საქმე, თანამედროვე პოლიტიკური მოცემულობები გვთავაზობს დიქტატურის არაპირდაპირ ფორმებსაც, როდესაც ცვლილება, როგორც პროცესი ხორციელდება არა იმდენად მოქალაქეებზე იძულებითი ქცევის წარმოქმნით, არამედ მოქალაქეთა ნებელობის იმიტაციაზე დაყრდნობით, რაც ზოგჯერ არჩევნებსაც კი „გამოუსადეგარს“ ქმნის (შარპისეული შეფასებით). თავისთავად ძალაუფლების ჯგუფების მანიპულაციის ხერხები კი ხშირად მოქალაქეთა მნიშვნელოვანი ნაწილის თანხმობაში მოყვანის გზაზე უფრო გადის, ვიდრე მხოლოდ მათზე სასტიკი რეჟიმისადმი შიშით. გავიხსენოთ 2004 წლის და 2012 წლის არჩევნები, რომელთა შედეგებიც დემოკრატიული არჩევნების კვალიფიკაციით შეფასდა. თუმცა, ამ სტატიის ფარგლებში ჯერ კიდევ დასაზუსტებელია ამ პერიოდის მმართველობების კვალიფიკაცია, რასაც კიდევ უფრო ნათლად ქვემოთ გავაკეთებთ.

ამერიკელი პოლიტოლოგი სკეპტიკურად უყურებს ცვლილების გავრცელებულ რამდენიმე შესაძლო საშუალებას - **სამხედრო გადატრიალებას, არჩევნებს და უცხოეთის ჩართულობას.** მიუხედავად იმისა, რომ სამხედრო გადატრიალება შედარებით მარტივი და სწრაფი საშუალებაა რეჟიმის შესაცვლელად, მას მნიშვნელოვანი ნაკლოვანებები აქვს. უპირველეს ყოვლისა, ის არ ცვლის მოსახლეობასა და ელიტას შორის ძალაუფლების უსამართლო გადანაწილებას. მსგავს შემთხვევაში ჩვენ უბრალოდ მივცემთ საშუალებას ერთი ჯგუფის ნაცვლად სხვამ დაიკავოს ადგილი. მნიშვნელოვანი პოლიტიკური ცვლილებებისათვის ხშირად გამოუსადეგარად თვლის თეორეტიკოსი დიქტატურის რეჟიმის პირობებში ჩატარებულ **არჩევნებსაც.** წნეხის ქვეშ დიქტატორმა შესაძლოა დანიშნოს კიდეც არჩევნები, თუმცა მანიპულირების გზით ის მხოლოდ მარიონეტებს აქცევს მოხელეებად. დიქტატურისგან დაჩაგრულები თვლიან, რომ ხალხს გადაარჩენს ვიღაც სხვა ანუ ფსონს დებენ **უცხოეთის ჩართულობაზე** - გარე ძალებზე. ასეთი სცენარები მოსახერხებლად მოჩანს, მაგრამ გარე ძალებზე იმედების დამყარება იდეაშივე ქმნის სერიოზულ პრობლემებს. ის შეიძლება სრულიად ფუჭი აღმოჩნდეს. როგორც წესი, „მხსნელი“ არ ჩნდება და თუ ეს გახდება სხვა სახელმწიფო, რომელიც ჩაერევა კიდეც, მისი ნდობა დიდად არ შეიძლება.

თუ საქართველოს ბოლო პერიოდის საზოგადოებრივ პროცესებს დავაკვირდებით, ვნახავთ, რომ საერთაშორისო მხარდაჭერა ოპოზიციური ძალების მიმართ თავიდანვე ერთსახოვანი და ძირეული არ ყოფილა, ეს იყო ერთგვარი კამპანია, რომელიც საქართველოში მიმდინარე შიდა პროცესებს ფრთხილად ეხმაურებოდა. შეგვიძლია ერთგვარი სქემაც კი დავინახოთ, რაც წლების განმავლობაში საქართველოსადმი „გარე ძალების“ პოზიციებს ავლენდა. პირველ რიგში, ეს იყო ფრთხილი მხარდაჭერა და სარეკომენდაციო ზოგადი ტიპის შენიშვნები - ამის მიზეზებად შეიძლება დავასახელოთ: საწყის ეტაპზე, მაგ. პირველი ხელისუფლების შემდეგ მოსული ხელისუფლების ლეგიტიმაციის მხარდაჭერა. მეორე პრეზიდენტი, ედუარდ შევარდნაძე არაერთ ინტერვიუში აცხადებდა, რომ 1992 წლისთვის მისი მთავარი ამოცანა ხელისუფლების ლეგიტიმაცია იყო, რაც პირველი პრეზიდენტის იძულებით გარიდების შემდეგ ჩანაცვლებას მოჰყვა. ამ პერიოდში შევარდნაძე აქტიურად იყენებდა მისი საგარეო საქმეთა მინისტრობისას საბჭოთა კავშირის დროინდელ კონტაქტებს, თუმცა, წლების შემდეგ საერთაშორისო საზოგადოების მოცემულობაც და მმართველი ელიტების ვინაობებიც შეიცვალა, რა დროსაც შევარდნაძეს ძველი კონტაქტები შეუმცირდა, ხოლო ახალი მმართველი სუბიექტები დროთა განმავლობაში მის მიმართ უფრო კრიტიკულები იყვნენ, ვიდრე მხარდამჭერები. წლების განმავლობაში კი „გარე ძალების“ პოზიცია, შეიძლება ითქვას, პირდაპირ პროპორციული იყო ერთი მხრივ, ოპოზიციის გაძლიერებისა, მათი საერთაშორისო ლობისა, მეორე მხრივ კი, შიდა სახალხო უკმაყოფილების მოცვისა და გამოვლენის ხარისხისა. სწორედ ამ საზომის თანამდევად ძლიერდებოდა „გარე ძალების“ ჩართულობა საქართველოს მმართველი ძალაუფლების წინააღმდეგ და შესაბამისად, სამოქალაქო ნეგატივისა და ოპოზიციის გაძლიერების შესაბამისად.

ეს ფორმულა ერთგვარ კონცეფციად იქცა მომავალ პერიოდებშიც. ედუარდ შევარდნაძის შემდგომ, მიხეილ სააკაშვილის გაპრეზიდენტების დროს მისი საერთაშორისო მხარდაჭერა, შეიძლება ითქვას ისეთივე უპრეცენდენტო იყო, როგორც მისი პირველი საარჩევნო შედეგი (თითქმის 97%). როგორც გარდამავალი დემოკრატიის ქვეყანას, წლების განმავლობაში შიდა ნეგატივის და მოქალაქეთა უკმაყოფილების მიუხედავად, საერთაშორისო საზოგადოება აგრძელებდა მაშინდელი ხელისუფლების მხარდაჭერას, თუმცა, პენიტენციურ, ადამიანის უფლებებსა თუ სხვა მიმართულებებით, უკვე ეტაპობრივად გაჩნდა საერთაშორისო ორგანიზაციების ნეგატიური დასკვნები და რეზოლუციები. სამოქალაქო წინააღმდეგობის შესაბამისად, ერთ-ერთი საკვანძო ეტაპი გახდა 2007 წლის ნოემბერი, რომლის დროსაც მიხეილ სააკაშვილის და მაშინდელი მმართველი პარტიის „ნაციონალური მოძრაობის“ მიმართ საერთაშორისო ორგანიზაციების შეფასებები უკვე საკმაოდ მწვავე გახდა. პროცესებს მოჰყვა ის, რომ მიხეილ სააკაშვილი გადადგა და 2008 წელს რიგგარეშე არჩევნების შედეგად, ამომრჩეველთა მხოლოდ 53%-მა დაუჭირა მხარი.

საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიებმა საარჩევნო პროცესი სამართლიანად და დემოკრატიულად მიიჩნიეს. მათი განცხადებით არჩევნები გამოხატავდა ხალხის თავისუფალ არჩევანს. ასეთივე შეფასებები გამოთქვეს გერმანიის, ესტონეთისა და ლიტვის პარლამენტების წევრებმა. უფრო კრიტიკული იყო ევროპის სადამკვირვებლო მისიის ანგარიში, რომელიც 2008 წლის მარტში გამოქვეყნდა. ანგარიშის მიხედვით არჩევნები შეესაბამებოდა საერთაშორისო სტანდარტებს, ასევე ეს იყო პირველი ნამდვილად კონკურენტული არჩევნები საქართველოში, თუმცა საარჩევნო კამპანია გადაფარა დაშინებისა და ზეწოლის შემთხვევებმა, რომლებიც საჯარო მოხელეებსა და ოპოზიციის აქტივისტებს შეეხებოდა. ასევე ბუნდოვანი იყო განსხვავება მიხეილ სააკაშვილის წინასაარჩევნო კამპანიასა და სახელმწიფოს მიერ დაფინანსებულ ღონისძიებებს შორის (5).

მიუხედავად მთლიანობაში მხარდაჭერისა, ამ პერიოდიდან მოყოლებული საერთაშორისო ორგანიზაციების კრიტიკული შეფასებების სიმწვავემ, განსაკუთრებით 2012 წლისთვის, საქართველოს მაშინდელი მმართველი ელიტის მიმართ იმატა, თუმცა ჩანდა ერთგვარი ზოგადი მხარდაჭერა საერთაშორისო ორგანიზაციების მხრიდან, თუმცა ის (მხარდაჭერა) იცვლებოდა საქართველოში გაძლიერებული ოპოზიციისა და შიდა სამოქალაქო წინააღმდეგობების შესაბამისად, რის შემდეგაც 2012 წლის საარჩევნო შედეგებს და ხელისუფლების ცვლილებას მხარი სრულმა საერთაშორისო საზოგადოებამ დაუჭირა.

მოვლენების ანალიზით, ჩვენ შეგვიძლია „გარე ძალების“ ჩართულობის მოტივი ჯინ შარპის თეორიაზე დაყრდნობით ავხსნათ. ჯინ შარპი გარე ძალების ჩართულობის შესაძლებლობას რამდენიმე მოტივით აკრიტიკებს:

- საზღვრებს მიღმა სახელმწიფოები არც თუ იშვიათად იტანენ დიქტატურასაც და ეხმარებიან კიდეც მას, რომ უზრუნველჰყონ საკუთარი ეკონომიკური და პოლიტიკური ინტერესები;
- უცხო სახელმწიფოებმა შეიძლება უმტრონ დათრგუნულ ხალხს და არ შეასრულონ საკუთარი ვალდებულებები (ანუ არ დაეხმარონ მათ) რაიმე სხვა მიზეზის გამო;

- უცხო სახელმწიფოები აქტიურად ერთვებიან და რეალურად ეხმარებიან მხოლოდ მას შემდეგ, რაც შიდა წინააღმდეგობამ უკვე შეარყია დიქტატურა და მიიქცია საერთაშორისო საზოგადოების ყურადღება.

დიქტატურის გადასაგდებად პოლიტოლოგი რამდენიმე საჭიროებას ასახელებს:

- დათრგუნული მოსახლეობის გამბედაობის გაზრდა-გამყარება, შინაგანი თავდაჯერებულობის და წინააღმდეგობის უნარის მომატება;
- დათრგუნული ხალხის დამოუკიდებელი სოციალური ჯგუფების და ინსტიტუტების გამყარება;
- ფართო შიდა წინააღმდეგობის შექმნა;
- გონივრული სტრატეგიული გეგმის შექმნა და მისი განხორციელება.

დიქტატორების ბუნების აღწერისას ჯინ შარპი აცხადებს, რომ დიქტატორებს არ შეუძლიათ იმ ადამიანების გარეშე იყვნენ, რომელთა საშუალებითაც მართავენ. მათ გარეშე დიქტატორები ვერ უზრუნველჰყოფენ და ვერ შეინახავენ საკუთარი პოლიტიკური ძალაუფლების წყაროებს. **ძალაუფლების წყაროებში** თეორეტიკოსი ასახელებს შემდეგ ინსტრუმენტებს: ავტორიტეტები - ანუ ადამიანთა დამარწმუნებლები, რომ ძალაუფლება კანონიერია და ადამიანები მას უნდა დაემორჩილონ. **ადამიანური რესურსები** - ანუ პირებისა და ჯგუფების რაოდენობა და მნიშვნელობა, რომლებიც ემორჩილებიან მმართველს, მასთან თანამშრომლობენ და ეხმარებიან. **ცოდნა და უნარები** - რაც ძალაუფლებას, რეჟიმს სჭირდება და წარმოდგენილია თანამშრომლობით პირებსა და ჯგუფებში. **არამატერიალური ფაქტორები** - ფსიქოლოგიური და იდეოლოგიური ფაქტორები, რომლებიც აიძულებენ ადამიანებს დაემორჩილოს და დაეხმაროს მმართველს. **მატერიალური რესურსები** - სიმდიდრის, ბუნებრივ რესურსებზე, ფინანსებზე, ეკონომიკურ და სხვა საშუალებებზე მმართველის კონტროლი. **სანქციები** - სასჯელები, რომლებიც ემუქრება იმ ადამიანებს, ვინც უარს იტყვის თანამშრომლობაზე და ეურჩებიან, ეს აუცილებელია რეჟიმის არსებობისათვის და მისი პოლიტიკის გასატარებლად.

დიქტატურის საწინააღმდეგოდ, დემოკრატიული საზოგადოების მთავარ მახასიათებლად, ამერიკელი თეორეტიკოსი სახელმწიფოსგან დამოუკიდებელი ჯგუფების არსებობას ასახელებს - არასამთავრობო ჯგუფების და ინსტიტუტების სიმრავლეს, რომლებიც არ არიან დამოკიდებულები ხელისუფლებაზე ანუ სახელმწიფო სექტორზე. მაგალითად, რელიგიური ორგანიზაციები, კულტურული ასოციაციები, სპორტული კლუბები, პროფკავშირები, ეკონომიკური ინსტიტუტები, უფლებადამცველი ორგანიზაციები და ა.შ. შარპის შეფასებით, ეს ინსტიტუტები უზრუნველჰყოფენ ჯგუფურ და ინსტიტუციონალურ საფუძველს, რომლის წყალობითაც შესაძლებელია ხელისუფლებაზე ზეგავლენა და მათი შეწინააღმდეგება. თუ დიქტატურა ასეთი ავტონომიისა და თავისუფლების შესაძლებლობებს ზღუდავს, ხალხი კიდევ უფრო დაუცველი ხდება. ის ასახელებს სამ ფაქტორს, რომელიც განსაზღვრავს ასეთი ტიპის მმართველობების უკონტროლებლობის ხარისხს (1). მოსახლეობის *ნება* მმართველის ძალაუფლებას საზღვრები დაუდგინოს (2). დამოუკიდებელი ორგანიზაციების და ჯგუფების, ინსტიტუციების *ძალა,* რომლებიც ცდილობენ ძალაუფლების წყაროების გადაკეტვას (3). მოსახლეობის *უნარი* უარი უთხრას

ხელისუფლებას თანამშრომლობასა და მხარდაჭერაზე. თეორეტიკოსი თვლის, რომ ყველგან, სადაც დიქტატურა სუსტდებოდა ან ინგრეოდა, ხალხი და არასამთავრობო საზოგადოება ერთიან **დაუმორჩილებლობას** აცხადებდა. მისი შეფასებით, პოლიტიკური დაუმორჩილებლობა ძირითადად ორ მეთოდზე ახდენს დაყრდნობას - მასობრივ დემონ-სტრაციებსა და გაფიცვებზე, სინამდვილეში კი არსებობს ბევრად მეტი მეთოდი, რომლე-ბიც არსებითად სამ კატეგორიად იყოფა: პროტესტი და დარწმუნება, თანამშრომლობაზე უარის თქმა და ჩარევა.

ეს მეთოდები აქტიურად იყო გამოყენებული ე.წ. ხავერდოვანი რევოლუციის წინ. პროცესი რამდენიმე მიმართულებით იყო გაშლილი - ჯერ კიდევ მინისტრი (მომავალში პრეზიდენტი) მიხეილ სააკაშვილი თანამდებობას ტოვებს, მონაწილეობას ღებულობს თბილისის საკრებულოს არჩევნებში და ხდება საკრებულოს თავმჯდომარე. თავისთავად საინტერესოა თანამდებობის დატოვებამდე პერიოდი იუსტიციის მინისტრის პოსტზე, როდესაც სამთავრობო სხდომები, რომელსაც იმდროინდელი პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე წარმართავდა, გახდა მიხეილ სააკაშვილის ერთგვარი პოლიტიკური „ბენეფისი“, სადაც გაჯერებული იყო თავისი კოლეგების, მაღალი თანამდებობის პირების მიმართ ბრალდებებით, კორუფციის თუ თანამდებობის გადამეტების კუთხით. ეს პროცესი მაშინდელი საკმაოდ მონოტონური ხელისუფლების წიაღში ცოცხალი ძალის განცდას ტოვებდა სოციალური თუ უსაფრთხოების კუთხით უკმაყოფილო მოსახლეობის თვალში. მიხეილ სააკაშვილის ჯერ კიდევ მთავრობაში ყოფნისას გამოხატულ ანტისამ-თავრობო გამოსვლებს გარედან ზურგს უმაგრებდა საკმაოდ გააქტიურებული სამოქალაქო აქტივიზმი, რომლებმაც აქტიური პროტესტის მნიშვნელოვანი პლაცდარმი შექმნეს საზოგადოებაში. უკვე შემდგომ, როდესაც მიხეილ სააკაშვილი საკრებულოს თავმჯდო-მარე გახდა ამ პერიოდიდან მოყოლებული, თბილისის საკრებულო ერთგვარი შტაბი ხდება ოპოზიციისა და საზოგადოებრივი წინააღმდეგობისა. მოგვიანებით თანამდებობას ტოვებს მაშინდელი პარლამენტის თავმჯდომარე, ზურაბ ჟვანიაც. ახალგაზრდა „მეამბო-ხეების“ მიმართ სიმპატიები იზრდებოდა როგორც საქართველოში, ისე საქართველოს ფარგლებს გარეთაც.

2003 წლის არჩევნებამდეც და განსაკუთრებით არჩევნების შემდგომ, აქტიურად მიჰყვა საჯარო სექტორში მაშინდელი ოპოზიციის მხარდამჭერი მოძრაობები. ასე, რომ შარპის მოდელის სამივე კომპონენტი (პროტესტი და დარწმუნება, თანამშრომლობაზე უარის თქმა და ჩარევა - ავტ. შენიშვნა) პრაქტიკულად აქტიურად იყო გამოყენებული. თითქმის იგივე პროცესები გარკვეული სახესხვაობებით მოჰყვა უკვე „ნაციონალური მოძრაობის“ ფინალურ პერიოდში, პოლიტიკური ძალა „ქართული ოცნების“ და მისი დამფუძნებლის აქტივობების კვალდაკვალ, როდესაც მედიის, საზოგადოების, სამოქალაქო აქტივიზმის, არასამთავრობო სექტორის მნიშვნელოვანი ნაწილი პრაქტიკულად ანტისახელისუფლებო მოძრაობის სხვადასხვა ფრონტზე გაიშალა. აქტიური, თუმცა შეფარული პროტესტის სივრცედ გადაიქცა საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის ნაწილი, რომელიც იმ პერიოდისათვის და შემდგომ კიდევ უფრო გავლენიან ინსტიტუციად ჩამოყალიბდა

როგორც საზოგადოებრივი აზრის, ასევე მატერიალური და ადამიანური რესურსების კუთხითაც.

ბრიტანელი პოლიტიკური მოღვაწე, დიდი ბრიტანეთის უკანასკნელი პრემიერ-მინისტრი ლიბერალური პარტიიდან და უინსტონ ჩერჩილის ახლო მეგობარი, დეივიდ ლოიდ ჯორჯი (1916-1922), ასე აყალიბებდა თავის ამოცანას – „საზოგადოების მხარდაჭერითა და გაგებით გაცილებით ადვილია მიაღწიო დასახული მიზნის წარმატებით განხორციელებას, ვიდრე საზოგადოების გულგრილობითა და ოპოზიციაში ყოფნით“.

შესაბამისად, სხვადასხვა სექტორის აქტიური საპროტესტო საქმიანობა ორივე შემთხვევაში (2003-2012) წლების პერიოდში აქტიურ კავშირში იყო როგორც ცალკეული საზოგადოებრივი ჯგუფების გააქტიურებასთან, ასევე სამოქალაქო პროტესტის განცდასთან და აქტიურობასთან, ამ ყველაფრის ჯამურ მთლიანობაში კი „გარე ძალების“ მხარდაჭერასთან.

„ჩვენ არ ვეძებთ მოკავშირებს, როდესაც გვიყვარს ... სამაგიეროდ ჩვენ ყოველთვის გვჭირდება მოკავშირეები, როდესაც გვძულს“ (13). ამ სიძულვილს, ერიკ ჰოფერი, თავისი თეორიის მიხედვით, მასობრივ მოძრაობაში ერთ-ერთ მთავარ გამაერთიანებელ გრძნობად თვლის. თუმცა, როგორია ამ „სიძულვილის“ შეგროვებისა და მართვის გამოვლინება თანამედროვე საზოგადოებაში? - შეიძლება ითქვას, რომ ძალაუფლებითი ელიტების მიმართ თანამედროვე საზოგადოებრივი „სიძულვილი“ არა იმდენად შუასაუკუნეობრივი აჯანყებების თუ ამბოხებების გზაზე გადის, არამედ ეს დაუმორჩილებლობა და ამბოხი მხოლოდ ზომიერი აგრესიის კონტექსტში და ე.წ. მშვიდობიანი წინააღმდეგობის კონტექსტზე გადის.

ჯინ შარპი მნიშვნელოვნად მიიჩნევს **არაძალადობრივი ბრძოლის** მიზნობრიობას და ეფექტიანობას. გონივრული, დისციპლინირებული და მუდმივი დაუმორჩილებლობა, როგორც წესი, ისეთი ადამიანების ყურადღებასაც იქცევს, რომლებიც პასიურად უწევდნენ მხარდაჭერას დიქტატურას და რჩებოდნენ ნეიტრალურები. პოლიტიკური დაუმორჩილებლობის დემოკრატიულ ეფექტად თეორეტიკოსი შემდეგ ფაქტორებს ასახელებს: (1) მუქარების და რეპრესიების მიმართ წინააღმდეგობებსაც შეუძლია ადამიანებში თავდაჯერებულობის გამოწვევა; (2) არაძალადობრივი ბრძოლა დაუმორჩილებლობის და თანამშრომლობაზე უარის თქმის საშუალებას წარმოადგენს, რომლის დახმარებითაც ადამიანებს შეუძლიათ დიქტატორული ჯგუფის კონტროლს შეეწინააღმდეგონ; (3) არაძალადობრივი ბრძოლა შეიძლება გამოყენებულ იქნეს იმისთვისაც, რომ განმტკიცდეს დემოკრატიული თავისუფლება რეპრესიული მმართველობის დროსაც, მაგალითად სიტყვის - მედიის თავისუფლება, დამოუკიდებელი ორგანიზაციების და შეკრების თავისუფლების თავისუფლებები და ა.შ. (4) არაძალადობრივი ბრძოლა ეხმარება საზოგადოებაში დამოუკიდებელი ჯგუფებისა და ინსტიტუტების აღმოცენებას და გამყარებას. ისინი მნიშვნელოვანია დემოკრატიისათვის, რამდენადაც შეუძლიათ მოსახლეობის ძალის მობილიზება და პოტენციური ან არსებული დიქტატორისთვის რეალური ძალაუფლების შეზღუდვა; (5) არაძალადობრივი ბრძოლა ქმნის მეთოდებს, რომელთა დახმარებითაც ცალკეულ ადამიანებს თუ დამოუკიდებელ ინსტიტუტებს დემოკრატიის ინტერესში შეუძლიათ მმართველი ელიტების ძალების წყაროების შეზღუდვა ან გადაკეტვა,

დააყენებს რა მათ ძალაუფლებას საფრთხის ქვეშ. არაძალადობრივი ბრძოლა სოციალურ მოქმედებათა რთული ინსტრუმენტია.

ჯინ შარპი თავის თეორიულ ნაშრომში რამდენჯერმე ხაზს უსვამს და იმეორებს, რომ დიქტატურასთან ბრძოლის არსებითი მიზანი არა მხოლოდ დიქტატურის დამხობაა, არამედ დემოკრატიული სისტემის შექმნა, რომლის პირობებშიც ახალი დიქტატურის მოვლინება შეუძლებელია. პოლიტოლოგის ფორმულირებით, დიქტატურის დროს მოსახლეობაც, სამოქალაქო ინსტიტუტებიც ძალიან სუსტია, ხოლო ხელისუფლება კი ზედმეტად ძლიერი. თუ ეს არ მოგვარდება, ახალი მმართველები, სურვილის შემთხვევაში შეიძლება გახდნენ ისეთივე დიქტატორები, როგორც მათი წინამორბედები.

ჯინ შარპის სწორედ ეს დებულება ხდება საინტერესო 2012 წლის ხელისუფლების ცვლილების შემდგომი პერიოდის შესაფასებლად. ჯინ შარპი არ გამორიცხავს რომ დიქტატურა შესაძლოა შიშს არ ნერგავდეს, მაგრამ იმორჩილებდეს და დიქტატურის ძლიერება კიდევ უფრო მეტია, საზოგადოებას კი ჯერ გაცნობიერებული არ აქვს დიქტატურის არსებობა, ფორმალური თუ შესაძლოა პროცედურული დემოკრატიის გამო.

შეიძლება თუ არა ითქვას, რომ სწორედ ეს არის ცვლილების ილუზიის პირობა? პასუხის საძიებლად კვლავ მივმართოთ მოვლენების ანალიზს. თუ კი პირველი პრეზიდენტის ძალადობრივი დევნის შემდეგ მის მომხრეებს ფიზიკურად ანადგურებდნენ (გავიხსენოთ 1992 წლის თებერვლის მოვლენები, როდესაც პრეზიდენტ გამსახურდიას მომხრეების მიტინგი მაშინდელი მმართველი სამხედრო საბჭოს დავალებით დაცხრილეს და პრაქტიკულად ყველა მიტინგი ძალადობრივად ირბეოდა), ასევე ძალადობრივად უსწორდებოდნენ მეორე პრეზიდენტის მოწინააღმდეგე აქციების მნიშვნელოვან ნაწილს, თუმცა, შეიარაღებული დევნისგან განსხვავებით, აქ უკვე სახელმწიფო ინსტიტუტები, შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამონაწილეობით იყო ჩართული (ხშირად აქციის მონაწილეებს აპატიმრებდნენ, ნაწილს უშვებდნენ ქალაქგარეთ და ა.შ.), შემდგომ კი უკვე მესამე პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის მმართველობისას აქტიურად იდევნებოდა და ირბეოდა მისი საწინააღმდეგო საპროტესტო აქციები, რომლის განსაკუთრებით მწვავე მაგალითი სახელდება 2007 წლის 7 ნოემბრის და 2011 წლის 26 მაისის აქციების დარბევა, თუმცა ამ წლების განმავლობაში ერთგვარი დემოკრატიული ნიღბით აქციების ნაწილი დაშვებული იყო, სანამ მწვავე სახეს არ იღებდა. მიუხედავად იმისა, რომ მიხეილ სააკაშვილმა 2004 წლის არჩევნებით 97% მხარდაჭერა მიიღო, საკმაოდ მალევე მის წინააღმდეგ აქტიური საპროტესტო კამპანიები იმართებოდა სხვადასხვა დროს.

ამ პერიოდების მმართველობის განმავლობაში, საქართველოში, პრაქტიკულად იშვიათი ეპიზოდები იყო ჰარმონიული საზოგადოებრივი და პოლიტიკური ცხოვრებისა, თუმცა, საინტერესოა, რომ 2012 წლის სახელისუფლებო ცვლილების შემდეგ წლების განმავლობაში აქტიური საზოგადოებრივი წინააღმდეგობა ერთი შეხედვით არ ჩანდა, დროდადრო წარმოქმნილი საპროტესტო კერები კი ყოფილი მმართველი ძალის მხარდამჭერებთან ასოცირდებოდა. მათი უმრავლესობაც იყო ხანმოკლე და რამდენადმე წარუმატებელიც. მიუხედავად მზარდი საზოგადოებრივი უკმაყოფილებისა უკვე შემდგომი მმართველი

ძალის - „ქართული ოცნების“ მიმართ, საზოგადოებრივი წინააღმდეგობა და პოლიტიკური დაუმორჩილებლობა პრაქტიკულად არ ხორციელდებოდა.

ჯინ შარპი, პოლიტიკური დაუმორჩილებლობაზე მსჯელობისას, ცალკე გამოყოფს შერჩევითი წინააღმდეგობის ასპექტს. ზოგადად, პოლიტიკური დაუმორჩილებლობის შესახებ, თეორეტიკოსი ამბობს, რომ ეს ხშირად მოქალაქეთა დაბალი თავდაჯერებულობის ბრალი შეიძლება იყოს. პრაქტიკული პოლიტიკის წარმოებისას, მისი რეკომენდაციები მოიცავს მოსახლეობის შიშისა და დაბალი თავდაჯერებულობის მართვას. ის აქცენტს აკეთებს გრძელვადიან დაგეგმვაზე, მისი თეორიის მიხედვით, თუ მოსახლეობას ეშინია და საკუთარ უსუსურობას გრძნობს, ძალზედ მნიშვნელოვანია საზოგადოებრივი ამოცანები ნაკლებად რისკიანი იყოს და ქმნიდეს თავდაჯერებულობას. მისი თქმით, ზოგჯერ ყურადღების ქვეშ აღმოჩნდება ხოლმე წვრილი და არაპოლიტიკური საკითხები. სტრატეგოსებმა უნდა შეარჩიონ პრობლემა, რომლის მნიშვნელობასაც ფართოდ აღიარებენ სხვებიც.

აქ საინტერესოა ამ პერიოდის ოპოზიციის წარუმატებელი მცდელობები საპროტესტო მუხტის გაღვივებისა, რომელსაც მოსახლეობაში მხარდაჭერა ნაკლებად მოჰყვა, მაგალითად, საკონსტიტუციო ცვლილებების თემა ან სასამართლოების საკითხი. ასევე წარუმატებელი იყო ე.წ. ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერის წინა პერიოდში ყოფილი მმართველი პარტიის მცდელობები ანტისახელისუფლებო გამოსვლებისთვის, რომლის მიხედვითაც თითქოსდა საქართველოს ხელისუფლება („ქართული ოცნების“ მმართველობით), არ აპირებდა ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერას. ამას წინ უძღოდა უკრაინაში მიმდინარე პროცესი, სადაც უკრაინის მაშინდელმა პრეზიდენტმა ვიქტორ იანუკოვიჩმა უარი განაცხადა ასოცირების ხელშეკრულებაზე ხელის მოწერაზე, რასაც საპროტესტო აქციები მოჰყვა. ამ ანალოგებზე აპელირების მიუხედავად, მოსახლეობის მხარდჭერის მიღება ვერ მოხერხდა. უშედეგო აღმოჩნდა ე.წ. ქვეყნის ერთიანობის აქცია, რომელზეც გარკვეული მხარდამჭერების მობილიზება კი მოხერხდა, მაგრამ ეს ყველაფერიც გასაღდა როგორც „ნაციონალური მოძრაობის“ მხარდამჭერების აქცია. უშედეგო აღმოჩნდა საპროტესტო აქცია ე.წ. „ლარის თემაზე“, რასაც გაგრძელება და საზოგადოებრივი საპროტესტო კამპანიები არ მოჰყოლია, მიუხედავად მოსახლეობის სოციალური პრობლემებისა და ხელისუფლებისადმი მზარდი საზოგადოებრივი ნეგატივისა, აღნიშნული კამპანიები ვერ გახდა წინააღმდეგობის ბრძოლის ასპარეზი. აქვე აღსანიშნავია, რომ ამ პერიოდების აქციებში „ნაციონალური მოძრაობა“ პრაქტიკულად მარტო მოქმედებდა და სხვა ოპოზიციური პარტიების მხარდაჭერა არ მოჰყოლია.

წარუმატებელი ანტისახელისუფლებო კამპანიების კვალდაკვალ, ცალკეულ თემებზე გარკვეული საზოგადოებრივი მხარდაჭერის მიღება მოხერხდა, როდესაც პროცესებს აპროტესტებდნენ სხვადასხვა სამოქალაქო ჯგუფები, ეს იყო შრომის კანონმდებლობის თემა, ხელისუფლება კი გარკვეულ კომპრომისებზე წავიდა (ამ პროცესს საფუძვლად დაედო Human Rights Watch-ის კრიტიკული შეფასებები). 2012-2016 წლების ერთგვარი, ნაწილობრივ მშვიდი პოლიტიკური ტემპერატურისგან განსხვავებით, 2016 წლის საპარლამენტო არჩევნების შედეგად ფორმირებული საკანონმდებლო და აღმასრულებე-

ლი ხელისუფლების მიმართ კიდევ უფრო გაიზარდა საზოგადოებრივი უკმაყოფილება, თუმცა, ხელისუფლება და მისი მთავარი წარმმართველი ძალაუფლების სივრცე არ შეცვლილა, მმართველობაში კვლავ დარჩა „ქართული ოცნება“, რომლის მმართველობასაც არსებითად წარმართავდა პარტიის ხელმძღვანელად დაბრუნებული ბიძინა ივანიშვილი. 2018 წლიდან მოყოლებული, აქტიური საპროტესტო პროცესები განვითარდა ე.წ. „ბასიანის“, „სარალიძის“, „გავრილოვის“ თემებზე. „ბასიანის“ საპროტესტო აქციები ეხებოდა ხელისუფლების მხრიდან ჩატარებულ სპეცოპერაციას კლუბ „ბასიანში“, „სარალიძის“ საპროტესტო აქციები ეხებოდა მოზარდების მკვლელობის თემას, რომლის საპროტესტო მოტივი დაკავშირებული იყო გამოძიებისადმი უნდობლობასა და შესაძლო დამნაშავეების სახელისუფლებო მფარველობის თემასთან, მხოლოდ ე.წ. „გავრილოვის“ საპროტესტო აქციები იყო დაკავშირებული პირდაპირ პოლიტიკურ მოტივთან, რასაც ხელისუფლების მხრიდან მორიგი გარკვეული კომპრომისების იძულება მოჰყვა (პარლა-მენტის თავმჯდომარის გადადგომა, პარლამენტის ერთ-ერთი წევრის მიერ მანდატის დათმობა, მმართველი პარტიის ხელმძღვანელის მხრიდან „ნულოვანი“ პროპორციული არჩევნების შეპირება). აქტიური კამპანია განხორციელდა 2020 წლის არჩევნების პერიოდში, რასაც მოჰყვა შარლ მიშელის შეთანხმების პერიპეტიები, თუმცა, ეს ცალკე სტატიის თემაა.

მოცემული მოტივები მოსახლეობის არსებითი მხარდაჭერით სარგებლობდა, რაც ჯდება „შერჩევითი წინააღმდეგობის“ შარპისეულ თეორიაში, რომლის მიხედვითაც „შერჩევითი წინააღმდეგობის“ სტრატეგიის შემუშავებისას საჭიროა განისაზღვროს პრობლემის ან უკმაყოფილების არსებითი პრობლემები, რომლებიც საერთო უკმაყოფილების სიმბო-ლიზირებას ახდენენ. თეორიის თანახმად, შერჩევითი წინააღმდეგობის სტრატეგიამ, უპირველეს ყოვლისა, კონცენტრირება უნდა მოახდინოს კონკრეტულ პრობლემებზე - სოციალური, ეკონომიკური ან პოლიტიკური მიმართულებით. მათი შერჩევა უნდა მოხდეს ისე, რომ სოციალური და პოლიტიკური სისტემის ნაწილი დიქტატორის კონტროლიდან გამოვიდეს.

დიქტატურის წინააღმდეგ ბრძოლის თეორიების განხილვისას, ჯინ შარპი „დიქტატურის“ ტრადიციულ აღქმაზე აკეთებს აქცენტს, როდესაც საზოგადოებისათვის პროცესები არსებითად გაცნობიერებულია, ხოლო დიქტატორის ქმედებები მკაფიოდ ხილვადი. თეორეტიკოსი ამ ნაშრომში არაფერს ამბობს დიქტატურის ერთგვარ „მოდერნიზებაზე“ ანუ ფარულობაზე. ქართულ რეალობაზე დაყრდნობით დღეს ფართოდ შეგვიძლია ვიმსჯელოთ 2012 წელს მოსული ხელისუფლების „შეფარული“ იერის დიქტატურულ ხასიათზე, რომლის სტრატეგიის გაზომვაც რამდენიმე ფაქტორით შეიძლება - დისკრედი-ტაციული კამპანიები, მოსახლეობის ცნობიერების სისუსტით მანიპულირება, პირდაპირი ზეწოლის ნაცვლად ირიბი ზეწოლები, კანონებით მანიპულირების გზით და ა.შ. საინტერესოა ისიც, რომ შესაძლოა ასეთ დროს სახელისუფლებო ზეწოლა და ძალადობა ტრადიციული გააზრებით ნაკლებად ფიქსირდებოდეს ან მასობრივი ადამიანისთვის დიქტატურის გასაცნობიერებლად და სამსჯელობოდ რთულ პროცესებს აქვს ადგილი. მაგალითად, პროცესები ბიზნესზე ზეწოლის თუ არასამთავრობო ორგანიზაციების - ხელისუფლებისგან დამოუკიდებელი ჯგუფებისა თუ ინსტუტიციების დისკრედიტაციის

გზით, სადაც წინააღმდეგობის მოძრაობა სუსტდება მოსახლეობაში დისკრედიტირებული „ავტორიტეტებისადმი“ ნდობის შემცირების გამო (ამ მხრივ, საინტერესოა ცალკე ანალიზის საფუძველი იყოს საქართველოს ეკლესიის დისკრედიტაციის პროცესის ობიექ-ტური და სუბიექტური გარემოებების კვლევა), რითიც ართმევს რა ძალაუფლების ჯგუფი კრიტიკოსებს, მოწინააღმდეგეებს თუ ოპონენტებს მთავარ სამოქმედო ველს.

კვლევის შედეგები

ხელისუფლებისგან დამოუკიდებელი ჯგუფების და წინააღმდეგობრიობის ბრძოლის აქტორების კუთხით 2016 წლის შემდგომი პერიოდის საქართველოში კვლევამ აჩვენა, რომ საწყის ეტაპზე, ზოგადად შეიძლება ითქვას, რომ 2003-2012 წლების ხელისუფლების შეცვლის შემდგომ 2012-2016 წლამდე პერიოდი არსებითად ითვლებოდა „ახალი ხელისუფლების“ („ქართული ოცნების“) საქმიანობაში დემოკრატიული ინსტიტუტების გაძლიერების პერიოდად, მანამდე არსებული საერთაშორისო ანგარიშების მნიშვნელო-ვანი წილი აქცენტებს აკეთებდა „ნაციონალური მოძრაობის“ პერიოდში ავტორიტარულ მმართველობასა და დემოკრატიული ინსტიტუტების შესუსტების კუთხით, განსაკუთ-რებით 2007-2011 წლებში, ეს იქნებოდა მედიის კუთხით, ხელისუფლებისგან დამოუკი-დებელი ჯგუფების (მათ შორის ბიზნეს სუბიექტებისაც) და ინსტიტუციების - არასამთავ-რობო ორგანიზაციების თუ ოპოზიციისადმი ხელისუფლების დამოკიდებულების კუთხით. 2012-2016 წლების პერიოდი, მიუხედავად საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციებში კრიტიკული ნაწილებისა, მთლიანობაში მაინც დემოკრატიული მაჩვე-ნებლების ზრდაზე იყო საუბარი, ასევე შეიძლება ჩაითვალოს სოციოლოგიური ჯგუფების მხრიდან საქართველოში ჩატარებული გამოკითხვების კუთხით, სადაც საზოგადოებრივი აზრი ასევე იყო დემოკრატიული საზომის გაუმჯობესებაზე აქცენტირებული. 2016 წლის შემდგომ პერიოდში, გააქტიურდა როგორც ოპოზიციური ველი, ასევე საერთაშორისო საზოგადოება და ადგილობრივი მოსახლეობის შეფასებები ხელისუფლების ავტორიტა-რიზმის თაობაზე, ასევე ე.წ. ჩრდილოვანი მმართველობის ხარვეზებსა თუ ხელისუფლე-ბის მხრიდან ხელისუფლებისგან დამოუკიდებელი ინსტიტუციების მიმართ შეტევასთან დაკავშირებით.

რამდენიმე ძირითადი სექტორი აღმოჩნდა გარკვეულწილად დევნის სუბიექტი, რომელთა შორის ნაწილიც ასევე შეფასებული იყო საერთაშორისო ორგანიზაციების მხრიდან, მათ შორის მედია, მაგალითად, „რუსთავი 2“-ის, საზოგადოებრივი მაუწყებლის მენეჯმენტის ცვლილება და თანამდევი სარედაქციო პოლიტიკა, ტელეკომპანია „იბერიას“ დახურვა, „საზოგადოებრივი მაუწყებლის“, „მაესტროს“ და „იმედის“ შეცვლილი სარედაქციო პოლიტიკა და სახელისუფლებო ლოიალიზმი, შეცვლილი მფლობელები, მენეჯმენტი, მემკვიდრეები და ა.შ. ადგილობრივი საერთაშორისო ორგანიზაციები და არასამთავრობო სექტორი - ძირითადი სახელისუფლებო ვერტიკალი, რომელმაც პროპაგანდისტული შეტე-ვა წამოიწყო ადგილობრივ არასამთავრობო სექტორის მნიშვნელოვან ნაწილზე, დისკრე-დიტაციის გზით, ასევე მათი აფილირების მცდელობით წინა მმართველ ძალასთან და ა.შ.

სხვა დამოუკიდებელი არასახელისუფლო ორგანიზაციები - აქ მნიშვნელოვან წილად შეგვიძლია განვიხილოთ საქართველოს საპატრიარქოს დისკრედიტაციის პროცესი, რომელიც ერთი მხრივ განპირობებული იყო ხელისუფლების გავლენის და ძალაუფლების ჯგუფების თუ პირების მიმართ ფინანსური დამოკიდებულებით, თუმცა ამისვე პარალელურად ე.წ. უსაფრთხოების სამსახურების თუ შსს-ს მხრიდან სასულიერო პირების შესახებ მაკომპრომეტირებელი ინფორმაციის შეგროვების და მართვის ინფორმაციით, ასევე სხვა ფაქტორებით, რომლებიც ჩვენი მოცემული ინტერესის ველის იქით შეგვიძლია დავასახელოთ და ამ ჩამონათვალს არ მივუმატოთ (ეს არის იდეოლოგიური ოპონენტები და სხვადასხვა, საზღვრებს მიღმა აგენტურული ინტერესებით).

ბოლო წლებში კვლავ გაიზარდა იმ ბიზნესმენთა რაოდენობა, რომლებიც თავსაც და საკუთარ ბიზნესსაც ხელისუფლებას დევნილობაში ადანაშაულებდნენ, მნიშვნელოვანია სხვა კერძო კომპანიებთან ერთად „ომეგა ჯგუფის“ ქეისი და „თი ბი სის“ ქეისი. აქ ნიშანდობლივი არის ის, რომ სწორედ ის ბიზნეს სუბიექტები აღმოჩნდნენ დევნის რეჟიმში, რომლებიც ხელისუფლების მიმართ შედარებით ან მნიშვნელოვნად კრიტიკულად გამოიხატებოდნენ, მით უფრო, თუ ოპოზიციის დაფინანსების ინტერესს გამოხატავდნენ. ასევე მნიშვნელოვან ფაქტორად შეგვიძლია ჩავთვალოთ ისიც, რომ დღემდე ბიზნეს სუბიექტები აქტიურად ცდილობენ მმართველი გუნდის საპარლამენტო სიაში მოხვედრას და საკანონმდებლო ორგანოში შეღწევას, რაც არსებითად ბიზნესის დაცვის ან ლობირების ინტერესით შეიძლება იყოს პროვოცირებული.

ხელისუფლებისგან პროპაგანდისტულ და დისკრედიტაციის რეჟიმში აღმოჩნდნენ საზოგადოებრივი აზრის ლიდერებიც, კერძოდ, ხელისუფლებისგან დამოუკიდებელი დარგობრივი სპეციალისტები, ანალიტიკოსები, ექსპერტები, ინტელექტუალური წრეების წარმომადგენლები და ა.შ. მათ მიმართ მუდმივია მმართველი ძალის წარმომადგენლების მხრიდან დისკრედიტაციული კამპანიები, ხელისუფლების მიმართ ლოიალურად განწყობილი მედიასაშუალებები აკეთებენ მადისკრედიტირებელ პროპაგანდისტულ გადაცემებს ან საუკეთესო შემთხვევაში ამ მაუწყებლების „შავ სიაში“ ხვდებიან და მსგავსი მედიასაშუალებების სივრცეში საჯარო აქტიურობის შესაძლებლობას არიან მოკლებულები.

2003-2012 წლების მმართველი რეჟიმის შეფასებისას არაერთგან იქნა მხილებული მაშინდელი „უსაფრთხოების სამსახურების“ მხრიდან მოქალაქეთა მაკომპრომეტირებელი, მაშანტაჟებელი მასალების წარმოების ინდუსტრია, 2012 წლის შემდგომმა ხელისუფლებამ არაერთი ჩანაწერიც აღმოაჩინა და გაანადგურა, თუმცა, როგორც ბოლო წლების (2016-2019) მოვლენები ცხადჰყოფს, ძალაუფლების ჯგუფები ვერც „ქართული ოცნების“ ხელისუფლების პერიოდში შეელივნენ ოპონენტებზე ზეწოლის ამ ხერხებს, 2012-2019, ასევე 2020-21 წლების პერიოდში არაერთი ასეთი მასალა გავრცელდა, რომელიც ხელისუფლებისთვის არასასურველი პირების დისკრედიტაციას ემსახურებოდა. გარდა ფარული ჩანაწერებისა, საქართველოსთვის აქტიურ და საინტერესო სოციალურ მედიაში გააქტიურდა ათობით ჯგუფები, რომლებიც ე.წ. ფეიკ-ნიუსებს ავრცელებდნენ ხელისუფლების ოპონენტების მიმართ, ცრუ ინფორმაცია და ჭორების მეთოდი ერთ-ერთ მეთოდად ითვლება პროპაგანდისტიკაში კონკურენტების მოსაცილებლად. მნიშვნელოვანი ფაქტო-

რია, რომ ბოლო წლებში საკვანძო თემებზე ხელისუფლება არაპირდაპირად დაუპირის-პირდა საზოგადოების პოზიციას პრაქტიკულად ყველა მნიშვნელოვან საკითხზე - არჩევნების ჩატარების წესზე, მათ შორის პრეზიდენტის არჩევის წესზე, საკონსტიტუციო ცვლილებებზე, სასამართლოების და ა.შ. საკითხზე.

დასკვნა

ნაშრომის ფარგლებში ჩატარებულმა სამუშაოებმა აჩვენა, რომ თანამედროვე პოლიტიკურ ეპოქაში უნდა ვისაუბროთ პრომოუტირებულ, ერთგვარ „შეფუთულ დიქტატზე“. ვიმსჯელოთ დიქტატის დიქტატით ცვლილების შესახებ, რაც არსობრივად ცვლილების ილუზიას უფრო წარმოადგენს, ვიდრე ცვლილებას დიქტატურიდან დემოკრატიამდე. 2012-2021 წლების საქართველო უთუოდ საინტერესოა დიქტატის თანამედროვე გამოვლინების კვლევის კუთხით.

შეფუთული დიქტატი არსებითად ინარჩუნებს დიქტატის მთავარ კონცეფციას, ერთმმარ-თველობას, ხელისუფლებისგან დამოუკიდებელი ინსტიტუციების არაეფექტიანობას ან ნაკლებეფექტიანობას. დიქტატის კლასიკურ განმარტებაში ეს ინსტიტუციები საერთოდ არ არსებობს, თუმცა „შეფუთულ დიქტატში“ ისინი არსებობენ, მაგრამ მათი ზეგავლენა სახელისუფლებო ძალაუფლებაზე არსებით ზემოქმედებას ვერ ახდენს.

თანამედროვე - „შეფუთულ დიქტატს“ ილუზორული ცვლილება, ერთგვარი პროცედუ-რული დემოკრატიაც ახასიათებს, თუმცა, ის ძირითადად შენიღბულია ფორმებით და არა შინაარსით. ძალაუფლებაზე ზეგავლენა წარმოადგენს ძირითადად იმიტაციებს და არა კონცეფციას. ბელგიელი პოლიტიკის თეორეტიკოსი, შანტალ მუფი, თავის წერილში „დემოკრატიის აგონისტური მოდელისთვის“ (7), ახსენებს გერმანელი სოციოლოგი, პოლიტოლოგი და ფილოსოფოსი იურგენ ჰაბერმასის შეხედულებას, ჰაბერმასი მის ბოლო წიგნში „ფაქტებსა და ნორმებს შორის“ აჩვენებს, რომ მისი პროცედურული დემოკრატიის ერთ-ერთი მიზანია, წინ წამოწიოს ფუნდამენტური ინდივიდუალური უფლებებისა და სახალხო სუვერენიტეტის „თანა-პირველადობის“ იდეა. ერთი მხრივ, თვითმმართველობა ემსახურება ინდივიდუალური უფლებების დაცვას; მეორე მხრივ, ეს უფლებები წარმოადგენენ აუცილებელ პირობებს სახალხო სუვერენიტეტის განსახორციელებლად. მაშინათვე, როცა საკითხს ასე დავსვამთ, იგი ამბობს, „შეგვეძლება გავიგოთ ის, თუ როგორ მუშაობს სახალხო სუვერენიტეტი და ადამიანის უფლებები გვერდიგვერდ და ამგვარად, ჩავიჭიროთ სამოქალაქო და პირადი ავტონომიის თანა-პირველადობა“ (12), თუმცა, ეს ავტონომიურობა ასევე ილუზორული ხდება, თუ გავითვალისწინებთ სახელმწიფოს, უფრო ზუსტად კი სახელისუფლებო ძალაუფლებ(ებ)ის დეკლარირებულ პოზიციებსა და პრაქტიკას შორის სხვაობას.

„შეფუთულ დიქტატში“ ასევე მკაფიო სხვაობაა ძალაუფლების გაგების, გამოყენების და რეალიზაციის ფორმებს შორის. მაშინ, როდესაც ხელისუფლებ(ებ)ი დეკლარირებენ ადამიანზე ორიენტირებულ პოლიტიკას, პოლიტიკის მორალურ ღირებულებებს და არსებითად გამოდიან ლიბერტალიანული პოლიტიკური ჯგუფების შეხედულებების

(ნეორეალიზმის გამოვლინებებზე იხილეთ ზემოთ) წინააღმდეგ, სინამდვილეში აქტიურდება თანამედროვე ოლიგარქიზმისათვის დამახასიათებელი პოლიტიკური სისტემები, რაც თანშეზრდილია „შეფუთულ დიქტატთან“ ანუ დეკლარირებულად დემოკრატიულ, სინამდვილეში კი 21-ე საუკუნისათვის დამახასიათებელი სამომხმარებლო მარკეტინგის სისტემასთან, ვიწრო ელიტების მმართველობასთან. დემოკრატია, როგორც ფასეულობათა სისტემა ძირითადად მოსპობილია, ნიველირებულია, მის ადგილს კი იკავებს ილუზორული წარმოდგენები, ცვლილებების ილუზორულობა, სადაც მოქალაქეთა ცნობიერება ხდება მართვადი და გადაწყვეტილებები მოდიფიცირებული. ეს კონცეფცია ქმნის „შეფუთულ დიქტატს“, როგორც თანამედროვე ძალაუფლების განხორციელების ინსტრუმენტსა და ძირითად, ფაქტობრივ იდეოლოგიას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ასათიანი მ. 2006. *კულტურის სოციოლოგია.* თბილისი: სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი.
2. გრამში ა. *ხელისუფლების ჰეგემონია ანუ მმართველობა ფორმალურად და არაფორმალურად.* თარგმანი მიხეილ გოგატიშვილისა. (გამოუქვეყნებელი ნაშრომი).
3. ეუთო-ს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისი. *არჩევნებზე დამკვირვებელთა მისიის ანგარიში. რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნები.* 2004 წლის 4 იანვარი. ვარშავა. 28 თებერვალი. 2004 წელი. (www.osce.org/odihr). (23.01.2022).
4. ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისი საქართველო. *საპარლამენტო არჩევნები 2012 წლის 1 ოქტომბერი - ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიის საბოლოო ანგარიში.* ვარშავა. 2012 წლის 21 დეკემბერი. (www.osce.org/odihr). (23.01.2022).
5. ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისი საქართველო. *რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნები 2008 წლის 5 ოქტომბერი - ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიის დასკვნითი ანგარიში.* ვარშავა. 2008 წლის 4 მარტი. (www.osce.org/odihr). (23.01.2022).
6. კოდუა ე. 2004. *სოციალურ და პოლიტიკურ ტერმინთა ლექსიკონი - ცნობარი.* თბილისი: ლოგოს პრესი.
7. მუფი შ. *დემოკრატიის აგონისტური მოდელისთვის.* თარგმანი გიორგი ჩუბინიძისა. დემოკრატიის აგონისტური მოდელისთვის. pdf (socialjustice.org.ge). (21.11.2021).
8. საყვარელიძე ფ. 1999. *ადამიანის უფლებათა ლექსიკონი.* თბილისი: დასი.
9. ურიდია ს. 2004. *მოხელის სამაგიდო ლექსიკონი / გაეროს განვითარების პროგრამა.* თბილისი: საჯარო მოსამსახურის ბ-კა.
10. ჰეივუდი ე. 2004. *პოლიტიკური იდეოლოგიები: შესავალი კურსი.* თბილისი: ლოგოს პრესი.
11. Gilpin R.G. 1984. *The Richness of the Tradition of Political Realism.* Spring.
12. Habermas J. 1996. *Between Facts and Norms: Contributions to a discourse Theory of Law and Democracy.* Cambridge.
13. Hoffer E. 1988. *The true beltever.* New York.
14. Keohane R.O. 1985. *Neorealism and its Critics.* New York.
15. Keohane R.O. 1986. *Neorealism and its Critics.* New York.
16. Keohane R.O., J.S. Ney. 1989. *Power and Interdependence.* World Politics in Transition, Cambridge/Mass.
17. Kueng H. 1997. *Weltethos fuer Weltpolitik und Weltwirtschaft.* Muenchen.
18. Sharp G. 1993. *From Dictatorship to Democracy A Conceptual Framework for Liberation Fourth.* U.S. Edition. The Albert Einstein Institution.

19. Riklin A. 1995. *Politische Ethik. Politische Theorie und Ideengeschichte in Gespraech.* Wien.
20. Weber M. 1921. *Wirtschaft und Gesellschaft. Grundniss der verstehenden Soziologie.* Tuebingen.

Fake collective will construction mechanism and power dictation 2003-2021 in Georgia

Archil Gamzardia
Grigol Robakidze University, PhD student
gamzardiaarchil@gmail.com

Abstract. The reasons for changes of Governments in Georgia since 1990 have been officially cited to be the fight against dictatorships. Dictatorships have been occurred in Georgia under the various motives for the years, even in the 2000s, although Georgia acknowledged the classical meaning of the term "Dictatorship" like the rest of the contemporary world. It is worthwhile to study not only the dynamic of changing the meaning of the term "Dictatorship", but to examine the content and occurrences of "Dictatorship" in Georgia, that is the core subject of the represented article. The paper "Fake collective will construction mechanism and power dictation 2003-2021 in Georgia" examines the forms and reasons of government changes of the mentioned period exploring the new governments' management styles and attitudes of society. The research topic also covers the elections of 2021 that is regarded as the basis of the next political era in Georgia. This article attempts to find the solutions to the following issues: "Dictatorship", "Democracy" and Georgia – the ways of the development of a public opinion in the period of government changes in 2003-2020; Etymology of the evaluation of new authorities (dictatorship, democracy); Illusion of the democratic changes/reforms or development – replacement of dictatorship with a democracy or replacement of dictatorship with a new dictatorship; How is democracy evaluated in Georgia? – The national characteristics, dynamics and public opinion of the evaluation of democracy and dictatorship; How to manage democracy to get the essential progress in Georgia? (regarding public opinion, citizenship and participation). The paper discusses the theories of Hans Kung, Max Weber, Eric Hoffer and Jurgen Habermas, in order to find the answers to the above mentioned issues. Furthermore, here is reviewed the theories of public opinion formation according to the Antonio Gramsci's "Cultural Hegemony" and Jim Sharp's "From Dictatorship to Democracy – A Conceptual Framework for Liberation". The article hypothesis that the forms of dictatorship are changed in the 21st century. It is well wrapped and significantly differ from its classical meaning and nowadays, there is no need of tyranny and absolute autocracy. The mentioned topic is discussed in a multidiscipline perspective, like service and political marketing, policy philosophy, theories of political sciences, service management and in the overall context of various communication fields. The article develops the criteria for evaluation of modern dictatorship and finds answers to the questions why is it considered that the replacement of dictatorship with democracy is illusion and how is dictatorship wrapped into the cloak of democracy.

Key words: power, dictation, democracy, voter, authority, opposition, political struggle

რუსეთ-უკრაინის ურთიერთობა და პერსპექტივები

ოთარ ანდრიაძე
გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი, დოქტორანტი
otar.andriadze20@gruni.edu.ge

რეზიუმე. სტატია ეძღვნება რუსეთ-უკრაინას შორის ურთიერთობებს, რომელიც გამომდინარეობს ღრმა ისტორიული წარსულიდან და მოიცავს ურთიერთობის ბევრ მნიშვნელოვან ასპექტს. რუსეთი უკრაინას განიხილავს როგორც საკუთარი სტრატეგიული ორბიტის ნაწილად, რაც მას საშუალებას არ აძლევს დამოუკიდებელ და სუვერენულ სახელმწიფოდ ფორმირებაში. სტატიაში საკვანძო საკითხად განხილულია დასავლეთის როლი და მნიშვნელობა, რაც რუსეთ-უკრაინას შორის არსებულ კრიზისს მეტად გლობალურ ასპექტში განიხილავს. კვლევაში უკრაინის რუსეთთან ურთიერთობის გამწვავების მთავარ მიზეზებად დასახელებულია ისეთი ფაქტორები, როგორიც არის უკრაინის ნატოში გაწევრიანების სწრაფვა და ზოგადად ევროკავშირში ინტეგრაციის პროცესი, ასევე ორ ქვეყანას შორის ასიმეტრიული დამოკიდებულება, და რუსეთის აღქმა როგორც ჩამოუყალიბებელ და არშემდგარი სახელმწიფოს მიმართ. ურთიერთობის გამწვავების მთავარი მიზეზი რუსეთის ფედერაციის უსაფრთხოების შეზღუდვის შიშია, რომელიც უკრაინის დაკარგვიდან მომდინარეობს. სტატიაში ასევე საუბარია ისეთ მნიშვნელოვან კონცეფციაზე, როგორიც არის ურთიერთდამოკიდებულების და ძალთა ბალანსის თეორია. აღნიშნული თეორიების ჭრილში გაანალიზებულია როგორც უკრაინა-რუსეთის ურთიერთობა, ასევე სხვა დაინტერესებული სახელმწიფოთა მიზნები და ამოცანებიც. კვლევით დგინდება, რომ რუსეთ-უკრაინას შორის არსებული კრიზისის დარეგულირება შესაძლებელია უკრაინის, როგორც ნეიტრალურ სახელმწიფოდ გამოცხადება, რაც შესაძლებელი იქნება უკრაინაში ხელისუფლების ცვლილების შემდეგ.

საძიებო სიტყვები: რუსეთ-უკრაინის კრიზისი, სამშვიდობო ფორმატი, ნეიტრალიტეტი, უკრაინა და დასავლეთი

შესავალი

რუსეთ-უკრაინას შორის არსებული ურთიერთობა, უახლესი გეოპოლიტიკური და საერთაშორისო ტენდენციების გათვალისწინებით ნათლად ასახავს სამუელ ჰანთიგტონის ცნობილ ნაშრომში განხილულ პრობლემას, ცივილიზაციათა შეჯახების და დაპირისპირების შესახებ. ცივილიზაციური შეჯახების თეორია გამოუსადეგარია თუ მას მივუსადაგებთ რუსეთ-უკრაინას, როგორც კულტურულ, ეთნიკურ, რელიგიურ და მენტალურად ძალიან ახლოს მდგომ ხალხებს. ამ შემთხვევაში აუცილებლად მივალთ მცდარ დასკვნამდე, თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ცივილიზაციური შეჯახების არედ, უკრაინის სივრცე მოიაზრება, ხოლო მხარეებად რუსეთი და ამერიკის შეერთებული შტატები. უკრაინაში 2013-2014 წელს დაიწყო უმნიშვნელოვანესი პროცესები, რომელიც მიზნად ისახავდა რუსეთის სახელმწიფოს პოლიტიკური გავლენებისგან განთავისუფლებას, დასავლური ვექტორის არჩევით. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ევროკავშირის რიგი ქვეყნები, რომლებიც გავლენას ახდენდნენ ევროკავშირის საშინაო და საგარეო პოლიტიკის ფორმირებაზე

მნიშვნელოვან გავლენას განიცდიდნენ რუსულ ენერგომატარებლებზე, რაც საბოლოოდ იწვევდა მათი რუსეთისადმი ლოიალურ დამოკიდებულებას.

აღნიშნული ტენდენციები მკაფიოდ ისახებოდა გერმანიის პოლიტიკურ მოქმედებებში და რუსეთთან ურთიერთობის ასპექტებში, რაც მნიშვნელოვნად ასუსტებდა აშშ-ის გავლენას ევროკავშირზე. დასავლეთ ევროპის ქვეყნები თავიანთი ეკონომიკით მნიშვნელოვნად უსწრებენ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებს, რაც მათ პოლიტიკურ და საერთაშორისო გავლენებზეც აისახება. დასავლეთ ევროპის ქვეყნების მზარდი ეკონომიკური პოტენციალი და დამოუკიდებლობა მნიშვნელოვან გავლენას ახდენდა დამოუკიდებლობის თვალსაზ-რისით. მაგალითად თუ ევროპას მეორე მსოფლიო ომის შემდგომ სჭირდებოდა ამერიკის შეერთებული შტატები, როგორც სახელმწიფო, რომელიც მას დაიცავდა და ფინანსურად უზრუნველყოფდა, აღნიშნული საკითხი სულ უფრო და უფრო კარგავდა აქტუალობას.

აღნიშნულიდან გამომდინარე აშშ-ის საგარეო პოლიტიკის მთავარ დასაყრდენს ევროპაში წარმოადგენენ ის ქვეყნები, რომლებიც განეკუთვნებიან აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებს, რაც დიდწილად უზრუნველყოფს აშშ-ის გავლენის შენარჩუნებას ევროპაში. უკრაინაში 2013-2014 წლებში დაწყებულმა პროცესებმა ლოგიკური გაგრძელება ჰპოვა 2022 წელს რუსეთ-უკრაინას შორის დაწყებულ მსხვილმასშტაბიან ომში. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 2022 წლის 24 თებერვალს დაწყებულმა რუსეთ-უკრაინის ომმა და რუსეთისთვის დაწესებულმა სანქციებმა, მნიშვნელოვანი და შეუქცევადი პროცესები გამოიწვია როგორც ევროკავშირის ქვეყნებში და სტრუქტურებში, ასევე მსოფლიოს მთელ რიგ ქვეყნებში. უკრაინაში მიმდინარე საომარმა ვითარებამ მნიშვნელოვნად გაზარდა აშშ-ის როლი და გავლენა ევროპის კონტინენტზე, როგორც სამხედრო ისე პოლიტიკური კუთხით, ასევე უნდა ითქვას, რომ 2022 წლის 24 თებერვლიდან მიღებული ეკონომიკური სანქციები ევროკავშირის ქვეყნებისთვის მძიმე ეკონომიკურ გამოცდად იქცა, რაც პირველ რიგში ენერგომატარებლებზე ფასთა უკონტროლო ზრდაში გამოვლინდა.

აღნიშნულმა ფაქტორებმა მკვეთრად უარყოფითი ასახვა ჰპოვა ევროკავშირის იმ ქვეყნების ეკონომიკებზე, რომლებიც რუსეთისგან იღებდნენ ენერგომატარებლებს. რუსეთ-უკრაინის ომის შედეგად აშშ მკვეთრად აძლიერებს თავის დასაყრდენს აღმოსავლეთ ევროპაში, რაც უკვე აღვნიშნეთ ახანგრძლივებს შტატების ევროპაში ჰეგემონიას, ხოლო ამ ფონზე რუსეთ-უკრაინის ურთიერთობა გრძელვადიან პერსპექტივაში განვითარდება მწვავე კრიზისების ფონზე, რაც აშშ-ის მუდმივ სამხედრო და პოლიტიკურ მხარდაჭერით იქნება უზრუნველ-ყოფილი, ეს კი მნიშნელოვნად შეუწყობს ხელს ევროპაში აშშ-ის სამხედრო და პოლიტიკურ გავლენას.

უკრაინის სახელმწიფო მნიშვნელოვან როლს თამაშობს გლობალური უსაფრთხოების წესრიგში. დღესდღეობით ქვეყანა იმყოფება დიდი ძალების განახლებული მეტოქეობის წინა ხაზზე, რომელიც მრავალი ანალიტიკოსის თქმით, მომდევნო ათწლეულებში საერთაშორისო ურთიერთობებში დომინანტურ მდგომარეობას მოიპოვებს (1). აღსანიშნა-ვია, რომ საბჭოთა კავშირის დაშლამდე უკრაინა საბჭოთა კავშირის მნიშვნელოვან დასაყრდენს და ქვაკუთხედს წარმოადგენდა, რომელიც მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ცივი ომის დროს. დამოუკიდებლობის სამი ათწლეულის განმავლობაში, უკრაინა

ცდილობდა საკუთარი სახელმწიფოებრიობის აღმშენებლობას და რუსეთის გავლენისგან დისტანცირებას. უკრაინაში მომხდარი რევოლუციის შემდეგ, ხელისუფლება ცდილობდა დასავლურ ინსტიტუტებში ინტეგრაციის პროცესი დაჩქარებული და წარმატებული ყოფილიყო, რაც ქვეყანას შეუქმნიდა ერთი მხრივ თავდაცვის გარანტიებს, ხოლო მეორე მხრივ დაეხმარებოდა უკრაინის ეკონომიკას ევროკავშირის ბაზარზე შეღწევასა და დამკვიდრებაში, რაც უკრაინის ეკონომიკური და პოლიტიკური სტაბილურობისათვის მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენდა. უკრაინისა და რუსეთის ურთიერთობის განხილვა ასევე მნიშვნელოვანია იმ ისტორიული მსოფლმხედველობრივი პარადიგმიდან სადაც უკრაინელები და რუსები განხილულია ერთ ხალხად.

რუსეთის სახელმწიფოს იდეოლოგია თანმიმდევრულად ცდილობს დაამკვიდროს საზოგადოებაში რუსეთის იმპერიული იდეოლოგია, ამას მოწმობს 2020 წელის 21 თებერვალს რუსეთის პრეზიდენტის ვ. პუტინის განცხადება, რომელიც გაკეთდა რუსეთის სახელმწიფო საინფორმაციო სააგენტო TACC-ისთვის. აღნიშნულ განცხადებაში პუტინმა მკაფიოდ ჩამოაყალიბა აზრი, რომ უკრაინელები და რუსები ერთ ხალხს წარმოადგენდნენ, რაც იმით მტკიცდება, რომ მე-13 საუკუნემდე არანაირი ენობრივი განსხვავება არ არსებობდა, ხოლო მე-15 საუკუნემდე რუსებად მოიხსენიებდნენ აღმოსავლეთ სლავები საკუთარ თავს. აღნიშნული განცხადება და შემდგომ 2022 წელს რუსეთის მიერ საომარი ოპერაციის დაწყებამდე უკრაინის პრეზიდენტის მიერ გაკეთებული განცხადება, სადაც ის საუბრობდა უკრაინაში დენაციფიკაციაზე და წესრიგის აღდგენაზე მკაფიოდ წარმოაჩენს რუსეთის პოლიტიკურ მზაობას (2).

რუსეთ-უკრაინის ურთიერთობის კრიზისის ერთ-ერთ მთავარ გამომწვევ ფაქტორად გეოპოლიტიკური ინტერესები უნდა დავასახელოთ. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, რუსეთის ფედერაციამ უკრაინის მიმართულებით პირველი ნაბიჯი ყირიმის ოკუპაციით დაიწყო, რაც უკრაინისთვის მნიშვნელოვან სტრატეგიულ დანაკარგს წარმოადგენდა. როგორც უკვე აღვნიშნეთ, უკრაინის ტერიტორიაზე რამდენიმე სახელმწიფოს გეოპოლიტიკური ინტერესები იკვეთება. დასავლეთის გეოპოლიტიკური ინტერესები, რომელიც გულისხმობს რუსეთის მაქსიმალურ იზოლაციას და შევიწროებას საჭიროებს რუსეთის ფედერაციის ირგვლივ სტრატეგიული სივრცეების არსებობას, რაც მნიშვნელოვნად შეზღუდავს რუსეთიდან მომდინარე აგრესიას, ხოლო მეორე მხრივ კონტროლირებადს გახდის რუსეთის ფედერაციის ქმედებებს და გავლენებს მსოფლიოზე.

აღნიშნულიდან გამომდინარე ერთ-ერთ ასეთ სტრატეგიულ სივრცედ უკრაინა მოიაზრება. აღნიშნული მიზანი რუსეთის ფედერაციის საგარეო პოლიტიკის ასევე საშინაო ამოცანებთან მკვეთრ წინააღმდეგობაშია, რაც იწვევს რუსეთის მხრიდან რადიკალური ქმედებების გადადგმის აუცილებლობას. აღნიშნულიდან გამომდინარე უნდა დავასკვნათ, რომ რუსეთ-უკრაინის ომი და შემდგომი მშვიდობა დაფუძნებული იქნება თუ რომელი სახელმწიფო შეძლებს უპირატესობის მოპოვებას, აშშ თუ რუსეთის ფედერაცია. დღეის მდგომარეობით დარღვეულია ძალთა ბალანსის პრინციპი, რომლის აღდგენა მსოფლიო მშვიდობის გარანტს წარმოადგენს. ძალთა ბალანსის თეორიის თანახმად თითოეული სახელმწიფო იბრძვის თვითგადარჩენისა და დამკვიდრებისთვის.

მთავარ აუცილებელ პირობას კი დამოუკიდებლობა და უსაფრთხოება წარმოადგენს. უსაფრთხოებისა და დამოუკიდებლობის შენარჩუნების მიზნით სახელმწიფოები, მოქმედებენ ერთად, რათა დაუპირისპირდნენ იმ სახელმწიფოს ან სახელმწიფოთა ჯგუფს, რომლებიც ქმნიან საფრთხეს სუვერენიტეტისა და უსაფრთხოებისათვის (3).

აღნიშნულიდან გამომდინარე, რუსეთ-უკრაინის მიმდინარე ურთიერთობა გამომდინარეობს ძალთა ბალანსის თეორიის მნიშვნელოვანი პრინციპებიდან, რაც გულისხმობს სუვერენულ სახელმწიფოთა მიერ საკუთარი სუვერენიტეტის დაცვას, ამის ნათელ მაგალითს რუსეთის აგრესიული ქმედებები წარმოადგენს. უკრაინისა და რუსეთის ფედერაციის ურთიერთობა ასევე საყურადღებოა განვიხილოთ მცირე სახელმწიფოს კონცეფციის ფარგლებში, მცირე სახელმწიფოები ზოგადად უპირატესობას ანიჭებენ მულტილატერალიზმს, როგორც გავლენის გზას, ასევე უფრო დიდი სახელმწიფოების შეკავების საშუალებას. გავლენიანი მცირე სახელმწიფოების კვლევებმა აჩვენა, რომ მათ შეუძლიათ განავითარონ საკითხისადმი სპეციფიკური ძალა, რათა შეცვალონ ის, რაც მათ აკლიათ საერთო სტრუქტურულ ძალაში (4).

ასევე მნიშვნელოვანია განვიხილოთ ურთიერთდამოკიდებულების თეორია (5), რომელიც წარმოდგება პლურალისტური ხედვიდან. აღნიშნული ხედვის თანახმად თანამედროვე საერთაშორისო პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთობები მნიშვნელოვნად არის ერთმანეთზე დამოკიდებული, აღნიშნულიდან გამომდინარე ეკონომიკური და პოლიტიკური პროცესები რთული და მრავალგანზომილებიანია, რომლებიც ქმნიან ურთიერთკავშირის და დამოკიდებულების ერთიან ჯაჭვს. ამის ნათელ მაგალითს რუსეთ-უკრაინის ომი და შემდგომში რუსეთის ფედერაციის აგრესიული ქმედებების შეკავების მიზნით რუსეთის წინააღმდეგ დაწესებული სანქციები წარმოადგენს, რომელიც თავისი პოლიტიკური და ეკონომიკური შინაარსით გავლენას ახდენს, არა მხოლოდ რუსეთის ფედერაციაზე, არამედ სრულიად მსოფლიოს პოლიტიკურ და ეკონომიკურ პროცესებზე.

აღნიშნულიდან გამომდინარე უკრაინასა და რუსეთს შორის გაფუჭებული ურთიერთობა და მათი ნორმალიზება გარკვეულწილად დამოკიდებულია მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების გადაწყვეტილებებზე და მათ პოლიტიკურ ნებაზე.

რუსეთ-უკრაინის ურთიერთობა 1991 წლიდან

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ უკრაინა და რუსეთი დამოუკიდებელი სახელმწიფოები გახდნენ მას შემდეგ რაც 70 წლის განმავლობაში საბჭოთა რესპუბლიკები იყვნენ. უკრაინის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა და რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის გამოყოფა საბჭოთა კავშირისგან და გორბაჩოვის წინააღმდეგ მათი საერთო ალიანსის შექმნა იყო გადამწყვეტი ფაქტორი საბჭოთა სახელმწიფოს დაშლისათვის, 1991 წლის დეკემბერში. მოსკოვი კიევთან ერთად იბრძოდა საბჭოთა კავშირის პრეზიდენტის წინააღმდეგ. თუმცა, რუსი საზოგადოება და რუსი პოლიტიკოსები როდესაც მიხვდნენ, რომ დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა, როგორც მოსალოდნელი იყო, არ გახდა საბჭოთა კავშირის მემკვიდრე, რომელსაც

რუსეთი სათავეში ედგა, აღნიშნულმა ფაქტმა მნიშვნელოვანი გაურკვევლობა გამოიწვია. მათ უკვირდათ ის ფაქტი, რომ უკრაინა ახლა დამოუკიდებელი სახელმწიფო იყო რეალურად და არა მხოლოდ ფორმალურად (როგორც უკრაინის ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკა). რუსეთის ფედერაციას არ სურდა უკრაინის თანასწორ სახელმწიფოდ და ცალკე ერად აღიარება. მეორე მხრივ, უკრაინის მთავრობა მიზნად ისახავდა სახელმწიფოს სუვერენიტეტის შენარჩუნებას და გაფართოებას და რუსეთთან ურთიერთობებს თანასწორობის საფუძველზე (6). უნდა აღინიშნოს, რომ ორ დამოუკიდებელ სახელმწიფოს შორის ურთიერთობა თავიდანვე რთული იყო. თითქმის ყველა საკითხს თავისი ფესვები იმპერიულ წარსულში აქვს. რუსეთ-უკრაინას შორის ურთიერთობის პრობლემებიდან უნდა გამოვყოთ შემდეგი:

- ყირიმის საკითხი, რომელიც ეკუთვნოდა რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკას 1954 წლამდე, როდესაც ნიკიტა ხრუშჩოვმა გადაწყვიტა, რომ ყირიმი უნდა ყოფილიყო უკრაინის საბჭოთა რესპუბლიკის ნაწილი, თუმცა მისი მაცხოვრებლების უმრავლესობა ეთნიკურად რუსია. საბჭოთა პერიოდში აღნიშნულ საკითხს მცირე მნიშვნელობა ჰქონდა, მაგრამ მნიშვნელოვანი გახდა 1991 წლის შემდეგ, როდესაც საზღვრებმა დამოუკიდებელი სახელმწიფოები ერთმანეთისგან გამოყო. ყოფილ ავტონომიურ საბჭოთა რესპუბლიკას ყირიმი 1992 წელს ეწოდა, ყირიმის რესპუბლიკა იყო ერთადერთი ავტონომიური ტერიტორია უკრაინის შიგნით. 2014 წლის 18 მარტს რუსეთის ფედერაციის მიერ ანექსირებულ იქნა;
- რუსეთის შავი ზღვის ფლოტის საკითხი, რომელიც მჭიდროდ იყო დაკავშირებული ყირიმის საკითხთან. 1991 წლის შემდეგ საბჭოთა შავი ზღვის ფლოტი გაიყო რუსეთსა და უკრაინას შორის (7). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 1997 წელს უკრაინამ საზღვაო ბაზა დაუთმო რუსეთს 20-წლიანი განახლებადი იჯარის პირობებით. 2010 წელს რუსეთთან და უკრაინის შიგნით პოლიტიკური დავის შემდეგ, რუსეთის საზღვაო ძალების მიერ სევასტოპოლის ბაზის იჯარა 2042 წლამდე გაგრძელდა;
- ორ ქვეყანას შორის არსებული ურთიერთობების განხილვისას ასევე მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ, უკრაინაში მცხოვრები დაახლოებით 8 მილიონი ეთნიკური რუსი (მოსახლეობის 17%) და უკრაინის მოქალაქეების დაახლოებით 50%, რომლებიც რუსულ ენაზე უფრო მეტყველებენ ვიდრე უკრაინულად. რუსულენოვანი მოსახლეობა კონცენტრირებულია აღმოსავლეთ და სამხრეთ უკრაინის ქალაქებში. დაახლოებით 3 მილიონი უკრაინელი ცხოვრობს რუსეთში, რაც სიდიდით მეორე ეთნიკური უმცირესობაა თათრების შემდეგ;
- უკრაინის რეგიონული მრავალფეროვნების საკითხი, რომელიც ასახავს სხვადასხვა ისტორიებს უხეშად რომ ვთქვათ, ოთხი რეგიონია. 1. დასავლეთში არის ტერიტორიები, რომლებიც მე-19 საუკუნეში ჰაბსბურგის მონარქიას ეკუთვნოდა, კერძოდ, გალიცია თავისი ძირითადად უკრაინულ-კათოლიკური მოსახლეობით და მისი პოლონური წარსულით, ბუკოვინა და სუბკარპატების უკრაინა, რომლებსაც აქვთ ხანგრძლივი რუმინული და ოსმალური გავლენა. 2. ცენტრალური უკრაინა საუკუნეების მანძილზე ეკუთვნოდა პოლონეთ-ლიტვის სამეფოს, მე-16-დან მე-18 საუკუნემდე იგი იყო უკრაი-

ნელი კაზაკების სამშობლო. იგი რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შევიდა XVII საუკუნის შუა ხანებში და XVIII საუკუნის ბოლოს. 3. სამხრეთ უკრაინის სტეპები შავი ზღვის ჩრდილოეთით მხოლოდ მე-18 საუკუნის ბოლოდან იყო დასახლებული ძირითადად უკრაინელი და რუსი გლეხებით. 4. აღმოსავლეთ უკრაინა მე-19 საუკუნიდან იქცა სამთო და მძიმე მრეწველობის მნიშვნელოვან ცენტრად და მიიზიდა მრავალი რუსი მუშაკი. დღემდე, მოსახლეობის პოლიტიკური ორიენტაციები ასახავს მათი რეგიონების ისტორიას, ეთნო-ენობრივ შემადგენლობას და გეოგრაფიულ მდებარეობას (8);

- ენერგორესურსების (განსაკუთრებით გაზის) მიწოდების საკითხი რუსეთის მიერ უკრაინას და უკრაინის გავლით ცენტრალურ ევროპაში. უკრაინა რუსეთიდან გაზზეა დამოკიდებული და რუსული გაზის მნიშვნელოვანი ნაწილი უკრაინის გავლით ცენტრალურ ევროპაში ტრანსპორტირდება. 2005 წლიდან იყო რეგულარული დავა გაზის ფასზე და ტრანზიტის ხარჯებთან დაკავშირებით, რუსეთი იყენებდა გაზის ფასებს პოლიტიკურ ინსტრუმენტად, ხოლო მიმდინარე ომის პერიოდში ენერგორესურსებით ზეწოლა როგორც უკრაინის ისე ევროპის წინააღმდეგ გახდა მთავარი ინსტრუმენტი რუსეთის ფედერაციის ხელში;
- უკრაინის ადგილის საკითხი, ერთი მხრივ, ევროკავშირსა და ნატო-ს, მეორე მხრივ, რუსეთსა და მის პოლიტიკურ და ეკონომიკურ მოკავშირეებს შორის. ეს პოზიცია ასახავს უკრაინის ისტორიას მართლმადიდებელ რუსეთსა და კათოლიკურ ცენტრალურ ევროპას შორის. ოფიციალურმა რუსეთმა მკაცრად გააკრიტიკა უკრაინის ნატოსთან თანამშრომლობა და უკრაინის ნატოში შესაძლო შესვლის გეგმები. 2004 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში პრეზიდენტმა პუტინმა ღიად დაუჭირა მხარი პრორუს კანდიდატს ვიქტორ იანუკოვიჩს. როგორც უკვე აღვნიშნეთ, აღნიშნულ პრობლემას ბოლო პერიოდში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, როდესაც რუსეთი ახორციელებდა ძლიერ პოლიტიკურ და ეკონომიკურ ზეწოლას უკრაინაზე, ხოლო ევროკავშირი უკრაინას პოლიტიკურ და სამართლებრივ რეფორმებს ითხოვდა;
- აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ზოგადად, აშკარაა ასიმეტრია ორ ქვეყანასა და ხალხს შორის ურთიერთობებში (9), რუსეთი არის დიდი ძალა, რომელიც ამტკიცებს რუსეთის იმპერიისა და საბჭოთა კავშირის მემკვიდრეობას, აქვს დიდი რესურსები და შედარებით მძლავრი ეკონომიკა. უკრაინა მეორეხარისხოვანი სახელმწიფოა უწყვეტი სახელმწიფო ტრადიციის გარეშე, მცირე რესურსებით და მნიშვნელოვანი ეკონომიკური პრობლემებით. მიუხედავად იმისა, რომ ოფიციალური რუსეთი აღიარებს დამოუკიდებელი უკრაინის სახელმწიფოს, რუსების უმრავლესობა არ ცნობს უკრაინას, როგორც თანასწორ პარტნიორს და არ განიხილავს უკრაინელებს სრულ და თანასწორ ერად. დამოუკიდებელი უკრაინის ეროვნული სახელმწიფო განიხილება, როგორც რაღაც დროებითი, ხელოვნური, რომელიც რუსეთის მოქალაქეთა აზრით მალე გაერთიანდება რუსეთთან. რუსეთი უკრაინას უყურებს, როგორც საკუთარი სტრატეგიული ორბიტის ნაწილს, ხოლო უკრაინას არ აქვს ამბიციები რუსეთზე დომინირებისა - რაც წარმოადგენს ტიპიურ ასიმეტრიულ ურთიერთობას;

- აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პრობლემას ართულებდა ის ფაქტიც, რომ უკრაინის მრავალი მოქალაქე იზიარებდა აღნიშნულ შეხედულებებს ნაწილობრივ მაინც. ხანგრძლივი სახელმწიფო ტრადიციის ნაკლებობამ, სხვა ხალხებითა და განვითარებული კულტურების დომინირებულ სახელმწიფოებთან მიკუთვნებამ გამოიწვია მრავალი უკრაინელის ერთგვარი უმცირესობის კომპლექსი რუსეთთან მიმართებაში. არა მხოლოდ უკრაინელების ნაწილი, არამედ ბევრი უცხოელიც ფიქრობდა, რომ უკრაინა რუსეთის ნაწილია, უკრაინული ენა რუსული დიალექტია და უკრაინის ისტორია შერწყმულია რუსეთის ისტორიასთან, თუმცა დღეის მდგომარეობით აღნიშნული სიტუაცია გარკვეულწილად შეცვლილია, რასაც მოწმობს ევროპის და აშშ-ის მტკიცე მხარდაჭერა უკრაინის მიმართ, როგორც სუვერენული სახელმწიფოს მიმართ.

რუსეთ-უკრაინის ურთიერთობის სირთულეები, რაც დაიწყო საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, განსაზღვრა ორ ქვეყანას შორის სტრატეგიული და გეოპოლიტიკური, ასევე ეკონომიკური ურთიერთმიმართება, რაც როგორც უკვე აღვნიშნეთ დიდ გავლენას ახდენს ევროპაზე.

რუსეთ-უკრაინის კრიზისი

ცარისტული იმპერიისა და საბჭოთა კავშირის მემკვიდრეობა ერთ-ერთი გადამწყვეტი ფაქტორია პოსტსაბჭოთა სივრცეში მიმდინარე მოვლენების გაგებისა და ახსნისთვის. ეს განსაკუთრებით ეხება უკრაინას და რუსეთ-უკრაინის ურთიერთობებს. რუსეთი უკრაინას განიხილავს როგორც საკუთარი სტრატეგიული ორბიტის ნაწილად, ხოლო ბევრ უკრაინელს სურს განთავისუფლდეს რუსული ჰეგემონიისგან და გახდეს ევროკავშირის წევრი. რუსეთ-უკრაინას შორის დაპირისპირებამ კულმინაციას 2013 წლის ბოლოს მიაღწია, როდესაც რუსეთის ზეწოლამ გამოიწვია უკრაინის პოლიტიკის გადახედვა და რუსეთთან დაახლოება.

რუსეთი თავისი პოლიტიკის ინსტრუმენტად იყენებდა მართლმადიდებლურ ეკლესიას და რუსული ენის ტრადიციულ დომინირებას უკრაინაში. არა მხოლოდ რუსი ისტორიკოსები, არამედ პოლიტიკოსები და თვით რუსეთის პრეზიდენტიც კი ცდილობდა უკრაინის იმპერიული ნარატივის გავლენის ქვეშ მოქცევას. რუსეთის ფედერაცია ეყრდნობოდა რა წარსულის გამოცდილებას და ურთიერთობას უკრაინასთან, იგი ასევე მოხერხებულად იყენებდა უკრაინაში რუსულენოვანი მოსახლეობის მხარდაჭერას, რაც მიმდინარე ომის პირობებში მნიშვნელოვან საფრთხეს წარმოადგენდა უკრაინისთვის. ევროკავშირსა და უკრაინას შორის ასოცირებისა და თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმების დადება იყო 2013 წლის 28/29 ნოემბერს ვილნიუსში გამართული აღმოსავლეთ პარტნიორობის სამიტის დღის წესრიგში. უკრაინის მთავრობამ, როგორც ჩანს, გააკეთა არჩევანი უკრაინის სტრატეგიული დაახლოების სასარგებლოდ ევროკავშირთან და რუსეთის სტრატეგიულ და ეკონომიკურ სფეროში მისი ინტეგრაციის წინააღმდეგ. ამ მოვლენის შედეგს გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა პოსტსაბჭოთა სივრცის მომავალი განვითარებისთვის. მიუხედავად იმისა, რომ უკრაინამ არ შეასრულა შეთანხმების ყველა პირობა, მათ შორის

საპრეზიდენტო არჩევნებში ყოფილი პრემიერ-მინისტრისა და ვიქტორ იანუკოვიჩის კონკურენტის, იულია ტიმოშენკოს ციხიდან გათავისუფლება, როგორც ჩანს, ორივე მხარე მზად იყო ხელშეკრულების ხელმოწერისთვის.

ჰარვარდის უნივერსიტეტის უკრაინის ისტორიის გამოჩენილმა პროფესორმა სერხიი პლოხიმ შენიშნა, რომ რუსეთის მიერ 2014 წელს ყირიმის, დონეცკის და ლუგანსკის ოკუპაციამ წარმოშვა ფუნდამენტური კითხვები უკრაინის, როგორც ერთიანი სახელმწიფოს არსებობის, მისი, როგორც ერის დამოუკიდებლობისა და პოლიტიკური ინსტიტუტების დემოკრატიული საფუძვლების შესახებ (6). აღნიშნულიდან გამომდინარე შეიქმნა ახალი და საშიში ვითარება არა მხოლოდ უკრაინაში, არამედ მთლიანად ევროპაშიც. რუსეთის აგრესია უკრაინის წინააღმდეგ საფრთხეს უქმნიდა საერთაშორისო წესრიგის საფუძვლებს - თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ უკრაინა-რუსეთის 2022 წლის ომამდე ექსპერტთა დიდი ნაწილი და პოლიტიკოსები ფიქრობდნენ, რომ ევროკავშირი და მსოფლიოს უმეტესობა მზად არ იყო რუსეთისთვის პასუხის გასაცემად.

უნდა აღინიშნოს, რომ უკრაინის მთავრობა დაემორჩილა რუსეთის ძლიერ ზეწოლას, რომელიც ეწინააღმდეგებოდა უკრაინის შეთანხმებას ევროკავშირთან და სანაცვლოდ მიიწვია უკრაინა ბელორუსთან და ყაზახეთთან რუსეთის ხელმძღვანელობით საბაჟო კავშირში გაწევრიანებისთვის. 2013 წლის ივლისიდან რუსეთმა რამდენიმე უკრაინულ საქონელზე იმპორტის შეზღუდვა გამოაცხადა და უკრაინას გაზის შეწყვეტით დაემუქრა. იანუკოვიჩის ორ არაოფიციალურ შეხვედრაში პუტინთან და აზაროვის შეხვედრაში რუსეთის პრემიერ-მინისტრ დიმიტრი მედვედევთან სანქტ-პეტერბურგში 20 ნოემბერს, მოულოდნელ დეკლარაციამდე სულ რაღაც ერთი დღით ადრე, გარიგება შედგა. რუსეთის მთავრობა დაჰპირდა, რომ შესთავაზებდა იაფ გაზს და კრედიტებს და ორივე ქვეყანა შეთანხმდა სტრატეგიული პარტნიორობის შეთანხმების შესახებ მოლაპარაკებების განახლებაზე. ასე რომ, უკრაინის ხელისუფლებამ დროებით მაინც შეცვალა სტრატეგიული პრიორიტეტები რუსეთის სასარგებლოდ.

უკრაინის ხელისუფლების მანევრებს და ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებაზე უარის თქმას უკრაინაში მასიური პროტესტი მოჰყვა, რამაც გამოიწვია უკრაინაში ხელისუფლების ცვლილება. ახალი ხელისუფლების პირობებში უკრაინა კვლავ დაუბრუნდა დასავლურ გავლენას და მნიშვნელოვნად გაუმწვავდა ურთიერთობები რუსეთთან. როგორიც არ უნდა იყოს ამ კონფლიქტის შედეგი, 2013 წლის ნოემბრისა და დეკემბრის მოვლენებმა აჩვენა, რომ რუსეთის პოლიტიკა უკრაინის მიმართ მიჰყვებოდა ტრადიციულ იმპერიულ მოდელს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ რუსეთი ახორციელებდა მძიმე პოლიტიკურ და ეკონომიკურ ზეწოლას სხვა პოსტსაბჭოთა სახელმწიფოებზეც, განსაკუთრებით საქართველოს, მოლდოვასა და სომხეთზე (7).

უნდა აღინიშნოს, რომ უკრაინის ომს აქვს შორს მიმავალი გავლენა, ცვლის არა მხოლოდ ევროპის უსაფრთხოების არქიტექტურას, არამედ გავლენას ახდენს გეოპოლიტიკაზე თითქმის გლობალურად. უნდა აღინიშნოს ასევე ისიც, რომ 1997 წელს ამერიკის რუსი ექსპერტების დეკანმა, ჯორჯ ფ. კენანმა, ნატოს გაფართოებას უწოდა „ამერიკული პოლიტიკის ყველაზე საბედისწერო შეცდომა მთელი ცივი ომის შემდგომ პერიოდში“.

ნაციონალისტური, ანტიდასავლური და მილიტარისტული ტენდენციები რუსული აზრით, უარყოფითი გავლენა მოახდინოს რუსული დემოკრატიის განვითარებაზე (12). დღეს პუტინი ცდილობს დაამტკიცოს, რომ სწორედ ნატომ აიძულა ვარშავის პაქტის ყოფილი წევრები გახდნენ ნატოს წევრები. როგორც უკვე აღვნიშნეთ მნიშვნელოვნად უარყოფით გავლენას ახდენს რუსეთ-უკრაინის ურთიერთობაზე ნატო-ს ფაქტორი, რადგან წინააღმდეგობაში მოდის რუსეთის ფედერაციის ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკასთან, რაც გამორიცხავს უკრაინის ტერიტორიაზე ნატოს ბაზების არსებობას.

დასკვნა და რეკომენდაციები

რუსეთ-უკრაინის ურთიერთობის ასპექტები დასკვნის სახით უნდა შეფასდეს, როგორც მკვეთრად კრიტიკული, რომელიც მჭიდროდ არის დაკავშირებული ისეთ მსხვილ მოთამაშეებთან, როგორიც არის ევროკავშირი და აშშ, ხოლო მეორე მხრივ რუსეთის ფედერაცია. თუმცა ურთიერთდამოკიდებულების და ჩართულობის ფაქტორი უფრო ღრმა და ყოვლისმომცველია, როგორც ეკონომიკურ ისე პოლიტიკურ და სამხედრო თვალსაზრისით, რაც ასევე მოიცავს აზიურ ქვეყნებსაც. რუსეთ-უკრაინის მიმდინარე ომში რუსეთისთვის დამარცხება ასოცირდება განადგურებასთან, როგორც ფიზიკურ დონეზე ისე რეპუტაციული თვალსაზრისით, რაც გამოიწვევს დასავლური სამხედრო ძალების მასიურ განლაგებას უკრაინულ ტერიტორიაზე, სადაც რუსეთის განცხადებებსა თუ მოქმედებას არანაირი გავლენა და ფასი არ ექნება. აღნიშნულიდან გამომდინარე რუსეთის სახელმწიფოსთვის მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს უკრაინაზე გამარჯვება, რაც გულისხმობს რუსეთის დასავლეთზე გამარჯვებას. ნაშრომში განხილულია, ასევე რუსეთ-უკრაინის ისტორიული ნარატივი, სადაც გააზრებულ იქნა ორ ქვეყანას შორის ურთიერთობის წარსული გამოცდილებისა და ეთნიკური თუ რელიგიური ფაქტორები, რაც გავლენის მომხდენია როგორც ხალხთა შორის ურთიერთობებზე, ასევე პოლიტიკურ პროცესებზე.

ასევე უნდა გავამახვილოთ ყურადღება, მაიდნის ფენომენზე, როგორც დასავლეთის მიერ ინსპირირებული ღონისძიება, რათა შეცვლილიყო უკრაინის რუსული გავლენა დასავლურით, რამაც გამოიწვია რუსეთ-უკრაინას შორის ღრმა კრიზისი. კვლევით დგინდება, რომ უკრაინის სწრაფვა ნატოში, როგორც რუსული ძალის სამხედრო გზით დაბალანსების საშუალება უახლოეს პერსპექტივაში მიუღწეველ ამოცანას წარმოადგენს, ხოლო უკრაინის მკვეთრი დასავლური რიტორიკა და სწრაფვა ნატოში გამოიწვევს ქვეყნის კიდევ უფრო მეტ დაზიანებას, თუ არ მოხდება უკრაინის შესაბამისი სამხედრო ძალით უზრუნველყოფა. რუსეთ-უკრაინის ურთიერთობის დაბალანსების ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენს უკრაინის პოლიტიკური და სამხედრო ნეიტრალიტეტი, რომელიც უკრაინის ახალი ხელისუფლების პირობებშია შესაძლებელი, რაც ქვეყანას წარმატებული საგარეო პოლიტიკის შესაძლებლობას მისცემს, ასევე რუსეთთან კონსტრუქციული დიალოგის დაწყების შესაძლებლობას, როგორც ძლიერ სახელმწიფოსთან.

გამოყენებული ლიტერატურა

1. J. Masters. Ukraine: Conflict at the Crossroads of Europe and Russia, *council on foreign relations,* p. 1, 2022.
2. A. Мошес. РОССИЙСКО-УКРАИНСКИЕ ОТНОШЕНИЯ: к новой модели без старого груза, *поапт,* vol. 1, no. 19, p. 35, 2020.
3. R. Mansbach. Balance of Power: Theory and Practice in the 21st Century, Calif: Stanford Univ. Press, 2005.
4. S. Steinsson and B. Thorhallsson. Small State Foreign Policy, Oxford: Research Encyclopedia of Politics, 2017.
5. J. Pevehouse. Interdependence Theory and the Measurement of International Conflict, *The Journal of Politics,* vol. 66, no. 1, p. 256, 2004.
6. P. Burkovs'kyj and O. Haran. Konflikt und Kooperation: Die Ukraine und Russland: Eine Beziehungsdynamik, *Osteuropa,* vol. 60, no. 2, p. 340, 2010.
7. V. Zaborsky. Crimea and the Black Sea Fleet in Russian- Ukrainian Relations, 11 Sep 1995. (Online). Available: https://www.belfercenter.org/publication/crimea-and-black-sea-fleet-russian-ukrainian-relations. (Accessed 10 Nov 2022).
8. M. Hagen. Does Ukraine Have a History?, *Slavic Review,* vol. 54, no. 3, p. 669, 1995.
9. A. Kappeler. The Russian Empire, London: Routledge, 2014.
10. 07 Sep 2022. (Online). Available: https://www.aspi.org.au/report/geopolitical-implications-russias-invasion-ukraine. (Accessed 10 Nov 2022).
11. A. Kappeler. Ukraine and Russia: Legacies of the Imperial past and Competing Memories, *Journal of Eurasian Studies,* vol. 5, no. 2, p. 15, 2014.
12. G. Kennan. A fateful eror, *New York Times,* p. 35, 1997.

Russian-Ukrainian Relations and Perspectives

Otar Andriadze
Grigol Robakidze University, Phd student
otar.andriadze20@gruni.edu.ge

Abstract. The article is dedicated to the Russian-Ukrainian relations, that finds its roots from the deep historical past and issues number of important aspects of these relations. Russia views Ukraine as a part of its own strategical objective, which does not give the ability to the latter to form itself as an independent and sovereign nation. The key issue in the article is dedicated to the western role and its importance, which brings the occurring Russian-Ukrainian crisis on the global scale. In the article, main reasons of the escalation of Russian-Ukrainian relations are factors, such as Ukrainian aspiration of joining NATO and the general integration process in the European Union, as well as the asymmetrical attitude between the two nations including Russian perception of Ukraine as underdeveloped and failed state. The main reason of these intensified relations is the fear of insecurity by the Russian Federation, which finds its roots from its loss of influence on Ukraine. Meanwhile, the article also stipulates such a formidable conception as the theory of mutual dependance and the balance of power. In the section of above-mentioned theories is analyzed not only Russian-Ukrainian relations but objectives and missions of other nations with the state-of-interest as well. Research proves that the regulation of current crisis between the Russian Federation and Ukraine is possible in case of declaring Ukraine as the neutral state, which can become a possibility after the governmental changes in Ukraine.

Key Words: Russian-Ukrainian crisis, peaceful format, neutrality, Ukraine and west

მოსახლეობის მიერ ანტიბიოტიკების თვითნებურად მოხმარების შესწავლის შედეგები

ოთარ გერზმავა[1], ანა თეგეთაშვილი[2]
[1] გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი, პროფესორი, o.gerzmava@gruni.edu.ge
[2] გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი, დოქტორანტი, a.tegetashvili@gruni.edu.ge

რეზიუმე. მე-20 საუკუნე ანტიბიოტიკების რევოლუციის გარიჟრაჟს შეესწრო და ახლა ანტიბიოტიკების მიმართ რეზისტენტობის ზრდის ფენომენის წინაშე დგას მსოფლიო. ამ ნაშრომის მიზანია ანტიბიოტიკების მოსახლეობის მიერ თვითნებური გამოყენების ნეგატიური შედეგების გამოვლენა და არსებული რეალობის ჩვენება საქართველოს მოსახლეობაზე დაფუძნებული კვლევის საშუალებით. ანტიბიოტიკების თვითნებურად გამოყენებას დიდი მნიშვნელობა აქვს რეზისტენტობის განვითარებაში და ამასთან დაკავშირებული კლინიკური და ეკონომიკური ტვირთიც შესაბამისად მნიშვნელოვნად იზრდება. ანტიბიოტიკების თვითნებური გამოყენება დაფიქსირდა როგორც ფართო მოსახლეობაში, ასევე საავადმყოფოებსა და სამედიცინო დაწესებულებებში. ძირითადად აღინიშნა, როგორც ზედმეტი გამოყენება და შეუსაბამო დანიშვნა. არასათანადო დოზირების რეჟიმი და მკურნალობის ხანგრძლივობა ითვლებოდა ანტიბიოტიკურ რეზისტენტობასთან დაკავშირებული ძირითადი ფაქტორები. ანტიბიოტიკების თვითნებურად გამოყენების კვლევამ გამოავლინა ფართო ანტიბიოტიკების გამოყენება სამედიცინო დანიშნულების ან სამედიცინო კონსულტაციის გარეშე, რაც ხაზს უსვამს ამ ფენომენის მძიმე კლინიკურ და ეკონომიკურ დატვირთვას საქართველოში.

საკვანძო სიტყვები: ანტიბიოტიკების თვითნებური გამოყენება, ანტიბიოტიკებისადმი გაზრდილი რეზისტენტობა

ანტიბიოტიკების მოსახლეობის მიერ თვითნებურ გამოყენებას მოსდევს გაზრდილი რეზისტენტობა ანტიბიოტიკების მიმართ. ანტიმიკრობული წინააღმდეგობა არის გლობალური საზოგადოებრივი ჯანდაცვის გამოწვევა, რომელიც დაჩქარდა მსოფლიოში ანტიბიოტიკების გადაჭარბებული მოხმარებით. გაზრდილი ანტიმიკრობული რეზისტენტობა არის მძიმე ინფექციების, გართულებების, საავადმყოფოში დაყოვნების გაზრდილი ხანგრძლივობის და სიკვდილიანობის ზრდის მიზეზი. ანტიბიოტიკების გადაჭარბებული მოხმარება ასოცირდება გვერდითი ეფექტების გაზრდის რისკთან. ანტიბიოტიკების გადაჭარბებული გამოყენება არის განსაკუთრებული პრობლემა პირველადი ჯანდაცვის სფეროში, სადაც ხდება ვირუსული ინფექციების განვითარება. ანტიბიოტიკების ყველა დანიშნულების დაახლოებით 90% გაიცემა ზოგადი პრაქტიკოსების მიერ, ხოლო სასუნთქი გზების ინფექციები ანტიბიოტიკების დანიშვნის წამყვანი მიზეზია. ანტიბიოტიკების ჭარბი მოხმარების შესამცირებლად მრავალმხრივი ჩარევები აღმოჩნდა ეფექტური და უკეთესი, ვიდრე ერთჯერადი ინიციატივები. ჩარევები უნდა მოიცავდეს ანტიბიოტიკების ურეცეპტოდ გაყიდვის აკრძალვის პოლიტიკის აღსრულებას, ექიმების აქტიურ და სწორ მონაწილეობას ანტიბიოტიკოთერაპიაში, მაქსიმალური კონტროლით, სწრაფი სამედიცინო დახმარების ტესტების გამოყენებას, ანტიბიოტიკების დანიშვნის

დაგვიანებული სტრატეგიების აღმოფხვრას, პაციენტებთან საკომუნიკაციო უნარების გაღრმავებასა და საინფორმაციო ბროშურების დახმარებით პირველადი ჯანდაცვის უფრო პრაგმატული კვლევების ჩატარებას.

ანტიმიკრობული წინააღმდეგობა (AMR) აღიარებულია, როგორც ერთ-ერთი ყველაზე დიდი საფრთხე ადამიანის ჯანმრთელობისთვის მსოფლიოში. მხოლოდ ერთი ორგანიზმი, მეთიცილინისადმი მდგრადი Staphylococcus aureus (MRSA), ყოველწლიურად კლავს უფრო მეტ ამერიკელს, ვიდრე ემფიზემა, აივ/შიდსი, პარკინსონის დაავადება და მკვლელობა ერთად. გლობალურად, ტუბერკულოზის ახალი შემთხვევების 3.7% და 20% ადრე განკურნებული შემთხვევები გამოწვეულია იზონიაზიდისა და რიფამპიცინისადმი მდგრადი შტამებით. ათწლეულების განმავლობაში ეს ანტიტუბერკულოზური საშუალებები ეფექტური იყო ტუბერკულოზის წინააღმდეგ, მაგრამ დღეს ეს ეფექტი არასაკმარისია.

წინააღმდეგობის გავრცელების გარდა, ანტიბიოტიკების გადაჭარბებული გამოყენება ასევე დაკავშირებულია სხვა პრობლემებთან. ქვემოთ ჩამოთვლილია რისკები, რომლებიც დაკავშირებულია ანტიბიოტიკების გადაჭარბებულ გამოყენებასთან:

1) ანტიმიკრობული წინააღმდეგობის გაზრდა
2) უფრო მძიმე დაავადებების ზრდა
3) დაავადების ხანგრძლივობის ზრდა
4) გართულებების რისკის გაზრდა
5) სიკვდილიანობის მაჩვენებლის ზრდა
6) ჯანდაცვის ხარჯების გაზრდა
7) გვერდითი ეფექტების რისკის გაზრდა, რომელთაგანაც ზოგი სიცოცხლისთვის საშიშია
8) ინფექციური დაავადებების გამო განმეორებითი მკურნალობის ზრდა
9) თვითშეზღუდული ინფექციური მდგომარეობების მკურნალობის გაზრდა.

მაშასადამე ანტიბიოტიკების წინააღმდეგობა იზრდება მსოფლიოს ყველა კუთხეში შემაშფოთებლად მაღალ დონეზე. ახალი წინააღმდეგობის მექანიზმები ჩნდება და ვრცელდება გლობალურად, რაც საფრთხეს უქმნის საერთო ინფექციური დაავადებების მკურნალობის შესაძლებლობას. ინფექციების მზარდი ჩამონათვალი - როგორიცაა პნევმონია, ტუბერკულოზი, სისხლის მოწამვლა, გონორეა და საკვებით გამოწვეული დაავადებების მკურნალობა უფრო რთული, ნაკლებად ეფექტური და ზოგჯერ შეუძლებელიც კი ხდება.

კვლევის მიზანს წარმოადგენს საქართველოში მოსახლეობის მიერ ანტიბიოტიკების თვითნებური მოხმარებისა და გამოყენების მაჩვენებლების დადგენა, ასევე გამოვლენა იმ ნეგატიური შედეგებისა, რომელსაც თვითნებური გამოყენება იწვევს.

კვლევაში გამოყენებულ იქნა რაოდენობრივი კვლევის მეთოდი. კვლევის დიზაინს აქვს კვლევის კითხვებზე პასუხების გენერირების მთავარი ამოცანა. რაოდენობრივი კვლევის ტიპი, გულისხმობს რიცხვითი მონაცემების შეგროვებას, დამუშავებას, შეჯამებას. რაოდენობრივი კვლევა ჩატარდა ონლაინ ინტერვიუს ტექნიკის გამოყენებით შექმნილი

რთული პანდემიური ვითარებიდან გამომდინარე. კვლევის სამიზნე აუდიტორია საკვლევად შეირჩა წინასწარ კვლევის მიზნებიდან გამომდინარე.

კვლევის ფარგლებში გამოკითხულ იქნა 120 რესპონდენტი. კვლევის არეალს წარმოადგენ-და საქართველო. ინტერვიუს ხანგრძლივობა მოიცავს 10 წუთს.

კვლევის მიზნებიდან გამომდინარე შემუშავდა რაოდენობრივი კვლევის ინსტრუმენტი. კითხვარი შედგებოდა თემატური მოდულისაგან, რომელიც მთლიანად მოიცავდა საკვლევ საკითხს.

ანტიბიოტიკების მიღების დოზის წინასწარ ზუსტად შერჩევა ძალიან მნიშვნელოვანი საკითხია ანტიბიოტიკოთერაპიაში, სწორედ ამიტომ ამ საკითხთან მიმართებით გამოიკითხა რესპონდენტები. გამოკითხული რესპონდენტებიდან 83 მათგანი ანტიბიო-ტიკების მიღების დოზას ექიმის დანიშნულების შესაბამისად იღებს, 16 რესპონდენტი აღნიშნავს, რომ აფთიაქის თანამშრომლები ურჩევენ ანტიბიოტიკების დოზას და ეს მათთვის საკმარისია, 14 მათგანი მეგობრის, ან ოჯახის წევრის რჩევის საფუძველზე არჩევს ანტიბიოტიკების დოზას მიღებამდე, 3 კი ანტიბიოტიკის ინსტრუქციის საფუძველზე.



ანტიბიოტიკოთერაპიის დროს მნიშვნელოვანია ასევე ანტიბიოტიკების დოზის და მათი სახეობის ცვლილება მკურნალობის საქმეში, რომელიც უშუალოდ მკურნალი ექიმის რეკომენდაციით უნდა განხორციელდეს, თუმცა ხშირად მოსახლეობის მიერ ამის გათვალისწინება არ ხდება.

გამოკითხული რესპონდენტებიდან 87 მათგანი აღნიშნავს, რომ თვითნებურად არ იღებს გადაწყვეტილებას ანტიბიოტიკების დოზისა და სახეობის ცვლილების შესახებ, 29 რესპონდენტი აღნიშნავს, რომ თავად, ექიმისაგან დამოუკიდებლად მიუღიათ გადწყვეტილება და შეუცვლიათ ანტიბიოტიკების სახეობა და დოზა, ხოლო ამის მიზეზად ასახელებენ სწრაფად გამოჯანმრთელების სურვილს, ასევე იმას რომ წინა

ჩატარებული მკურნალობა არ აღმოჩნდა ისეთი ეფექტური და ზედმეტი დანახარჯების თავიდან აცილების მიზნით, რომელიც უკავშირდებოდა ექიმთან ვიზიტს.

ჩატარებული კვლევა ხაზს უსვამს ანტიბიოტიკების არამიზნობრივად გამოყენებას, როგორც ანტიბიოტიკების რეზისტენტობის მზარდი ფენომენის ერთ-ერთ მთავარ ხელშემწყობ ფაქტორს. ანტიბიოტიკების არასწორი გამოყენება ხშირად გვხვდება მაღალი მოხმარების, ანტიბიოტიკების გადაჭარბებული დანიშნულების, არასათანადო დანიშნულების ან თვითდანიშნულების თვალსაზრისით საქართველოში. ანტიბიოტიკების არასწორი გამოყენებისა და რეზისტენტობის გავრცელების შესამცირებლად ჯერ კიდევ რამდენიმე ასპექტის გათვალისწინებაა საჭირო; უპირველეს ყოვლისა, უნდა შემუშავდეს შემდგომი აქტიური გეგმები ანტიბიოტიკების გამოყენების ოპტიმიზაციისთვის, ასევე მკურნალობის ხანგრძლივობის თვალსაზრისით, ანტიბიოტიკების გადაჭარბებული მოხმარებისა და არასათანადო გამოყენების მინიმუმამდე შემცირების მიზნით.

ეს მიმართულება, ითვალისწინებს გადაწყვეტილებებს ყველაზე შესაფერისი ანტიბიოტიკების დოზასთან და ხანგრძლივობასთან დაკავშირებით, რათა უზრუნველყოს მინიმალური ზემოქმედება ადგილობრივ წინააღმდეგობაზე და უზრუნველყოს მათი ხელმისაწვდომობა და ეფექტურობა მომავალში. გარდა ამისა კვლევამ აჩვენა, რომ ანტიბიოტიკების შესახებ ინფორმაციის გავცელება არის უმნიშვნელოვანესი მექანიზმი ამ პრობლემის მოგვარების საქმეში. მნიშვნელოვანია ინფორმაციის მიწოდება მოხდეს არა მხოლოდ მოსახლეობისათვის, არამედ აფთიაქებისათვის და იმ პირებისათვის ვინც გასცემენ წამალს, ასევე ყველა იმ პირისათვის ვინც ანტიბიოტიკურ მკურნალობაში არიან ჩართულები.

ჩატარებული კვლევის თანახმად საქართველოში ძირითადად ექიმის დანიშნულების შესაბამისად ხდება ანტიბიოტიკური მედიკამენტების მიღება, თუმცა საკმაოდ მაღალია რიცხვი იმ ადამიანებისა ვინც თვითნებურად მიმართავს მკურნალობას ანტიბიოტიკებით. ამის გამომწვევ მიზეზებად სახელდება ნაკლები ინფორმირებულობა, ზედმეტი ხარჯებისათვის თავის არიდების მცდელობა. ანტიბიოტიკების მკურნალობის საქმეში მოსახლეობა ითვალისწინებს ახლობლების, მეგობრებისა და ოჯახის წევრების რჩევებს მიღება-გამოყენებასთან დაკავშირებით, რაც სავსებით მიუღებელია და ადასტურებს ფაქტს იმის შესახებ, რომ ნაკლები ინფორმაცია აქვს მოსახლეობას ანტიბიოტიკების რეზისტენტობისა და მის მიერ არასწორად გამოყენების შემთხვევაში საფრთხეების შესახებ.

ასევე, როგორც კვლევა გვაჩვენებს, ანტიბიოტიკების შესახებ რეკომენდაციების გაცემა ხდება სააფთიაქო დაწესებულების პერსონალის მიერ, ექიმისაგან დამოუკიდებლად. მნიშვნელოვანია ამ დროს რეკომენდაციების გაცემა ხდებოდეს მკურნალ ექიმთან რეკომენდაციების გათვალისწინებით და მხოლოდ ის წყვეტდეს ანტიბიოტიკის სახეობის ან დოზის ცვლილებას, ასევე შეწყვეტასა და მკურნალობის სქემის გაგრძელებას.

ანტიბიოტიკების შესახებ ინფორმაცია ესაჭიროება არა მხოლოდ მოსახლეობას, არამედ სწორედ სააფთიაქო დაწესებულებების თანამშრომლებსაც სწორი მოქმედებისათვს, ასევე ექიმებს, რომ აქტიურად ჩაერთონ და მიიღონ მონაწილეობა პაციენტების ზუსტ და

დროულ ინფორმირებულობაში, ასევე აქტიურად აწარმოონ მონიტორინგი პაციენტების მიერ ანტიბიოტიკოთერაპიის მიმდინარეობის დროს.

ჯანდაცვის პროფესიონალებს, ექიმებს, ფარმაცევტებს შეუძლიათ გადადგან რამდენიმე ნაბიჯი, რათა დაიცვან პაციენტები ანტიბიოტიკების არასწორი გამოყენებისაგან.

მნიშვნელოვანია ექიმებმა დიდი სიფრთხილით შეარჩიონ ანტიბიოტიკები. მნიშვნელოვანია ასევე ექიმებმა პაციენტებს გააცნონ ზუსტი ინფორმაცია ანტიბიოტიკების გამოყენებისა და დოზების რეკომენდაციების შესახებ. ექიმის მონაწილეობა და აქტიური ჩართულობა ანტიბიოტიკებით მკურნალობის საქმეში უმნიშვნელოვანესია.

მნიშვნელოვანია გააცნოს ექიმმა პაციენტს ანტიბიოტიკების გვერდითი ეფექტებისა და რისკების შესახებ, რომლებიც დაკავშირებულია მათ მიერ განხორციელებულ ანტიბიოტიკოთერაპიასთან. ასევე მნიშვნელოვანია ინფორმაციის გაცნობა პაციენტებისათვის ანტიბიოტიკებისადმი წინააღმდეგობისა და არასწორად გამოყენების საფრთხეების შესახებ.

რეკომენდაციები

უნდა მოხდეს ანტიბიოტიკების გამოწერის და გაცემის მკაცრი კონტროლი.

სააფთიაქო ქსელში ანტიბიოტიკები უნდა გაიცემოდეს მხოლოდ ექიმის ელექტრონული რეცეპტის საფუძველზე.

ჯანდაცვის სამინისტროს და მისი მაკონტროლებელი სტრუქტურები სამედიცინო ასოციაციაციებთან ერთად უნდა ახორციელდებდნენ ანტიბიოტიკების დანიშვნის და დოზირების ადეკვატურობის საკითხებს (სრულყოფილი ელექტრონული რეცეპტების სისტემის არსებობის შემთხვევაში ეს არ წარმოადგენს სირთულეს).

ყველა დონის ექიმებს და ფარმაცევტებს (როგორც პირველადი ჯანდაცვის, ასევე სტაციონარში მომუშავე ექიმებს, სტომატოლოგებს, ფარმაცევტებს) ყოველწლიურად(!) უნდა უტარდებოდეს შესაბამისი ტრეინინგები, სემინარები და სხვა სასწავლო ღონისძიებები ახალი ანტიბიოტიკების და ზოგადად ანტიბიოტიკოთერაპიის საკითხების შესახებ.

დასკვნა

მაშასადამე ანტიბიოტიკების თვითნებური გამოყენება როგორც საქართველოში, ისე მთელს მსოფლიოში მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს. როგორც უკვე აღვნიშნეთ მოსახლეობის მიერ ანტიბიოტიკების თვითნებური გამოყენება მნიშვნელოვნად ზრდის რეზისტენტობას, ასევე მისი არასწორი გამოყენება საფრთხეს უქმნის ადამიანის ჯანმრთელობას.

კვლევის შედეგად გამოიკვეთა ფაქტი, რომ საქართველოში მნიშვნელოვან ყურადღებას საჭიროებს ანტიბიოტიკების მიღებისა და გაცემის საკითხი. როგორც კვლევიდან იკვეთება სააფთიაქო წარმომადგენლების მხრიდან ხშირად ხდება პაციენტებისათვის თვითნებური

რეკომენდაციების გაცემა ანტიბიოტიკების მიღებასთნ დაკავშირებით რაც დაუშვებელია, მკურნალი ექიმის მეთვალყურეობის გარეშე. ასევე კვლევიდან ნათელი გახდა, რომ საჭიროა ექიმიების აქტიური ჩართულობა და თვალყურის დევნება ანტიბიოტიკების დანიშვნის, შეცვლისა თუ დოზების მართვის საქმეში. საქართველოში ამ მხრივ თავად პაციენტების ინფორმირებულობის კრიზისიც შეიმჩნევა.

კვლევამ კიდევ ერთხელ გამოკვეთა ის ფაქტი, რომ საქართველოში პაციენტები ეკონომიკური სიდუხჭირის გამო იძულებულნი არიან თავად მიიღონ მკურნალობის გადაწყვეტილება ექიმისაგან დამოუკიდებლად, რათა არ გაწიონ ზედმეტი ხარჯები კონსულტაციაციასა და დამატებით გამოკვლევებში.

დასკვნის სახით მნიშვნელოვანია განისაზღვროს ის, რომ მოსახლეობის აქტიური ინფორმირებულობა საქართველოში ხელს შეუწყობს ანტიბიოტიკების სწორ გამოყენებას, რაც თავიდან აარიდებს მათ რეზისტენტობის ზრდას, რაც უკვე მსოფლიო გლობალურ გამოწვევას წარმოადგენს, ასევე დაიცავს საქართველოს მოსახლეობას ანტიბიოტიკების არასწორი მიღებისაგან გამოწვეული ნეგატიური შედეგების თავიდან არიდებაში. პრობ-ლემა მოითხოვს სისტემურ და კომპლექსურ მიდგომებს და საჭიროებს მნიშვნელოვან ყურადღებას ყველა საჭირო და შესაბამისი უწყებებისა და ორგანიზაციების მხრიდან.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Aljadhey H, Assiri GA, Mahmoud MA, Al-Aqeel S, Murray M. Self-medication in Central Saudi Arabia: community pharmacy consumers' perspectives. Saudi Med.
2. Allegranzi B, Zayed B, Bischoff P, et al. New WHO recommendations on intraoperative and postoperative measures for surgical site infection prevention: an evidence-based global perspective. Lancet Infect Dis. 2016.
3. Aminov RI. 2010, A brief history of the antibiotic era: lessons learned and challenges for the future. Front Microbiol.
4. Bianco A, Papadopoli R, Mascaro V, Pileggi C, Pavia M. Antibiotic prescriptions to adults with acute respiratory tract infections by Italian general practitioners. Infect Drug Resist. 2018.
5. Blair JMA, Webber MA, Baylay AJ, Ogbolu DO, Piddock LJV. 2015, Molecular mechanisms of antibiotic resistance. Nat Rev Microbiol.
6. Bratzler DW, Dellinger EP, Olsen KM, et al. Clinical practice guidelines for antimicrobial prophylaxis in surgery. Am J Health Syst Pharm. 2013.
7. Cars O, Nordberg P. Antibiotic resistance – the faceless threat. Int J Risk Saf Med. 2005.
8. Cassini A, Högberg LD, Plachouras D, et al. Attributable deaths and disability-adjusted life-years caused by infections with antibiotic-resistant bacteria in the EU and the European Economic Area in 2015.
9. Castanon J. 2007, History of the use of antibiotic as growth promoters in European poultry feeds. Poultry Science.
10. Centers for Disease Control and Prevention Diseases/pathogens associated with antimicrobial resistance. 2012.
11. Chaired by Jim O'Neill. Review on antimicrobial resistance. Tackling drug-resistant infections globally: final report and recommendations; 2019.
12. Conly J. 2010. Antimicrobial resistance: revisiting the tragedy of the commons. Bull World Health Organ.
13. Current epidemiology and growing resistance of gram-negative pathogens., Livermore DM,Korean J Intern Med. 2012.

14. Current epidemiology and growing resistance of gram-negative pathogens., Livermore DM,Korean J Intern Med. 2012.
15. Daneman N, Gruneir A, Bronskill SE, et al. Prolonged antibiotic treatment in long-term care: role of the prescriber. JAMA Intern Med. 2013.
16. Daneman N, Gruneir A, Newman A, et al. Antibiotic use in long-term care facilities. J Antimicrob Chemother. 2011.
17. Daniel Markley J, Bernard S, Bearman G, Stevens MP. De-escalating antibiotic use in the inpatient setting: strategies, controversies, and challenges. Curr Infect Dis Rep. 2017.
18. Davey P, Pagliari C, Hayes A. The patient's role in the spread and control of bacterial resistance to antibiotics. Clin Microbiol Infect. 2002.
19. Duin D, Paterson D. Multidrug resistant bacteria in the community: trends and lessons learned. Infect Dis Clin North Am. 2016.
20. Eduard A, et al. Antibiotic Use and Upper Respiratory Infections: A Survey of Knowledge, Attitudes, and Experience in Wisconsin and Minnesota. Prev Med (Baltim). 2002.
21. European Centre for Disease Prevention and Control (2011) Antimicrobial resistance surveillance in Europe. Annual report of the European Antimicrobial Resistance Surveillance.
22. Gajdács M, Paulik E, Szabó A. Knowledge, attitude and practice of community pharmacists regarding antibiotic use and infectious diseases: a cross-sectional survey in Hungary (KAPPhA-HU). Antibiotics. 2020.
23. Han H-S, Park DJ. Antibiotic prophylaxis and surgical site infection prevention. In: Ljungqvist O, Francis NK, Urman RD, editors. Enhanced Recovery After Surgery: A Complete Guide to Optimizing Outcomes [Internet]. Cham: Springer International Publishing; 2020.
24. Jim O'Neill. Review on antimicrobial resistance. Tackling drug-resistant infections globally: final report and recommendations. 2019.
25. Jones F, Ricke S. 2003, Observations on the history of the development of antimicrobials and their use in poultry feeds. Poultry Science.
26. Kapoor G, Saigal S, Elongavan A. Action and resistance mechanisms of antibiotics: a guide for clinicians. J Anaesthesiol Clin Pharmacol. 2017.
27. Liu J. Tackling the global non-prescription use of antibiotics. Lancet Infect Dis. 2020.
28. Machowska A, Lundborg CS. Drivers of irrational use of antibiotics in Europe; 2019.
29. Masterton RG. Antibiotic De-Escalation. Crit Care Clin. 2011.
30. Mulvey MR, Simor AE. Antimicrobial resistance in hospitals: how concerned should we be? CMAJ. 2009.
31. Murshid MA, Mohaidin Z. 2017, Models and theories of prescribing decisions: a review and suggested a new model. Pharm Pract (Granada).
32. Naylor NR, Atun R, Zhu N, et al. Estimating the burden of antimicrobial resistance: a systematic literature review. Antimicrob Resist Infect Control. 2018.
33. Public Health England (2012) Management of Infection Guidance for Primary Care for Consultation and Local Adaptation. November 2012.
34. Reardon S. 2017, Resistance to last-ditch antibiotic has spread farther than anticipated.
35. Silva ACB, Anchieta LM, Lopes de P, Romanelli de C. Inadequate use of antibiotics and increase in neonatal sepsis caused by resistant bacteria related to health care assistance: a systematic review. Braz J Infect Dis. 2018.
36. Smieszek T, Pouwels KB, Dolk FCK, et al. Potential for reducing inappropriate antibiotic prescribing in English primary care. J Antimicrob Chemother. 2018.

Problems of unauthorized use of antibiotics by patients by the population in Georgia

Otar Gerzmava[1], Ana Tegetashvili[2]
[1] Grigol Robakidze University, Professor, o.gerzmava@gruni.edu.ge
[2] Grigol Robakidze University, PhD student, a.tegetashvili@gruni.edu.ge

Abstract. The 20th century witnessed the dawn of the antibiotic revolution and now the world is facing the phenomenon of increasing resistance to antibiotics. In this paper, our goal is to reveal the negative consequences of the arbitrary use of antibiotics by the population and to show the existing reality through research based on the population of Georgia. Arbitrary use of antibiotics is of great importance in the development of resistance and the associated clinical and economic burden increases accordingly. Arbitrary use of antibiotics has been reported in the general population as well as in hospitals and medical facilities. Mostly marked as overuse and inappropriate appointment. Improper dosing regimen and duration of treatment were considered to be major factors associated with antibiotic resistance; The study of the arbitrary use of antibiotics has revealed the widespread use of antibiotics without medical prescription or medical consultation, which underscores the heavy clinical and economic burden of this phenomenon in Georgia.

Key words: arbitrary use of antibiotics, Increased resistance to antibiotics

სამყარო ხუან მარსეს თვალით

მაია ხაჩიძე
გრ. რობაქიძის უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი
maia.khachidze@gruni.edu.ge

რეზიუმე. პუბლიკაციის თემაა თანამედროვე ესპანური მწერლობის გამორჩეული ავტორის ხუან მარსეს (1933-2020) შემოქმედება და მისი ქართულენოვანი თარგმანები (თარგ. ქ. ჯიშიაშვილი, რედ. მ. კვაჭანტირაძე). ამ ტექსტების საშუალებით ქართველ მკითხველს იმ ავტორის აღმოჩენის შესაძლებლობა ეძლევა, რომლის გარეშეც ძნელად წარმოსადგენია თანამედროვე ევროპული ლიტერატურა, ხოლო პუბლიკაცია მისი შემოქმედების კვლევის პირველი მცდელობაა ქართულ სალიტერატურო კრიტიკაში. პოსტმოდერნისტული ლიტერატურული ძიებებიდან მარსეს შემოქმედება, ალბათ, ყველაზე ახლოს მაგიურ რეალიზმთანაა. ბარსელონაში დაბადებულმა მწერალმა ცხოვრების მნიშვნელოვანი ნაწილი ქალაქის ღარიბულ უბანში გაატარა და მისი ნაწარმოებების პერსონაჟებიც ძირითადად ამ სამყაროს მკვიდრნი არიან: ადამიანები, რომლებსაც ყოველდღიური დაძაბული ბრძოლა უწევთ არსებობისათვის, გადარჩენისათვის. პუბლიკაცია იკვლევს პოსტმოდერნისტული ლიტერატურისათვის დამახასიათებელი მხატვრული ხერხების: ორმაგი კოდირების მხატვრული პრინციპი, მითოსური ელემენტები, ცნობილი სიუჟეტებისა და პერსონაჟების პაროდირება-ინტერპრეტაცია და ა.შ. გავლენას ტექსტზე, რომელთა საშუალებითაც ავტორი მკითხველს მინიშნების შესაბამისი სახე-ხატების რემინისცენციებისათვის განაწყობს და ინტერაქციაში ჩართვას აიძულებს. პუბლიკაციაში აღნიშნულია, რომ რეალურისა და ილუზორულის სიმულაციური აღრევით მწერალი ახერხებს თანამოაზრედ აქციოს მკითხველი, დაანახოს როგორ იბადება პერსონაჟის ცნობიერებაში ახალი სინამდვილე, რომელსაც არაფერი აქვს საერთო მის მიერ აპრიორად განსაზღვრულ რეალობასთან და რომელიც შესაძლებელია ყველაზე ახლოს დგას ჭეშმარიტებასთან.

საკვანძო სიტყვები: ხუან მარსე, მაგიური რეალიზმი, ესპანური ლიტერატურა, სიმულაცია

XX ს-ის მეორე ნახევარში ლიტერატურაში ხელშესახებად გამოიკვეთა ერთი ტენდენცია - მსოფლიომ თითქოს ხელახლა აღმოჩინა ახალი სამყარო ესპანურენოვანი მწერლობის სახით. ეს შენიშვნა განსაკუთრებით ლათინოამერიკულ მწერლობას ეხება, თუმცა ამ ინტერესმა კვლავ ფოკუსში მოაქცია ზოგადად ესპანურენოვანი ლიტერატურა. მართლაც, მხოლოდ იმ სახელების გახსენებაც კი, რომლებიც ამ ლიტერატურამ აჩუქა მსოფლიოს, ბუნებრივად ხსნის ამ ინტერესს. თუ თანამედროვე ქართულენოვან გამოცემებს გადავავლებთ თვალს, ნათელი გახდება, რომ, საბედნიეროდ, ამ საერთო ტენდენციას ქართველი მკითხველიც იზიარებს. უკანასკნელ წლებში შესრულებული მშვენიერი თარგმანები კი მას მრავალფეროვანი მხატვრული სამყაროსა და ლიტერატურული მემკვიდრეობის გაცნობის შესაძლებლობას აძლევს. და მაინც, შესაძლებელია სწორედ ესპანური ლიტერატურის სიმდიდრეს „დავაბრალოთ“, რომ ზოგიერთი მნიშვნელოვანი ავტორი ქართულენოვან ბიბლიოთეკებში ჯერ მხოლოდ ერთი ან ორი ტექსტითაა

წარმოდგენილი. მეორე მხრივ, ეს შეგვიძლია განვიხილოთ როგორც შესაძლებლობა, რომელიც უამრავ სასიამოვნო სიურპრიზს გვპირდება მომავალში.

ასეთი ავტორების რიცხვშია თანამედროვე ესპანური და, ზოგადად, ევროპული მწერლობის ერთ-ერთი გამორჩეული ფიგურა ხუან მარსე (1933-2020 წწ.). მარსეს, როგორც მწერლის წარსადგენად საკმარისი იქნება იმის აღნიშვნა, რომ იგი რამდენიმე პრესტიჟული ლიტერატურული პრემიის, მათ შორის ხუან რულფოს, პლანეტას (Premio Planeta de Novela), სერვანტესის პრემიების ლაურეატი გახლავთ. მის სახელს ატარებს სერვანტესის ინსტიტუტის ბიბლიოთეკა (მადრიდი). მისი რომანების დიდი ნაწილი ეკრანიზებულია (მათ შორის, „შანხაის შელოცვა"/„შანხაის მოჯადოება", „უკანასკნელი საღამოები ტერეზასთან", „გოგონა ოქროსფერ საცვლებში" და ა.შ.) ან თეატრალური დასების რეპერტუარშია შეტანილი. მკითხველებმა მარსეს მხატვრული სამყარო „განადგურებულ გარემოში ლიტერატული ბრწყინვალების აღმოჩენას" შეადარეს, თუმცა მისი ქართულ-ენოვანი თარგმანების ბიბლიოგრაფია საკმაოდ მწირია.

ცოტა ხნის წინ აღმოვაჩინე თანამედროვე ესპანურენოვანი მწერლების საინტერესო თარგმანების კრებული „ესპანურენოვანი მოთხრობა, ესსე, ინტერვიუ" (თარგ. ქ. ჯიშიაშვილი, რედ. მ. კვაჭანტირაძე). კრებულის მნიშვნელობას ზრდის ის ფაქტიც, რომ ზოგიერთი ავტორისათვის გამოცემაში შესული ტექსტი ქართულ ენაზე შესრულებული პირველი თარგმანია. მთარგმნელი, როგორც ჩანს, გრძნობს ამ გარემოების დელიკატურობას და კრებულში შეაქვს თითოეული ავტორის ინტერვიუ, რომელსაც დიდი სიფრთხილით არჩევს და რომელიც მკითხველისთვის მწერლის წარდგენის ან უკეთ გაცნობის საშუალებაა. ამ ავტორების რიცხვშია ხუან მარსე - ავტორი, რომლის გარეშე რთული წარმოსადგენია თანამედროვე ესპანური მწერლობა და მისი მშვენიერი მოთხრობა „უჟანგავი ფოლადის ავტომობილი". მწერლის ინტერვიუ კი მეტაფორული სათაურით - „ჩემი სამყარო თითქოს შეჩერებული დროის დეკორაციაა" - ერთგვარი გზამკვლევი შეიძლება აღმოჩნდეს ქართველი მკითხველისათვის, რომელსაც ამ ტექსტების საშუალებით ძალიან საინტერესო თვითმყოფადი ავტორის აღმოჩენისა და მასთან ურთიერთობის შესაძლებლობა ეძლევა.

1933 წ. ბარსელონაში დაბადებულმა მწერალმა ცხოვრების მნიშვნელოვანი ნაწილი ქალაქის ღარიბულ უბნებში გაატარა და მისი ნაწარმოებების პერსონაჟებიც ძირითადად ამ სამყაროს მკვიდრნი არიან: ადამიანები, რომლებსაც ყოველდღიური დაძაბული ბრძოლა უწევთ არსებობისათვის, გადარჩენისათვის. კრებულში შეტანილი მოთხრობის პერსონაჟებიც ამ სამყაროდან არიან - სამყაროდან, რომელსაც, როგორც თავად ავტორი აღნიშნავს, ყველაზე უკეთ იცნობს. ზუსტად, ალბათ, ძნელია განსაზღვრო ჟანრი, რომლის კონტექსტშიც შეიძლება ამ მოთხრობის გააზრება. მთარგმნელი მას მაგიურ რეალიზმს მიაკუთვნებს და პოსტმოდერნისტული ლიტერატურული ძიებებიდან მარსეს მოთხრობას, ალბათ, ყველაზე უფრო სწორედ ეს ფორმა მიესადაგება. მით უმეტეს, თხრობის მიმდინარეობისას რთული იქნება, თავი დავაღწიოთ განცდას, რომ ორმაგი კოდირების მხატვრულ პრინციპთან გვაქვს საქმე. დაკვირვებულ მკითხველს შეუმჩნეველი არც ის დარჩება, რომ ავტორისათვის, რომელიც ყველა დეტალს საგულდაგულოდ ამუშავებს, არ

შეიძლება შემთხვევითობად ჩაითვალოს, რომ მისი მოთხრობის ერთ-ერთი პერსონაჟი თორმეტი წლის ბიჭია, ხოლო მეორე - 1945 წლის ლინკოლნ-კონტინენტალი. 1945 წ. მარსე ხომ სწორედ ამ ასაკის იქნებოდა! მით უმეტეს, ინტერვიუში იგი გულახდილად საუბრობს მისი - 1945-იანი წლების 12 წლის მოზარდისა და სამყაროს ურთიერთმიმართების, საკუთარი რეფლექსის მიზეზ-შედეგობრივი კავშირის თაობაზე.

ტექსტის რიტმი და პერსონაჟების მინიმალური რაოდენობა ავტორისაგან მათი განსახიერებისას მეტ ძალისხმევას მოითხოვს, რასაც იგი მშვენივრად აცნობიერებს. გასაოცარია მისი სტილის გრძნობა: მინიმალისტური ხერხებით, სადა შტრიხებით, მდიდარი პალიტრის გამოყენების გარეშე შექმნას პერსონაჟები, რომლებიც საოცარი სიცხადით იხატებიან მკითხველის თვალწინ და აღარც ქრებიან. „ჩემთვის მთავარია, მკითხველი ნაწარმოებში ჩავითრიო და მახეში გასაბმელად ნებისმიერი ხერხი გამოდგება. ლიტერატურა ხომ კარგად მოყოლილი ტყუილია. მაგრამ თუკი შეძლებ, მკითხველი დაარწმუნო იმაში, რასაც ყვები, მიზანი მიღწეულია“[1] - აცხადებს მწერალი და ფაბულისა-თვის მისი ტექსტებისათვის დამახასიათებელ პარადიგმას ირჩევს: ამბავი ორი დიამეტრუ-ლად განსხვავებული სამყაროს პირობითი გადაკვეთის წერტილში ვითარდება. როგორც ჩანს, მარსესთვის მნიშვნელოვანია ადგილისა და სივრცის პირობითობა, განუსაზღვრე-ლობა. ქალაქის პრესტიჟული გარეუბანი: ქვის გალავანი, ცხიმის ლაქები ასფალტზე, დამწვარი ბენზინის სუნი... - არაფერი ისეთი, რაც კონკრეტიკაზე მიუთითებს. ეს პირობითობა ერთგვარი მინიშნებაა მკითხველისათვის, რომ ეს სივრცე, ეს ამბავი მის მიღმაც შეიძლება იყოს და მასთანაც - მის ქალაქში, მის უბანში, მისი სახლის მესერთან... მეტიც, შეიძლება იყოს და არც იყოს...

ავტორი მოკლე დროში ახერხებს პერსონაჟების რადიკალურად განსხვავებული ხასიათები შექმნას და ამ კონტრასტის სრულიად მოულოდნელ ექსპოზიციამდე მიიყვანოს მკითხვე-ლი: მოულოდნელობების კასკადი, რომელიც კიდევ უფრო მოულოდნელ ფინალთან გვაახლოებს. შესაძლებელია სწორედ მხატვრული ხერხების მინიმალიზაცია აძლევს მწერალს საშუალებას, მოთხრობაში განვითარებულ ამბავს განსაკუთრებული დამაჯერებ-ლობა შესძინოს და თითოეული გმირის დრამა მკითხველისათვის ახლობელი გახადოს.

სენიორ ალკონი პირველი პერსონაჟია, რომელიც ტექსტში ჩნდება და რომლის პრეზენ-ტაციასაც მწერალი ერთგვარი ირონიით, პომპეზურობის ხაზგასმით, რამდენიმე შტრიხის გამოყენებით ახდენს: *„თეთრ კოსტუმში გამოწყობილი ეს ბატონი, ხელში შავი კეისი რომ ეჭირა და ერთიანად თვითკმაყოფილებას აფრქვევდა, არა მხოლოდ აღნაგობითა და პეწით გამოირჩეოდა, არამედ კოლეგებს შორის ფინანსური ზვიგენის სახელით სარგებლობდა“.* მარსესთვის მნიშვნელოვანია, მისი პერსონაჟი „დაინახოს“ მკითხველმა, დაიჯეროს მისი არსებობა, რომ შემდეგ მასთან ურთიერთობა გაუადვილდეს: „პერსონაჟებს იქამდე ვამუშავებ, სანამ მკითხველი საკუთარი თვალით არ დაინახავს მათ მოძრაობას, სიარულს,

[1] მარსე ხ. 2009. „ჩემი სამყარო თითქოს შეჩერებული დროის დეკორაციაა“ (ინტერვიუ). ესპანურენოვანი მოთხრობა, ესსე, ინტერვიუ. თბ. გვ. 189.

ჟესტიკულაციას, ამა თუ იმ ფიზიკურ ქმედებას, რადგან, ჩემი აზრით, ნებისმიერ ფსიქოლოგიურ აღწერას ყოველთვის საკუთარი თვალით ნანახი სჯობს“.[2]

ძუნწი, მოზომილი ფრაზები, დიალოგები, პორტრეტები, თითქოს ერთი სიტყვაც კი ზედმეტი იქნებოდა ამ სურათებში. პერსონაჟების ვიზუალიზაცია რამდენიმე სახასიათო შტრიხით, მინიშნებით - მკითხველის თვალწინ ცოცხლდება „ფინანსური ზვიგენი“ თეთრი კოსტიუმითა და შავი კეისით, რომელსაც „სიარულის დროს ჭრაჭუნი გაუდის“ და სრულიად ბუნებრივად აღძრავს იმ განცდებს, რასაც ჩვეულებრივ თვითკმაყოფილებით, საკუთარი გამორჩეულობის შეგრძნებით გაჟღენთილი ადამიანები აღძრავენ ხოლმე – ერთგვარი გაუცხოების, დისტანცირების. ალკონი ტიპური საქმოსანია. მისი მიმართება სამყაროსთან სრულიად განსაზღვრულია და კონკრეტულ ერთეულში – ციფრებში გამოიხატება. ნავთობის მაგნატი ადამიანთა იმ კატეგორიას ეკუთვნის, რომლებსაც გარემოს აღქმის, შეფასების სრულიად ხელშესახები კრიტერიუმები ჩამოუყალიბდათ და რაიმე კორექტივის შეტანას ამ მიმართებაში არც გეგმავენ. ამაზე მიგვანიშნებს ავტორის, ერთი შეხედვით, უწყინარი რეპლიკა ტექსტის ფინალურ ნაწილში, როდესაც პერსონაჟი უკანასკნელი 50 წლის მანძილზე პირველად არღვევს საკუთარი დღის განრიგს. მწერალი ახერხებს, მკითხველი თანამოაზრედ აქციოს და მით უფრო საინტერესოა თვალის მიდევნება, სულ რამდენიმე გვერდის მანძილზე როგორ ვითარდება ამ პერსონაჟის ტრანსფორმაცია.

„ალბათ, ყველაფერი იმის ბრალია, რომ ჩემმა ცხოვრებამ ხელმოცარულების გვერდით გაიარა. დიახ, შესაძლოა, ქვეცნობიერად ისინი ჩემთვის უფრო მომხიბვლელნი არიან ადამიანური და ლიტერატურული თვალსაზრისით. რატომღაც მგონია, რომ გამარჯვებები და წარმატებები ყალბია და მოჩვენებითი“ - აცხადებს მწერალი ინტერვიუში[3]. ალკონის პერსონაჟიც სწორედ იმ სამყაროს ნაწილია, რომელიც ავტორს ნაკლებად დამაჯერებლად ან ნაკლებად ბუნებრივად მიაჩნია. მით უმეტეს, რომ მას ფრანკოს მმართველობის ხანაში მოუწია ცხოვრება, რომლისთვისაც უცხო არ იყო წარმატება-წარუმატებლობის პირობითობის განცდა. სიუჟეტის განვითარება ლოგიკურად მოითხოვს თხრობაში მეორე - მარსესათვის უფრო „ნამდვილი“ პერსონაჟის გამოჩენას და ისიც სენტ ეგზიუპერის პატარა უფლისწულივით მოულოდნელად „არსაიდან“ ჩნდება და ნამდვილ პერფორმანსს შემოგვთავაზებს!

ავტორი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ პერსონაჟი ბუნებრივია, გრიმისა და დეკორაციის გარეშე და, თითქოს საგანგებოდ, ძლევამოსილი ფინანსისტის სრული ანტიპოდია: *„ღარიბულად ჩაცმული ბიჭი ჩამომჯდარიყო და ჭუჭყიანი ხელებითა და მომღიმარი სახით უცქეროდა სენიორ ალკონს. ფეხზე რეზინის სანდლები ეცვა, პერანგი კი იმდენად დაძონძილიყო, რომ აბლაბუდას ქსელი გეგონებოდათ. თორმეტი წლისაც არ იქნებოდა.*

[2] მარსე ხ. 2009. „ჩემი სამყარო თითქოს შეჩერებული დროის დეკორაციაა“ (ინტერვიუ). ესპანურენოვანი მოთხრობა. ესსე. ინტერვიუ. თბ. გვ. 191.

[3] მარსე ხ. 2009. „ჩემი სამყარო თითქოს შეჩერებული დროის დეკორაციაა“ (ინტერვიუ). ესპანურენოვანი მოთხრობა. ესსე. ინტერვიუ. თბ. გვ. 190.

არც თეთრი კანი ჰქონდა, არც აბრეშუმის თმა და არც პაწუა ცხვირი, ანუ არაფერი ისეთი, რითაც გამოირჩევიან დახვეწილი ბავშვები დახვეწილ მოთხრობებში“. ავტორი პოსტმოდერნისტული ლიტერატურისათვის დამახასიათებელ კიდევ ერთ მხატვრულ ხერხზე მიგვანიშნებს - მკითხველისათვის კარგად ცნობილი სიუჟეტებისა და პერსონაჟების პაროდირება-ინტერპრეტაცია, რომელიც მკითხველს ამ მინიშნების შესაბამისი სახეხატების რემინისცენციებისათვის განაწყობს, ინტერტექსტუალური ძიებებისაკენ უბიძგებს და ინტერაქციაში ჩართვას აიძულებს. თუმცა მოთხრობას თავისი დინამიკა აქვს, მწერალს - საკუთარი მხატვრული ამოცანა და ილუზიებმა ძალიან რომ არ შეგვიყოლიოს, ავტორი მალევე თხრობის სივრცეში გვაბრუნებს: პატარას აქვს რაღაც, რაც მას იმ ჩვეულებრივი ბავშვებისაგანაც გამოარჩევს, რომლებიც ფინანსისტს თავისი ცხოვრების გზაზე, სავარაუდოდ, უამრავი შეხვედრია და დახვეწილი მოთხრობების დახვეწილი პერსონაჟებისაგანაც: *„სამაგიეროდ, დიდ შავ თვალებში ცოცხალი შუქი უელავდა და მის ღიმილში უცნაურად მშვიდი თავდაჯერება იგრძნობოდა“,* თუმცა, ერთი შეხედვით, ბიჭუნას გარეგნულ იერში ამ თავდაჯერების საფუძველს არაფერი იძლევა. უცნაურად და ეპატაჟურად გამოიყურება მისი შეთავაზებაც: *„იყიდება ლინკოლნ-კონტინენტალი“.*

ასე ჩნდება მოთხრობის თეთრ-ნაცრისფერ სივრცეში ცისფერის ესთეტიკა, რომელიც ისეთივე კონტრასტს ქმნის გარემოსთან, სადაც პერსონაჟების გზები იკვეთება, როგორც თავად ეს პერსონაჟები ერთმანეთთან. ბიჭუნა დაჟინებით ცდილობს, ფინანსისტი „ოცნებისფერი“ ავტომობილით დააინტერესოს, რომელსაც მის გარდა ვერავინ ხედავს, რაც თავდაჯერებული ნავთობის მაგნატის სრულიად ბუნებრივ რეაქციას იწვევს, თუმცა უცნაურ - მაპროვოცირებელ სტუმარს, რომელიც დაჟინებით ცდილობს ალკონი ჩვეული „კომფორტის ზონიდან“ გამოიწვიოს, საპასუხოდ მტკიცე არგუმენტი აქვს: *„დანახვა არ გინდათ და იმიტომ“.*

პერსონაჟებს შორის, პრაქტიკულად, რაღაც მისტიკური თამაშია გამართული, სადაც მთავარი იარაღი თავდაჯერება და რწმენაა - საკუთარი სამყაროს, საკუთარი ოცნების რწმენა და უპირატესობაც იმის მხარესაა, ვისაც საკუთარი სამყაროს მეტი რწმენა გააჩნია. რეალურისა და ილუზორულის სიმულაციური აღრევით მწერალი ახერხებს ოდნავ თავბრუ დაახვიოს ამ იდუმალებით მოცული შეჯიბრების მაყურებელს - მკითხველს და თუ იგი (მკითხველი) გადაწყვეტს ლოგიკას დაეყრდნოს და ამ ხერხით იწინასწარმეტყველოს შედეგი, ავტორი მოთხრობის ძირითად ღერძს სწორედ ამ დაპირისპირების ირაციონალურობაში ხედავს.

შესაძლებელია თუ არა რაიმე ჰქონდეთ საერთო ერთმანეთისაგან რადიკალურად განსხვავებულ ორ პერსონაჟს, პირობითად, „ყოვლისმქონესა“ და „არაფრისმქონეს“? მოულოდნელ ეფექტს ქმნის აღმოჩენა, რომ მათ რაღაც აერთიანებთ – სრულიად განსხვავებული სტატუსის, ასაკის, მისწრაფებების მიუხედავად, ორივეს აქვს ერთი თვისება – თავდაჯერება. თუ პირველ შემთხვევაში ამის ახსნა იოლია და ობიექტური სინამდვილიდან გამომდინარეობს, აჰმედის შემთხვევაში მხოლოდ ტექსტის „ამოცნობის“ შემდეგ ვხვდებით, რა უდევს საფუძვლად ჩამოძონძილი ბიჭუნას მშვიდ თავდაჯერებას, რომელსაც შვიდი და-ძმა და ბებია ელოდება საჰარაუის ლტოლვილთა თავშესაფარში.

ბიჭის დაჟინება და რწმენა იმდენად მაცდუნებელი აღმოჩნდება, რომ სენიორ ალკონიც, მკითხველთან ერთად, რაციონალური დამკვირვებლის როლიდან გამოდის და მისდაუნებურად აყვება ამ თამაშს: *„იმავ წამს მანქანის დაქოქვის ხმა შემოესმა“ - რბილი, ხავერდოვანი, თითქოს აბრეშუმის ქსოვილი ირღვევაო“.* თუმცა ეს მხოლოდ წამიერი სისუსტეა და „ფინანსური ზვიგენიც“ ჩვეულ რიტმს უბრუნდება, სადაც არც აჰმედია და არც მისი 1945 წლის ღია ცისფერი ლინკოლნ-კონტინენტალი.

მაგრამ ბიჭი არ ნებდება. უცნაურია, რადგან მას უკვე აღმოუჩენია ის, რაც აქამდე შეუმჩნეველი დარჩა წარმატების მწვერვალზე მყოფი სენიორ ალკონისათვის: როგორი ორაზროვანი შეიძლება იყოს საზღვრები რეალურსა და ირეალურს, სიმართლესა და გამოგონილს შორის. ამიტომ იცის, რომ ხილული ყოველთვის არ ნიშნავს რეალურს, ისევე, როგორც უხილავი ყოველთვის არ არის არარეალურის სინონიმი: *„თქვენ ეგრე გეგონოთ, სენიორ, და… ამას წინათ ჩემი მეგობარი დაიღუპა სამხრეთის ტყეში ტყვიით, რომელიც არავის არასდროს უსვრია, თანაც თოფით, რომელიც ჯერ აწყობილიც არ იყო“.*

მაგიური რეალიზმისათვის დამახასიათებელი ბუნებრივობით, გნებავთ, გულუბრყვილობით ავტორი ისე გადის რეალობა-ილუზორულის ზღვარს, რომ ამბავი არც ბოლომდე მისტიკურ შეფერილობას იძენს და არც დამაჯერებლობას კარგავს. დაუჯერებელი რეალობად იქცევა, უხილავი ხდება ხილული და პერსონაჟის ცნობიერებაში ასე იბადება ახალი სინამდვილე, რომელსაც არაფერი აქვს საერთო მის მიერ აპრიორად განსაზღვრულ რეალობასთან და რომელიც შესაძლებელია ყველაზე ახლოს დგას ჭეშმარიტებასთან.

ლიტერატურული ნაწარმოების კომპოზიციის თავისებურებების შესახებ მსჯელობისას ი. ლოტმანმა შენიშნა, რომ: „...თანამედროვე ტექსტში კოდირების ფუნქცია აკისრია დასაწყისს, ხოლო სიუჟეტურ-„მითოლოგიური“ - დასასრულს“[4]. მარსე თავის ტექსტებში ხშირად იყენებს ამ პარადიგმას. „უჟანგავი ფოლადის ავტომობილის“ ფინალიც სწორედ ამ ესთეტიკითაა შთაგონებული: ალბათ, გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ფინალის ეფექტის შემდეგ მკითხველს ცოტაოდენი დრო დაჭირდება ამ სამყაროში დასაბრუნებლად და შესაძლოა, ეს დრო ყველაზე ფასეულია ტექსტისა და მკითხველის ურთიერთობის პროცესში.

ხ. მარსე იმ მწერლების რიცხვს ეკუთვნის, რომლებსაც თანამედროვე სამყაროში ადამიანის არსებობის, მისი ძიებების, რეფლექსიის, „მისი ეთიკური საყრდენის ამოცნობის საიდუმლო აინტერესებთ, რომლებიც ცდილობენ, საკუთარ მკითხველს აღმოაჩენინონ სიახლე იქ, სადაც მას ყველაფერი უკვე ნათელი და გარკვეული ჰგონია“[5]. ამიტომ ძლევამოსილი ფინანსისტი მარცხდება ამ მისტიკურ შეჯიბრებაში, თუმცა მარსესთვის ეს მარცხი გამარჯვების ტოლფასია - ეს მარცხი მის პერსონაჟს გამარჯვებულად აქცევს. მიუხედავად მწერლის შეფასებისა, რომ ალკონი იმ ადამიანთა კატეგორიას განეკუთვნებოდა „საგულდაგულოდ რომ არიან შეფუთული და სიარულის დროს

[4] Лотман Ю.М. 1998. Об искусстве. СПб. Санкт-Петербург. ст. 211.

[5] ხაჩიძე მ. 2016. სიცოცხლე, როგორც სასწაული ი. გორდერის შემოქმედებაში. ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. რეცენზირებადი ელექტრონული ბილინგვური ჟურნალი „სპეკალი“. თბ. #10.

ჭრაჭუნი გაუდით“, პერსონაჟი გაარღვევს ამ „შეფუთულობის“ გარსს, რომელშიც ის ბუნებრივად კონსტრუირდება და ახალ სინამდვილეს ეზიარება. ამ უცნაური შეხვედრის წყალობით სენიორ ალკონი მისდაუნებურად იმ სამყაროს ნაწილი ხდება, რომელშიც აჰმედი ცხოვრობს, იმ საგნებისა და მოვლენების დანახვას იწყებს, რომელიც ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის მანძილზე მისთვის უხილავი რჩებოდა. მარსესთვის ეს ახალი, იდუმალებით მოცული შესაძლებლობების ფანჯარაა. როგორი შეიძლება იყოს ამ აღმოჩენის, შეგრძნების, გნებავთ, ამ მარცხის ფასი? მარსეს „არსაიდან“ მოვლენილი პერსონაჟი კვლავ გაუჩინარებამდე მშვიდად გაგვიმხელს: *„ვიცი, რასაც მეტყვით, სენიორ..., რომ რამდენიც არ უნდა გადაგეხადათ, ასეთი ავტომობილისათვის მაინც ცოტაა“.*

ხ. მარსე თავისი ტექსტებით იმ საოცარი მხატვრული სამყაროს ნაწილია, რომელსაც მაგიურ რეალიზმად მოიხსენიებენ. ალბათ, უპრიანი იქნება მის გამოჩეულ წარმომადგენელს დავესესხოთ: გაბრიელ გარსია მარკესი ავტობიოგრაფიულ რომანში აღწერს ეპიზოდს, როდესაც რომანი „ფოთოლცვენა“ მეგობარსა და მრჩეველს ალფონსო ფუენმაიორს აჩვენა და იხსენებს: „მისი დაკვირვებები იმდენად მახვილი იყო, ყველა გავითვალისწინე - ერთის გარდა, რომელიც მას ყურით მოთრეული ეჩვენებოდა, მას შემდეგაც კი, რაც დავუმტკიცე, რომ ჩემი ბავშვობის რეალური თავგადასავალი იყო. - რეალობაც შეიძლება შეცდეს, როდესაც ლიტერატურა არ ვარგა, - სიცილით მითხრა“[6].

მაგიური რეალიზმის, გნებავთ, ზოგადად ლიტერატურის, როგორც მხატვრული ინტერპრეტაციის საშუალების, შინაარსის უფრო ნათლად, ზუსტად და ხატოვნად გადმოცემა, ალბათ, შეუძლებელია. მხოლოდ ის შეგვიძლია დავამატოთ, რომ ეს თეზა საკუთარ თავში ანტითეზასაც გულისხმობს და ამისი დასტური მარსეს მოთხრობაცაა, როდესაც არა მხოლოდ მისი პერსონაჟებისათვის, არამედ მკითხველისთვისაც დამაჯერებელი, ხელშესახები ხდება გამოგონილიც, როდესაც ლიტერატურა კარგია!

დაბოლოს, სამადლობელი სიტყვებით გვინდა მოვიხსენიოთ მთარგმნელი ქ-ნი ქ. ჯიშიაშვილი, რომლის ძალისხმევითაც მშვენიერი თარგმანებით შეივსო ჩვენი ბიბლიოთეკა და რომელსაც, საბედნიეროდ, კარგი ლიტერატურული გემოვნება აღმოაჩნდა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. გარსია მარკესი გ. 2016. იცხოვრო, რომ მოჰყვე. თარგ. ლ. კალანდია. თბ. ინტელექტი.
2. მარსე ხ. 2009. უჟანგავი ფოლადის ავტომობილი. თარგ. ქ. ჯიშიაშვილი. ესპანურენოვანი მოთხრობა. ესსე. ინტერვიუ. თბილისი.
3. მარსე ხ. 2009. „ჩემი სამყარო თითქოს შეჩერებული დროის დეკორაციაა“. თარგ. ქ. ჯიშიაშვილი. ესპანურენოვანი მოთხრობა, ესსე, ინტერვიუ. თბ.
4. ხაჩიძე მ. 2016. სიცოცხლე, როგორც სასწაული ი. გორდერის შემოქმედებაში. ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. რეცენზირებადი ელექტრონული ბილინგვური ჟურნალი „სპეკალი“. თბ. #10.
5. Лотман Ю.М. 1998. Об искусстве. СПб. Санкт-Петербург.

[6] გარსია მარკესი გ. 2016. იცხოვრო, რომ მოჰყვე. თარგ. ლ. კალანდია. თბ. ინტელექტი. გვ. 471-472.

World through the Eyes of Juan Marsé

Khachidze Maia
GR. Robakidze University, Associate Professor, Doctor of Sciences in Philology
maia.khachidze@gruni.edu.ge

Abstract. The topic of the publication is the work of the outstanding author of modern Spanish literature, Juan Marce (1933-2020) and his Georgian translations (translated by K. Jishiashvili, ed. M. Kvachantiradze). Through these texts, the Georgian reader is given the opportunity to discover the author, without whom it is difficult to imagine contemporary Spanish literature, and the publication is the first attempt to study his work in Georgian literary criticism. Among postmodern literature quests magical realism is probably the most appropriate for Marse's work. Born in Barcelona, the writer spent most of his life in a poor district of the city and the characters of his stories belong to this world: people who have to struggle for existence, for survival every day. The publication examines the text in the context of artistic techniques typical of postmodern literature, which disposes the reader for reminiscences of the images, corresponding to this indication, pushes towards intertextual searches and forces to get involved in interaction. The publication notes that by simulating a mixture of the real and the illusory, the writer manages to make the reader his soulmate, to show how a new reality is born in the consciousness of the character, which has nothing in common with the reality a priori defined by him and which may be the closest to the truth.

Key words: Juan Marsé, magic realism, Spanish literature, simulation

World through the Eyes of Juan Marsé

Maia Khachidze
GR. Robakidze University, Associate Professor, Doctor of Sciences in Philology
maia.khachidze@gruni.edu.ge

Abstract. disposes the reader for reminiscences of the images, corresponding to this indication, pushes towards intertextual searches and forces to get involved in interaction. The publication notes that by simulating a mixture of the real and the illusory, the writer manages to make the reader his soulmate, to show how a new reality is born in the consciousness of the character, which has nothing in common with the reality a priori defined by him and which may be the closest to the truth.

Key words: Juan Marsé, magic realism, Spanish literature, simulation

In the second half of the XX c., one trend was substantially outlined – it seemed that the word re-discovered new world in the form of Spanish-language literature. This refers to Latin-American writing in particular, though this interest has brought Spanish literature, in general, back into focus. Indeed, just remembering the names of the people this literature has given to the world will well explain this interest. If we look through modern Georgian publications it will become clear that this trend is shared by Georgian readers as well. Excellent translations, done in recent years, allow the reader to familiarize with diverse artistic world and literary heritage. And still, probably, just the richness of Spanish literature should be "blamed" for the fact that some important authors are represented in Georgian-language library only by one or two texts yet. On the other hand, we may consider this situation as the opportunity, which promises many pleasant surprises in the future.

Juan Marse (1933-2020), one of the distinguished figures in modern Spanish, European writing is among such authors. In order to introduce Juan Marse as an author it would be sufficient to mention that he is the winner of several awards in literature, including Planeta (Premio Planeta de Novela) and Cervantes (Premio Miguel de Cervantes) awards. His name is given to the library of Cervantes' Institute (Madrid), major part of his novels is turned into films ("The Shanghai Spell", "Last evening with Teresa", "The Girl with the Golden Panties"…) or included in the repertoire of drama theatres. The admirers compared Marsé's artistic world with the "discovery of literary brilliance in annihilated environment", although, the bibliography of Georgian translations of his novels is quite scarce.

It may possibly be due to this tendency that an interesting collection of Spanish authors' translations came into my hands recently: "Spanish Stories, Essays, Interviews" (translated by K. Jishiashvili, ed. M. Kvachantiradze). It should be noted that the texts included in the selection are the first Georgian translation for some of the authors. The translator seems to be fully aware of the sensitivity of the matter and includes interviews of each author in the selection, which are selected with great care and enable the readers to get to know the writers better. Among those authors is Juan Marsé – the author, without whom it is difficult to imagine contemporary Spanish literature and his beautiful story "Stainless Steel Car". And the writer's interview under metaphoric title "It seems that my world

in the decoration of the stopped time" – performs the rode of certain roadmap for Georgian reader, who, through these texts, is given the opportunity to discover very interesting unique author and communicate with him.

Born in 1933, in Barcelona, the writer spent most of his life in a poor district of the city and the characters of his stories belong to this world: people who have to struggle for existence, for survival every day. The characters of the story included in the selection are from this world too – the world that the author knows best, as he himself notes. It will probably be difficult to specify the genre in the context of which the story can be realized. The translator qualifies it as magical realism and among postmodern literature quests this form is probably the most appropriate for Marse's story. All the more so when reading the story it will be difficult to escape the feeling that we are dealing with the principle of double coding. With the author who thoughtfully processes every detail, we cannot deem it a happenchance that one of his characters is a 12 years old boy and the other – 1945 Lincoln Continental, especially if we consider that in 1945 Marse would be of this age. All the more so that in his interview, he frankly speaks about his – 12-years old adolescent of 1945-ies – inter-relation with the world, cause-effect relations of his own reflection.

The rhythm of the text and limited number of characters requires greater efforts for their reification from the author, of which he is well aware. His sense of style is astonishing: using minimalist technique, plain accents, without rich palette he creates characters, who appear in front of the readers with extraordinary realism and never fade away. "For me it is essential to involve the reader and any technique is good enough for trapping them. After all, literature is a well told lie. But if you succeed in persuading the reader in what you are telling, the goal is achieved"[1] - says the author and chooses a typical paradigm for the plot: the story develops in the crossing point of two diametrically opposite worlds. Evidently, conditionality, indefiniteness of place and space is important for Marsé. Prestigious suburb of the city: stone fence, fat spots on the asphalt, the smell of burnt petrol... nothing indicates to particularities. Such conditionality is a kind of indication for the reader, that this space, this story may exist beyond him as well as by his side – in his city, his neighborhood, near the fence of his house... moreover, it may exist and may not exist...

Within several pages he manages to create radically different features of characters and lead the reader to a totally unexpected development of this contrast: it is the cascade of unexpected events, which takes us to even more unexpected final. It is probably the minimization of artistic techniques that enables the author to give particular persuasive power to the story and make the drama of each character so intimate for the reader.

Senor Alcon is the first character appearing in the text and is presented by the author with a sort of irony, emphasized pomposity, but devoid of mannerism: "*This gentleman dressed in white suit, holding a black case in his hand and entirely beaming with complacency, was distinguished with not only his constitution and style, but was also known as a financial shark among his colleagues*". For Marsé it is important, that the reader "sees" the character, believe in his existence, so that his relation with the character becomes easier: "I work with the characters until the reader sees his/her

[1] Marce J., 2009:189, "It seems that my world in the decoration of the stopped time", Spanish Stories, Essays, Interviews), Tbilisi.

movement, walking, gesturing, this or that physical action with his eyes, as, in my opinion, what you see with your own eyes is better than any psychological description"[2].

Sparse, measured phrases, dialogues, portraits; it seems that even one word would be excessive in these pictures. Visualization of characters through several characteristic strokes, indication, and financial shark in white suit and black case, "squeaking when walking" revives before the reader and quite naturally arouses the feelings that such complacent people usually provoke – of some kind of estrangement, distancing. Alcon is a typical businessman. His attitude towards the world is totally defined in single unit - numbers. He belongs to the category of men who have quite tangible criteria for perceiving and assessing the environment and do not plan any corrections in this regard. This is revealed by seemingly harmless remark in the final part of the text, when the character alters his schedule for the first time for the past 50 years. The author manages to make the reader his soulmate and it is even more interesting to observe the transformation of the character within just a few pages.

"It all must be because I spent my life next to losers. Yes, subconsciously they might be more attractive to me from human and literary point of view. I somehow think victory and success are false and superficial" - the author says in his interview (2009: 190). This character created by him is also a part of the world which the author considers less realistic and natural. Particularly because he had to live during Franco Era which was not devoid of this sense of relativity of success and failure. For the development of the story, it is essential that another character, - a more "genuine" one for Marse – appears and indeed, he appears "out of nowhere" like the little prince of Saint-Exupéry and offers true performance. The author emphasizes that the character is natural, without any decorations and as if intentionally, he is a total antipode of the powerful financier: "*a poorly dressed boy was sitting and looking at Senor Alcon with a smile on his face and dirty hands. On his feet, he wore rubber sandals and the shirt frayed to the extent that it reminded you of a spider's web. He would not even be twelve years old; he had neither white skin, nor silk hair or small nose, nothing that is characteristic of smart children in smart stories*".

The author indicates to another artistic way, characteristic for post-modernist literature – parodying-interpreting of plots and characters, well known to the reader, which disposes the reader for reminiscences of the images, corresponding to this indication, pushes towards intertextual searches and forces to get involved in interaction; nevertheless, the narration has its dynamics, and the writer has his own artistic task. However, in order not to be distracted by allusions, with the phrase following, the author returns to the story: the kid has something that distinguishes him from ordinary children, like the ones that the financier had probably met in his life many times, as well as from the smart children in smart stories: "*Instead, vibrant light glittered in his eyes and awkward calm complacence could be felt through his smile*". However, nothing in his appearance provides grounds for this complacency. His proposal also seems strange and provocative: "*Lincoln Continental is for sale*".

[2] Marce J., 2009: 191, "It seems that my world in the decoration of the stopped time", Spanish Stories, Essays, Interviews, Tbilisi.

This is how the aesthetics of sky blue appears in white-grey space of the story, which creates the contrast against the environment in which the characters meet each other, similar to the contrast the characters themselves create between each other. The boy persistently tries to interest the financier with the vehicle having the "color of a dream" which no one but the boy can see, causing the totally natural reaction of the confident tycoon. However, the strange guest insistently trying to withdraw Alcon from the "comfort zone" has a cogent argument in response: "That's because you don't want to see".

There is a kind of mystic game among the characters, where the main weapon is self-confidence and trust – in one's own world, in one-s own dreams and whoever has more trust in his/her own world, is in advantageous position. By simulative interfusion of real and illusionary the writer manages to confuse the reader for a bit and while he/she (the reader) decides to follow the logic in order to predict the finale of duel, the author sees the main axis of the story in this very inconsequence of the battle.

Is it possible for the drastically different two characters- conventionally the one "having all" and the one "having nothing"- to have something in common? It is startling to discover that they do have something in common – despite different status, age, passions they both have one thing – complacency. If in the first case this can easily be explained and it is based on objective circumstances, in Ahmed's case we only get to realize what exactly gives ground to complacency of the boy with ragged clothes awaited by seven siblings and grandmother in Saharauis refugee camp after familiarizing with the content of the text.

Boy's persistence and belief is so seductive that along with the reader senor Alcon also abandons the role of a calm observer and is tempted for a second. "*Immediately he heard the sound of the car starting, as if soft, velvety, silk cloth tore apart"*. However, this is only a weak moment and senor returns to the regular reality where Ahmed is not there, neither is his 1945 sky blue Lincoln Continental.

Nevertheless, the boy keeps trying. It is strange, but the boy has already discovered what remained unnoticed by senior Alkony, who is standing on the peak of success: how equivocal can be the boundary between real and unreal, truth and fiction. Because he knows, that visible does not always mean real, similarly invisible is not always synonymous with unreal: "*You won't believe it, senor, but a friend of mine recently died in southern woods with the bullet that no one had shot, and from the gun which had not even been assembled".*

With naturalness, or, if you like guilelessness, the author crosses the line between reality and illusion so that the story neither acquires the shade of mysticism, nor loses its persuasive power. What was unbelievable, becomes reality, what was invisible, becomes visible and a new reality is born in consciousness of the character, which has nothing in common with the reality a priori defined by him and which may be the closest to the truth.

When discussing the peculiarities of the composition of a literary piece J. Lotman noted that "in contemporary texts the beginning has the function of coding while the ending has the narrative and mythological function"[3]. Marsé often applies to this paradigm in his texts. The ending of Marse's

[3] Лотман Ю.М., 1998:211, Об искусстве, СПб, Санкт-Петербург.

story was created based on this aesthetics: it can be said without any exaggeration that it will take the reader a while to return to this world after the final effect and this time is most valuable in the process of the relationship between the text and reader.

J. Marsé is one of the writers, who are interested in the secret of understanding of existence of a human, his quests, reflection, "his ethical base; who try to discover the novelty for the reader where he thinks that everything is already clear and discerned"[4]. Powerful financier loses this competition, however, for Marse, this failure equals to victory – this failure makes his character the winner. Despite the writer's assessment that the financier Alcon belongs to the category, which is "diligently wrapped and squeaks when walking", the character manages to break through the membrane in which he is naturally constructed and enters the new reality. Due to this encounter senor Alcon involuntarily becomes a part of the world which Ahmed inhabits, he now sees the things and events which had been invisible for him for over half a century. This is a new, mysterious window of opportunities for Marsé. What could be the price for this discovery, this sensation? Marse's character out of nowhere calmly answers the question before disappearing once again: "*I know what you are going to tell me, senor…, that no matter how much you paid it would still not be enough for this car*".

J. Marsé, with his texts, is the part of amazing artistic world, referred to as magic realism. Since we have mentioned the amazing world, it would be appropriate to refer tone of its outstanding representative: in his biographical novel Gabriel Garcia Marquez described an episode when he showed his novel "Leaf Storm" to his friend and a critic Alfonso Fuenmayor. He recalls: "his observations were so clever, that I took all of them into consideration - except one that seemed way too exaggerated to him, even though I convinced him it was a real adventure of my childhood.

-Reality can also be mistaken when literature is not good enough' – he said laughing"[5].

It is impossible to convey the content of magic realism – or, if you like, literature in general, as the means of artistic interpretation, more clearly and figuratively. We can only add that this proposition includes a contraposition in itself and Marse's story too is a proof of this, where not only for its characters, but for the readers as well, unreal stories become real when literature is good enough!

Finally, we would like to express gratitude towards the translator K. Jishiashvili whose efforts have enriched our library with wonderful translations and who, fortunately, turned out to have a fine literary taste.

[4] Khachidze M., 2016, Life as a Miracle in Jostein Gaarder's Works, Iv. Javakhishvili Tbilisi State University, Electronic Bilingual Scholarly Peer-reviewed Journal Spekali, Tbilisi, #10.

[5] García Márquez, G., 2016:471-472, Living to Tell the Tale, Intelekti, Tbilisi.

References

1. García Márquez, G. 2016. Living to Tell the Tale. Kalandia L. (trans.). Intelekti. Tbilisi.
2. Khachidze M. 2016. Life as a Miracle in Jostein Gaarder's Works. Iv. Javakhishvili Tbilisi State University. Electronic Bilingual Scholarly Peer-reviewed Journal Spekali. Tbilisi. #10.
3. Marse J. 2009. Stainless Steel Car. Spanish Stories, Essays, Interviews. Jishiashvili K. (trans.). Tbilisi.
4. Marse J. 2009. "It seems that my world in the decoration of the stopped time". Spanish Stories, Essays, Interviews. Jishiashvili K. (trans.). Tbilisi.
5. Лотман Ю.М. 1998. Об искусстве. СПб. Санкт-Петербург.

სამყარო ხუან მარსეს თვალით

მაია ხაჩიძე
გრ. რობაქიძის უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი
maia.khachidze@gruni.edu.ge

რეზიუმე. პუბლიკაციის თემაა თანამედროვე ესპანური მწერლობის გამორჩეული ავტორის ხუან მარსეს (1933-2020) შემოქმედება და მისი ქართულენოვანი თარგმანები (თარგ. ქ. ჯიშიაშვილი, რედ. მ. კვაჭანტირაძე). ამ ტექსტების საშუალებით ქართველ მკითხველს იმ ავტორის აღმოჩენის შესაძლებლობა ეძლევა, რომლის გარეშეც ძნელად წარმოსადგენია თანამედროვე ევროპული ლიტერატურა, ხოლო პუბლიკაცია მისი შემოქმედების კვლევის პირველი მცდელობაა ქართულ სალიტერატურო კრიტიკაში. პოსტმოდერნისტული ლიტერატურული ძიებებიდან მარსეს შემოქმედება, ალბათ, ყველაზე ახლოს მაგიურ რეალიზმთანაა. ბარსელონაში დაბადებულმა მწერალმა ცხოვრების მნიშვნელოვანი ნაწილი ქალაქის ღარიბულ უბანში გაატარა და მისი ნაწარმოებების პერსონაჟებიც ძირითადად ამ სამყაროს მკვიდრნი არიან: ადამიანები, რომლებსაც ყოველდღიური დაძაბული ბრძოლა უწევთ არსებობისათვის, გადარჩენისათვის. პუბლიკაცია იკვლევს პოსტმოდერნისტული ლიტერატურისათვის დამახასიათებელი მხატვრული ხერხების: ორმაგი კოდირების მხატვრული პრინციპი, მითოსური ელემენტები, ცნობილი სიუჟეტებისა და პერსონაჟების პაროდირება-ინტერპრეტაცია და ა.შ. გავლენას ტექსტზე, რომელთა საშუალებითაც ავტორი მკითხველს მინიშნების შესაბამისი სახე-ხატების რემინისცენციებისათვის განაწყობს და ინტერაქციაში ჩართვას აიძულებს. პუბლიკაციაში აღნიშნულია, რომ რეალურისა და ილუზორულის სიმულაციური აღრევით მწერალი ახერხებს თანამოაზრედ აქციოს მკითხველი, დაანახოს როგორ იბადება პერსონაჟის ცნობიერებაში ახალი სინამდვილე, რომელსაც არაფერი აქვს საერთო მის მიერ აპრიორად განსაზღვრულ რეალობასთან და რომელიც შესაძლებელია ყველაზე ახლოს დგას ჭეშმარიტებასთან.

საკვანძო სიტყვები: ხუან მარსე, მაგიური რეალიზმი, ესპანური ლიტერატურა, სიმულაცია